

საქართველო

ბჭბბბ

652

2000







სრულიად საქართველოს ვულოცავთ  
ხორციელად შობას უფლისა, ღვთისა და  
მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი,  
*გახაროდენ!*



იუკრუცურუი

ბჭბბბ

დაარსებულია 1958 წელს

რა მუშენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,

რა მომავალი, კმირფასი ბედიტ...

ქალაქი - ჩვენი ქვეყნის უანჯარა

აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ბათუმი

ნოქქქქქ, №-12

2000

საქართველოს მუშერალთა საბრტო-ბროვნული კავშირისა და  
აჭარის ორბანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივი  
შუბნალი



**მთავარი რედაქტორი  
სანდრო ბერიძე**

**სარედაქციო საბჭო:** გურაბ გორბილაძე (რედაქტორი),  
ანდორ კულბა (განყოფილების გამგე), ბენრიბა ჭუთათელაძე  
(პასუხისმგებელი მდივანი), ხათუნა შუშანიძე (მხატვრული რედაქტორი),

**საქონსულტაციო საბჭო:** ვახტანგ ახვლედიანი, ნური  
ვერუბაძე, შოთა გოიბა, ღავით თედორაძე, ოტია იოსელიანი,  
ღავით გვებელური, ალექსანდრე სამსონია, რამაზ სურგანიძე,  
თამაზ წიწწივაძე, ამირან ხაბაში, ზრიდონ ხალვაში, ჯემალ ჯაყელი

რედაქციის მისამართი: მელიქიშვილის ქ. №21  
ტელ: 7-08-64



# პროფ. პოეზია

ჯემალ ჯაყელი

## კაპუშის ღამის სათელი



კი, მოგეცა ღზენა, ასეა ეს, ყოველ შემთხვევაში თავის თავისთვის ასე ბჭობს აბიბო, მაგრამ იზამს ღმერთი და გეას აქ მოიყვანს? იზამს! ღმერთი დიდი ბატონია, გულკეთილია, იგი თავად სიყვარულია და სიყვარულის ხათრისთვის ამას იზამს.

ზის წიფლის ჭირკზე ორი კაცის სიმაღლე აბიბო და ფიქრობს: უცებ ორლობეში რალაცამ თეთრად გაილანდა,

ცოტაც და... ჭიშკარი შემოაღო...

ისე აგისრულდა ყველა ნატვრა! ეს იყო გეა!

თეთრ კაბაში გამოწყობილი, მზისფერთმიანი, მზისფრად სახე ელვარე, მზისფრად გულის და სულის გამთბობი, მზისფრად ამონთებული და ცინცხალი გეა!

ბუჩქს უკან აბიბოს მხოლოდ თავი მოჩანდა.

აბიბომ ბავშვური გულუბრყვილობით გაიღიმა და წამოდგომა დააპირა. არა, არაფერს აღარ ერიდება, გეა მოვიდა მასთან, ეს იგივეა, რაც ღმერთი! ღმერთი მოვიდა აბიბოსთან. ადამიანი ღმერთის შვილია, შვილს რატომ უნდა შერცხვეს ღმერთთან?!

მიწაზე მუხლგართხმული აგავას ბუჩქის უკანიდან ნელა და საოცარი მხურვალე ღიმღიმით წამოდგა აბიბო. წამოდგა, წამოდგა, წამოდგა და... ეს წამოდგომა აღარ დამთავრდა. ანუ აბიბო სიმაღლით ასცდა ერთ არშინს, ასცდა ორ არშინს, ასცდა სამ არშინს... გეას მოეჩვენა რომ იგი აგავის უკან მიდგმულ კიბეზე ადის, გაუკვირდა, ცოტა არ იყოს ნირი წაუხზა და გაცეცებით მიაჩერდა აბიბოს. აბიბო ასცდა ოთხი არშინის სიმაღლეს, დაიწყო მეხუთე, აათავა ეს მეხუთე, თუ ასე მოეჩვენა გეას?! გეას ჭერ სიცილი წასკდა, მერე გაფითრდა და აბიბოს ხმა რომ გაიგონა, მიხვდა, რომ ეს ნამდვილად აბიბოა, ცივი ხმით იკივლა! კივის გეა... ბოლოს გეა გულწასული დაეცა. ამის სიმაღლე ადამიანი საერთოდ ვერ წარმოედგინა და მითუმეტეს, აბიბო, რომელიც მას ახსოვს ნორმალური სიმაღლის, თვალ-ტანადი, ახოვანი და მუდამ გრძნეულოვანი ჩაფიქრებული.

აბიბო გაკვირვებული, გაოცებული და ფერწასული, თანაც უკიდურესად დაბნეული უმზერს გეას, მაგრამ...

არა! რაღა მზერისაა, უნდა მიეშველოს!

აბიბო მივიდა, ფრთხილად დასწვდა ციდან ფრთებდამტვრეულ ანგელოზივით ჩამოვარდნილ გულწასულ გეას, აიყვანა, მიიყვანა თავის ფარალალა სახლის ფანჯარასთან, ფანჯრიდან ოთახში გადასცა და თავის საწოლზე დააწვინა.

აბიბოს გულს ბაგა-ბუგი გაუღდის.

აბიბოს მაჯები ისე მომეტებულად ფეთქავს, ლამის გასკდეს.



აბიბო ნატრობს სატანას გამოჩენას.  
ნატრობს.

გულით ნატრობს.

გულით და მთელი არსებით ნატრობს, რომ ყელში მოკიდოს ხელი და წაახრჩოს.  
ღიახ, წაახრჩოს.

უნდა, სურს, ენატრება აბიბოს სატანის მომძლავრება.

გაცეცებით იქით-აქეთ იხედება.

იხედება.

იხედება და...

უცებ...

ორღობეში რაღაცამ თეთრად გაილანდა. მერე, გაიღო ჭიშკარი და ეზოში ჩამოვიდა სრულქმნილად გეას მსგავსი ღამაში არსება, - გეა!

აბიბო დაიბნა, მისი მშვენიერი გეა აგერ უგონოდ წევს.

მაშ, ეს ვინაა?

ეს სატანაა, გეად გარდასახული.

გუშინ რომ მასთან იყო „გეა“ და სულაც არ გაკვირვებია აბიბოს ქონდრისკაცობა, ეს იმიტომ რომ იგი გარდასახული სატანა იყო...

მაინც რა ოსტატურად გამოსტყუა „გეამ“ აბიბოს მისი შეხედულებები სატანას მიმართ.

და ის „გეა“ - სატანა ღღეს ეწვია დასაციანად და სათრევად. დასცილდა ქონდრისკაცს და შეხვდა ბუმბერაზს.

არა, სატანა ამჯერად აბიბოს ვერ მოატყუებს.

„გეა“ - სატანა მას მშვენიერებით თვალებს ვერ მოსჭრის.

გეა, ნამდვილი გეა, ღვთაებრივი გეა ოთახშია...

დაყოვნებისა აღარ იყო და აბიბომ „გეა“ - სატანას წაავლო ხელი და იგი ისევ სატანად გარდმოისახა. ხელებში მხოლოდ სატანა შერჩა.

სატანა მიხვდა, ცუდადაა მისი საქმე და ღიმილით თქვა:

- გეხუმრე, აბიბო!

გულის ამრევი იყო ეს მისი ღიმილი.

- მეც გეხუმრები! - თქვა აბიბომ და ყელში კიდევ უფრო წაუჭირა ხელი.

მოიცა, აბიბო! ეს ხუმრობას არ გავს...

არა უშავს, მეც არ ვგავარ თავისთავს!

სატანამ ბევრი ეხვეწა - გამიშვიო, მაგრამ ამაოდ. აბიბომ მას ერთი თვალი ამოთხარა სატანური ცბიერებისათვის.

მეყოფა, წამება, აბიბო! - შეეხვეწა სატანა.

- ექვსი საჩუქარი გაქვს შენ ჩემგან. თითო-თითოს გაჩუქებ.

- ერთი უკვე მომაგე. - თვალი ამომთხარე, მეორე რა არის? ნუთუ ექვსივე საჩუქარი ასეთი საშიში იქნება?

აბიბომ აღარ დააყოვნა და თავისი დანაპირების შესრულებას შეუდგა, დასჯას.

- ეს ერთი! თქვა აბიბომ და ერთი ფეხი მოტეხა. - ეს მეორე! - თქვა აბიბომ და მეორე ფეხი მოტეხა. მესამე, - თქვა აბიბომ და ერთი ხელი მოტეხა. მეოთხე! - თქვა აბიბომ და მეორე ხელი მოტეხა.

- გვდები! - იყვირა სატანამ.

- არ მოკვდები, სატანამ სატანური გაძლება იცის.



- მეყოფა, აბიბო. ხუთი საჩუქარი მეყოფა.

- არა, მეექვსეა საჭირო! - თქვა და მეორე თვალის ამოთხრაც დაუპირა.

სატანამ იცრუა:

- აბიბო, მარჯვენა თვალში მაქციობის ჯადო მაქვს. თუკი მარჯვენასაც დამივსებ მე შენ ვერასოდეს გარდმოგაქცევ. დარჩები მასე ცამდე აყუდებული, იცოდე ხელი არ ახლო ჩემს მარჯვენა თვალს. გაფრთხილებ, ეს მხოლოდ შენთვის...

აბიბომ დაიჯერა და სატანას ხელი გაუშვა.

სატანა ფართხალით გასცილდა იქაურობას და სანამ გაუჩინარდებოდა აბიბოს მიაძახა:

- მოგატყუე, აბიბო. შენ რომ თვალი ამოთხარე, სწორედ ეგ თვალი იყო აღჭურვილი მაქციობის ჯადოთი. შენ შენი ხელით მოისპე ყველა იმედი იმისა, რომ გარდმოგაქციო და დაგაბრუნო ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებასთან. იყავი მასე ჟირაფივით ზეაწეული, უშნოდ მაღალი, გრძელი და უსახური. შენთვის სახლი სახლად არ გამოდგება, ჭერი - ჭერად, კარი - კარად, საწოლი - საწოლად. არაფერი საშენო ამ ქვეყანაზე არ არის. დაჯექი ახლა და იტირე, მეტი არა დაგრჩენია რა.

აბიბომ ეს რომ გაიგონა თავში ხელი წაიშინა, მაგრამ გვიანი იყო. იგი სატანას ამოთხრილ თვალს ველარ გაუმრთელებდა და ამით ის ვერასოდეს დაიბრუნებდა ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებას, ველარ დაუბრუნდებოდა თავის საყვარელ გეას, თავის ქვეყანას.

- ეს რა მიყავი, ოხერო სატანავ! - ატირდა აბიბო.

სატანა აღარ გამოუჩინდა, მისი მხოლოდ ხმა შემოესმა აბიბოს:

- ეს ყველაფერი შენ უყავი თავისთავს და არა - მე. ხომ გაგიგონია, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

გულმოკლული აბიბო სატანას შეეხვეწა:

- მოდი აქ, სატანავ, ნუ გაუჩინარდი, მოდი, მოდი და დამელაპარაკე. ახლა ჩემთვის ხმის გამცემი ყველაფერია.

- ვერ მოვალ, ხელები და ფეხები დამტვრეული მაქვს. ესეც შენი ბრალია.

- მოდი, იქნებ მაგ მეორე თვალს ქონდეს მცირეოდენი მაგიური საშუალება ჩემი გადარჩენისა.

სატანამ, ცხადია მოატყუა და ამ ტყუილით თვალი გადაირჩინა, თორემ მაქციობის ჯადო - თვალი მას მთელი და სრულიად სალი აქვს.

- ვერ მოვალ და ვერც ვერაფრით დაგეხმარები.

- მოდი, იქნებ ისევ მე ჩაგიწყობ მაგ მოტეხილობებს და მალე განიკურნები, მოდი, იქნებ მიშველო რამე... მაინც არ ვიცი, ღმერთზე გაჯავრებული ხარ და ადამიანებზე ასწორებ ანგარიშებს, სულში უძვრები, სულს უღრღნი. ბევრ შემთხვევაში ორჭოფობის სენით აავადებ, უკიდურეს შემთხვევაში ისე უბიძგებ ცდომილებისაკენ, არც კი დაფიქრდები, შეცდომა, დანაშაულს ჩაადენინებ და იცინი, აი, ამიტომ ძულხარ ადამიანს და ამიტომ მძულხარ მეც. გულახდილობა თუ ისეება, მზადა ვარ დავისაჯო, ჩემს მდგომარეობაში მყოფის კიდევ დასჯა თუ შეიძლება. მოდი სატანავ, მოდი და შევეცდები მოგიჩინო მაგი ხელ-ფეხი, არტაშანებს გაგიკეთებ, თორემ მაგ მდგომარეობაში თუ შეხორცდა, ისედაც უსახური ხარ და შენზე უსახური აღარაფერი და აღარავინ იქნება. განსაკუთრებით სასაცილო იქნება შენი სიარული, - წაფართხუნდები და წაიხვეტავ მტვერს... თანაც გახსენი გული და მითხარი, ღმერთზე გაჯავრებულ ადამიანს რატომ უღრღნი გულს და მოსვენებას უკარგავ, თავსა და



ბედს აწყველინებ.

- ეს იმიტომ, რომ ადამიანი სიკეთეზე ფიქრობს, სამშობლოზე, თავის ისტორიაზე ფიქრობს, ადამიანი არის ღმერთის ხატი. ადამიანს დიდი სიყვარულის გამო ღმერთმა მარჯვენა მხარზე ანგელოსი დაუსვა, რომ ყოველგვარი სიავისაგან დაეცვა. მარცხენა მხარზეც უნდოდა დაესვა, მაგრამ მე მოვასწარი. მე თვით მაქციაც ვარ, მინდა, დავპატარავდები, სულაც ნიბლიას ოდენა გავხვდები, მინდა ქვეყანაზე დაუტევრად ვიქცევი.

- ახლაც შეძლებ მაგას?

- დიახ, წასცდა სატანას.

- ჰოდა მაგას გევედრები, მოდი და გარდმამაქციე. - სიტყვაში დაიჭირა აბიბომ.

სატანა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ აღარ დაიმჩნია და მართალივით განაცხადა:

- არა! მე მარჯვენა გადარჩენილ თვალში მხოლოდ თვითმაქციობის ჯადო მაქვს, მარჯვენაში კი - სხვათა. - თქვა და დაემშვიდობა აბიბოს: - ნახვამდის. ყველაფერი შენს წინაპართა ნათელი სულების, მათი დიდი ამაგის, მათ მიერ შექმნილი ფასეულობების სიყვარულს და ჩემს აუტანელ სიძულვილს დააბრალე. ეს ყველა ცოდვა შენშია და ატარე. გული არ გაიტეხო, ღმერთთან ახლოს ისაა, ვინც ცასთან ახლოსაა. ანუ ვინც... მაღალია. შენ გაქვს ბედნიერება სხვებთან შედარებით ღმერთთან ორჯერ უფრო ახლოს იყო, რადგან ჩვეულებრივ ადამიანზე ორჯერ უფრო მაღალი ხარ... ნახვამდის აბიბო, ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვდებით, ჩვენ უკვე ამომწურავად გავიგეთ ერთმანეთის გულის ნადები. შენ მე გძულვარ, მე შენ მძულხარ. შენ მე ცალი თვალი ამომთხარე და ხელ-ფეხი დამამტვრიე. მე კი ცამდე ისე აგაყუდე, რომ ვერასოდეს ადამიანურად ვერ იცხოვრებ: ვერავისთან იმეგობრებ, ყველა ზურგს შეგაქცევს, ამ სინამდვილეში შენ ადგილი აღარ გექნება, უნდა წახვიდე სხვაგან, უცხოთა მხარეში.

აბიბომ მოულოდნელად დასძინა:

- ადამიანს ავტობიოგრაფია აქვს, ქვეყანას - ისტორია. ადამიანის ორი უკიდურესობა ქვეყნის ორ უკიდურესობას ჰგავს. მე თუ დაგიშავე შენდამი სიძულვილით, ქვეყანამ რა დაგიშავა?

სატანამ ჩიუტად უპასუხა:

- ის, რომ შენ მიწაზე ღვაჭარ, ღვთის შვილი ხარ ქვეყნისათვის გაჩენილი, როგორიცაა ადამიანი, როგორიც არიან ადამიანები, ისეთივეა მათი ქვეყანა. შეუძლებელია, ქვეყანა იყოს დამონებული და იმ ქვეყნის პატრონი ადამიანის სული - თავისუფალი. მიწისა და ადამიანის ბედი ერთნაირია. ადამიანი მიწიდან შექმნა ღმერთმა და სული ჩაუდგა. ადამიანი იგივე ხვალისდელი მიწაა. როგორ შეიძლება მათი ბედი და ისტორია არ გავდეს ერთმანეთს. გასაგებია, აბიბო?

- სამწუხაროდ გასაგებია, სატანავ.

- მაშ, მშვიდობით, აბიბო, როგორც გითხარი, ჩვენ ვერასოდეს შევხვდებით, თუ წინათვრძნობა არ მატყუებს, შენ ღღეს წახვალ და ათასი წლის შემდეგ მოხვალ ამ მიწაზე.

აბიბომ ცხადია, ვერაფრით გაიგო სატანას ეს ბოლო სიტყვები და ტირილით გული მოიჯერა. თავისი ფარალალა სახლის ფანჯარაში შეიხედა, რომ დაენახა თავისი გეა ღვთიშობელივით ნარნარად მწოლარე.

გეამ თვალი გაახილა და წამსვე დახუჭა.



ორი საწყისი ებრძოდა გეას არსებაში ერთმანეთს:

სიყვარული და აუტანლობა.

შიში და ცნობისმოყვარეობა.

შეჩვევა და თავისთავისაგან გაქცევა.

სიძულვილი და თანაგრძნობა.

ბევრი, ბევრი რამ!...

ბოლოს ხმის ამოღება ისევ აბიბომ გადაწყვიტა:

- გეა, სულო ჩემო, მე ღმერთისაგან დასჯილი ვარ, ჩემი გზა არის გზა უბედურებისა და ტანჯვისა, ცრემლისა და მონატრებისა. გიყურებ, გხედავ, მენატრები. რა ვქნა, მე ასეთი ვარ, როგორიცაა ვარ, შენ - ანგელოზი. მე ქიმერას, სატანას, კიკლოპს ვვადარებ, შენ - სამოთხის ანგელოზს. თუ რამეთი შეიძლება ჩვენი ერთად ყოფნა... ო, მაპატიე, ამას აუტანელი სიყვარული მალაპარაკებს. სიმაღლით შენ მე წელამდეც ვერ მწვდები. ცოლ-ქმრობას მეუღლეობა ქვია. ხალხმა თავისი ბრძნული გააზრებით ცოლ-ქმრობას მეუღლეობა უწოდა. ამით კი ისა თქვა, რომ უღელში შემბუღებმა ცხოვრების სიმძიმე თანაბრად უნდა გაინაწილონ. ამიტომაცაა, რომ უღელს სწორედ შუა ადგილას აქვს გადაჭიმული ღვედი. ჩვენი მეუღლეობა იქნება უკიდურესი შეუსაბამობა. არ გაიტეხო გული, მე არაფერს გთავაზობ, მე... მე მივდივარ ბუმბერაზთა ქვეყანაში, გიგანტების ქვეყანაში. გტოვებ და გარწმუნებ მარადიულად მეყვარები. მეყვარები, როგორც მიწა, რომელზეც ვდგავარ, მეყვარები, როგორც ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავ, როგორც წყალი, როგორც ნათელ სულთა ნაამაგარი. მშვიდობით, გეა. ვიცი, შენ ჩემზე მოახლოება გეშინია. ნუ მომიახლოვდები, გეფერები შორიდან შენი მარადიული თანამდევი სული კეთილი, ნათელი და აღმატებული.

ამ სიტყვებს თვალდახუჭული ისმენდა გეა. სახეზე ვერ უყურებდა, რადგან ამ ბუმბერაზისა ძალიან ეშინოდა, თანაც არ უნდოდა დაემსხვრია მასში შემონახული ხატი ახოვანი, ტანადი, მოსიყვარულე აბიბოსი.

გეა ატირდა...

აბიბომ სცადა მისთვის რაიმე სანუგეშო ეთქვა, მაგრამ ეს ბუმბერაზი თავადაც ატირდა და სიტყვა ბაგეებზე გაეყინა. ჩამოვარდა დუმილი, რა მოხდაო, გაუკვირდა გეას. ბოლოს, გეამ თვალი გაუბედავად გაახილა და...

აბიბო აღარსად იყო.

აბიბო ამის შემდეგ აღარ გამოჩენილა. წავიდა. ღმერთმა იცის სად წავიდა...

\* \* \*

წარსულის გზებით ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მაინც იარა აბიბომ და მიაღწია კიკლოპებისა და ბუმბერაზების ქვეყანას. მისთვის უჩვეულო და თვალისმომჭრელი იყო კიკლოპური ანუ ბუმბერაზი შენობები. მას სულ სხვანაირად წარმოედგინა მიკენური ხანის ეპირი. ვერც ლივიის, არგოლიდისა და არკადიის გიგანტების კულტურულ ნაკვალევებს წარმოიდგენდა.

დადის აბიბო ზღაპრულ ქვეყანაში და ხედავს, მისი ქვეყნის ისტორიის მთავარი კოშკი რაოდენ დიდია არგოლიდის კოშკთან შედარებით, (ნეტავი მართლა ასეა თუ ეჩვენება, მისი უკეთესი გონია?). მისი ნაკვალევი რაოდენ მცირეა არგოლიდის კიკლოპებისა და ბუმბერაზების ნაკვალევებთან შედარებით. (ალბათ იმიტომ, რომ მას ქვეყნისათვის არაფერი გაუკეთებია და ასე ეჩვენება). მაინც რაშია საქმე? მთელი ქვეყანა თითქმის მოვლო და ერთი კიკლოპიც ვერ დაინახა, ერთი ბუმბერაზიც არსად



შემოხვდა.

ამბის გაგება მოისურვა.

შეაჩერა ერთი შაოსანი და კითხა:

- კიკლოპის დედავ, სად არის კიკლოპი?
- მე არა ვარ კიკლოპის დედა, - უპასუხა შაოსანმა.
- ბუმბერაზის დედავ, სად არის ბუმბერაზი?
- მე არა ვარ ბუმბერაზის დედა, უპასუხა შაოსანმა.
- ის მაინც გეცოდინება სად არიან კიკლოპები და ბუმბერაზები? ნუ დამამადლი,

მითხარი შაოსანო დედავ. ნუ გეშინია, მე მათთან ომს არ ვაპირებ, მეგობრობა მინდა.

- ეგენი აღარ არიან, შვილო. მიკენურ ხანაში ააგეს უზარმაზარი შენობები და...
- სად წავიდნენ? - დაინტერესდა აბიბო.
- რა ვიცი, ისტორიამ წაიყვანა თავისთან.
- შენ როგორ დარჩი ცოცხალი?

- მე დედა ვარ. მარადისობის დედა. დედა ყველა დროში ცოცხალია, დედა ყველა დროში აჩენს, ოღონდ ახლა დედები ბუმბერაზებსა და გოლიათებს აღარ აჩენენ, მეტად სამწუხაროდ. მაღლობა ღმერთს, რომ ერთი შენ დარჩენილხარ. რამდენი ხანია ბუმბერაზი აღარ მინახია. მაღლობა ღმერთს, რომ გნახე.

- მაშ, არ გიკვირს ჩემი არსებობა?
- არა, შვილო, მახარებს. წარსულში მახვედრებს. მაშინ ყველაფერი რაინდული იყო. ახლა ყველაფერი ტყუილსა და ცბიერებაზეა აგებული.
- მაშ, ჩემი სიმაღლე არ გაღიზიანებს?
- აკი გითხარი, მახარებს.

აბიბო ჩაფიქრდა.

„ჩემს ქვეყანაში სინამდვილესთან შეუთავსებელი ვიყავი. ჩემი ყველაზე საყვარელი ადამიანი გეა თვალებს ხუჭავდა და ისე მელაპარაკებოდა. ხმა მოსწონდა ჩემი კვლავინდებური, შესახედაობა კი ზარავდა. აი, რას ნიშნავს ისტორიულად გიგანტების ქვეყანა. - არა უკვირთ რა, პირიქით, უხარიათ, როცა მხედავენ. სიამოვნებთ ჩემთან დგომა და ლაპარაკი“.

- მაშ, ჩემთან დგომა და ლაპარაკი არ გეთაკილება?
- არა, შვილო, მახარებს, რატომ უნდა მეთაკილებოდეს. პირიქით, შენ თუკი არ გეთაკილება ჩემთან დგომა, მაღლობის მეტი რა მეთქმის.

- მარტო აქ არის ასე, თუ არკადიასა და ეპირშიც ასე ფიქრობენ მარადისობის დედავ?

- ალბათ ასე ფიქრობენ, შვილო. შენ... შენ საიდან ხარ, შვილო, აქაურს არ გავხარ.

- მე ღმერთის წილხვედრი ქვეყნიდანა ვარ, შაოსანო დედავ, იქედან წამოვედი...

- დალოცოს ღმერთმა მისი წილხვედრი ქვეყანა, შენი ქვეყანა, რომ შენ ასეთი ხარ, დალოცოს ღმერთმა შენი დედა, რომელმაც გშობა და ასეთი გაგზარდა. მე კარგად ვერ გავიგე რატომ ესირცხვილები შენს ქვეყანას, ალბათ ისინი შენზე მაღლები არიან.

- არა, შაოსანო დედავ, არა. ალბათ იმიტომ რომ მე... ვერსად ვიპოვე და ვერ მოვეუტანე მათ სიყვარულის ნიჭი.

- რად გინდა სიყვარულის ნიჭი შვილო? ნუთუ შენ არასოდეს არავინ გყვარებია?



ოტყუ - როგორ არ მყვარებია, შოსანო დედაგ. ისე მიყვარს, რომ ღმერთი მავიწყდება. სიყვარულის ნიჭი მე ჩემი ხალხისთვის მინდა, რომ ერთმანეთის თანადგომა ისწავლონ, ერთმანეთს ღიმილი აჩუქონ, ერთმანეთს პატივი მიაგონ, ერთმანეთი დააფასონ, ერთმანეთის ჭირი და ღზინი გაიზიარონ, ყველა საქმეში ერთად იყონ. ქვეყნის ტკივილი ტკიოდეთ...

- მერედა, სად უნდა ნახო სიყვარულის ნიჭი?

- არ ვიცი შოსანო დედაგ, ესეც არ იყოს, მინდა ჩემი სიმაღლით მათი ტოლი ვიყო და თვალებში არავის ეჩხირებოდეს ჩემი სიმაღლე.

- რა თავმდაბალი და კეთილი რაინდი ყოფილხარ შვილო. კეთილი რაინდები ყოველთვის ბავშვური გულუბრყვილობით ხასიათდებოდნენ. შენც ასეთი გულუბრყვილო კეთილი რაინდი ყოფილხარ. გირჩევ, დედაშვილობასა, შენ კი არ დადაბლდე მათს ღონემდე, ისინი ამაღლე შენს ღონემდე და ჩათვალე, შენი ამ ქვეყნად არსებობა გამართლებულია. სიყვარულის ნიჭი სოკო არ არის, რომ ხელი მოკიდო და აიღო. სიყვარულის ნიჭი არც ყვავილია, რომ აიღო და ღილიკილოში ჩამოიმგრო. სიყვარულის ნიჭი სულიერებაა, შვილო. ღმერთის სიყვარულია. როცა ღმერთი გიყვარს, ადამიანიც გიყვარს, ბუნებაც, ცაც და დედამიწაც, უცხოც და შინაურიც. სიყვარულის ნიჭი ერის წარსულის დიდების ცოდნაა და აღიარება, ნათელი სულების ნაამაგარი.

- მერე? მასე თუა, რად არ იცის ეს ჩემმა ხალხმა. და თუ იცის, რად არ აკეთებს ამას.

- ალბათ იმის გამო, შვილო ჩემო, რომ ისინი გათამამდნენ და გაქსუდნენ, რომ ღვთის წილხვედრ მიწაზე ცხოვრობდნენ და მეტად ღამაში ქვეყანა აქვთ. აბა ერთი ყინულის საბრძანისში ცხოვრობდნენ, როგორ მიუახლოვდებიან ერთმანეთს, როგორ მიეკვრიან ერთმანეთს, როგორ გაათბობენ ერთმანეთს... გათამამდნენ...

- მაგი ალბათ, მართლაც მასეა, შოსანო დედაგ. ნეტავი მართო შენ ფიქრობ მასე თუ ყველა ასე ფიქრობს ამ შენს ცხელ ქვეყანაში, შოსანო დედაგ?

- ალბათ ასე ფიქრობენ შვილო.

- მიკენის კულტურის ქვეყანაშიც ასე ფიქრობენ.

- ასე ფიქრობენ. თუ გინდა იმოგზაურო იქით და დარწმუნდები, რომ ეს ასეა. თუ არა და მე გიაბობ მათზე, მე ხომ დედა ისტორია ვარ.

- მაღლობთ... სიყვარულის ნიჭი ღმერთი და მისდამი რწმენა ყოფილა, შოსანო დედაგ.

- მასეა მაგი. ღმერთი თავად სიყვარულია. ვისაც ღმერთი უყვარს, იმას სიყვარულის ნიჭიც გააჩნია.

- მიკენის კულტურის ქვეყანა მაინტერესებს შოსანო დედაგ. აკი იგი კიკლოპებმა შექმნეს. ისინიც ხომ ჩემს ტანად იყვნენ.

- წამოდი შვილო და მოინახულე. მე ახლავე გამოვიწვევ ღვთის შვილს, რომელიც ჯორს მოგვეგრის. გზა გექნება მეტად მძიმე.

- რაღამც ასეა, თვითონ შენ მიამბე დედაისტორიაგ, ამ ზღაპრულ ქვეყანაზე.

- ისინი ცხოვრობდნენ, როგორც გითხარი ლივიაში, არგოლიდაში, არკადიაში, ეპირში... ლიბიაში მარადმწვანე მცენარეებია. თანაც უღაბნოა, თანაც - არა.

- ნახევრადუღაბნო ყოფილა.

- მასეა მაგი. ბუმბერაზებს ძალიან უყვართ ყურე ზღვისა, რომელსაც ერქვა გასიდრა. ქვეყანა სულ პლატოებიტაა სავსე.

- პლატოა თუ ტერასა?



- გიგანტებისთვის, რომელთა ნაბიჯი ორ მეტრს აღემატება, მათთვის პლატო ტერასაა, ჩემთვის პლატო - პლატო.

- მერე, დედავ შეოსანო?

- ღმერთმა ისე დასაჯა რაღაც დიდი ცოდვისათვის ხალხი, რომ მიწის ზემოთ წყალი ნაკლებია, მიწის ქვეშ კი უამრავი მარაგია წყლისა. ადამიანის სხეულისთვის. გარედან არ ჩანს და შიგნიდან ქვესკნელი დაქსაქსულია, გამდინარე და მდგარი წყლებით.

- აბა, ჩემს ქვეყანაში - პირიქით. ყველაფერი თვალნათლივ ჩანს, ყველაფერი გამჭვირვალეა, სიძულვილიც და სივარულიც კი.

- აქ მშრალი ხეობაც არის, ძალიან დიდი მშრალი ხეობა.

- აბა ჩვენთან ხეობების ხმაურს მიაქვს ყურთასმენა. ერთი უხსოვარი დროის მდინარე გვაქვს, თერგი. რომელიც „რბის, ღრიალებს“... არგოლიდაში რა ხდება შაოსანო დედავ?

- არგოლიდაში ბევრი რამ ჩვეულებრივია, ბევრი რამ - არაჩვეულებრივი. მის ქვემოთაა სწორედ მიკენური ხანის საწყისები. სამხრეთით, დიდი ქონდათ სატახტო. მეფედ ესვათ ტროას ომის ყველაზე სახელოვანი გმირი აგამენონი. იგი მთავარსარდალი იყო. მისი სიდიადით და სიძლიერით ამაყობდნენ აქაველები.

- ამდენს რომ ვიძახით, - მიკენის კულტურა, მიკენის კულტურაო, რას წარმოადგენს და სად არის იგი შაოსანო დედავ?

- იგი საოცრება იყო, შვილო. სულ ოქროთი იყო ნაგები, იგი მიწისძვრის გამო დაიღუპა ჩემს თვალწინ, რამდენიმე საუკუნის წინ. ასე იყო ეს.

- თქვენ რამდენი საუკუნისა ხართ, დედა ისტორიავ.

- ბევრის. ჩემთვის დრო იყო გაჩერებული.

- სად არის ის ქვეყანა, სადაც დრო გაჩერებულია, დედავ?

- რაზე გჭირდება, შვილო?

- მინდა ადვილად ვიცოდე.

- არკადიაშია მაგი.

- სად არის მაგი არკადია, შაოსანო დედავ?

- მაგი ძველს ელადაშია, შვილო. იქ ძალიან გულიანი მთიელები ცხოვრობდნენ.

იგი მითების ქვეყანაა, მეტადრე მდიდარია მითებით, მათი მდინარე ალფეოსია. აქ ყველაფერი უბიწო, უბრალო და ლამაზია.

- როგორ მიყვარს ასეთი ქვეყანა!...

- მეც მიყვარს, შვილო. უბიწოებას და მშვენიერებას რა სჯობია ამ ქვეყანაზე!

შაოსანი ჩაფიქრდა, ჯოხი, რომელიც ხელში ეჭირა, უკეთ მოიმარჯვა, მიწა უცნაური ხაზებით გაჩხრიკ-გამოჩხრიკა და ამ ხაზების ერთ-ერთ გადაკვეთას თითქოს წერტილი დაუსვაო, ვერტიკალურად დადო ჯოხი და თქვა:

- შენ აქედან ხარ, ამ წერტილიდან მოსული ჩემს ქვეყანაში, შვილო. მინდა ვიცოდე, რატომ მოდი და რას ეძებ?

- ძვირფასო შაოსანო დედა ისტორიავ, რაზე გაინტერესებს? მე ძალიან მიჭირს, ვინმეზე და რამეზე ძვირის თქმა, მაგრამ სიამოვნებით გეტყვი: მე ჩემმა დრომ ვერ გამიგო. ჩემი სიმცირის მიზეზი სასაცილოდ არ ეყოთ. მერე, მოხდა ისე, რომ ადამიანის მოდგმის მტერმა გარდამაქცია ისეთად, როგორიცაა ვარ. თქვენ თქვით, რომ ჩემი ქვეყანა ბედნიერია ასეთი ბუმბერაზები რომ ყავს. არა, შაოსანო დედავ. ჩემი ქვეყანა ბედნიერია იმით, ვინც მას ყავდა ანუ სულთ და საქმით ბუმბერაზები.



ჩემი თანამედროვენი არ ცნობენ მათს ბუმბერაზობას. მე მხოლოდ ტანად ვარ ბუმბერაზი და მით უმეტეს არ მცნობენ. პირიქით, ჩემზე იცინიან, ამიტომ მინდა ვიბოგო სიყვარულის ნიჭი და დავეურიგო. თუკი სიყვარულის ნიჭი ღმერთისადმი რწმენაშია, მაშინ იგი ადგილზე მქონებია საძიებელი. არაფერს არ გთხოვ ერთის გარდა, მარადისობა მაპოვნინე ან მითხარი, სად, სად შეიძლება ვნახო იგი და მე თვითონ მოვიპოვებ.

- აკი გითხარი. შვილო მაგის ადგილსამყოფელი! აი, იქით, აღმოსავლეთით, დიდი მშრალი ხევი რომ არის, იქ შედის გზა, სადაც რუხი და ყვითელი მიწები მთავრდება, იწყება ტყე. იმ ტყეში ცხოვრობს აფთარი. იგი ცავს ყველა ასავალ-დასავალს. იმას თუ გადაურჩები, გაივლი მცირე გზას და შეგხვდება გომბეშო. მეტისმეტად თავმომწონე გომბეშოა. იმის საბრძანისს რომ გასცდები, შეგხვდება ჟირაფი. ამ ჟირაფსაც უცნაური სურვილები აქვს. მისგან მცირე მანძილს გაივლი და... შენს წინაშე აღიმართება უზარმაზარი კლდე. იმ კლდეს ერთი კარები აქვს, იგი მეტად შეუმჩნეველია. კლდეს პატარა ხაზი ჩამოსდევს. სწორედ იმ ხაზში იხსნება კარები. იმ კლდის კარები იღება ოცდაოთხ საათში ერთხელ. იღება ერთი წუთით. იმ კარებს აქვს ჩვეულებრივი ადამიანის სიმაღლე კარები. ქონდრის კაცი რომ შევიდეს იგი იმ კარების სიმაღლე გახდება, ბუმბერაზი რომ შევიდეს, იგიც იმ კარების სიმაღლე გახდება. შენ, ასეთ მშვენიერს, ასეთს ბუმბერაზს თუ გაწყობს ჩვეულებრივი ადამიანის სიმაღლე გახედე, წადი, თუ გენანება შენი სიმაღლის ჩვეულებრივ ადამიანის სიმაღლემდე დამცრობა, მაშინ არ წახვიდე. გაფრთხილებ, გზა ცოტა სახიფათო გექნება. აფთარია მეტად საშიში. თუ მაინც გადაწყვიტო წასვლა, იცოდე, აფთართან შებმა მოგიწევს. მე რომ დავრწმუნდე შენს უვნებლობაში, აფთარს ტყავი გახადე და მომიტანე. თუ არ მომიტან, დავრწმუნდები, რომ მან შენ აღგასრულა და შენდობას გამოგიგზავნი. გადაწყვიტე და ისე მოიქეცი, როგორც გულმა გიკარნახოს.

შოსანო დედაც, მე ძალიან მინდა ჩვეულებრივი ადამიანის სიმაღლე გავხვდე. თუ ასე მოხდება, იმავე კარებში სასწრაფოდ გამოვალ და გავეშურები ჩემი გეასაკენ. მე იგი სასწაულებრივად მიყვარს და დიდ პატივს მივაგებ.

- მაგი არ ვიცი, შვილო. იქ რომ შეხვალ, იქაური წესრიგგამრიგეს საქმეა მაგი - კარებს შეგიყოვნებს თუ იმავე წუთში ჩარაზავს. შეიძლება მოგვიანებით გაგიღოს. შენ სადაც გინდა იქ მაინც წახვალ.

- მაღლობთ, შოსანო დედაც. მომეცი უფლება ვემთხვიო შენს ნაჯაფარ ხელს და მაღლობა გადაგიხადო ყველა ამ სიკეთისათვის.

- მაღლობას მე თვითონ გადაგიხდი, თუკი იმ აფთარს აღასრულებ. მაგან მოსვენება დაუკარგა ჩემს ხალხს.

- კეთილი, დედაც! მაგ სურვილში ძევს ჩემი უდიდესი სურვილი მივიღო ჩვეულებრივი ადამიანის სიმაღლე, მარადისობა მოვეუტანო ჩემს ხალხს და დიდი სიყვარული ჩემს გეას. მაღლობთ. კეთილად ბრძანდებოდეთ. ხვალ მზე ერთ საუდლემდე რომ აიწევს, შენს ფერხითი აფთარის ტყავი იქნება დაგებული. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს იგი ყველა სურვილს შეგისრულებს. მეტადრე, თუ მისი შუბლის ნიკორს ანუ საღარს ფეხს თუ დააბიჯებთ და სურვილს ჩაუთქვამთ...

- ყველა სურვილს?..

- დიახ.

- ყველა, ყველა, ყველა სურვილს აგისრულებს.

- კი, რა ვქნა, ასეთი წინათგარძნობა მაქვს.



- ყმაწვილქალობა რომ ჩავუთქვა?
- დიახ, გახდებით თვრამეტი წლის ულამაზესი ქალი. თქვენ თქვენს ასაკში ამავე ასაკის შესაფერისად ძალიან ღამაზად გამოიყურებით, მეტად მიმზიდველი შაოსანი დედა ბრძანდებით და... გაყმაწვილქალებული ქვეყნის მზეთუნახავად გადაიქცევით. გუმანი ჩემი არ მომატყუებს.
- მაშ, შენც გარდაქცევას ელოდები და ჩემს გაყმაწვილქალებას არ გამოორიცხავ!
- მასეა მაგი, შაოსანო კეთილო დედავ.
- მასე თუა, ერთი სურვილი ამისრულე.
- რა სურვილი, შაოსანო კეთილო დედავ.
- შენ რომ ჩვეულებრივი ადამიანის სიმაღლე გახდები და თვალტანადობით ყველას აჯობებ, ჩამომიარე და მნახე. ნუთუ არ გაინტერესებს რანაირ ქალწულად გარდამაქცევს მაგიური ძალა საღარისა.
- მაინტერესებს.
- თუ ძალიან მომეწონე?
- შესაძლებელია ძალიან მომეწონო.
- მაშ, ნუღარ დააყოვნებ. მე დღეიდან ვდგაგარ ლოცვად, ვილოცებ შენთვის, ჯერ ერთი იმისათვის, რომ განგებამ მოგცეს შეწევნა და აფთარი აღასრულო, მეორეც იმისათვის, რომ კეთილად გარდაქცეულმა ჩამომიარო და მნახო...
- ღმერთმა გისმინოს ლოცვები შაოსანო დედავ.
- სიყვარული ღმერთია, ღმერთი კეთილია, სიკეთე მას მისი ხატებისათვის – ადამიანებისათვის სურს და... მომისმენს.
- მშვიდობით, შაოსანო კეთილო დედავ!

\* \* \*

- შვიდი, ყველაფერი და ყველაფერში – შვიდი უყვარს აბიბოს, – შვიდი სამთავრო, შვიდი ვარსკვლავი. შვიდი დღე, რასაც კვირის დღეთა თაიგულს ეძახიან, ცისარტყლა, შვიდიფერის გამმა, შვიდი სპექტრი წყალზე ანარეკლისა, შვიდი სიმი და შვიდი კლავიში. შვიდი ძმის სიმღერა „შვიდკაცა“... დიახ, ყველაფერი შვიდი უყვარს აბიბოს და შუბლზე შვიდი დააწერა... სწორედ მეშვიდე დღეს დამთავრდა რუხი და ვარდისფერი ნიღაგების გზაწვრილი და... აბიბო მიაღდა საკმაოდ ბნელ უღრან ტყეს. დაიღალა, წყლისპირს ჩამოჯდა და წაიხემსა. წამოდგა, წყალი დალია, ბავშვურად გაისვა მკვლავი სველ ბაგეებზე და ბუერის ფოთლებში უცნაურ „ცხელ წერტილს“ მოჰკრა თვალი. ხშირი ფოთლებიდან ნიგვზისოდენა ნაკვერჩხალი ღუოდა. აბიბო კარგად დააკვირდა ამ „ნაკვერჩხალს“, მაგრამ ვერაფერი გაიგო და ცნობისმოყვარეობით დაინტერესებით მისთვის მიიწია და... შემოესმა ხმა:
- არ მომიახლოვდე ძევ ადამისა, თორემ თავგივით დაგიჭერ და ყველაფერი სანანებელი გაგიხდება.
- ვინა ხარ შენ ამისთანა „კატა“, რომ ჩემისთანა კაცს თავგივით დაიჭერ.
- კატა არა, მაგრამ კატის ოჯახის წარმომადგენელი ვარ, მისი ჯიშისა და ჯილაგისა. შენ ვინა ხარ?
- მე ისა ვარ, ვინც ედემიდან გამოვიდა და ამ უსიერ ტყეში შემოვიდა.
- ადამი?
- ადამი არა, მაგრამ ადამის ოჯახის წარმომადგენელი ვარ, მისი ჯიშისა და ჯილაგისა. რატომ იმალები, გამობრძანდი და დამელაპარაკე.



- ჩვენ მტრები ვართ...  
- შენი წინაპარი კატა, ყველა დროში მეგობრობდა და მეგობრობს ადამიანს. შენ რა ღმერთი გაგიწყრა.

- ეს მოჩვენებითია. კატა ისეთია მის მარჩენალსა და პატრონს თუ მოუხელთა, თვალებს ამოსჭამს. მეტადრე მიცვალებულს. მასში იმთავითვე ჩაბუდებული იყო ვერაგობა, რომელიც შემდგომ განვითარდა და მოვიდა ჩემს დრომდე, - თქვა და ელვის უსწრაფესად გადმოხტა აფთარი.

- აი, თურმე რა ყოფილა, - ღიმილით თქვა ბუმბერაზმა აბიბომ და ღიმილითვე დასძინა, - გირჩევთ სხვა დროს მასეთი ნახტომი არ გააკეთოთ, თორემ ქვას დაენარცხებით.

- ნუ ნერვიულობთ, მე ისეთ ნახტომს არ ვაკეთებ, როცა მიწაზე ვეცემი. მე პირდაპირ მსხვერპლს თავზე ვეცემი თავზარივით, საშინელი ღრიალით და წადილით...

- ახლა რატომ მასე არ მოიქცეით?

- ჩვენში ბუმბერაზები გადაშენდნენ. შენ ერთი მოხეტიალე ბუმბერაზი ძლივს გიხილე. ცოტა გაგესაუბრები, მივდგები, მოვდგები და აგერ არა ხარ!

- აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. მაშინ სანამ მიდგები და მოდგები, დაბრძანდი, დავილაპარაკოთ. აფთარზე ბევრი მსმენია, მაგრამ მასეთი ლამაზი თუ იყავი არ ვიცოდი. ვიცი, შენ ჩემი შეჭმა გაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ თვითონ მე რომ შეგჭამო, ხომ არ გეწყინება.

- ამ ბილიკზე რამდენს გამოუვლია, რამდენი შემიჭამია და მასეთი რამ ჯერ არ მსმენია.

- ადამის მოდგმას აფთარი ჯერ არ შეუჭამია, შენ ვინა ხარ ამისთანა, რომ შემიჭამო.

- არა, ისე, მოვსინჯავ.

- დაანებე თავი მაგ ხუმრობას ადამის მოდგმავ.

- შენ რატომ არ ანებებ თავს იმას, რასაც მე მირჩევ?

- მე მხეცი ვარ, ადამის მოდგმავ.

- ამბობენ, ადამი მხეცზე უარესიაო. მხეცი რას იკადრებს იმისთანას, რასაც ადამიანი. ბედს უნდა შეურიგდე.

- რაა მაგის მიზეზი?

- მაგის მიზეზი ისევ შენა ხარ, ხოლო შენში კი - შუბლის ნიკორი, ნიკორა ცხენს სალარას ეძახიან, აი, მე შენ სალარას დაგიძახებ, რომ უკანასკნელად ცოტა მაინც იგრძნო სიამაყე, ბედაურს შემაღარაო.

- მე განა ჩემი სიამაყე არ მყოფნის?! ამ გზაზე ჯერ ცოცხალი კაცი არ გამიშვია, შენ ვინა ხარ?!

- ვერ გაიგე, რომ მე მე ვარ, ადამიანის მოდგმის ერთერთი უკანასკნელი მოჰიკანი, ჩემი მომრევი არ არსებობს ღმერთის გარდა. შენი მომრევი კი ისევ შენშია, - სალარი.

- რა მნიშვნელობა აქვს ამ სალარს?

- ძალიან დიდი, - მაქციობის. საკმარისია ჩვენი საუბარი, თუ ძალა გინდა მოსინჯო, წამომიფრინდი, აფთარო, და ბრჭყალები მოიმარჯვე, თუ არა, იცოდე, დაგწვდები, აგიღებ და კატასავით დაგახრჩობ ორი დიდი მიზეზის გამო, - ჯერ ერთი - ადამის მოდგმა ამ გზაზე ჯერ არ გაგიშვია, მეორეც, - მაგი სალარი მჭირდება, შენი ტყავი მჭირდება ერთი შაოსანი დედისათვის ყმაწვილქალობის დასაბრუნებლად...



ტყეში შენს ხეტებას არავითარი აზრი არა აქვს, იმ ქალის გაახალგაზრდავებით ჩვენი ქვეყნიერება შორს გადაიტანს დამსხვრევების საბედისწერო თარიღს. ანუ გახდება მშვიდობიანი და მარადიული. დედაისტორია ძალიან მოხუცდა და დაიღალა. მას დასვენება და განახლება სჭირდება. უნდა გიხაროდეს რომ შენი ტყავი გახდება ამის საფუძველი. მოიწი. არ შეარცხვინო აფთართა მოდგმა.

- ამის გაგონებაზე აფთარი ელვისუსწრაფესად წამოფრინდა ადგილიდან, რომ ყელში სცემოდა აბეზარ აბიბოს, მაგრამ აბიბო ადგილიდან არც კი განძრეულა, მხოლოდ ხელები შემართა და ასევე ელვისუსწრაფესად წვდა ყელში. ცინდალივით ატაცებული აფთარი ჰაერში ფართხალებდა, აბიბოს სულაც არ უგრძნია მისი სიმძიმე. ის მისთვის ნამდვილად ცინდალი იყო. ცოტა არ იყოს შეეცოდა და ჰკითხა: „უცებ მოვრჩე საქმეს თუ გაყურებინო სიკვდილის ნარჩარად მოსვლის ხელოვნებას?

აფთარმა ყელში ამოიხროტინა და აბიბომ გერაფერი გაიგო, რისი თქმა სურდა. თავი ისე ეჭირა თითქოს ერთობა ან თამაშობსო. ბოლოს მოსწყინდა ეს თამაში, მიახრჩო აფთარი, დააგდო ძირს, ტყავი გახადა და წაუღო შოსან დედას, რომ დაპირებისამებრ იგი გაეახალგაზრდებინა.

\* \* \*

აბიბო იმავე გზით წავიდა შოსან დედასთან, რომლითაც მოვიდა აქ, აფთარის საუკუნოვან საბრძანისში.

მიდის აბიბო და მიაქვს აფთარის ტყავი.

მიდის და უხარია, რომ დანაპირები შეასრულა. - ჯერ ერთი, სოფელს მოაშორა მძვინვარე აფთარი, მეორეც, გზა მარადისობის მწვერვალისაკენ გაათავისუფლა აფთარისაგან, მესამეც - შოსან დედა-ისტორიას გარდმოაქცევს, გაახალგაზრდავებს და ამით დიდ სიკეთეს მოუტანს ქვეყანას. ეს საქმეც სწორედ ამ ბუმბერაზთა გმირობის ტოლფასია, რომლითაც მუდამ ნებივრობდა მითოლოგია, ანარეკლი ელინური სინამდვილისა დღიდან გაჩენისა და არსებობისა.

ერთმა გარემოებამ მეტისმეტად დააფიქრა აბიბო. აფთარის ტყავი, რომელიც დიდი რულუნებით მიაქვს, ხან საოცრად გამსუბუქდება, ხან საოცრად დამძიმდება. ხან იგი ჰაეროვანი, სურნელოვანი, მსუბუქი და სანეტაროდ სატარებელია, ხან კიდევ ისე დამძიმდება, რომ ამ გიგანტური ნაბიჯების პატრონს უჭირს მისი ტარება.

ნეტავ რაშია საქმე?

აფთარის ტყავი ხან რატომ მსუბუქდება და ხან რატომ მძიმდება.

საქმე იმაშია, რომ თუკი ამ ტყავის საღარის მეშვეობით შოსანი დედა გარდმოქცეული სამყაროს მზეთუნახავ ულამაზეს ქალად შეიყვარებს რაინდული თვალტანადობის აბიბოს და იგი ააცდენ ულამაზესი მშობლიური გეასაკენ მიმავალ გზას, ეს იქნება მეტად დამამძიმებელი ცოდვა ორივესათვის თანაბრად გადანაწილებული. ხოლო თუკი ხელს შეუწყობს გეასადმი სიყვარულის გაძლიერებაში, ეს იქნება დიდი ადამიანური მადლი, მსუბუქი და ჰაეროვანი, ვით არის ფრთები მირონნაპკური ცისფერი ანგელოზისა.

„რა ხდება“ - რალაცაში დაეჭვდა აბიბო.

არ იცოდა რა ხდებოდა, - მის სიყვარულს მაგიური ძალა განაგებდა თუ ადამიანური სულის თვისება.

ერთი რამ მთავარია, - მიდის გიგანტური ნაბიჯებით და რალაცა უხარია. არ იცის რა ქვია ამ სიხარულს, შოსანი დედის გაყმაწვილქალობის სიხარული თუ - რა.



განვლო რუხი და ვარდისფერ ნიადაგებიანი გასამზირები, ჩქერები, ზეთისხილის ტყვარი. მივიდა მუხლუხოსთან, სადაც დატოვა ეს თავისი ასაკის შესაფერისზე გაცილებით უფრო საინტერესო შესახედლობის მოხუცი, შაოსანი დედა, - ყველა ეპოქის მკვიდრი, როგორც დედა, მოინახულა, მოეფერა და ფერხთით გაუფინა აფთრის ნედლი ტყავი. ბაცი ფერის ტყავმა იქაურობა საკმაოდ დაფარა, კუდი დასავლის მხარეს დაიჭირა. ფეხები ქვეყნის ორივე მხარეს და შუბლი თავისი ჯადოქრული ნიკორით - მოხუცი ქალის მარჯვენა ფეხის მხარეს. სულ ცოტა რამ იყო საჭირო, რომ ამ ლამაზ ნიკორზე, ამ მიხრწნილ მოხუცებულს ფეხი დაეხეებინა და გარდაქცეულიყო ჯემლ ქალიშვილად.

- შაოსანო დედავ, მოგიტანე აფთრის ტყავი, გზა მარადისობის მწვერვალისაკენ გავათავისუფლე, სოფელს მარადიული განსაცდელი მოვაშორე და შენი გარდმოქცევის დიდი საფუძველი შევქმენი.

- მადლობთ, შვილო, გარდასულ დროთა და ჩემი დღევანდლობის ბუმბერაზო.

- მოთმინება გმართებს შაოსანო დედავ. ამ აფთრის ტყავის შუბლის ნიკორი თავისი მაგიური ქმედების ძალას შეიძენს მხოლოდ მაშინ, როცა გახმება. დაცავე, ძაღლებმა არ ჩამოგილეჭონ მისი კიდურები, დათვალე შვიდი დღე და მერვე დღის აისის ჟამს ამ ნიკორზე მარჯვენა ფეხი დააბიჯე. მერე სარკეში ჩაიხედე და ნახე. შენზე ლამაზი ამქვეყნად არავინ აღარ იქნება. ახლა კი - მშვიდობით.

- ღმერთმა გაგაძლიეროს, შვილო დიდი ქვეყნისა, დაგლოცოს და აგაჩქაროს სანუკვარი მიზნისაკენ. დიდი მადლობა ამ თავდადებისათვის. აბიბო გამოეთხოვა იმ იმედით, რომ მას კვლავ შეხვდებოდა. აბიბო შინაგანად გაამაყებული წავიდა მარადისობის მწვერვალისაკენ, რომ გრაალი მარადისობისა მიუტანოს თავის ქვეყანას, დაიბრუნოს ადრინდელი ნორმალური თვალტანადობა და გაახაროს მისი საყვარელი გეა.

\* \* \*

მიდის აბიბო თავისი გიგანტური ნაბიჯებით. სიყვარულის ნიჭი მისივე ქვეყანაში ყოფილა და ამისათვის ქვეყნების მოვლა აღარ ღირს, ძებნა ზედმეტია, მაგრამ თუკი მარადისობის გრაალი მიუტანა თავისი ელვარე სულების ქვეყანას და საღსალამათი მიუვიდა უნატიფეს გეას, მასზე ბედნიერი აღარავინ აღარ იქნება, - მით უფრო, კლდეკარში შესვლა თუ დაუბრუნებს თავის მანამდელ სიმაღლეს, თვალტანადობას და ხიბლს. მიდის ისე თავისუფლად, წინ არც კი იხედება. ხავსიან ჭოყ ქვას ფეხი რომ დააბიჯა, ბაყაყის საყვედური გაიგონა. შედგა და მიმოიხედა, მან იცოდა რომ ბაყაყი უნდა შეხვედროდა, მაგრამ ასე მწვანე და ასე პატარა ბაყაყი თუ შეხვდებოდა, არ ეგონა.

- სადა ხარ ბაყაყო შენ?
- აგერა ვარ, გაიყიყინა ბაყაყმა.
- ეგ რაა, ასე პატარა, ჭოყი ქვის ხავსში ჩამალულხარ. მითხრეს, შენ ბევრი რამ იცი თურმე, იქნებ მითხრა როდის ვიპოვი მე მარადისობის გრაალს?
- როცა მე ხარისოდენა გაგიზრდები, - დასძინა ბაყაყმა.
- ხარისოდენი?
- დიახ.
- შენ, უხსენებლის კერძი ხარისოდენი როდის გაიზრდები?
- შენთვის შეიდ დღეში, ჩემთვის შეიდასი წლის შემდეგ.



- რატომ ასე ბრიყულად მეპასუხები, ასპიტის კერძო?

- ასპიტის კერძი შენ თვითონ უნდა ყოფილიყავი, მაგრამ გადარჩი იმით, რომ მერცხალმა შენი სიყვარულით ასპიტი დაარწმუნა, რომ მე მაქვს ყველაზე გემრიელი ხორცი და ნოეს კიდობნის ხორცის გადარჩენის საფასურად ანუ კაცობრიობის გადარჩენის საფასურად მხოლოდ ჩემი წინაპარი დაუდეს იმ ოხერს მარადიულ კერძად. უმადური ხარ, ადამის ძევ, რომ დამცინი.

- კარგი, კარგი არ გეწყინოს.

- ყველაფერი აფთრის ბრალია, რომ გამოგეშვა ან შენი ძალ-ღონის დამსახურებაა აქ რომ ასე მეგულდიდები.

- მალე მივალწევ მარადისობის მწვერვალს?

- მაგი ჟირაფს კითხე. მეშვიდე ბექობის გადასასვლელზე შეხვდები თავაწეულს. თვალების ბრიალით შემოგხედავს და თუკი თვალი თვალში არ გაუყარე, თავზე გადაგახტება.

- მადლობთ, კეთილო ბაყაყო. ცოდო გამხელილი სჯობია და მინდა გითხრა, რომ არ გეგონოს - მოგტყუვდი, როცა მაუწყე - თითქოს შენ შვიდას წელიწადს სიცოცხლე შეგეძლოს.

- არ მომიტყუებიხარ, ადამის ძევ. შენ თვითონ დარწმუნდები შვიდ ღღეში.

- როგორ, შვიდ ღღეში შენთვის შვიდასი წელი გავა?

- გავა, ადამის ძევ. კარგად ბრძანდებოდე. ასეთი ურწმუნო ძე ადამისა ჯერ არ მომსწრია. შენთვის რომ შვიდი ღღე გავა იგი ჩემთვის შვიდასი წელი იქნება... ახლა სჯობს დავემშვიდობოთ ერთმანეთს, რადგან რამდენიც არ უნდა გელაპარაკო მაინც ვერ დაგარწმუნებ ჩემს სინამდვილეში.

მადლობთ პატარა, ლამაზო, მწვანე ყიყინავ, შენ ოცნების აღსრულებას ელი, ქნას ღმერთმა, ყველას აუსრულოს ოცნება. ქნას ღმერთმა, შენ ხარისოდენა გახდე. ღმერთმა ყველას გაუმარჯოს! თუ კი ვერ გახდი ხარისოდენა, არ გაგიკვირდეს.

აბიბო გამოეთხოვა და წავიდა.

\* \* \*

მეშვიდე ბექობი უნდა გადაიაროს აბიბომ, რომ მიიღწიოს ჟირაფამდე. აინტერესებს, რას წარმოიდგენს ეს ჟირაფი და რატომ მაინცდამაინც მეშვიდე ბექობს იქით არის. ან იქ რატომ არის და რას ელოდება. იქნებ იმასაც რაიმე ოცნება აქვს და მის აღსრულებას ელოდება. მაშ აფთარი რატომ იყო იქ ჩასაფრებული? ალბათ იმიტომ, რომ ეს გზა არა მარტო მარადისობის ხილვის, არამედ ოცნების აღსრულების გზაა და ბოროტი აფთარი ხელს უშლის ყველას, ვინც ოცნების აღსრულებას ელოდება. მაშ, რატომ აქიდან არ განდევნა პატარა მწვანე ყიყინა, რომლის ოცნებაც არის გახდეს ხარის ოდენა? ალბათ, იმიტომ, რომ იცოდა ყიყინა შვიდას წელიწადს ვერ იცხოვრებს...

„მე აღვასრულე ყველას სურვილი იოცნებოს ნანატრის და ნაოცნებარის აღსრულებაზე - ქვეყანას მოვაცილე უბოროტესი აფთარი. არა, მაინც რამოდენა დაცინვაა იმაში, რომ პატარა მწვანე ყიყინას უფლება მისცა ეოცნება გამხდარიყო ხარისოდენა! რამხელა დაცინვაა! აკი აფთარმა იცოდა ის საბრალო ყიყინა შვიდას წელიწადს ვერ იცოცხლებდა! ეს დაცინვა არ აპატია განგებამ და ის ჩემს ძლიერ ხელებში მოხვდა, ამავე ხელების მარწუხებში დაიხრჩო და დაცინვასაც დაესვა წერტილი. ამის შესახებ არა იცის რა პატარა ყიყინამ. იგი მოთმინებით ელოდება, როდის



გახდება ხარისოდენა. ჟირაფი? ნეტავ ჟირაფი რას ოცნებობს? ალბათ მასაც აქვს საოცნებო და სანატრელი. არა მგონია, დამიძალოს თავისი გულის ნადები. თავისი ცნობისწადილი“ - გაიფიქრა და თავისი გიგანტური ნაბიჯებით შეუდგა აღმართს.

მიდის ბუმბერაზი აბიბო უღრან ტყეში ოცნების ბილიკით და ფიქრობს მხოლოდ მარადისობის გრაალზე. მას ძალიან უნდა მარადისობის გრალი მიუტანოს მთელ ქვეყანას. ნუთუ ეს ოცნებაც პატარა მწვანე ყიყინას ოცნებასავით სასაცილო და შეუსრულებადია? არა, აბიბო მეტად ძლიერი პიროვნებაა და ამ სიძლიერის იმედი აქვს...

მიდის აბიბო.

აბიბომ არ იცის რა არის დალლა.

მცირე უსიამოვნებები, რასაც გრძნობს, ის ისაა, რომ ბილიკზე ვიწრო, ლორთქო ყლორტები ზოფებივით გაესმება ხოლმე სახეზე და ფრთხილობს, თვალში არაფერი ჩაუვარდეს.

- ზოფებო, ყვერებო, ყლორტებო, აი, აი, აი...

- რა არის ბატონო? - გამოეპასუხენ.

- სახეზე მელამუნებით, მეყვერებით, მეზოფებით... ნუთუ არ იცით, რომ აქ ბილიკია ადამიანთა...

- ნორმალურთა! - სიტყვა მოუჭრეს, - ჰო, ნორმალურთა. ნორმალურთა და არა გიგანტთა და ბუმბერაზთა. ბუმბერაზებს აქ დიდი ხანია არ გამოუვლიათ, თქვენ რა ღმერთი გაგიწყრათ.

- თქვენი საქმეა ჰელიო... სწრაფვა სიმაღლისაკენ. რატომ იხრებით და დაბლა ეშვებით.

- თქვენ ვინ გეხვეწათ, გაიზარდეთ ორი კაცის სიმაღლე?

- ჰო, ჰო, კარგი. გეყოფათ. მე ნუ მაბრალებთ იმას, რაც ჩემს განმგებლობაში არ შედის. ეს ღმერთის საქმეა.

- ისიც ღმერთის საქმეა, რომ ჰელიოს ნაცვლად მიწისაკენ გადმოხრილხართ. ეტყობა განგება ბუნების გარდა საზოგადოებისთვისაც დროზე ვერ იცლის და უშვებს გამონაკლისებს.

- დიახ, დიახ, განგება ყოვლის მქმნელია. თუმცა... მე რა სასაყვედურო მაქვს, ჩემს მიმართ...

- ვიცით, ვიცით, თქვენ სატანამ ჩაგაგდოთ ამ დღეში, რომელმაც ადრე ბევრი განსაცდელი გამოგატარათ.

- ეს თქვენ რა იცით ზოფებო, ყვერებო, წნელებო?..

- ბუნებას გააჩნია მეტად ლამაზი საიდუმლო ენა, რაც მხოლოდ მცენარეულებს, ფრთოსნებს, მხეცებს და ცხოველებს ესმით. მათ უტყუარი გუჟანიც აქვთ.

- აბა თქვენ თუ გუჟანი გაქვთ, მითხარით, რამდენი ნაბიჯი მჭირდება ჟირაფამდე რომ მივალწიო?

- შეიდასი.

- რატომ მაინც და მაინც შეიდასი?

- იმიტომ, რომ თქვენ შვიდი დაგანათლათ ღმერთმა: თქვენი შვიდი დღე შეიდასი წელია.

- კარგით, კარგით. მოეშვით ხუმრობას... თქვენ ამბობთ შეიდასი ნაბიჯი?

- დიახ!

- მაშ, კარგი, აბა... ერთი, ორი, სამი...



მესამე ბეჭობი... მეხუთე ბეჭობი... მეშვიდე ბეჭობი... ჰეი, სადა ხარ ჟირაფო!  
 ჟირაფმა უსიერი ტყის ურუმაშავი ხის უკანა მხრიდან გადმოიხედა და მედიდურად  
 თქვა:

- რა ხმაურია, რა არის ეს?!
- ეს რაა, ჟირაფო, ხის კენწერო ყელამდე ვერ გწვდება. რამდენი წლისა ხარ  
 ამხელა რომ გაიზარდე?
- შვიდასი წლის.
- შვიდასი წელია იზრდები?
- კი. შვიდასი წელია ვიზრდები.
- რამხელა გინდა გაიზარდო?
- ძალიან დიდი...
- ასე შენი ოცნებაა?
- დიახ... ჩემი ოცნებაა ის, რომ სადაც ახლა ვდგავარ აქედან გადავწვდე ჩინ-  
 მაჩინეთის, ინდოეთის, არაბეთის მწვანე ველებს, მათი მცენარეულობის ლორთქო  
 ტოტები ჩამოვძოვო, ოქროს ხავსებით პირი ჩავიკეთო...
- აქედან? ნაბიჯის გადაუდგმელად? - გაუჟვირდა აბიბოს.
- ჰო, ნაბიჯის გადაუდგმელად!.. კაცმა თავისი სასახლიდან ფეხგაუბიჯებლად  
 დიდი ქვეყნები დაიმორჩილა, ქალმა თავისი მოხატული დარბაზიდან გაუსვლელად  
 დიდი იმპერია შექმნა. ეს განა ახალი ამბავია? იმათ ეს საოცრება სიბრძნით მიაღწიეს,  
 თავით მიაღწიეს.
- თქვენ რითი ფიქრობთ?
- ჩვენ კისრით ვფიქრობთ. ხომ ხედავთ, შვიდას წელიწადში რამხელა კისერი  
 გაგვეზარდა...
- კარგი ოცნება გაქვს, ჟირაფო.
- არც თქვენა გაქვთ ცუდი ოცნება. თქვენ გინდათ მარადისობის გრაალი  
 მიუტანოთ თქვენს გაოხრებულ, სატანის საბრძანისად ქცეულ ქვეყანას, აშენებულს  
 იმავე ქვეყნის წარსული ღიღების ნამსხვრევებზე. მე უფრო ადრე ავისრულებ წადილს  
 და აქედან ჩინ-მაჩინეთს მოვძოვ, ვიდრე შენ...
- ლამაზათ ილაპარაკე, ჟირაფო. ეს - მე, ბუმბერაზი გირჩევ.
- შენ მალე დაპატარავდები, გარდმოიქცევი. აქ სულ ახლოსაა მარადისობის  
 მწვერვალი, სადაც დრო გაჩერებულია. ერთი ლამაზი ზღუდვა, კედლად კლდვა  
 ჩატანებული. იმ კლდეს ძლივს შესამჩნევი ხაზი ჩამოსდევს. იმ ხაზში კარი იღება...
- ვიცი, ვიცი, ჟირაფო! მაგრამ დრო არ ჩერდება, ეს კარგად უნდა გაიგო. ქარი  
 ჩერდება, გრიგალი ჩერდება, ვულკანი ჩერდება, მიწისძვრა ჩერდება, ცეცხლს აჩერებენ,  
 წყალს აჩერებენ, დროს კი - ვერა.
- იმიტომ, რომ დრო წრიულად აღმავალია. ჩერდება ის, ვინც აღმა მიდის, არ  
 ჩერდება ის, ვინც დაღმა მიდის. თუ ჩერდება ეს იმიტომ, რომ აჩერებენ... დრო არ  
 ჩერდება.
- კარგად იყავით, ადამის ძევ. მაგ სიტყვების სიცრუეში მალე დარწმუნდები...  
 მშვიდობით. იმასაც ვნახავ, მარადისობის გრაალს როგორ მოიძევ. იმას აქ ამოოდ  
 ეძებ. იგი იქვეა, სადაც არის სიყვარულის ნიჭი. მგონი შენ გითხრეს თუ სად არის ამ  
 ქვეყნად სიყვარულის ნიჭი.
- თქვენი ნათქვამი იყოს... ოღონდ იმას დავინახავ, აქედან შორეულ ქვეყნებს  
 როგორ მოსძოვთ... კარგად იყავი, ჟირაფო. ღმერთმა ოცნება ავისრულოს. ნახვამდის!..



\* \* \*

კიდევ ერთი ბეჭობი რომ გადაიარა, აბიბო წააწყდა ერთ მეტად მშვენიერ ტბას. ეს ტბა ქალის ცრემლივით ლამაზი და მირონივით მოციმციმე იყო. აბიბომ გაიფიქრა, შეიძლება სულაც ამ ტბის ძირას იყოს ის ოქროს აკვანი, რომელშიც წევს მომავლის გმირი. ნეტავ თუ ეს ის ტბა არის, რომლის ძირიდან ოქროს აკვანის ამოღებაზე ფიქრობს გაწამებული, ნაჯათარი, შინაური მტრისაგან დარბეული და დაბეჩავებული ხალხი? ნეტავ ბევრია ამისთანა ხალხი ქვეყანაზე? კი, შეიძლება ვინმე რეგვენი იჯდეს ხის ტოტზე და სწორედ იმ ტოტს ჭრიდეს, რომელზეც მოკალათებულია, ეს სიბრყველა, მაგრამ საზოგადოებისათვის ცოტა სასაცილო და ცოტა შესაბრალებელი. ტოტი რომ მოიჭრება, ჩამოვარდება და ერთი კაცი აღესრულება. ეს არაა დიდი უბედურება, მაგრამ ხალხი? ხალხის მოტყუება და გაბრიყვება მკრეხელობაა. ეს უბედრუკი შინაური მტრები რამდენ ტოტსაც მოჭრიან, ერთი კაცი კი არა, ხალხი ცვივა შიმშილისა და დამცირების უფსკრულში. ტოტებს კი ჭრიან და ჭრიან. მალე აღარც მსხმოიარე ხეები ექნებათ და აღარც ხალხი ეყოლებათ!

ოხ, ეს ტბა, ის ტბა! - მწუხარედ და ნალვლიანად თქვა აბიბომ და სიბ ჭვავზე ჩამოჯდა.

სად იყო და სად არა, ნაპირთან ოქროს თევზი მოცურდა და იკითხა:

- რამ დაგაღონა ბუმბერაზო? როცა ბუმბერაზები ღონდებიან, მცირენი ვიწვიშებენ.
- შენ ოქროს თევზი ხარ?
- დიახ. იქნებ რამე დახმარება გინდათ?
- არა! მე შენთვის რა მირგია, რომ დახმარება გთხოვო. არა, მაგას ვერ გავგებდავ.
- მე კეთილი თევზი ვარ. ამ მხარეში ბოროტება წარმოუდგენელია, ან სამაგიერო, ან საცოდავი ძღვენი.

- ბარაქალა შენს სიდიდეს. მითხარი, ეს ის ტბა ხომ არაა, რომლის ძირას ოქროს აკვანი ასვენია, სადაც წევს მომავლის გმირი? ან იქნება ეს ის ტბაა, რომლის ძირას ინახება მარადისობის გრაალი?

- არა, ბუმბერაზო მოგზაურო, ჩემგან არ ელოდოთ მაგის პასუხს. მე არა მაქვს უფლება, გიპასუხოთ... მაგას გიპასუხებს აი, ის ულამაზესი ასული, რომელიც იმ ბროლის კოშკში ზის, მაგ პიტალო კლდის იქეთაა გაშენებული.

- ეს ტბა აქ ვინ მოიგონა. მთებში ტბა მინახია, მაგრამ ასეთი ლამაზი, - არსად და არასოდეს.

- ეს ტბა არის ყოველი დროისა და ყოველი თაობის ქალის ცრემლი, საყვარელ ადამიანთან განშორებისა და მშობიარობის ტკივილების დროს რომ მოეწურება თვალებს. ქალი ამ ქვეყნის საოცრებაა თავისი სულის თვისებითა და დანიშნულებით. განგებამ სწორედ ამიტომ მიანდო ამ ცრემლების ტბას უყამო ჟამის ანუ მოუაზრებელი დროიდან დღემდე წელთაღრიცხვის პასუხისგება. ამ ტბაში რამდენი წვეთიცაა, იმდენი საუკუნეა გასული სრული ქაოსიდან დღემდე, როგორც ამ წვეთებს ვერ დაითვლი, ისევე ვერ დაითვლი საუკუნეებს დღიდან გაჩენისა.

- შემოგვევლეთ, ის მითხარით, ვინ გამაცნობს ამ ტბის საიდუმლოებებს. მეტადრე იმას, აქ ინახება თუ არა მარადისობის გრაალი, ოქროს აკვანი და ქორონიკონი სრული ქაოსიდან დღემდე.

- მხოლოდ ის მზეთუნახავი, რომელიც ბროლის კოშკში ზის. აკი გითხარით, ის ულამაზესი ასული გიპასუხებთ მეტეი.

-მადლობთ ოქროს თევზო. შენს ლამაზ ტბას მარადისობის მწვერვალი



დაჰყურებს და შენც მარადისობის ბინადარი ხარ. აკი წყალში გაჩნდა პირველად სიცოცხლე?!

მადლობით!

\* \* \*

აბიბო გულის ფანქვალით მიადგა იმ საოცარ კლდეს, რომლის კარები იღება და იკეტება წუთიერად. უნდა ნახოს მშვენიერი ასული, გაიგოს სად შეიძლება მოიპოვოს გრაალი მარადისობისა, სად ძვეს ოქროს აკვანი და რამდენს დაითვლის მომავალში ქორონიკონი ლაზარეს აღდგინების შემდეგ.

მივიდა იმ საოცარ კლდესთან და სულგანაბული უსმენს მცირეოდენ ჩქამს კარების გაღებისას, თანაც იმ ვიწრო, ძლივს შესამჩნევ ოხუთხედ ხაზებს მიეტოლა, რომელშიც უნდა გაიღოს კარები...

„ორ არშინ ნახევარი თუ იქნება ის მონახაზი ჩარჩო, რომელშიც წუთიერად უნდა გაიღოს კარი. მე კი ვარ ხუთი არშინი. ასე გამართული როგორ უნდა შევიდე. თუკი წელში მოხრა მართლა არ შეიძლება?!“ – გაიფიქრა აბიბომ და... კარიც გაიღო. აბიბომ წამიერად უმწვავესი, ელვისებური მეტასტაზები იგრძნო ტანად დამცრობისა და ნაბიჯის გადადგმა წუთიერად გაღებული კარის ზღურბლზე. შევიდა თუარა, კარი ჩაიკეტა! თვითონ კი... თვითონ აბიბო სამუდამოდ დაუბრუნდა თავის პირვანდელ სიმაღლეს, თვალტანადობას და ახოვანებას. თავი დახარა, დაიხედა ტერფებზე, თვალი შეაყოლა ზემოთ, მკერდამდე. იგრძნო უდიდესი შინაგანი კმაყოფილობა, აწია თავი და თვალი გაუსწორა ბროლის სასახლეს. ირგვლივ ყველაფერი: მცენარეები, ყვავილები, ლიანები, მაღლობელი ფერადი ჩიტები ისეთივე სურათს ქმნიდა, როგორიც წარმოედგინა ედემი.

ღიახ, ეს ედემია. ამ კლდეში ბროლის სასახლეა.

ამ ბროლის სასახლეში ულამაზესი ქალია.

ამ ულამაზეს ქალში მარადისობის ათინათებია.

აბიბოს უცებ მოეჩვენა, რომ ეს ათინათები მოდის მისი ქვეყნის ლაჟვარდებიდან, სურნელება - მისი მიწიდან, მშვენიერება - გეასაგან...

საოცრებებით გაბრუებულმა აბიბომ ფრთხილად შეაღო ბროლის სასახლის კარები და დაინახა თხუთმეტ-თექვსმეტ წლამდე ასაკის ულამაზესი ქალი.

- სალამი მომიხსენებია, ედემის ლამაზო ერთავ.

- მობრძანდი მაძიებელო სულო.

- როგორ გრძნობთ თავს მარტოობაში, ედემის ლამაზო ერთავ. რა გახარებს და რა გწყენს.

- მე ყველაფერი მახარებს და საწყენი არასოდეს შემხვედრია. აქ, ჩემი ედემის მარადისობაში საწყენს რა უნდა. რაც შეეხება ჩემს მარადისობას, არც ისაა აუტანელი. ახლა კი უკეთესობისაკენ შემობრუნდა მარადისობის ბორბალი, როცა განგებამ ჩემთან მოგიყვანა, მაძიებელო კეთილო სულო.

- სიკვდილი გაგიგონიათ, რა არის?

- არა, აქ სიკვდილი არ არსებობს, მაძიებელო კეთილო სულო.

- აბა აქ რა არის?

- მადლობა.

- რა არის იგი ან როგორ გესმის?

- ჩვეულებრივად. მარადისობა არის მარადისობა. აქ დრო გაჩერებულია. იმ



კლდის იქით, რომლის კარებიცაა შემოხვედი, ყველაფერი ჩვეულებრივია: ყველაფერი იბადება, იზრდება და კვდება ოცნების გარდა.

- რას ნიშნავს დროის გაჩერება, ედემის ლამაზო ასულო?
- აქ ადამიანი არ ბერდება და არ კვდება.
- თქვენ რამდენი წლისა ხართ?
- იმდენის, რამდენი წვეთიც არის ოქროს თევზის ტბაში, მირონის ათინათებიანი ქალის ცრემლის ტბაში. იქ თითო წვეთი თითო საუკუნეა.
- როგორ? თქვენ ხუთმეტ-თექვსმეტ წელს თუ მოგცემს ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი.

- არა, მაძიებლო უკვდავო სული. მე გაჩენის დღიდან აქა ვარ და იმოდენა ვარ, რამდენისაც გამოვიყურები.

- მარადისობა ყოფილხარ.
- არა, მარადისობის შეილი ვარ.
- სად შეიძლება ვიპოვო მარადისობის გრაალი?
- იქ, სადაც შენ დაიბადე.
- სიყვარულის ნიჭი? - ყასიდად კითხა აბიბომ.
- იქ, სადაც შენ დაიბადე.
- შეუძლებელია. - დაეჭვდა აბიბო. - მე იქედან მოვდივარ, იქ ისინი ვერსად ვიპოვე. პირიქით თანაგრძნობის მოლოდინში დაცივნა მივიღე. იქ ვერც ჩემი სიმცირე გაიგეს და ვერც ჩემი სიდიდე...

- დარჩი ჩემთან, მაძიებლო სული კეთილო.. მე შენ კარგად გაგიგებ. გაგიყოფ ყველა ბედნიერებას: გაგიყოფ სარეცელს, ედემის ფრთოსანთა გალობას, ყვავილების სურნელებას, უკვდავებას! ყველა დროში მასეთი იქნები, როგორიცაა ხარ, არასოდეს დაბერდები, არასოდეს შეგცივდება ან დაგცხება, არასოდეს მოგშივდება ან მოგწყურდება, არასოდეს არაფერი გეწყინება ან გეტკინება, გაგიტობო გულს, მოგაგებ ჩემს ქალურ ვნებას, ჩემში მხილავ სიღრმეს, რომელიც სულს საოცრებით დაგიტორობს, აღგაზევებს... მე შენში აღმოვაჩენ ისეთ მამრს, როგორსაც ინატრებს ყველა მოკვდავი თუ უკვდავი, მე მკერდით დაგეტმასნები და ჩემი ქალური მტევნების ბადაგიტ გაგაბრუებ. ეს გაბრუება იქნება განსაკუთრებული და ლამაზი. განგადიდებ! მოგარჩენ ოცნების ბილიკებით ამდენ ხეტილს. დამკვიდრდები აქ, ამ ედემში, ამ ბროლის სასახლეში. ბედი გქონია, რომ განგებამ აქ მოგიყვანა. ეს ედემი ერთადერთია, სადაც მისი ბინადრისათვის დრო გაჩერებულია, სხვათათვის კი დრო ისე შეუჩერებლად მითქარუნობს, როგორც ბედაური!

- დავრჩები, ედემის ულამაზესო ერთაგ. ასეთი მშვენიერება მე ჯერ არსად მინახავს და არც წარმომიდგენია, მართალია, მიწიერი ხიბლი არა გაქვს, მაგრამ მზესავით ელვარე ხარ.

და... მოხდა საოცრება, დარჩა აბიბო ედემის ლამაზ ქალიშვილთან. დარჩა და... ცხოვრობს აბიბო ღვთაებრივად.

გავიდა შვიდი დღე და ყელამდე ბედნიერებაში ჩაფლულ აბიბოს უცებ ავადმყოფობასავით დაემართა მონატრება თავისი მშობლიური მიწისა და... მშვენიერი გეასი!

ედემის ულამაზეს ქალიშვილზე ლამაზი ვინ უნდა იყოს, მასთან ყოფნისა და განცხრომით ცხოვრების შემდეგ ვინდა უნდა მოგენატროს და ვინდა უნდა მოგაგონდეს, მაგრამ... იმას, რასაც არა აქვს მიწიერი ხიბლი, ვერ ურიგდება. მიწიერი, მიწიერი



ხიბლი, მისწის სუნი, მიწაზე შიშველი ფეხების ანაბეჭდი და... თუ გნებავთ სატანაც კი თურმე შეიძლება მოგენატროს, თუკი დაიჭვრება, რომ შეჩვეული ჭირიც მარგებელიაო.

- ედემის ულამაზესო ერთავ, საოცარო სინაზევ, სიღრმევ და უკვდავებავ, რალამც ჩემს მიწაზეა მარადისობის გრაალი და სიყვარულის ნიჭი, წავალ, ერთხელ მაინც თვალს გადავავლებ და...

- მერე აქ ველარ მოხვალ, მაძიებლო კეთილო სულო. გახდები ჩვეულებრივი მოკვდავი და იცხოვრებ დიდი წინააღმდეგობებით. თუ კი წახვალ, ჩემთან შეხვედრაზე აღარ უნდა იფიქრო. აღამიანისათვის ერთხელ გაიღება ცა და რასაც ინატრებ აღისრულებ, ასევე ერთხელ გაიღება ჩემი საბრძანისის კლდეკარი და თუკი შემოასწრებ, შენთვის დრო დადგება ოქროს ღუზაზე. იქნები საოცრად ბედნიერი. ვიცი, მიწის სიყვარულით შეპყრობილთათვის ეს ბედნიერება გაუსაძლისია. ედემის სურნელოვან ბაღში მიწის სუნს ვინც მოძებნის, მისთვის ედემის კარი იხურება. აქ უდიდესი ბედნიერებაა. ჩვეულებრივი მოკვდავი ამხელა ბედნიერებას ვერ უძლებენ. შენც ჩვეულებრივი მოკვდავი ხარ, მაძიებლო სულო კეთილო, და ვიცი, ვერ შეიღირსებ ედემს. ამიტომ მე გრთავ ნებას. წახვიდე შვიდი დღე, როგორც შვიდასი წელი...

აბიბომ, ცხადია, ვერ გაიგო, რას ნიშნავს „შვიდი დღე - როგორც შვიდასი წელი“, მაგრამ დუმილი ამჯობინა. გაიფიქრა, ალბათ მართალნი იყვნენ ისინი, ვინც უთხრა, რომ შვიდი დღით ცხოვრება გაჩერებულ დროში უდრის შვიდს წელს ჩვეულებრივ მიწიერ დროში.

ამას აბიბო, რა თქმა უნდა, ოცნების ბილიკის ჩავლამდე და, მეტადრე იმ მუღლულის ვერ ჩავლამდე იგრძნობს, სადაც შაოსანი დედა ისტორია დალოცა, მაგრამ მერე ხომ მაინც იგრძნობს?! და... ვაი, რომ იგრძნობს.

დაემშვიდობა ედემის ულამაზეს ასულს, მარადისობის მშვენიერ ქალიშვილს და წავიდა.

შვიდ დღეს ედემის ულამაზეს ქალიშვილთან ყოფნით მან ძალიან ბევრი ცოდნა - სიბრძნე შეიძინა, რისთვისაც საუკუნო მარადისობის გრძნობა დაეუფლა.

ედემის ულამაზესმა ქალიშვილმაც აბიბოსთან გატარებული შვიდი დღე შვიდი საოცრების ტოლფასად მიიჩნია და წასვლისხან ბიჭი დალოცა:

„როგორი ღირსეული, თვალტანადი და ახოვანი იყავი ჩემთან. ასეთი ყოფილიყავი მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ვერ გაგეკაროს ეშმას უბადრუკი ოინების ჯადო, ამინ“.

ვერ ვიტყვი, არ გაუჭირდა მეთქი აბიბოს იმ გასაოცარი ქალიშვილისა და ზღაპრული სამყაროს დატოვება, მაგრამ მაინც დატოვა. თავისთავი კი ასე ანუგეშა:

„არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება და სილამაზე, რაც დატოვე, მაგრამ რა ჩემი ბრალია, თუ სისხლის ყვილს და ჩემი მიწის ძახილს ვერ წავუყრუვე. ამიერიდან მე გავეცლები ედემს, დავუბრუნდები ჩემს მიწას, რითაც ღმერთმა გამოგძეოწა ადამი, - წინაპარი აღამიანთა!“.

აბიბომ შეუჩერებლად გამოიარა მარადისობის მწვერვალის გორა, მთების ფუძეთა შესაყარში საინტერესო ტბა, რომელიც არის დასაბამის დაუწერელი ქორონიკონი და რომლის ყოველი წვეთი თითო საუკუნეს უდრის.

ჩამოიარა აბიბომ ის მეშვიდე ბექობი, სადაც მეოცნებე ჟირაფი დატოვა. იქით მიიხედა, აქეთ მოიხედა, ვერსად ვერ დაინახა მისი ნაცნობი ჟირაფი. წასვლა რომ დააპირა, ?? შავი ხიდან ყორანმა ჩამოსძახა:



- შენ რომ ჟირაფს ეძებ, იმან დიდი ხანია დალია ჩაილურის წყალი?
- რა დალიაო? - გაკვირვებით ასძახა აბიბომ.
- ჩაილურის წყალი დალია, ანუ მოკვდა.
- რა იცი შენ?
- ჩემმა პაპამ მითხრა. შვიდასი წლის წინ დაუტრაბახია, რომ მე იმოდენა კისერი გამეზრდება, რომ აქედან ჩინ-მაჩინეთსა და არაბეთს მოვძოვო.
- შენ რამდენი წლისა ხარ?
- ასის. მამაჩემი და პაპაჩემი სამას-სამასი წლისანი გარდაიცვალენ. მე - თქვენ ახლა შვიდასი წლის ამბავს გეუბნები.
- ეს ოცნების ბილიკი ხომაა, ყორანო?
- დიახ, ყა, ყა!
- აკი ოცნების ბილიკზე დრო გაჩერებულიაო?
- მაგან ამ ბილიკიდან კისერი წაიგრძელა და თავი ზღვარს იქით გადაჰყო. სადაც დრო „მუშაობს“. იმ წუთშივე დაბერდა და ფეხები გაჭიმა.
- რაღაც არ მჭერა, ყორანო.
- იქნებ არც იმას დაიჯერებ, რომ ის შენი ყოყინა მწვანე, პატარა ბაყაყიც აღესრულა.
- ბაყაყი რითი აღესრულა, ყორანო?
- მის გაზრდას საშველი არ დაადგა. ოცნებას გადურჩა, ძალა მიაყვნა, ყველას ჯინაზე მანაც გავხვდები ხარისიმსხოო, გაიბერა, გაიბერა, გაიბერა და... გასკდა. მაშ! ყა, ყა.
- კარგი, კარგი ყორანო, მადლობა ამბის შეტყობინებისათვის. შენ თუ ასი წლისა ხარ, თავი ქუდში გქონია, ორას წელიწადს კიდევ არ მოგვაცლებ შენს ხმას.
- ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა იმ მუსლულთან, სადაც მაშინ დატოვა შაოსანი დედა ისტორია, რომლის ფერხთით აფრის ტყავი დააფინა შუბლზე მაგიური ნიკორით.
- აბიბომ შორიახლოდან დაინახა ულამაზესი გოგო კოკით ხელში. ნარნარად წახრილიყო და წყალს ადენდა.
- კოკა რომ აივსო, წამოიმართა, კოკა მხერზე შეიდგა და ამ ულამაზეს მოძრაობაში ქანდაკებასავით გაჩერდა, აბიბო რომ დაინახა. აბიბოც წინ ნაბიჯგადაუდგმელი გაჩერდა და დგას გაუნძრევლად, ქანდაკებასავით.
- საოცარი სანახავი იყო ის ქალიშვილი:
- წელზე მოტმასნილ შავ კაბას ბროლისფერ მხრებზე გადმოჭერილი ბრტყელი თასმა ამაგრებდა. ცალმკლავაწეულს საოცარი მოხერხებულობით წამოეწია ცალი მკერდი, კაბა წელთან იტმასნებოდა, ფურჩალას ბოლო მუხლისთავს არბოდა და ბარძაყების ულამაზეს შესაყართან ვენებიანად იჭმუჭნებოდა.
- ქანდაკებას გავდა ეს გოგო, ნამდვილ ქანდაკებას.
- ვინა ხარ შენ, მხარზე კოკაშემოდგმული ლამაზი ქალიშვილი.
- მე დედას, თურმე დედა ისტორიას მეძახდნენ, თუმცა დედობისაგან შორსა ვარ.
- როგორ თუ დედას გეძახდნენ?
- ჩვეულებრივად, უფრო სწორედ ჩემი სახელია შაოსანი დედა. ესეც ალბათ იმიტომ, რომ შავი კაბის ჩაცმა მიყვარდა, შენ... აბიბო ხომ არა ხარ?
- ვარ და მიკვირს, როგორ წარმატებულად შეიცვალე... რა საინტერესო ძალა



ქონია ავთორის ტყავის ნიკორს. საოცრება ხარ, გარდმოქცეული ლამაზო ქალიშვილო.

- შენც საოცრად შეცვლილხარ. მადლი მას, ვინც ასე რიგიანად შეგცვალა, მეტისმეტად მაღალი იყავი. ახლა სწორად ადამიანური იერსახე მიგილია. მაშინ უფრო მძვინვარე ბუმბერაზი იყავი.

- ძალიან მიხარია, რომ ასეთი ლამაზი ქალიშვილი გახდი.

- მეც ძალიან მიხარია შენი ხილვა. მე დიდად მადლობელი ვარ შენი, აბიბო! მე მზადა ვარ, ნებისმიერ დროს ჩაგიყვანო წყაროზე, წყალი გასვა, გაგემო ჩემი ბადაგი და ქალური სიღრმე. მე ძალიან გახარებული და დავალებული ვარ შენი ხილვით, კეთილო აბიბო. დარჩი ჩემთან!

- დავრჩები, სანამ ჩემელი ხილვები არ მომეძალება, დავრჩები და გულში ჩავიკრავ. შენი ალერსი ერთი დიდი სიცოცხლე და უკვდავება!

აბიბო მივიდა, კოკა გამოართვა, წყალი დალია, ქალი ხელში აიყვანა და... დარეტიანდა იმ ნატარებით, რაც იშვიათად თუ იგრძნოს ქალისაგან მამაკაცმა. მუსლულის ლამაზი ქალიშვილი ალბათ მანამდე არსებულ მშვენიერ ასულთა შორის ყველაზე სანდომიანი, მომხიბლველი და ალერსიანი იყო.

- მე შენ ძალიან მომწონხარ, მუსლულის ლამაზი ქალიშვილი, მზადა ვარ ვიცხოვრო შენთან და ვიყო მანამ, სანამ ჩემი გუჟანი არ დარწმუნდება, რომ შენ გარდასულ ეპოქათა, გნებავთ ისტორიათა განსახლების მესია ხარ.

- არა, კეთილო მაძიებელო სულო... შენ ჩემი კარგად უნდა გესმოდეს... როცა მე შაოსანი დედა ისტორია ვიყავი, მაშინ ყველა იმას ეძებდა და პოულობდა ჩემში, რაც მას აინტერესებდა, ყველა იმას კითხულობდა და ამბობდა, რაც მას აინტერესებდა, ყველა იმას კითხულობდა და ამბობდა, რაც მას აწყობდა, ვინ როგორ არ იბრძოდა თავისი შეხედულების დასამტკიცებლად, მოდიოდნენ ჩემთან ცბიერად, მოტყუებით, მუქარით, დაცინვით... მოდიოდნენ და ჩემი პირით ლაპარაკობდნენ იმას, რაც მას უნდოდათ.

- ახლა?

- ახლა მე მთლიანად შევიცვალე. დასაბამიდან დღემდე რაც ჩემი პირით იცრუეს, რაც თქვეს და დაწერეს, ყველაფერი ის წარსულს ჩაბარდა. მე სიახლე ვარ დიდი სიმართლით, ისევე ძლიერი და განუმეორებელია ჩემი სიმართლე, როგორც...

- როგორც განუმეორებელია შენი მშვენიერება. - დაასწრო აბიბომ და დაბეჯითებით განაგრძო, - მე შენი განუხრელი თაყვანისმცემელი ვიქნები. მე დარწმუნებული ვარ, შენი ბაგეებიდან მხოლოდ ჭეშმარიტება ილაღადებს. ყველა ურცხვი, თვალმაქცი და ორპირი შენი პრინციპებისა და სილამაზის წინაშე აღესრულება!

- მადლობთ, მაძიებელო სულო კეთილო. ამიერიდან შენს ღირსებას და სიმართლეს ეკუთვნის ჩემი ხელუხლებელი ქალობა, ჩემი ტაძარი, რომელსაც ორი თეთრი, სამრეკლო აქვს ორი მჩქეფარე, ვნებიანი ზარებით; ჩემი ციხე, რომლის წილში შენს მეტი ვერავინ შეაღწევს. შენ გეკუთვნის სურნელება ჩემი ტანისა...

- მადლობთ, მუსლულის საოცარო ქალიშვილო, შენ სწორედ ამ მუსლულთან, მისგან გამომჩქეფარე წყალთან განახლდი და გახდი ჭერუქმნელი და ჭერარარსებული! წყარო ხომ მარადისობაა, წყალი ხომ უპირველესი, უძვირფასესი და უძველესია, ვიდრე ყველა სულიერი. ვიდრე ადამიანი, სიტყვა, ცეცხლი, სიყვარული...

- დიახ, მასეა მაგი, მაძიებელო კეთილო სულო, - თქვა მშვენიერმა ქალმა და მწიფე მკერდით მკერდზე დაეტმასნა აბიბოს, რომლის თვალებში სიკეთის იმდენი და ისეთი მწველი ნაპერწკლები ენთო, რომელიც წარსულის ყველა ჩრდილელსა და



სიზნელს ნათელს მოჰფენდა.

შეიდი დღე ამ მშვენიერ ქალთან დაჰყო აბიბომ და... უცებ საოცარი ხმები გაიგონა. ერთი კვილის უფრო ჰგავდა, მეორე დახილს უფრო ჰგავდა, მესამე ხვეწნას უფრო ჰგავდა.

ცალკეულად თითოეულ მათგანს მიაყურადა აბიბომ და საოცრად შეიცვალა. მან გაიგო, რომ პირველი იყო სისხლის ყვილი, მერე იყო მშობლიური მიწის დახილი და მესამე იყო გეას მუდარა...

- აბიბო ამ ხილვებმა სახეზე საოცარი მხურვალეებით წამოანთო, რასც მხედველობიდან არ გამოპარვია მუსლულის განუმეორებელ ქალიშვილს და ჰკითხა.

- რამ შესძრა სული შენი, მაძიებლო ახოვანო ჭაბუკო?

- სისხლის ყვილმა.

- რა არის სისხლის ყვილი?

- მოხმობა! თანაც ისეთი, ედემს დაგატოვებინებს და მამის კვალზე შეგაყენებს, რამე თუ ეს სისხლი მისგანაა.

- ძლიერია ეგ ყვილი?

- ისეთი, ვერაფერი რომ ვერ აკავებს.

- კიდევ?

- მიწის დახილმა შემძრა.

- რა არის მიწის დახილი, იმედო ჩემო?

- მიწის დახილი უფრო მეტია, ვიდრე მშობლის დახილი ანუ მშობლის დავალება შვილის მიმართ... მიწის დახილი მეტად ძლიერია. ის ყველა დახილს აღემატება.

- რატომ, რაა მასეთი?

- მიწა თავისას მოითხოვს, მისი შვილის ძვლები მან რომ მოძებნოს, მისი შვილის პატრონი, მისი ზორცისა და ძვლების მარადიული სამოსი მშობლიური მიწაა. ადამიანის ძვლებმა ბოლოს თავისი მიწა უნდა ჩაიცვას, თორემ ზეზეურად რომ დარჩეს, ამ ძვლებს ძაღლები დატყვევებენ.

- კიდევ, რამ აგაფორიაქა მაძიებლო ჭაბუკო?

- ხვეწნა-მუდარამ.

- ვისმა, აბიბო?

- ჩემი სიყვარულის.

- შენ გიყვარს, აბიბო?

- მიყვარს.

- ძალიან გიყვარს, აბიბო?

- ძალიან.

- ვინ არის იგი, აბიბო?

- გეა.

- რა არის გეა, აბიბო?

- გეა არის ის, ვინც ჩემთვის აერთიანებს სისხლის ყვილს, მიწის დახილს და ლამაზ ქალიშვილს...

- ბედნიერია ის, ვისაც უყვარს, აბიბო.

- ბედნიერია!

- მეც ბედნიერი ვარ, რომ შენ პირველმა შეაღწიე ჩემს სულსა და სიღრმეში. შეაღწიე სიმართლით და კეთილი სურვილებით, - ვერაფერ ვეღარ მათქმევინოს ის, რაც მას სურს. ვთქვა ყოველთვის ისე, როგორც იყო...



- მშვიდობით, მუსლუმის ულამაზესო ქალიშვილო, მაღლობთ, რომ შენ არსებობ ასე განახლებული და ლამაზი!

- მშვიდობით! - თქვა ლამაზმა ქალიშვილმა და თვალთაგან ორი წვეთი ცრემლი ჩამოსწყდა.

\* \* \*

აბიბო დაბრუნდა თავის სამკვიდროში საოცარი შთაბეჭდილებებით და გოცებულ იმით, რაც დახვდა.

მაინც რა დახვდა აბიბოს თავის სამკვიდროში?

აღბათ მიხედვით, - არაფერი და ყველაფერი.

არაფერი იმისაგან, რაც დატოვა, რადგან აქედან მისი წასვლის შემდეგ გავიდა... შვიდასი წელი.

... და ყველაფერი, - რაც ბოლო ხანებში შეიქმნა.

აბიბოს არ სჯეროდა, რომ ედემის სასახლეში გატარებული დღე ედემის გარეთ უდრიდა შვიდას წელს, რადგან იქ დრო გაჩერებულია ანუ - შეიძლება გავიდეს ათჯერ შვიდასი წელი და ეს იქნება შვიდი ათასი წელი, ხოლო მარადისობის მწვერვალთან ედემის ბროლის სასახლეში გასული ათჯერ შვიდი დღე, ეს იქნება მხოლოდ სამოცდაათი წელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამანთათვის მარადისობის მწვერვალის კალთაზე, უფრო - მის მწვანე უბეში გაშენებული უკვდავების სამყარო ანუ მარადისობის კედელი არის ის საუფლო ადგილი, სადაც დრო დგას „ღუზაზე“.

აბიბოს სამკვიდრებელში როგორც იტყვიან ქვა ქვაზე არ დევს იმისა რაც დატოვა. - ყველაფერი სახენაცვალი, მისთვის უცხო და უცნობია. არცერთი სახლი იქ არ დგას, სადაც დატოვა. არცერთი ქვა, წისქვილი, გზა, ხიდი, კოშკი, მოედანი... არცერთი ის, რაც მან დატოვა სულ რაღაც რამდენიმე დღეა და... ამ რამდენიმე დღის განმავლობაში გავიდა შვიდასი წელი!

„ის ძელქვა სად არის, აი, აქ, გზაჯვარედინზე რომ დაგტოვე“? - გაიფიქრა და თვალი გაექცა ძირჩამპალ გადანაჭერზე. იგი მრავალსაუკუნოვანი შვილია ბუნებისა და მისთვის ის მრავალი საუკუნე უკვე გავიდა. რისთვის იჩქაროდა ედემიდან, მარადისობის სამყაროდან აბიბო? უპირველესად იმისათვის, რომ სისხლის ყვილისაგან ხარკი გადაეხადა, მეორეც, იმისათვის, რომ თავისი მშობლიური მიწა ეხილა, მარადიული სამოსელი ყოველ ცოცხალთა. მამა-პაპათა, წინაპართა მიწა, რომლის ქვესკნელიდან მარადიულად ისმის წინაპართა ხმები, - ნათელ სულთა მარადიული სუნთქვა, ვისაც კი ქვეყნისათვის თავი დაუდვია. და მესამე - გეა, მისი საყვარელი გეა.

გაუდაბურებულა მისი სამკვიდრო.

ჯერ შვიდს საუკუნეს წაუღია მისგან ბევრი ხილული და უხილველი. მერე... მერე - მისი ქვეყნის მესვეურთ! დიახ, იმათ, ვისგანაც ქვეყანა შველას და თანადგომას ელოდება. ქვეყნად ომებისა და უკუურნებელი სენის, შავი ჭირის გარეშე, სრულიად მშვიდობიანობის დროს, ქვეყნის მესვეურს მოუსურვებია ხალხის აყრა და გადაყრა. რაც მოუსურვებია კიდევ შეუსრულებია. ქვეყნიდან დედაწულიანად, ყრამა-მოხუციანად აუღია და გადაუსახლებია სადღაც შორს... თავისი ნება სურვილით მის ულამაზეს ქვეყანაში შეუქმნია ოთხასი ნასოფლარი უძველეს მოსხთა თუ მოსინიკთა. დიახ, ნასოფლარი! ახლა კი აბიბოს ნასოფლარში ყველაფერი იავარქმნილია.

ყველაფერს შეგუებოდა, რომ მომხდარიყო უდიდესი საოცრება და... მოსულიყო გეა, - მისი საყვარელი გეა. არა! გეა ღამის შვიდასი წლის წინ გარდაიცვალა,



დაბერდა და აღესრულა.

არავინ – ნაცნობთაგანი!

ნეტავი ის ოხერი სატანა სად არის – ცალთვალამოთხრილი, ხელფეხდამტგრეული სატანა?

სატანას რა უნდა უაღამიანებო სოფელში.

სატანას მოვალეობაა ადამიანთა სულის გახრწნა. ესაა მისი მთავარი საქმე. სადაც ადამიანი არ არის, იქ რა უნდა სატანას?!

გეა, ჩემო გეა!

რატომ დამტოვე ამ ტრიალ ქვეყანაზე მარტოდ. უშენოდ როგორ უნდა ავაშენო მე ეს ქვეყანა? უშენოდ არ არის სიცოცხლე. უშენოდ რათ მინდა თვალეები ამ ცარიელ, ერთფეროვან ქვეყანაზე, უშენოდ არ არსებობს სიცოცხლე, უშენოდ ჩემთვის არ არსებობს უკვდავება და მარადისობა. ჩემთვის მარადისობას არავითარი აზრი არ ჰქონდა და მეც იმიტომ დავტოვე ედემი, სადაც დრო გაჩერებულია, რომ იქ მყოფნი ჰყონ უკვდავი და ბედნიერნი. სად წავიდე და რა ვქნა უშენოდ, გეა! არა! შეუძლებელია შენი არ ყოფნა! – თქვა აბიბომ და ჩაფიქრდა. დიდხანს, დიდხანს იყო იგი უბრად. არავინ და არაფერი არ უშლიდა ხელს ეფიქრა დიდხანს: არც ფრინველთა გალობა, არც გადაძახილ-გადმოძახილი.

ალბათ ფრინველებსაც იქ უხარიათ, სადაც ადამიანები არიან. მერცხალი შორი მანძილიდან მოფრინდება და ფრთებით იმ სახლს მიეხალება, სადაც ადამიანები არიან, სადაც აკვანი ირწყვია, სადაც ისმის საუბარი თუ სიმღერა.

დიდხან, დიდხანს ასე უბრად იჯდა აბიბო.

უცებ თვალეები გაუნათდა.

წამოდგა აბიბო თვალეგაბრწყინებული.

რა გადაწყვიტა ასეთი?

რა გადაწყვიტა?

– საოცარი რამ!

– მაინც?

– მაინც ის, რომ... თიხისაგან გამოძერწოს გეა. გამოძერწოს, გამოაქანდაკოს სწორედ ისეთი, როგორიც ის იყო, – მაღალი, ტანლამაზი, წინ წამოფრენილი მკერდი. წვრილი წელი, საოცრად ჩამოძერწილი მხარ-თეძო, ტანი... სახის სანდომი, მომხიბლველობა, წარმტაცობა და საოცარი ჰაეროვნება.

მერედა, მოქანდაკე რომ არ არის? ძერწვის ხელოვნება რომ ჯერ არავისგან უსწავლია?

სიყვარულს რათ უნდა სწავლა.

გეას სახის ნაკვთები, ტანის მშვენიერება მასში ისეა გაჟღენთილი, საკმარისია ოღნავ ნაცრისფერი, მეტად თვდამტყერი და მჭიდრობის თვისებიანი მიწა მოზილოს, შეაგუნდაოს და...

სულის კარნახი ყველაზე დიდი მასწავლებელია. სული უკარნახებს როგორ გამოძერწოს სახე, ყელი, მკერდი, წელი, ქვედატანი... უკარნახებს. აბიბო მხოლოდ სულის კარნახს და გურმანის ჩურჩულს მოუსმენს. თვალეები რომც დახუჭოს, ხელები თავისას მაინც გააკეთებენ. კი, გააკეთებენ და აბიბოს წინაშე აღიმართება ლამაზი გეას ნატიფი ქანდაკი!

და შეუდგა აბიბო გულის, გრძნობისა და გონების კარნახის აღსრულებას. არასოდეს არაფერი არ გამოუძერწია, არასოდეს არაფერი მსგავსი არ გაუკეთებია,



მაგრამ არასოდეს ასე შინაგანად, ანთებული, მომზადებული და შთაგონებულიც არ ყოფილა.

რალაც საოცრება ხდება მის არსებაში.

მოულოდნელად გარდაიქცა ისეთად, როგორიცაა გრძნეული, რომელიც ყველაფერს ხედავს, ყველაფრის ხმა ესმის, ყველაფერს აკეთებს ისე, თითქოს ვინმე კარნახობს.

კი, კარნახობს!

კარნახობს მისი გულის, გრძნობისა და გონების კავშირი.

კარნახობს ზუსტად და... ესმის იდუმალი შინაგანი ხმა – აქ ეს ნაკვთი არაზუსტათაა გამოძერწილი, მოაცილე ამდენი, აქეთ დაამატე ამდენი თიხა. კიდეც უკეთესად აზილე, რადგან კარგად აზელილის დამჭერობა და ჭდალობა უკეთესია...

ასე გეგონებათ, აბიბო არის შეგირდი, რომელიც ასრულებს ოსტატის კარნახს. ეს ოსტატი არის მისი სული და მოგურგურე ხმის სითბო და ხვეწვით.

და ძერწავს აბიბო მშვენიერ გეას ქანდაკს.

ძერწავს და დაჰყავს ის იმ მშვენიერებამდე, როგორც ხედავს გონების თვალთ. დაიღალა აბიბო.

დაისვენა და ისევ შეუდგა ქანდაკების ძერწვას.

ძერწავს. ხელით ეხება და ბრუვდება, – თითქოს ცოცხალ გეას ეხება. ძერწავს და ყოველ ნაკვთს ეფერება.

ძერწავს და... ზოგჯერ ექიმის სულის თვისებას ეუფლება: რაც არ უნდა მშვენიერ პაციენტს სინჯავდეს, სამედიცინო შემოწმების დროს მასში მხოლოდ პაციენტს ხედავს და არამც და არამც – ღამაზ ქალს.

დაიღლება, დაისვენებს და ისევ ძერწავს.

არ არსებობს მისთვის სხვა მიზანი, სხვა ინტერესი.

იდუმალმა ხმამ ჩასძახა – „თიხა ისე უნდა მოზილო, შვიდივე ძარღვი გაუწყვიტო. პურიც ასეა. პურის ფქვილსა და აყალოს შვიდ-შვიდი ძარღვი აქვთ. შვიდივე უნდა გაუწყვიტო...“

უსმენს იდუმალ ხმას.

უსმენს გულის, გრძნობის და გონების თანხმობას.

შრომობს და უხარია.

ოფლიან შუბლზე ხელი მინდისავით გაისვა და ჩაფიქრდა. რას ფიქრობს აბიბო? გაახსენდა სიყვარულის ნიჭი და მარადისობის გრაალი. „მაინც რა არის სიყვარულის ნიჭი? რატომ. მითხრეს, რომ იგი ჩემს სამკვიდროშია საძიებელი? რატომ მითხრეს, რომ მარადისობის გრაალი ჩემს მიწაზეა საძიებელი? სად უნდა ვიპოვო მე იგი ამ ცარიელ ნასოფლარში?“

იპოვის აბიბო?

თვითონ დარწმუნდება, რომ ეს ორივე მის გვერდითაა.

მინც სად?

იპოვის და თვითონ მოგვახარებს!

\* \* \*

რალაც საოცარი რუდუნებით გამოძერწა აბიბომ გეას ქანდაკება და მის მიერ სახელდახელოდ აშენებულ ფარდულში, მაგიდაზე შემოადგა.

დგას უღამაზესი ქანდაკება, მეტად ნატიფი და დახვეწილი. გასაოცარი მსგავსება. უფრო სწორედ – სრულქმნილი გეა!





ოქროს საბიდი, საბიდიან, I-III სს.





უწევს. III საუკუნე. ავრადი



დიახ, ღვთისაგან სრულქმნილი გეას ორეული.

მთლიანად და სავსებით - ლამაზი გეა.

არათფერი არ აკლია ამ ქანდაკებას ერთის გარდა და ეს ერთიც არის - სიცოცხლე.

ახლა რომ მოხდეს საწაული და ამ ქანდაკებამ ამოისუნთქოს, აბიბო თვალნათლივ დაინახავს, - როგორ აღის და ჩამოდის მისი მკერდი, როგორ უცემს გული, როგორ უფეთქავს მაჯები.

- ფრთხილად! - წამოიძახა აბიბომ.

მას მოეჩვენა, რომ გეა მართლა სუნთქავს და ის მართლა გეაა, საუკუნეების იქით რომ დარჩა და აქ ახლა ისე ელანდება, როგორც სიფრიფანა ფარაზე მიჭყრილი შუქის წყალობით ტანი კენარი, ლამაზი და განუმეორებელი.

- ფრთხილად, ფეხი არ გადმოვდგა, გადმოვარდები! - კვლავ წამოიძახა აბიბომ და შერცხვა თავისივე ხმის. ქული თვალეზამდე ჩამოიფხატა და შემობრუნდა. ხომ იცოდა, რომ ის მხოლოდ ქანდაკება იყო და არა გეას ორეული ან ცოცხალი გეა.

ახლაც საოცარი რამ მოუვიდა აზრად... სიყვარულმა, გულის, გრძნობის და გონების კავშირმა, იდუმალმა ხმამ ხომ ასწავლა ქანდაკების ხელოვნება, ხომ გამოძერწა ნატიფი სახე და წარმტაცი ტანი ლამაზი გეასი?! ახლა იქნებ მართლა დარწმუნდეს, რომ სიყვარულის ნიჭი აქვეა და იგი ღმერთთან იდუმალ მიმართებაშია, ღმერთის მიმართ რწმენაში ძევს, რადგან სიყვარული თვითონ ღმერთია. აბიბოსა და ღმერთს შორის ერთი ულამაზესი გზაა, სიყვარულის გზა! ამ გზით იგი მივა ღმერთთან და შეეხვეწება გეას გაცოცხლებას. კი, იზამს ამას და ის გახდება მოწამე სიყვარულის ნიჭის არსებობისა, რომელიც ძალიან სჭირდებათ ხალხებს, ადამიანებს ერთმანეთის გულის გასათბობად!

აბიბოს ის ასულდგმულებს, რომ ღმერთმა მიწიდან შექმნა ადამიანი და მანვე შთაბერა სული. ახლა აბიბომ თვითონ შექმნა ადამიანი, უსაყვარლესი გეა და სიყვარულის გზით უფალთან მისული არ გაწბილდება, - ღმერთი გეას სულს ჩაუდგამს.

დიახ, სულს ჩაუდგამს!

თუნდაც იმიტომ ჩაუდგამს სულს, რომ... ეს ნასოფლარი, ეს ცარიელი მიწა... შთამომავლობით გააცოცხლოს, ნარგავებით აამწვანოს და ააყვავილოს... ყანებით გაადიდოს და გაალამაზოს.

არა და... აბა ამ მარტოობაში რა უნდა ქნას ერთადერთმა, მარტოსულმა აბიბომ?!

მან იცის, რომ ეს ნასოფლარი, ეს მიწა, ეს გასამზირები, უფლის ეს წილხვედრი ქვეყანა ადრე იყო აყვავებული და ძლივამოსილი. ადამიანთა უგუნურობით ტაძარი კვლავ ნატაძრალს დაემსგავსა, მონასტერი-ნამონასტრევეს, ნასოფლარს, ნაქალაქარს... ღმერთის წილხვედრია ეს მიწა და ღმერთი ორ დიდ ჭეშმარიტებას - თავისივე წილხვედრ ქვეყანას გაპარტახებულს არ დატოვებს. აბიბოს სამართლიან, საქვეყნო მუდარას უპასუხოდ არ დატოვებს. შეიწყნარებს მის სურვილს და მისივე სამკვიდროს გაცოცხლების მიზნით გააცოცხლებს... გეას! გააცოცხლებს რომ ადამისა და ევას მსგავსად გამრავლდნენ. გაძლიერდნენ და უფრო მეტი გააკეთონ, ვიდრე წინაპრებმა, რომელთაგან „წავიდა ყველა“ და აღარც „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაბული“.

თავის სადგომში შევიდა აბიბო.

აბიბო მისივე გაჩორკნილ ტახტზე გაიშოტა.

ღმერთზე მუდარის დროს არ შეიძლება ადამიანმა თავისი თავი იგრძნოს მიწიერ



ფუფუნებაში. ღმერთს შეჭირვებული უნდა ევედრებოდე.

მთელი ღამე ვედრებაში გაატარა აბიბომ.

ესეც საოცარი ღამე იყო, - ამჯერად კაემნიანიცა და იმედიანიც, ლამაზიც, შთამაგონებელიც...

დილით...

დილით...

ღიახ, დილით...

ღიახ, მეორე დღეს დილით...

მეორე დღეს, დილით აბიბო შევიდა თავის სახელოსნოში. ფარდაღალა სახელოსნოში, ფიცრებს შორის შემოჭვრეტილი მზე თავისი მაცოცხლებელი სხივებით პირდაპირ გეას ქანდაკებას ეცემოდა...

აბიბომ სახელდახელო მაგიდაზე შემოდგმულ გეას ქანდაკებას თვალი თეთრ, ლამაზ ტერფებზე და მთელ ტანზე შეაყოლა, ასცდა ლამაზ მუხლებს, წელს. მკერდს, ყელს... ისე ფრთხილად და ქურდულად ადიოდა ეს მზერა, თითქოს რაღაცას იპარავსო, ასცდა ყელს, სახეს და... მოეჩვენა, თითქოს გეამ გაუღიმა.

მოეჩვენა თუ მართლა გაიღიმა.

ალბათ მოეჩვენა.

ან იქნებ მართლა გაიღიმა!

აბიბომ მეტად ღრმა მღელვარება იგრძნო, სიყვარულის თაკარამ კიდევ უფრო მძაფრად დასწვა და... მუხლებზე ხელები შემოახვია, თავი ჩაღუნა, თვალები დახუჭა და ატირდა.

დიდხანს ასე უბრად იდგა აბიბო.

იდგა გაოგნებული.

მონუსხული.

გახარებული და გულდაწყვეტილი, რომ ეს ღიმილი იყო მოჩვენებითი.

იქნებ არ იყო მოჩვენებითი!

აბიბომ ველარ გაუძლო ამ ცდუნებას თუ უსაზღვრო მღელვარებას, თვალდახუჭული შემობრუნდა, გამოვიდა ფარდულიდან, შევიდა თავის სადგომში, პირქვე ჩაემხო და გაისუსა.

თავი ზღაპრში ეგონა.

ვინ მიაშაგებს და ვინ გაუცოცხლებს გეას?!

ღმერთი.

მის მიმართ ლოცვა.

მუდარა.

გულითადი სურვილი სამკვიდროს განახლებისა! დაქცეული თუ არ განაახლე, მუდამ დაქცეული იქნება.

აბიბომ უცებ გაიგონა რაღაცნაირი ჩქამი.

თავი ასწია და დაინახა, მის წინაშე იდგა გეა.

გაეღიმა.

მწარედ გაეღიმა აბიბოს და თვალები დახუჭა.

გულმა არ გაუძლო და თვალი ახლა მეტად შიშითა და მორიდებით გააჭიჭვატა. ფრთხილად, გულისფანცქალით შეხედა.

ისევ გეა!

გაახსენდა ოხერი სატანა, რომელიც გეად გარდაიქცა და მოატყუა აბიბო.



გაახსენდა და ბრაზით აენთო, რადგან ახლაც იგივე წარმოიდგინა, იგივე სატანა გარდაქცეული გეად.

წარბები შეკრა, გაბრაზდა, ხელი გაიშვირა გეასკენ და ისტერიულად დაიძახა:

- შორს, შორს ჩემგან, სატანავ!

- აბიბო! - შემოესმა გეას ნაზი ხმა.

- შორს! - ცოტა ხმადაბლა და იჭვით წარმოთქვა.

- რა მოგდის, აბიბო?! - იმდენად ალერსიანი იყო ეს ხმა, რომ აბიბო სიყვარულით ატირდა. მას ისიც ღიღ ბედნიერებად მიაჩნდა, რომ გეას ხმა გაიგონა და ეს მართლა გეას ხმა იყო თუ გეად გარდაქცეული სატანასი, მისთვის ახლა სულერთი იყო.

აბიბომ გადაწყვიტა შესულიყო ფარდულში და ენახა, გეას ქანდაკება იქ იდგა თუ არა.

შევიდა და რა დაინახა, იქ ქანდაკება აღარ იყო, შიშითა და სიხარულით შესძახა:

- სადა ხარ, გეა!

ამ დროს მან სადგომიდან გაიგონა მეტად ნაზი და ადამიანური ხმა:

- რა მოგდის, აბიბო?! აქა ვარ! - და გამოვიდა კარებში. შემობრუნდა აბიბო და ზედვს, - გეა მისკენ მოდის. აბიბო ჯერ დაიბნა. გახევდა. თითქოს თვითონ იქცა ქანდაკებად. მერე გონებას მოეგო, სუნთქვაგახშირებულმა გეასაკენ ნაბიჯი გადადგა. დაყოვნდა, ერთი ნაბიჯი კიდევ, ისევ შეყოვნება და... თითქოს ვეფხვად იქცაო, საოცარი ნახტომით გაჩნდა გეასთან, აიჯანა ხელში და მეტის მგრძნობელობით გაბრუებულს თვალებში საოცრად მბრწყინავი ცრემლები ჩაუდგა.

უცებ გაახსენდა:

„სიყვარულის ნიჭი, უკვდავება და მარადისობის გრაალი შენს სამკვიდრებელშია საგულებელი“.

დაიგულა. კიდევ იპოვა, რაც დაიგულა.

იპოვა, დარწმუნდა და ხელში ატაცებულ გეას მხურვალე მკერდზე აკოცა.

იგი ბედნიერი და მდიდარი იყო სიყვარულის ნიჭითა და მარადისობის გრაალით!

ბათუმი.

2000 წ. 1 აგვისტო - 12 სექტემბერი







## განრიგა ქუთათელაძე

\* \* \*

დღე დღევანდელი ეს ერთხელ დადგა,  
გასაკვირველი დღე დღევანდელი,  
წყალობა უხვი გაიღო ცაბა, -  
თავს მომახვია ოქროს სხივები...  
დრომ შემახსენა სიბრძნე თავისი,  
ცისა და მიწის ჟამი დათვლილი...  
მე გავექეცი ამ მიწიერ უბადრუკობას  
და ციმციმს დროის, მოუხელთებელს და ეფემერულს,  
ძლივს დავეწიე ჰორიზონტის დასასრულისას...  
როს მზემ ჩათვლიმა და დაიძინა,  
დღე გაგულისდა, ჩაშავდა და ჩაიწვა სულაც...  
ასე დასრულდა ერთი დღე ჩემი...  
დღეი ხვალისა გათენდება ძალიან გვიან,  
ფეხაკრეფით გაიპარება და მიმატოვებს მე სიხარული...  
სხივი მზისა კი მიდებეშებს:  
- ო, გიხაროდეს,  
შურს და სიძულვილს განგარიდე ამ განშორებით!

\* \* \*

ისე ძალიან განაცვიფრა თვინიერებამ  
და მორჩილებამ გააოგნა ისე ძალიან,  
სულ დაავიწყდა, ღემონი რომ ერქვა სახელად  
და ვით შეჰფერის მოყვარეს კაცის,  
ლიმილით მითხრა:  
ჰა, ჩემი ხელი, მსახურად შენდა!  
მე სიყვარულს და სიმშვილეს მოვუხმე მცველად...  
თითქოს მტრის ჯარი დაინახა საომარ ველზე,  
ის ისე შეკრთა...  
მე კი ვირწმუნე:  
ყველა ისარზე ბასრი არის, მართლაც სიქველე!



\* \* \*

კისრისმოტეხით ჩაირბინა დილამ ზეგანზე,  
კიდევ დაღამდა...  
როგორ გამეჭტა ნეტა ეს დრო,  
სირბილ - სირბილით,  
ვერ მოვიგონე, მისი ათვლა დავიწყე როგორ...  
მნიშვნელოვანი თუ მოხდა რამე,  
ისიც არ მახსოვს...  
ძლივს გავიხსენე, კიდევ კარგი, რომ ძალა მეყო...  
დრომ ჩაიარა, გამეპარა, ჩაინავარდა,  
ნაკვალევს ჩემსას არ შეცვლია მაინც ელფერი...

\* \* \*

გულუბრყვილო ვიქნებოდი, ალბათ, რაოდენ,  
მთელი ჭკუა რომ გამომეტანა ამ სამზეოზე,  
ზიზღს და სიძულვილს  
მოვიმკიდი მხოლოდ და მხოლოდ...  
გონება მწირი მავანის და კიდევ მავანის,  
იქნებოდა მაშინ საჩინო...  
და გავეხვიე უწყინარი ცხოველის ტყავში...

\* \* \*

ქედმოღრეკილი, გულღია და თავაზიანი,  
მაამებელი მეტისმეტად,  
თითქმის უძიროდ,  
გახვეულია მეგობრებში, როგორც ბადეში,  
მფარველთა ლალი მზერით გამთბარა,  
სულით უმწეო და უსახური...  
უბადრუკია ცხოვრება ასე...

\* \* \*

ესათნოება გულთამხილველს ცხოვრება ჩემი?  
ანდა სხვა ბევრის?  
არავინ უწყის,  
არავინ უწყის ბოლო ჟამის ნათება ფერთა,  
ანდა ანგელოზს,  
რომელსაც მუდამ შევნატრით თრთოლვით,  
ვიხილავთ როგორ,  
შავად თუ თეთრად?









## ზურაბ ღირსხალაოშვილი

\* \* \*

სარკასტული

იმან მოიგო, ვინც სიშიშვლე დაფარა მეფის  
და არა იმან, ვინც აიღო ხელში შიმშიერი,  
დიდი ამბავი, თუ ხელმწიფე არის შიშველი!  
განა ამისთვის საჭეთმპყრობელს სულელი ეთქმის?

როგორიც მღვდელი, იმნაირი მრევლი შეპყდერის,  
უნდა მოერგო ამ უცნაურ ბალს და მასკარადს,  
დიდი ამბავი, თუ ხელმწიფე არის მასხარა!  
განა მასხარებს არ სწყალობენ თავად მეფენი?

არაკი რაა ძველთაძველი ლომის და მელის,  
ვერ დავიზუთხეთ აქაური ზნე და კანონი,  
როგორც ყმაწვილნი უწვრთნელი და უსასკონი,  
მეფის კარიდან გამოგვყარეს სიმართლის მთქმელნი.

მადლობა უფალს, ღვთის მოშიშნი მთლად არ გაგვწირა,  
ნასუფრაღიდან ძვლები ყველას გაგვინაწილა...

\* \* \*

დღეები დღეებს უსასრულოდ მიჰყვება ისევ,  
დრო ახლოვდება სხვა სივრცეში გადასაფრენი,  
ალარ გამირბის ნაღვლიანი თვალები ცისკენ,  
ზეცაც ცისფერი მირაჟია, სხვა არაფერი...

თუკი მოწყნის არ არსებობს მართლაც მიზეზი,  
მაშ, სინანულით რას ვიხსენებთ კვლავაც იმ ედემს?  
ჰყრია სიტყვები თევზებივით გამშრალ რიყზე,  
ალარც სურვილებს ამზევებენ, ალარც იმედებს.

დიდი ჯახირით გადავცურე ნაპირი ავი,  
მაინც არარა გამოვიდა ცდით და გაქცევით,  
ღმერთმა შეგვინდოს, რაც აქამდე ვიტყუეთ თავი,  
ღმერთმა გვიშველოს, თუ წყალს ვზიდავთ ახლაც საცერით.

უკან ჩამორჩა ცა ირიბი, მზე აღმაცერი,  
იმედი სულის საკენკია, სხვა არაფერი...



\* \* \*

იქნებ ზაფხული არ ყოფილა და არც მქონია?  
გაზაფხულის ცეცხლს ხელს ვუშვერ და ველარ კი მათბობს,  
ცა მიირწევა უცნაური მელანქოლიით:  
ქარი არა ქრის, ზღვა არ ღელავს, არ წვიმს და არ თოვს.

გარეთ იკარა, სულში მაინც არ გაიდარა,  
ფიქრის მდინარე თეთრი ღრუბლის ფრეგატას ერთვის,  
გედის სიმღერას მერამდენედ კენკავს გიტარა,  
ვერ მოიცალა მერამდენედ უფალმა ჩემთვის...

იღბალი ისევ ფეხს წაიკრავს აისის ახლოს,  
მეწამულ დალაღს ვინ შეწვდება აღმაღალ მზისა,  
ამ მთების იქით, ამბობენ, რომ სიჩუმე სახლობს,  
დღე დღეს არ ჰქვია, ღამეს - ღამე, ცისკარი - ცისკარს.

ხსოვნას შემორჩა ბუნდოვანი დროის პროფილი,  
თითქოს დამქნარი მცენარე ვარ, ყვავილყოფილი.

\* \* \*

ადამ და ევა - ჩვენ ვიყავით უფლის ბავშვები,  
გველმა გვაცდუნა სატანური ღამის ლოცვებით.  
მაინც სადა ხარ, ვის სურვილებს ეთამაშები,  
ან ვის მკლავებში ყლყლაობს თეთრი ბორცვები...

ცა ღრუბელივით გადავიდა წყნის და მდურვის,  
ბედმა დამცადა და უგულო მაინც არა ვარ,  
შავ ბედაურზე დღეს უმზეგებ რომელ ბედუნის,  
ამორძალივით გადაჰკივი გაშლილ ქარავანს...

როგორც ღადარი, ისე კვესავს ძველი იარა  
და სიკვდილამდე ეს ტკივილი აღარ გამოვლის,  
ჩამოიარა, ბევრმა წყალმა ჩამოიარა,  
გაზაფხულს ცრემლი შევატოვე, ზაფხულს - ყვავილი...

შენ რა ბრალი გაქვს, თუ ყველაფერს ღმერთი განაგებს,  
მოდის მიმწუხრი და ღუმილთან მაამხანაგებს...

\* \* \*

მთვარე - ზეცისკენ შესროლილი ვერცხლის საყურე,  
ცა ვარსკვლავებით - დაწინწკლული ტყავი ავაზის,  
წუთისოფელმა კიდევ ერთი დღე გადახაზა,  
ჩვენსკენ მოცურავს სხვა ტივი და გველის სხვა ყურე...

მარტოობისთვის ეს საღამო მართლაც ბრალია,  
მაგრამ სურვილმა უცნაური გზებით იარა,



მკერდს სამუდამოდ შემარჩინა სევდის იარა,  
მთელი სამყარო თითქოს იყოს ოქროს გალია.

რქები დასტება ურა ხარებს, მამალს - დეზები,  
ვინაც გაბედა და ამ ყოფის თქვა საყვედური,  
ხელმოცარული და უიღბლო ვარ მებადური,  
ბებერ მეთევზეს არ სწყალობენ სულაც თევზები.

ბოლავს ნაღველი - სინანულის უტყვი ნიშანი,  
მიდის ცხოვრება, წყალნიც მიდის, მიდის კვიშანი.

\* \* \*

რადგან იმედი არასოდეს მტოვებდა უწინ,  
დღეთა მეგზურად, ღამის მეკვლედ მყავდა არავინ,  
ქურდებისათვის კვლავ ღიაა ჩემი კარავი,  
ოღონდ რაიმე მოიხელოთონ, არა ვარ ძუნწი.

ერთი მონეტაც ვერ შევმატე გაქუცულ ქისას,  
ოცნების კონა - სხვა ქონება არცა მქონია,  
ვერვინ გაიგებს წუთისოფლის სირბილ-ფორიაქს,  
ლეინო გგონია, თურმე ჯამში საწამლავს გისხამს.

საით მიცურავს, აღარ ვუწყი, ზეცა ფიქალი.  
ისე ვბერდები რომ სიხარულს ვერ ვუმასპინძლე,  
ბედნიერებას ვერ შევხსენი გულზე საკინძე,  
ბოლო წუთებში მღალატობდა მუდამ იღბალი.

ის სიყვარული მე რომ ვთესე, სხვებმა გათიბეს,  
უფალი განსჯის, აღვასრულე მცნება ათივე...

\* \* \*

რითაც დაიწყო, ყველაფერი იმით დამთავრდა,  
ნაცნობი ჟინით ძველი წიგნი არ იკითხება,  
ცრუ მოლოდინში ჩაიარა სულის კირთებამ,  
საბედისწერო პაემანი მელის ზამთართან.

ოცნებას ისევ უფლის სახლთან უდგას კარავი,  
ზეცა სურვილებს კვლავაც უხსნის სარკმელ-დარაბას,  
იქნებ არც ღირდა ამდენ ცდად და დავიდარაბად  
წამი, რომელიც არ უხილავს ჭერაც არავის.

მზემ კიდევ ერთხელ გაიკაწრა დაისთან წარბი  
და სისხლი ბლანტი მზის იდუმალ ფერში ერევა,  
მოუხელთებელ ჰორიზონტს ჰგავს ბედნიერება,  
დაფეთებული ქალწულოვით გარბის და გარბის...

ამ გზებით ბევრჯერ ჩაუვლია სევდის ქარავანს,  
რატომ გგონია, იქ კარგია, სადაც არა ვართ?!





## მეზუხრის ნათალი

ლამის თერთმეტი საათი იქნებოდა, ვაჟა ზუგდიდიდან რომ გამოვიდა. თუ ჩქარა ვიარე, სამზე ზესტაფონში ვიქნებო - გაიფიქრა. ორი საათი შეუსვენებლივ იარა. თავი უბრუოდა. მამიდა უფრო ეცოდებოდა თუ კატასტროფის შედეგად დაღუპული მამიდაშვილი, ვერ გაერჩია. ახლაც ყურში უწიოდა ნათესაგების გულსაკლავი მოთქმა. სულიერად დაქანცულს შესვენება მოუხდა. ცოტა თვალს მივლულავო - გაიფიქრა.

მანქანა მოსახვევში გადააყენა. სოფელი იასამნისფერ ბინდში ჩაძირულიყო. გასავათებულმა საზურგეს თავი მიაყრდნო და ჩათვლიმა. ძილ-ღვიძილში მყოფს ჟრჟოლისმომგვრელი კენესა ჩაესმა. შემზარავი ხმა მალე განმეორდა და მერე ირგვლივ მდუმარება გამეფდა. ხომ არ მომეყურაო - გაიფიქრა. თავისთავს არ ენდო, სინათლე ჩართო და მანქანიდან გადმოვიდა. ირგვლივ მიმოიხედა. საექვო არაფერი იყო. შორს გაიხედა და ღელის კიდესთან რაღაც თეთრი დალანდა. მიუახლოვდა. მიწაზე პირჩამოხილი კაცი ეგდო. გადმოაბრუნა. უწვერულვაშო ახალგაზრდა იყო. მაჯა გაუსინჯა. გული მუშაობდა ძალიან სუსტად. მოგრძო ლამაზი სახე ჰქონდა ბიჭს. პერანგზე და უკან სისხლის ნაკვალევი აჩნდა. უღაო იყო ვიღაცას დაეჭრა და აქ დაეტოვებინა. ერთხანს გაჩერდა. არასოდეს შეხვედრია მსგავსი რამ. შეეშინდა. ახლა რომ მოკვდეს, რა ვქნაო - გაიფიქრა. შინაგანად მზად იყო ამ ყმაწვილის გადასარჩენად, თუნდ ბანდიტი ყოფილიყო. პირველ რიგში ადამიანი იყო მისთვის, „ძე ღვთისა“. სასწრაფო გადაწყვეტილება მიიღო. რაიონის საავადმყოფოში ოც წუთში მივალ. თუ განწირული არაა, უშველიანო - გაიფიქრა. ილღიაში ხელები ამოუღო. ადგილიდან ძლივს დაძრა. როგორც იქნა მანქანის უკანა საბარგულზე მოათავსა, საყლო გაუსხნა და მანქანა სასწრაფოდ დაძრა. შორიდან ცხენისწყლის შხუილი ისმოდა. ხიდზე რომ გადავიდა, მანქანა შეაჩერა და ყმაწვილს დახედა. იგი ძალიან ყვითელი მოეჩვენა. ვაჟამ იცოდა, რომ ამ ყმაწვილის მშველელი ამ ქვეყნად არავინ იყო მის მეტი. სიბრალულის გარდა პასუხისმგებლობაც იგრძნო...

საავადმყოფოს კარებს რომ მიადგა, ბრაზუნი ატეხა, - ვინ ხართ მანდ, მოგვეშველეთო - ყვიროდა. თავისივე ხმაზე გააჟრჟოლა, ისეთი სასოწარკვეთილი ხმა ჰქონდა. დარაჯმა ფართოდ გაუღო კარები...

პოლში ბუნების პეიზაჟი ეკიდა; ხშირი, თოვლით დაფარული ტყე. ვაჟასთან თეთრხალათიანი გოგონა მოპაწკუნდა. - სანიტრებს გაჰყვით - უთხრა და როგორც მოპაწკუნდა ისევე წაპაწკუნდა...

- გავსინჯე. მუცელში აქვს დანა ჩარტყმული. საოპერაციოა. თქვენ პატრონი ხართ?

- მე არ ვიცი. დასაფლავებიდან მოვდიოდი და ქუჩაში ვიპოვე.

- საქმეც მაგაშია. ოპერაციის ფულს ვინ გადაიხდის? ეგებ ბანდიტია და საყჩაღოდ



მიდიოდა. საბუთებიც არაფერი აქვს. თან ნარკოტიკის გავლენის ქვეშაა,

- ეგებ კი გამოუჩნდეს მერე პატრონი. ახლა ფულზე ლაპარაკი მკრეხელობაა. სასწრაფოდ უნდა მიეშველოთ.

- ეგებ არანაკლები მკრეხელობაა, ოპერაცია უფულოდ გაკეთდეს. იცით, რა ნერვების დაძაბვაა იმ დროს საჭირო? მე ღირეპტორს დავურეკავ და ამ საკითხს თვითონ გადაწყვეტს. აპარატურა მისი შეძენილია. ჩვენ აქციონერები სიმბოლურად ვართ, ძალიან მცირე თანხით. მე პირადად განყოფილების გამგე ვარ. მთავარი ექიმი ღირეპტორია.

- საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს არა აქვს?

- სახელმწიფოსი ერთი თეთრიც არ არის. გაფორმებულია არენდა გამოსყიდვით და ორ წელში სრული მეპატრონე ჩვენი ღირეპტორი იქნება.

შუალაშე გადასული იყო ღირეპტორი რომ მოვიდა.

- სად ხართ ამდენ ხანს - უყვია ვაჟამ.

- თქვენ ხმას დაუწიეთ. ფული რომ დაგედოთ, განყოფილების გამგე ოპერაციას თვითონ გააკეთებდა. ჩემი ჩარევა ამ საქმეში საჭირო არ იქნებოდა, მაგრამ... ისე რატომ გაქვს ჩამოყალიბებული ასეთი მენტალიტეტი დღეს, ამ გამძაფრებულ კაპიტალიზმის პირობებში, რომ უფასო იყოს მკურნალობა? არც ერთ ქვეყანაში არაა უფასო. ექიმმა შეასრულა სამუშაო, უნდა მიიღოს ანაზღაურება.

- სინდისისა და მორალის ამბები გვერდზე გადავდოთ? - ვერ მოითმინა ვაჟამ.

- არ მაქვს, ბატონო, ეს სინდისი, შემომეხარჯა. არა, ხომ შეიძლებოდა შემომხარჯოდა?!

- ახლა გამოუვალი მდგომარეობაა და მაგის თქმას აზრი არა აქვს.

- რა ჭირს? - განყოფილების გამგეს შეეკითხა.

- ჭრილობა მუცლის არეში. ნარკოტიკის გავლენის ქვეშაა და საბუთი არაფერი აქვს.

- ხედავ? საყაჩაღოდ იქნებოდა წასული და საბუთს ხომ არ წაიღებდა.

ვაჟას შინაგან ფორიაქს ექიმის დამშვიდებული ტონი უფრო აღიზიანებდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ ეს თეთრხალათიანები ყელზე ადგამდნენ ფეხს და ახრჩობდნენ. რაღაც საოცარი სიცხადით შეიგნო, რომ დაკარგა რწმენა ადამიანებზე, რომ ადამიანები მხეცებზე უარესები არიან და ისინი ამას ყოველ ნაბიჯზე ამტკიცებდნენ. მთავარი ექიმი მოქნილ თითებს მაგიდაზე ათამაშებდა. უკვე გაუსაძლისი იყო ამ უგულო კაცზე ცქერა. იგი იმ ურჩხულად ეჩვენებოდა, ირგვლივ ყველაფერს რომ ნათქვამს. მედიდურობით სახელამშვენებული ჭოტის გაცივებული და ქუთუთოებზემუშუბებული თვალებით, იცქირებოდა იგი, შეეზიზღა მედიცინის ქურუმი. ფოტოფირივით მელანდებოდა დაუნდობელი სახე კაცისა. ზნეობრივი გმირობა ყველას ხვედრი ვერ იქნება, მაგრამ თუ ექიმი ზნეობრივად სუფთა არაა, მაშინ თავში საცემად გვექონია საქმეო - ფიქრობდა ვაჟა. ეტყობოდა სიწმინდის წუთები ამ ექიმისათვის არ არსებობდა. ცხოვრების ორომტრიალს ადევნებული ფულით ზომავდა ირგვლივ ყოველივეს. ადამიანური ღირსება სადღაც შორს გაფრენილიყო ამ ქუთუთოებდაბერილ ექიმიდან, ძალიან შორს. სულიერი სამყარო რაღაცას ან ვიღაცას გაეჩანაგებია მისთვის. თითქოს შორიდან შემზარავი ზარები რეკდა. ვინ იცის რამდენ უხამსობაზე ჩავიქნიეთ ერთხელ ხელი, რამდენ მანკიერებაზე. შედეგად ძალიან მალე მოვიმკეთ. ამოიყარა მანკიერების ყლორტები და მისი ამოძირკვა აწი ჩვენი უნიათობით არ



შეგვიძლია.

- ახლა ზოგიერთები ფეშენებელურ სასტუმროებში სხედან ლამაზმანებით გარშემორტყმული და გრიალებენ. მე იცი რატომ ვარ აქ? ფულისათვის. არავის სიყვარულისთვის არა ვარ აქ.

- საცოდავი კაცი ხარ შენ, ექიმო. ვინმეს კარგი რომ გაუყეთო არ გყოფნის ამისათვის კაცობა. როგორ გაგძარცვა ისე ცხოვრებამ, რომ ყველაფერი კარგი წაგართვა.

ვაჟა სიბრაზისაგან თავს ვერ იკავებდა. ახლა ამას დავახრჩობ - გაიფიქრა.

- ეს ქვაზე დადებული მადლი იქნება ექიმო. ვინ იცის როდის დაჭრეს. ახლა შვილზე ღამდება. სისხლი არ მოეწამლოს...

- ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...

- გაჩერდი. შენ არ გაქვს უფლება ეს წმინდა სიტყვები წარმოთქვა. ქართველთა გაუტეხელი სულია მაგ ლექსში ჩაქსოვილი. ყველაფერს რომ იკადრებ ფულის საშოვნელად, როცა სხვები შიმშილობენ, სიცოცხლით ტკბობა არ გელირსება იცოდ. შენ ცხოვრებამ გაგძარცვა და გაგიხუნა გრძნობები. მიგიყვანა ამ ზომამდე. ხედავ ცაზე მთვარე რომ გაბატონებულა? იგი ყველასათვის ანათებს. ეგებ ბუნებისაგანაც ვისწავლოთ ცოტა რამე.

- მე სწავლა არ მაკლია. მოსკოვში ყველაზე პრესტიჟული სამედიცინო ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული. მერე ორდინატურა და... ერთი გამაგებინე შენ... იმან შეურაცხგო, რომ ფული მოვითხოვე? რაში ხედავ უკანონობას?

- უკანონობას არა და უზნეობას ვხედავ. თუ ფული არა აქვს, მაშინ მოკვდეს?

- ეს შენს დემოკრატიულ მთავრობას ჰკითხე. რატომ არ უდგას საავადმყოფოში თითო უფასო საწოლი გაჭირვებულთათვის და არ აფინანსებს. შეხედეთ ზევით რა ამაყად არიან, თითქოს ეზოებში ნავთის ჭაბურღილები ჰქონდეთ. მათ მოთხოვე, მე ნუ მოთხოვ... საირმის გორაზე რომ სასახლეები წამოჭიმეს, მე ჯერ კიდევ მამაჩემის აშენებულ სახლში ვცხოვრობ.

- რა გქნათ მაშინ თუ ქვეყანას უჭირს და უფასო საავადმყოფო არა აქვს?

- ქვეყანას კი არ უჭირს, ზოგიერთებს უჭირს ტვინში. მოაქვამამდე ასეა. აწი ენახოთ რა იქნება. ნათელმზილველი არა ვარ, მაგრამ ასე მგონია ამათ ხელში ეგებ უარესიც იქნეს. ხალხი დაიღალა ლოდინში. მე დღეს ჩემი მაქვს და არავის მოიმედ არა ვარ.

- ნუთუ არ გესმის ექიმო, რა უმძიმეს და ურთულეს მდგომარეობაში ვართ.

უნივერსიტეტის დოცენტმა თავი ჩამოიხრჩო, მამის დასაფლავებაზე აღებული ვალი ვერ გაისტუმრა და იმიტომ. ბინიდან აგდებდნენ და ორი შვილის დედამ თავი მოიკლა. აკადემიკოსი მეტროს ამოსასვლელთან წინდებს ყიდის... ახლა უნდა დავდგეთ ერთმანეთის გვერდით შეჭირვების ჟამს. ახლა უნდა ვცეთ ზნეობას ყველაზე მეტი პატივი.

- ცხოვრება ყოველთვის მორალურ სენტენციებს ვერ დაემორჩილება.

- ზნეობა?

- იგი ზედნაშენია ცხოვრების.

- ჩვენი ერის ძალა არასოდეს ყოფილა სიმდიდრე. იგი მუდამ მორალურ დოგმებზე დაყრდნობით ცხოვრობდა. ამიტომ იწოდებოდა ზნემაღალ ერად.

- ეს ზნეობა მე უფრო ისტორიული სევდა მგონია.



- დღეს გამდიდრებული ადამიანიც არა?

- სიმდიდრე არაა ცული.

- მთავარია როგორ გამდიდრდი. ეგებ გაჭირვებული რომ ყიდდა ოცდახუთდოლარიან ვაუჩერში 5 ლარი გადაუხადე: მერე ნულოვანი განაკვეთით აქციონერების ქონება შეიძინე. ან სესხები გაიტანე და უკან არ დაბრუნე. უფრო მეტი, ბიზნესი აწარმოე და გადასახადების დამალვა ქრთამით მოახერხე... ღმერთს მაღლობა, რომ ადამიანებს მდიდრების მიმართ სიძულვილის გრძნობა გააჩნიათ, რადგან იციან რომ ფუფუნება პატიოსნების გზით არ მოდის. ყველა ადამიანს უნდა ესმოდეს, მთავარი ისაა, რა სახელს დატოვებ სააქაოში.

- გაგონილი მაქვს მე მაგ და მაგ აზრისა ვარ სხვათაშორის, მაგრამ სიტყვიერი თანადგომა არ კმარა ადამიანის დასაპყრებლად. ყველა ადამიანის განცდა რომ გულთან მივიტანო, მაშინ ჩემი ცოლ-შვილი უნდა ვაშიშვილო. მასე შენსავით ერთ დროს მეც ბევრი მიტირია სხვისთვის, მაგრამ რომ შეგხედე, ის სხვა მხოლოდ თავის სატირალზე ტიროდა და ჩემი არ აჯაგრებდა, თავი დავანებე სხვის სატირალზე ტირილს, რადგან სატირალი საკუთარიც თავზე საყრელი მქონდა.

- თუ ასე ვიარეთ, ქვეყანა არ დალაგდება.

- ჩვენ ქვეყნის დალაგებას არავინ გვთხოვს. პატარა რომ ვიყავი და ყაყჩოებით გადაპენტილ ველზე თხებს ვაბლახებდი, ქვეყანა ჩემი მეგონა. მერე იმ ყაყჩოებით გადაპენტილ ველს პატრონი გამოუჩნდა და ჩემი თხებიანად იქიდან რომ გამომავდო, მივხვდი ჩემი და შენი ისე დაშორებული ყოფილან ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა. მეტსაც გეტყვი, ოცი წლის წინ ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ვიყავი ექსკურსიაზე. აბრეშუმის ქარხანა დაგვათვალერებინეს. უზარმაზარ თოფებად ეწყო სხვადასხვა ფერის ნაჭრები. მეპატრონემ ერთი თოფიდან ნახევარი მეტრი გადაჭრა და ექსკურსიის მძღოლს აჩუქა. გამიკვირდა. მერე მივხვდი, ის მეპატრონე რატომ იყო მილიონერი.

ტორშერის მკრთალი შუქი ექიმს სახეზე ეცემოდა. იგი აუღელვებლად ლაპარაკობდა.

- ექიმო, არ მინდა მე მაგ ზღაპრები. შენი მიზეზით ის ბიჭი დაიღუპება და დაგიდგება შენ მერე მონანიების წამი. უსაზღვრო იქნება შენი მწუხარება, ისევე უსაზღვრო, როგორიც სამყაროა. დიდიან განგების ძალა. იგი მოგაგებს ღირსეულს სასჯელს.

- რისთვის?

- იმ ცოდვისთვის, რასაც დღეს ჩადიხარ. დაგირეკეს და საათნახევრის მერე მოდი. შენ ამით შენი სული გასწირე ჯოჯოხეთში მოსახვედრად. არ აგცდება იცოდე ტანჯვა და კირთება.

- ნუ მაშინებ. მე ამქვეყნიური ცხოვრებით ვცხოვრობ და მის აქეთ ჩემთვის არაფერი არ არსებობს. უფრო სწორად - არ მწამს.

- ნუ იტყვი მაგას, ნუ დაიმძიმებ სულს.

- თავად ვინ ხარ შენ, სამართალს რომ აწესებ. ქრისტე ღმერთი თუ მწუხრის ნათელი? მაშინ ხეებზე ჩამოაკონწილეს ისინი, ვინაც ეს ქვეყანა შეიტყმლისკვერეს. ჩემთან რა გინდა. მე მამაპაპისეული ვენახი გამიყდიდა და ეს აპარატურა იმით შემოიძენია. რა გქნა, თანხა არ ამოვიღო?

- დღეს სატანაა გამეფებული ქვეყანაზე. შენს გულსაც სატანა დაპატრონებია და



იმიტომ ზელს ცოდვის ცომს. იმაზე არ ფიქრობ, მეორე სამყაროში მოხვედრისას რომ განგიკითხავენ. თუ თქვენი სამშენიელის სიღრმეში ჩაიხედავთ იქ კაცთმოძულების ფესვებს იპოვით და თავი შეგძულდებათ, შეგეზიზღებათ. მე ამ მიმწუხრის ჟამს არც ქრისტე ღმერთი ვარ და არც ნათელის მომტანი. რიგითი ადამიანი ვარ, რომელსაც ადამიანების სიყვარული შემიძლია. ჩემგან შორსაა სიძულვილი. ამჟამად ფული არც ჯიბეში მაქვს და არც ოჯახში, მაგრამ რაღაცას მოვახერხებ. ვისესხებ, დავივალებ... ან არა და ბავშვებიან ოჯახში ერთი მეწველი ძროხა მყავს და იმას შენს ბოგაზე დაგაბამ...


გარეთ ვარსკვლავებით მოჭედული ცა ღუშდა. ღუშდა ექიმიც, რომლის ღუშმილიც ექთანის სასოწარკვეთილმა ხმამ დაარღვია.

- ის ბიჭი მოკვდა, დათიკო ექიმო...

... ექიმი გიჟივით წამოვარდა. სულ მალე პალატიდან მისი თავგანწირული გმინვა მოისმა: - მიშველეთ... მომკალით... მე მომკალით... ჩემი შვილი ყოფილა თურმე. ძე ხორციელი თუ იქნება ჩემი შემბრალე ახლა... ვაიმე შვილო...

\* \* \*

ვაჟა გასვენებაზე ჩამოვიდა. დავითი ცოცხალ-მკვდარი დახვდა. - შენც მოდი ხომ? იღრიალა ვაჟას დანახვისას. შენ მეხვეწებოდი ჩემი შვილის გადარჩენას. ვაჟაკი არა ხარ? მომკალი... მომკალი... გამათავე ამ აუტანელი ტანჯვისაგან. მაშინვე რომ მენახა, ღღეს ხომ ცოცხალი მეყოლებოდა. ვაჟას წამწამებზე საცოდაობის ცრემლი ციმციმებდა.






ბორის მეტრეველი

## ვით დიდი განძი

აბუსერისძე ტბელს



სიკეთე ზომავს ჟამთასვლის მანძილს,  
მის არსებობას არ აქვს საზღვარი  
დღეს სამზეოზე, ვით დიდი განძი,  
გაბრწყინდა შენი ნამოღვაწარი!

შენს ხელნაწერებს დაუდგა დარი,  
თითქოს ზეციდან ჩურჩული გვესმის.  
ხიხანის ციხის ზეთაზე მდგარი  
ჭოგრიტით ჭკრეტლი მამულის მერმის.

ბედთან ჭიდილში იყავ გულადი,  
თუმც ვერ ამჩნევდა შენს ნიჭს ვერავინ.  
შთამომავლობის ბედზე ზრუნავდი  
მეცნიერი და დიდი მწერალი!

გაბრწყინდა, როგორც ნისლში მარიხი,  
შენი გონება დიდი, მზისდარი.  
თუმც ჭონებრივად იყავ ღარიბი,  
გონებრივად კი ძალზე მდიდარი!

სიამის ცრემლი და ოფლი ღვარე,  
ქვეყნად დატოვე ნათელი კვალი.  
ალბათ შენ მთვარის იქითა მხარეს  
ხედავდი დიდი გონების თვალით.

ასე მგონია, კვლავ ეტრფი საქმეს,  
შენს წინ ზესკნელი უხმოდ ზანზარებს,  
ციხის ბანიდან ჭოგრიტით გასცქერ  
სამყაროს ნისლში მბრწყინავ კვაზარებს.

სიკეთე ზომავს ჟამთასვლის მანძილს,  
მის არსებობას არ აქვს საზღვარი,  
დღეს სამზეოზე, ვით დიდი განძი,  
გაბრწყინდა შენი ნამოღვაწარი!





## დედა

თუმცა მგზავრობით ვარ დაქანცული,  
სიამით ვუცქერ დეულს და მთა-ხეფს  
და გახსენება ჩემი წარსულის  
მოგონებების ბურუსში გამხვევს.

ოცნების კიბე ცაში მაღლდება,  
თითქოს ჩემს სოფელს სიზმარში ვხედავ.  
ანგელოზივით თვალწინ დადგება  
თორმეტი შვილის გამზრდელი დედა.

მისი ცხოვრება ჰგავს ლამაზ ზღაპარს,  
მისი სახება - წარმტაც ოცნებას.  
მეგონა, იმის ეზოს და სახლ-კარს  
ღმერთის ღიმილი ასხივოსნებდა.

ვერ უქარწყლებდა იმედს და რწმენას  
ბევრი წამება და ცოტა ლბენა.  
მაისის ცინცხალ დილის მზესავით  
ელფერს მატებდა ბოსტანს და ვენახს.

დამშვენებული შრომის ხალისით,  
გამორჩეული, როგორც მაისი,  
ყოველი მკვდარის ჭირისუფალი,  
ჯეღა ქორწილის დიასახლისი.

არ ექცეოდა თავხედს თავხედად,  
ის მოქმედებდა დინჯად და ცოცხლად.  
მის წარსულს - ას წელს მწყრალად გახედა,  
ეთხოვებოდა სამზეოს როცა.

მე ზღაპარივით მახსოვს მის სახლში  
ციკვა-სიმღერა და ქორწილები,  
დღეს საქართველოს ყოველ კუთხეში  
იღვწიან მისი შვილიშვილები.

ოცნების კიბე ცაში მაღლდება,  
თითქოს ჩემს სოფელს სიზმარში ვხედავ.  
ანგელოზივით თვალწინ მიდგება  
თორმეტი შვილის გამზრდელი დედა.



\* \* \*

ძლივს ვუშვლავდები შიმშილს და სიკვდილს,  
ქვეყნად ქაოსი ისევ მძვინვარებს,  
ჩვენი ცხოვრება ჩაქაჩით მიდის,  
როგორც ბინძური, მღვრიე მდინარე.

გაღმა-გამოღმა ტყეებს, ხილნარებს  
ნისლივით აწევს თოფების კვამლი.  
ვით დაიწმინდოს მღვრიე მდინარე,  
სათავეში რომ იმღვრება წყალი?

\* \* \*

აქ მარტო მოველ, შენ კი სადა ხარ?  
წამწამს მისველებს ცრემლის შხეფები.  
შენ გაფრენილხარ ცხრა მთის გადაღმა  
და დაკარგვია სოფელს ელფერი.

როგორ გვიყვარდა ტყიან ფერდობის  
ცისფერი მოლი, ტევრები გრილი...  
ილიმბოდი და ბრწყინდებოდი,  
ვით ბროწეულის ყვავილი დილით.

ბინდი შთანთქავდა მზისფერის ცისფერს  
და ჯახუნობდა ბნელში ურდული,  
თან იგრძელებდა ვიღაცა კისერს,  
რომ გაეგონა ჩვენი ჩურჩული.

გული აღარ ცემს ძველი სიამით,  
მწვავს მოგონება მწვავე და ტკბილი.  
თმებზე მეხება სულ სხვა ნიაფი,  
შენს ნაცვლად გვერდზე მომყვება ჩრდილი.

## ზაფხული

მე მიყვარს ცხელი ზაფხული და დაყურსული ბაღნარი,  
ჩქერში ანკესის ჩაშვება, ანკესზე თევზის ზვართქალი.

ცაში მერცხლების ნავარდი, მოლზე ცვარ-ნამის ციმციმი,  
კრელი ხალხით და მზის შუქით დამშვენებული ზღვისპირი.



ბულვარის სიო ფრთალადი, ჩრდილში ქალ-ვაჟის ჩურჩული,  
ტყეში შაშვების ჭახჭახი და მოლალურის ჟღერტული.

დასეირნობენ ბიჭები, ხარიერემივით ლაღები.  
ეზოებს ამკობს დილის მზე და ჟრიაშული ბაღლების.

და მწვანე კონცხის ლამაზ მთებს აბრწყინებს დილა მზიანი,  
დაფნიფილუმს და ცხენისწყალს ასხია ბროლის შეფეფი.

შევხარი ტყეებს მოლისფერს, იხარონ ხეთა ფესვებმა.  
ზაფხული ბოლოს მოიქნევს და გული სევდით მეფსება.

## ლიმილი

ქუჩაში მიმავალს როდესაც გიცქერი,  
ვარ შეუმჩნეველი მე შენი ჩრდილივით.  
როგორ გიციმციმებს თვალები ცისფერი,  
ნაზ სახეს გიმშვენებს ლამაზი ღიმილი.

მინდა სულ გიცქირო მხიარულს, მღიმარეს,  
შენ ალბათ მოწყენაც გიხდება.  
მე შენი ღიმილი გულს ისე მიხარებს,  
ვით ჩიტებს აპრილში მზის ამობრწყინება.

ლამით ჩემს ფიქრებში ბრწყინავ, ვით კანდელი,  
შუქს ვხედავ შენს ლამაზ თვალთაგან დაკვესილს.  
სული სპეტაკი და მზესავით ნათელი  
მოსჩანს შენს ღიმილში, ვით სახე - სარკეში.

და როცა მე ზანტად ეზოში გავდივარ,  
ან მოვალ დაღლილი ბაღჩაში ჩაღიჩით,  
ამ დროს გამიღიმებ მაისის ვარდივით  
და გულში იღვიძებს სიცოცხლის ხალისი.

როს შენი გაჩენით წვალობდა მშობელი,  
გადმოუხედიო ზეციდან მაღალ ღმერთს.  
რატომღაც მგონია, დრო დაუნდობელი  
ვერ გაგიმეტებს და ელფერს ვერ წაგართმევს!





ქუჩუნა შანიძე

## იზის მთვარე

ცვარედნი

\* \* \*

მე ისევ ჩემად ვლოცულობ შენთვის,  
შენ გელიმება - „უმწეო ქალი!“  
შეხე - ლურჯთვალა პატარა იას  
გაზაფხულის ცა ამოჰყავს პეშვით!

\* \* \*

ალარც ვინ!.. ჯვარცმის შავი ღამეა...  
ხელს ისუფთავებს ურცხვად ჯალათი!..  
შორია გზები - დაღლილ უფალთან,  
იების კონა მიმაჰქვს კალათით!

\* \* \*

ნულარ შეჰფიცავ!.. ამღვრეულ ჭიქას...  
რომ საქართველო!.. ისედაც ვიცი!..  
ალარ მწამს ფიცი! - კარგა ხანია  
ალარ ვესწრები ყალბ მასკარადებს!

\* \* \*

რა იღუმალი ეპოვე სავანე!..  
უცხო ნათელი მოენტო თვალებს!..  
შეხე - ბრწყინვალეებს ზეცის თავანი -  
თვალეციმიკიმა იების მთვარე!

\* \* \*

მე იქაც... იქაც ავახელ თვალებს!..  
როგორ? ბნელაში... უხმოდ... უჩუმრად?!  
ააშრილებს სამარის კარებს -  
ჩემი სიცოცხლის იაჟუჟუნა!

\* \* \*

ნუ გეშინია!..  
გზაარეულ მბორგავ სამყაროს  
სიცხიან შუბლზე დავაფინე  
იის ფოთოლი!



\* \* \*

სენიპიკე გენსენ

ამოვუკოცნე იაიებს  
 ლურჯი თვალები, -  
 ცოდვილ ბაგეებს  
 მონატრა უმანკობა!

\* \* \*

კვირტობის ღამეს,  
 მოღალანე კვირტობის ღამეს, ინ  
 დავტოვებ სხეულს  
 და ყვავილთა მსუბუქი ფრთებით  
 გავყვები მარტის  
 თავნება ქარებს!

\* \* \*

რადას უშველი ჩემს გაორებას,  
 დიდი ხანია გადავსახლდი  
 სამყაროს მიღმა,  
 სადაც ყოველი იისფერია  
 და ვხედავ მხოლოდ  
 იის თვალებით!

\* \* \*

უკანასკნელად შევიშლები  
 კვირტობის ღამეს,  
 შემომენტება ყვავილობის  
 ველური ჟინი  
 და როგორც კვირტი  
 მზის სხივების პირველ კოცნაზე,  
 გასკდება გული!  
 გაიშლება უცხო ყვავილად...  
 რომელსაც, ალბათ,  
 დავარქმევდი მირკანის სევდას!

\* \* \*

ციცქნაა ია,  
 ბუჩქის ძირას თვალმინაბული,  
 რომ მუხლმოდრეკით მიეახლო  
 მშვენიერებას!

\* \* \*

ჯვარზე გააკრეს!..  
 ზარზემით სცემდა ნაღარას,





ბრბო - მოდაფდაფე  
სიყვარულის გარდაცვალებით!..  
ჰოი, სიბრიყვე,  
ცარიელი შეგრჩა სამარე!..  
ის ცად ბრწყინვალეbs  
მოციმციმე იის თვალებით!

\* \* \*

იის თვალებზე ცრემლი მთოვარის,  
ციცქნა მსტოვარი,  
ციმციმებს, ელავს!  
ციმციმებს, ელავს!..  
და სატრფოს ელის!..  
ამოვა მწველი!..  
ვინ გაუბედა სიყვარულს წყველა!

\* \* \*

რალა პოეტი!..  
ნეტა მხატვარი!..  
მშურდა ყოველთვის  
სალუადორ დალის!..  
დაგიხატავდი მე შავ ურჩხულს...  
შენ თეთრი რაშით  
მოფრინდებოდი მზის დასახსნელად!..  
ჰოი, საბრალო გულუბრყვილობავ...  
რატომ მეგონე თეთრი გიორგი!

\* \* \*

თეთრი ოთახის იისფერ ნისლით  
და შავი თმების შავი ქარიშხლით  
გაბრუებული სუნთქავს ბალიში,  
როგორც მოცარტის ჰანგით კლავიში!

\* \* \*

მე გაფრინდები გამთენიისას  
და ჩემი თეთრად ნაქარგი ფრთები  
შერჩება ღამეს, როგორც ჩემს ბალიშს,  
სოველი თმების თბილი სურნელი!..  
რომელიც მერე,  
უჩემობის იმ პირველ ღამეს  
უნდა ასრუტონ შენმა თითებმა!



\* \* \*

ამალამ სიზმრებს მოგენატრებით,  
 უცხოდ მორთავენ სიზმრების ქალაქს,  
 აშრილდება მთვარის ფარდები,  
 ბინდი შემოსავს არესის ქალაქს...  
 ამალამ მოვლენ შავი ლანდები,  
 სად ხარ? - სიზმარშიც დამეკარგები...  
 ქარი დაანგრევს ამალამ ქალაქს!

\* \* \*

ახლა სინანულს მიეახლა ჩემი ასაკი...  
 მხოლოდ შავ-თეთრი კონტურებით  
 წარსულის კადრი  
 და შებრალების წვეთი არც ერთი!  
 ნეტავ არასდროს!..  
 ნეტავ არც ერთხელ!..

\* \* \*

ნეტავ...  
 ო, არა!..  
 კიდევ კარგი, რომ სწორედ ამგვარად  
 არ ვფიქრობდი ოცი წლის წინათ!

\* \* \*

საით, ჰე, ადამ, საით, კარგო, გაგიხარია,  
 გადაურბინე მინდვრებს ქურციკთა  
 წყლიან თვალებით,  
 იქ ნაცრისფერი მღუმარების  
 ცივი ქარია,  
 იქ სიყვარულის დაშრეტილან  
 წყაროსთვალები!  
 აღარ შრიალებს  
 არც ერთი ხე!..  
 აღარც ერთი ხე!..  
 რაღა სამოთხე!..  
 რაღა ვაშლი!..  
 რაღა ცდუნება!..

\* \* \*

ვარდისფერ ბაგეს გახსნის ბაბილო  
 გაზაფხულისას,  
 შემოენთება როცა ცეცხლი  
 სიყვარულისა,



ვით უძველესი ხსოვნა ბაბილონს  
და ლურჯი ზეცის იდუმალება!..  
მე ვმალავ თვალებს,  
მე ვხუჭავ თვალებს,  
მაგრამ რა გითხრეს  
იის თვალებმა?!

\* \* \*

შენ, დედის ცრემლის თილისმავ,  
თვალცრემლციმიცომა იაო,  
ლექსიც ცრემლია სულისა...  
თვალზე უნებურ მდიანო!  
შევკარ ცრემლმცინარ კონებად!..  
ნალღელი განქარდიანო!..  
ციტმსწრაფი!..  
ცისფერთოლება!..  
ცისკენ ლოცვებად დიანო!..  
ნეტავი სულის ცრემლზედაც  
იანი აყვავდიანო!

\* \* \*

იის ფოთლების სათუთ ბაგეს ვანდე სტრიქონი,  
ვით სტრიქონი თეთრი სულისა,  
ვით თბილი სუნთქვა გაზაფხულისა  
და ჩემი ლექსის იდუმალება  
მოგქარგე იის ლურჯი თვალებით!

\* \* \*

და მუდამ ასე,  
და მუდამ ასე,  
გათენებამდის ვარ ლოცვით სავეს!..  
გათენებამდის ბრწყინავენ ასე:  
მთები - ვითარცა სპილოს ეშვები!  
მთვარე - გამდნარი იის პეშვებში  
და მონატრების  
მზისფერი ცრემლი!



# თარგმანი

ოსაბელ ალიენდე

## გულს ნუ შეხეხავი...

ამადეო პერალტა მამის გარემოცვაში იზრდებოდა, და რა თქმა უნდა, ოჯახის სხვა წევრების მსგავსად, ბოლოს ისიც მკვლელი გახდა.

- სწავლა ქალაქუნების საქმეა, ცხოვრებაში დედალი არ უნდა იყო და ყოჩობითა და ეშმაკობით საწადელს მიაღწევ. ასე მოძღვრავდა შვილებს მამა. შვილებიც „აღმზრდელის“ დარიგების კვალდაკვალ უბირები და უხეშები გაიზარდნენ. მოგვიანებით მამა თანდათანობით მიხვდა, რომ ქვეყნიერება ძალზე სწრაფად იცვლებოდა და მისმა კომერციულმა საქმიანობამ საყრდენად უფრო მყარი ბაზების არსებობა მოითხოვა. აღვირახსნილი ძარცვა-გლეჯა კორუპციითა და მალული მზაკვრობით იცვლებოდა, ქონების დაგროვების დრო დამდგარიყო. მას უნდოდა ქონება თანამედროვე გაგებით ემართა და გაეუმჯობესებინა მართვის ფორმები.

ერთ დღეს მამამ შეკრიბა თავისი ვაჟები, რომელთაც დაავალა გავლენიან პირებთან ემეგობრათ და კანონიერი საქმიანობისათვის მოეკიდათ ხელი. ამ გავლენიანი მეგობრების დახმარებით მათ ქონებას საფრთხე ასცდებოდა და საცოლეების მოძებნაც ურჩია რეგიონის ყველაზე უფრო ძველ გვარებს შორის; იქნებ ამ გზით ჩამოერეცხა პერალტას გვარს უამრავი ტალახი და სისხლი. იმ დროისათვის 52 წლის ამადეო ხშირად აუპატიურებდა და შემდეგ ტოვებდა ქალიშვილებს. ცოლის შერთვის აზრი მაინცდამაინც არ მოსწონდა მას, მაგრამ მამის ბრძანებას წინ ვერ აღუდგა. ამადეომ გადაწყვიტა ერთი მდიდარი მემამულის ქალიშვილისათვის ეთხოვა ხელი, რომელთა გვარის ექვსი თაობა ტრადიციულად სახლობდა იმ ადგილებში. პრედენტენტის შელახული სახელის მიუხედავად ქალიშვილმა მისი წინადადება მიიღო, რადგან გარეგნობა დიდად ხელს არ უწყობდა, ამიტომაც შინაბერად დარჩენილს დიდი შანსი ჰქონდა. ქორწინებამდელი პერიოდი ერთობ მოსაწყენი შეიქმნა ამადეოსათვის თეთრ ტილოს კოსტუმში და გაპრიალებულ ფეხსაცმელებში გამოწყობილი საქმრო ყოველდღე ნახულობდა თავის საცოლეს. მომავალი სიღედრის ან სიღედრის რომელიმე დის საზოგადოებაში უზნებოდა ყოფნა ამადეოს, სანამ ქალიშვილი ყავითა და გუაიაბას ნამცხვრით უმასპინძლებოდა თავის საქმროს, გაბეზრებული ამადეო წამდაუწუმ საათს უყურებდა და გამოსამშვიდობებლად ხელსაყრელ დროს ეძებდა.

ქორწილამდე რამდენიმე კვირით ადრე, ამადეო პერალტას პროვინციაში საქმიანი მოგზაურობა მოუწია. ასე მოხვდა ის აგუა სანტაში. ამ ადგილას არასოდეს არავინ ჩერდებოდა და მგზავრებს თითქმის არ ახსოვდათ მისი სახელი. სიესტის დრო იყო, მიდიოდა პერალტა ჩაქაობებულ ქუჩაზე და თავბედს იწყევლიდა; სიცხითა და მანგოს მურაბის მოტკბო სუნით გაჟღენთილი ჰაერი სულს უხუთავდა. უცებ ქვებზე მოჩუჩჩუხე ნაკადულოვით წკრიალა ხმა შემოესმა, რომელიც ერთი ღარიბული სახლიდან მოისმოდა, იმ სახლს ყველა დანარჩენი სახლების მსგავსად, მზისა და წვიმისაგან იყო დამსკდარი და ჩამოქერცლილი. ღობის იქითა მხარეს, მუქი ფერის ქვით მოპირკეთებული



მისასვლელი და შეთეთრებული კედლების სიღრმეში საოცარი სურათი დაინახა. გოგონა ფეხებმოკეცილი იჯდა მიწაზე და მუხლებზე ღია ფერის ხის ბარბით ედო. ამადეო შედგა და ცქერა დაუწყო.

- გოგონა, მოდი აქ, - დაუძახა ბოლოს. გოგონამ თავი ასწია, და მანძილის მიუხედავად, ამადეომ მის ჯერ კიდევ ბავშვურ სახეზე გაოცებული თვალები და გაუბედავი ღიმილი გაარჩია, - მოდი ჩემთან - კატეგორიული ტონით უბრძანა ამადეომ.

გოგონა შეეყოყმანდა. პერალტამ ხელახლა დაუძახა. გოგონა წამოდგა და ამადეოს მიუახლოვდა. ამადეომ ღობის იქით ხელი გადაჰყო, საკეტი გამოხსნა, კარები გაღო, გოგონას ხელი მოჰკიდა და არმოიკრა დაუწყო. ეფიცებოდა გოგონას რომ ის სიზმრებში ჰყავდა ნანახი, რომ მას მთელი სიცოცხლე ეძებდა და მის გაშვებას აღარ აპირებდა და რომ ის მისი ოცნების ქალი იყო. გულუბრყვილო გოგონამ ვერ გაიგო ამ სიტყვების შინაარსი, თუმცა მამაკაცის ხმის ტონმა მოხიბლა და შეაცდინა. ორტენსიას ის იყო 15 წელი შესრულებოდა და მთელი მისი სხეული უკვე მზად იყო პირველი ალერსის მისაღებად, თუმცა მან არ იცოდა რა სახელი დაერქვა იმ სურვილისა და თრთოლვისათვის, მას რომ დაეუფლა.

ამადეომ ისე ადვილად მიიყვანა გოგონა მანქანამდე და შემდეგ ასევე ადვილად გააქანა მინდვრისაკენ, რომ ერთი საათის შემდეგ უკვე აღარც კი ახსოვდა რაც მოხდა. მაშინაც კი ვერ გაიხსენა, როდესაც ერთი კვირის შემდეგ, ის გოგონა უცბად გამოეცხადა სახლში, სიყვარულით ანთებულ ორტენსიას 140 კმ გაველო, ტანზე ყვითელი ბამბის ქსოვილის კაბა და ფეხზე ბრეზენტის ქალამნები ეცვა; მკვლავქვეშ თავისი ბარბით ამოედო.

47 წლის შემდეგ, როდესაც ორტენსია იმ ხაროდან გამოიხსნეს, სადაც იმ ხნის მანძილზე იყო გამოკეტილი, მას არც თავისი სახელი ახსოვდა და არც ის თუ როგორ მოხვდა იქ. ქურნალისტები ყველა მხრიდან მოაწყდნენ მას და სურათებს უღებდნენ.

- რატომ გყავდათ ქალი ასე მხეცივით გამოკეტილი? - მისცვივდნენ ამადეო პერალტას კორესპონდენტები.

- იმიტომ, რომ ასე მინდოდა, - წყნარად მიუგო მან. იმ დროისათვის პერალტა უკვე ოთხმოცი წლისა იყო, მაგრამ ადრინდებულად კარგად გამოიყურებოდა. მას ვერ გაეგო დიდი ხნის წინათ მომხდარი ასეთი დაგვიანებული აურზაურის ატეხვის მიზეზი. ახსნა-განმარტებების მიცემას არ აპირებდა უხუცესი, დიდი ბაბუა ამადეო ავტორიტეტული კაცი იყო, თვალებში შეხედვას ვერავინ უბედავდა, მღვდლებიც კი თავდახრილები ესალმებოდნენ. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრე გაზარდა, დაეპატრონა ყველა მიწას ესპანური ციხე-სიმაგრედან დაწყებული შტატის საზღვრამდე; პოლიტიკურ კარიერას მიჰყვა და მალე იმ რეგიონის ყველაზე უფრო მსხვილი მიწათმფლობელი გახდა. ცოლად შეირთო მემამულის უსახური ქალიშვილი, რომელთანაც 9 კანონიერი შვილი შეეძინა, სხვა ქალებთან კი დაუზუსტებელი რაოდენობის უკანონო ბავშვები ჰყავდა. ამადეოს სიყვარულისთვის ზეიბარ გულს არცერთი იმათგანი არ ახსოვდა. ერთადერთი ქალი, რომელიც მთლიანად ვერ მოიშორა, ორტენსია იყო, მის სინდისზე კომპარივით რომ იყო მიკრული. მინდორში, ბალახებში მასთან გატარებული მცირე დროის შემდეგ პერალტა სახლში დაბრუნდა და ღირსეული ოჯახის წარმომადგენელ თავის უშნო



საცოლეს და სამუშაოს მიუბრუნდა.

ორტენსიამ თვითონ მოძებნა ამაღეო. წინ გადაუდგა მას და ჩამოებლაუჭა პერანგზე და მონური მორჩილებით დაუწყო თვალბეჭეში ცქერა.

- რა ხათბალაში გავები, გაიფიქრა ამაღეომ. ზარ-ზეიმით ცოლის შერთვას ვაპირებ, ეს სულელი გოგო კი გზაზე მელობება. მისი მოშორება სცადა, მაგრამ ყვითელ კაბიანი გოგონას მავდრებელ თვალბეჭის შემყურემ იფიქრა, რეგვენი ვიქნები თუ ამ შემთხვევით არ ვისარგებლებ და ღროებით მისი დამალვა გადაწყვიტა. ასე მოხვდა ორტენსია პერალტების შაქრის ძველი ქარხნის სარდაფში, სადაც შემდგომ, მთელი თავისი სიცოცხლის გატარება მოუხდა, სარდაფი ნესტიანი და ბნელი იყო, ზაფხულობით სულისშემხუთველი და მშრალი სეზონის დროს, ღამ-ღამობით კი ცივი. სარდაფში გადაყრილი ძველი ავეჯი და ერთი ლეიბი იყო. ამაღეო პერალტას სარდაფის უკეთესი ავეჯით მოწყობის დრო არ ჰქონდა, თუმცა ხანდახან ღამით, უოცნებია გოგონა აღმოსავლური ზღაპრების მსგავსად ხასად ექცია, მსუბუქ, ნაზ სამოსში გაეხვია, ფარშევანგის ბუმბულებითა და ოქროთი მოსირმული ქოხებით შეემკო, იქაურობა ფერადმინიანი ღამპიონებით, მოოქროვილი ირიბფეხებიანი ავეჯით მოერთო; ნოხები დაეფინა, სადაც თვითონ ფეხშიშველა ივლიდა. იქნებ ეს ნაოცნებარი განებორციელებინა კიდეც, ორტენსიას ერთხელ მაინც რომ შეეხსენებინა დანაპირები, მაგრამ გოგონა ღამის ჩიტს ჰგავდა - გამოქვაბულში ბინადარ ბრმა გუაჩაროს, მხოლოდ ცოტა საკვები და წყალი ესაჭიროებოდა. დროთა განმავლობაში ყვითელი კაბა ტანზე შემოაღბა და შიშველი დარჩა.

- მე მას ვუყვარვარ, ყოველთვის ვუყვარდი - განაცხადა ორტენსიამ, როდესაც ის მეზობლებმა გამოიხსნეს. წლების განმავლობაში ჩაკეტილში მყოფს სიტყვების წარმოთქმა უჭირდა, ხმა უკანკალებდა, მომაკვდავის ხრიალს მიუგავდა.

დასაწყისში, რამდენიმე კვირა ამაღეო მთელ დროს მასთან ერთად ატარებდა სარდაფში. ეგონა ორტენსიათი ვერასოდეს გაძლებოდა. იმის შიშით, რომ არავის შეეძენია, თავის საკუთარ თვალბეჭეც კი ექვიაობდა და გოგონას სინათლის სხივს არ აკარებდა. სიბნელეში დაუოკებელი ვნებები ცეცხლში ახვევდა ქალს. შეყვარებულების გულები დამშეულ, უძღებ კიბორჩხალებივით გადაქცეოდათ. იქ, სიბნელეში სურნელიც და გემოც განსაკუთრებული იყო. სიბნელეში ერთი მეორის შეხებით ერთმანეთის სულში უკეთეს აღწევდნენ და საიდუმლო ზრახვებში იძირებოდნენ. მათი ხმები ექოსავით მეორდებოდა, კედლები ჩურჩულისა და კოცნის ხმებს მათ გამრავლებულს უბრუნებდა უკან. სარდაფი დალუქულ ჭურჭლად ქცეულიყო, სადაც ორი უვნური არსება ცელქი ტყუპებივით კოტრილობდა. რაღაც დროის განმავლობაში ისინი უკიდურეს ვნებებში ჩაიკარგნენ, რაც მათ სიყვარული ეგონათ.

როცა ორტენსიას ეძინა, მისი საყვარელი საკვების საშოვარზე გადიოდა და მის გაღვიძებამდე ახალი სასიყვარულო შემართებებითა და სურვილებით ბრუნდებოდა, რათა ის კვლავ თავის მკვლავებში მოექცია, ასე უნდა ყვარებოდათ ერთმანეთი, ვიდრე თავიანთ ვნებებში არ ჩაკვდებოდნენ, არ შექამდნენ ერთი მეორეს, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. პირიქით, მოხდა ყველაზე უფრო ჩვეულებრივი რამ. ერთ თვეზე უფრო ადრე ამაღეო პერალტა ამ თამაშმა დალაღა, იგრძნო, რომ ნესტი სახსრებს უღრღნიდა და ფიქრი იმ ბუნაგის გარე სამყაროზე გადაჰქონდა.

დრო მოსულიყო დაბრუნებოდა ცოცხალთა სამყაროს და თავისი ბედის აღვირები ხელთ აედო.



- გოგონა, აქ დამიცადე. მე გარეთ გავალ, გავმდიდრდები და მოგიტან საჩუქრებს, კაბებს, დედოფლის სამკაულებს - უთხრა გამოთხოვებისას.

- შვილები მინდა - თქვა ორტენსიამ.

- შვილები არა, მაგრამ თოჯინები გექნება.

შემდგომ თვეებშიც პერალტამ დაივიწყა კაბებიც, სამკაულებიც და თოჯინებიც, როცა კი გაახსენდებოდა ორტენსია, მას ნახულობდა, თუმცა უკვე მასთან სიყვარულს კი არ ეძლეოდა, უბრალოდ, მხოლოდ იმისათვის მიდიოდა, რომ ბარბითზე დაკრული რომელიმე ძველი მელოდია მოესმინა. სიამოვნებით უცქერდა როგორ ჩამოკრავდა ხოლმე გოგონა ხელს სიმებს. ხანდახან ამადეო ისე ჩქარობდა, ერთი-ორი სიტყვის თქმასაც ვერ ასწრებდა. დოქს წყლით უვსებდა, ჩანთით საკვებს დაუტოვებდა და მიდიოდა. ერთხელ, მოხდა ისე რომ 9 დღის განმავლობაში მისი წყლითა და საკვებით მომარაგება დაავიწყდა და გოგონას ცოცხალ-მკვდარს მიუსწრო. მაშინ იფიქრა, რომ საჭირო იყო ვინმეს დაჭირაგება თავისი პატიმრის მოსავლელად. იგი ძალზე იყო დაკავებული ოჯახით, მოგზაურობებით, თავისი და საზოგადოებრივი საქმეებით. ამისათვის ერთი გულჩახვეული ინდიელი ქალი გამოიყენა. ქალს საკეტის გასაღები მისცა. იგიც რეგულარულად ასუფთავებდა ორტენსიას სამყოფელს, აცლიდა თვალისათვის თითქმის შეუმჩნეველ ლიქენს, რომელიც ორტენსიას სხეულზე მკრთალ და ნაზ ფლორასავით იზრდებოდა და მიწისა და მიგდებული საგნის სუნი ეძლეოდა.

- არ შეგეცოდა ეს უბედური ქალი? - ჰკითხეს ინდიელ ქალს, როცა ისიც დაიჭირეს და წაიყვანეს ხელშეწყობის დანაშაულით. მაგრამ, ინდიელს არც უპასუხია. აუღელვებლად შეხედა მათ სახეში და პირიდან თამბაქო გამოაპურჭა.

არა, ინდიელს არ შეცოდებია ორტენსია, რადგანაც იგი მონობისათვის იყო გაჩენილი და მონობაში თავს ბედნიერად გრძნობდა, ან დაბადებით იდიოტი იყო და ამ პირობებში ჩაკეტილი თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა, ვიდრე გარეთ, გამუდმებით დაცინვასა და საფრთხეში მყოფი. ორტენსია არ ცდილა თავისი საკნის ზედამხედველისათვის რაიმე ეკითხა, არასოდეს დაინტერესებულა გარეთ რა ხდებოდა, არც სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა მონდომებია და არც არასოდეს დაუჩივლია. მობეზრებულსაც არ ჰგავდა, მისი გონება ბავშვობის რომელიღაც პერიოდზე შეჩერებულყო და მარტოობას მისი გონება სულ აემღვრია. სინამდვილეში, ორტენსია მიწისქვეშა არსებად იქცა. იქ, იმ სამარხში, მისი გრძნობები უფრო გამახვილდა და ყოველგვარი შეუმჩნეველის დანახვაც შეისწავლა. გარს ეხვია ჰალუცინაციური მოლანდებები, რომელთაც იგი ხელმოკიდებული მიჰყავდათ სხვა სამყაროებში. სანამ მისი სხეული ერთ კუთხეში იყო მიკუნჭული, ის მოგზაურობდა ზეციურ ვარსკვლავთა სივრცეში, როგორც ერთი მცირე ნაწილაკი ცხოვრობდა ბნელ ჭურღმულში, გონების მიღმა.

სარკე რომ ჰქონოდა და ჩაეხედა, თავისივე გარეგნობა თავზარს დასცემდა, მაგრამ რაკილა თავისი თავის დანახვა არ შეეძლო, ვერც აღიქვამდა თავის გადაგვარებას. ვერც სხეულზე წამოზრდილ ქერცლებს ხედავდა, ვერც აბრეშუმის ჭიებს მის უხეშ ძენძებად ქცეულ გრძელ თმებში რომ ჩაბუდებულიყვნენ. ვერც გრძნობდა იმ ტყუილისფერ ღრუბელს ამდენ ხანს სიბნელეში ყოფნის უკვე მკვდარ თვალებს რომ უფარავდა. იგრძნო, როგორ ეზრდებოდა ყურები ხმაურის მოსასმენად, თუნდაც ისინი ძალზე შორეული და სუსტი ყოფილიყო. შესვენებაზე სკოლიდან მოდენილი ბავშვების სიცილს, ნაყინის გამყიდველის ზარის ხმის, გაფრენილი ჩიტების ხმაურისა თუ



მდინარის ჩუხჩუხის მოსასმენად. ვერც ის იგრძნო, რომ მისი, უწინ მშვენიერი და ძლიერი ფეხები რომ მოგრეხილიყვნენ, რათა ერთ ადგილას წყნარად ყოფნასა და ხოხვას მიჩვეულიყო. არც ის, რომ ფეხის ფრჩხილები საქონლის ჩლიქებს, ხოლო ძვლები შუშის მიღებს რომ დაემსგავსა, ქალს მუცელი მთლად შეეწია და კუზი გამოუვიდა. მხოლოდ ბარბითის დაკვრით დაკავებულ ხელებს შერჩა უწინდელი ფორმა და ზომა. თუმცაღა მის თითებს უკვე დაავიწყდათ აღრე შესწავლილი მელოდიები. ინსტრუმენტი ქვითინის მსგავს ხმას გამოსცემდა, რომელიც მისი გულიდან არ ამოდიოდა. შორიდან ორტენსია ბაზრობაზე გამოყვანილ მოწყვნილ მაიმუნსა ჰგავდა, ახლოდან კი უსაზღვრო სიბრაღულს იწვევდა. მას აზრად არ მოსდიოდა თავისი გარდაქმნის საშინელება. მესხიერებაში ხელუხლებლად ინახავდა თავის სახეს; ისევ ის გოგონა ეგონა თავისთავი, ბოლოს პერალტას მანქანის ფანჯრის მინაში რომ დაინახა არეკლილი, იმდღეს, როცა ის პირველად მიიყვანა ბუნაგში. თავი ისევ ისეთი ლამაზი ეგონა, როგორც აღრე იყო და ისე იქცეოდა, თითქოს მართლა ისეთი ყოფილიყო; ასეთნაირად მისი სილამაზის მოგონება მის სულში (მის შიგნითა სამყაროში) ჩაიმარხა და წინაისტორიული ხანის ჯუჯის გარეგნობის მიუხედავად, მასთან მიახლოებულ ადამიანს ეს შეეძლო დაენახა.

ამასობაში, მდიდარი და საშიში ამადეო პერალტა მთელს რეგიონში თავისი ძლიერების ქსელს აბამდა. კვირაობით თავის ვაჟებთან, შვილიშვილებთან, თანამზრახველებთან და ზოგიერთ სპეციალურად მოწვეულ სტუმართან ერთად გრძელ მაგიდას უჯდა თავში. სტუმრებს გადაქარბებული გულმხურვალეობით ექცეოდა, თუმცა ქედმაღლობასაც არ ივიწყებდა, რათა სტუმრებს არ დაევიწყებოდათ თუ ვინ იყო, და რას წარმოადგენდა სახლის პატრონი.

ამადეოს ზურგს უკან გამაუდმებით ჩურჩულებდნენ მის ცოდვებზე - იმაზე თუ რამდენი ადამიანი გაანადგურა და გააქრო, იმ ქრთამებზე ხელისუფლებას რომ აძლევდა, იმაზე, მისი ქონების ნახევარი კონტრაბანდით რომ იყო შეძენილი, თუმცა ამის მტკიცებას არავინ აპირებდა. იმასაც ამბობდნენ, რომ პერალტას სარდაფში პატიმარი ქალი ჰყავდა გამოკეტილი. მისი ცხოვრების არალეგალური მიზნების შესახებ ლეგენდებსაც ჰყვებოდნენ ახლო-მახლო რეგიონებში. სინამდვილეში ბევრმა იცოდა ეს ამბავი და დროთა განმავლობაში იგი გახმაურდა.

ერთხელ ცხელ საღამოს სამი ბიჭი სკოლიდან გამოიპარა მდინარეში საბანაოდ. მათ რამდენიმე ხანს მდინარის ნაპირზე შლამიან წყალში იქყუმპალავეს და შემდეგ ხეტიალი იწყეს პერალტების შაქრის ძველი ქარხნის ახლოს. ის ქარხანა, რაკილა შაქარი რენტაბელური აღარ იყო, ორი თაობის წინ გაეუქმებინათ. იმ ადგილს მოჯადოებულს უწოდებდა ადგილობრივი მოსახლეობა. ამბობდნენ, რომ იქიდან დემონების ხმა მოისმოდა და თითქოს ბევრს ენახა კიდევაც ერთი თმაგაწეწილი ჯადოქარი ქალი, რომელიც მიცვალებული გონების სულს უხმობდაო. ბიჭები პერალტების სამფლობელოში შევიდნენ და შენობას მიუახლოვდნენ. მალე ნანგრევებში შესვლა გაბედეს და სწრაფად შემოირბინეს ბზარნარევ ალიზის კედლებიანი ვრცელი ოთახები, ტერამიტებისაგან შექმული ძელები, ძირიდან წამოსული, გაზრდილი სარეველა ბალახები, ნაგავისა და ძაღლის კურკლების ბორცვები, დამპალი კრამიტები და გველების ბუდეები. ხუმრობა-ხუმრობით გამბედაობა მოიკრიბეს და ერთმანეთის წაქეზებით საფუქავის დარბაზამდე მიაღწიეს; უზარმაზარ გადაუხურავ ოთახში, რომელიც დამტვრეული ჩარხებითა და მანქანების ნარჩენებით იყო სავსე, წვიმასა და



მზეს ბინძური, უსუფთაო ბალი გაეშენებინა. ირგვლივ ოფლისა და შაქრის მძაფრი სუნი იდგა. ბიჭებს შიშმა გაუარა, უცებ რაღაც საოცრად შემზარავი სიმღერის ხმა ცხადად შემოესმათ. აცახცახებულებმა უკან დახევა სცადეს, მაგრამ იმ საშინელების ნახვის ცდუნება შიშზე დიდი აღმოჩნდა, იქვე დარჩნენ და მოკუნტულები, მიყურადებულები ისმენდნენ იმ ხმას უკანასკნელ ბეგრამდე. შემდეგ, ნელ-ნელა დასძლიეს და იმ უცნაური ბეგრების წარმომშობ საგანს, ძალზე რომ განსხვავდებოდა ნებისმიერი ნაცნობი მუსიკისაგან, ძებნა დაუწყეს. ასე მიაღწენ ერთ პატარა ასახდელ კარებს მიწის პირას, რომელიც ისე იყო გადაკეტილი, გაღება ვერ შეძლეს. ხის ფიცარი, შესასვლელს რომ კეტავდა, შეანჯღრის და გაღიაში გამომწყვდეული მხეცის სუნი, საშინელი სუნი ეცათ სახეში. დაიძახეს, მაგრამ მათ არავინ უპასუხა. მხოლოდ, მეორე მხრიდან ყრუ ქოშინი შემოესმათ. მაშინ კი სირბილით გამოიქცნენ უკან და ქვეყანას ამცნეს რომ ჯოჯოხეთის კარები აღმოაჩინეს.

ბავშვების ატეხილი აურზაურის ჩაჩუმათება აღარ მოხერხდა. ბოლოსდაბოლოს, მეზობლებმა დაადგინეს ის სინამდვილე, რაზედაც ათეული წლების მანძილზე ეჭვობდნენ. თავდაპირველად ბიჭებს თავიანთი დედები მოჰყვნენ და კარების ღრიჭოებს მიყურადებულებმა მოისმინეს ბარბითის ამაზრუნე ხმა, რომელიც იგი სრულიად განსხვავდებოდა იმ მელოდიისაგან, რომელმაც ამაღეო პერალტა მიიზიდა, როცა ის ოდესღაც აგუა სანტას ერთ პატარა ქუჩაზე შეჩერდა შუბლიდან ოფლის მოსაწმენდად. დედებს ცნობისმოყვარეთა მთელი არმია მოჰყვა და სულ ბოლოს, როცა ბრბო უკვე შეყრილიყო, პოლიციაც და მეხანძრეებიც გამოჩნდნენ. ცულების დარტყმით ძირს გადმოიღეს კარები და ლამპრებითა და სახანძრო მოწყობილობით ხაროში შევიდნენ. იქ საშინელი შიშველი არსება აღმოაჩინეს, მოშვებული, უფერული ტანი ნაკეცებად ეკიდა, მიწაზე ნაცრისფერი თმების ბლუჯას მიათრევდა და ამდენი ხმაურისა და სინათლისაგან შეშინებული კვნესოდა. ეს ორტენსია იყო, მეხანძრეთა ფარნები მას მარგალიტის ნიჟარის ფოსფორული შუქით ანათებდა. ქალი თითქმის დაბრმავებულიყო, კბილები მთლიანად გაცვეთოდა და ფეხებში ძალაწართმეულს დგომა ეძნელებოდა. ერთადერთი ნიშანი მისი ადამიანური წარმოშობისა ის ძველი ბარბითი იყო, უბეში როს ჰქონდა ჩახუტებული.

ამ ამბავმა მთელი ქვეყანა აღაშფოთა. ტელევიზიის ეკრანებზე და გაზეთებში გამოჩნდა ხაროდან გამოსხნილი ქალი, სადაც მას მთელი სიცოცხლე გაეტარებინა, მხრებზე ვილაცას მოსასხამი შემოეხვია, მაგრამ ის მთლიანად ვერ ფარავდა მის სიშიშვლეს. ყველა ცდილობდა ორტენსიას დახმარებას. ცოტა ხანში შურისძიებით ანთებულმა მეზობლებმა სახელდახელოდ პიკეტები მოაწყვეს, რომ ამაღეო ლინჩის წესით გაესამართლებინათ, მის სახლს მიაღწენ, გარეთ გამართიეს და პოლიციას რომ არ მოესწრო და ხალხისათვის ხელიდან არ გამოეგლიჯა, ამაღეო პერალტას მოედანზევე ნაკუწ-ნაკუწად აქცევდნენ. მთელი წლების მანძილზე ასეთი დანაშაულის იგნორირების, ცოდვის დასაფარავად ყველამ მოინდომა ორტენსიას დახმარება. ფული შეაგროვეს მისთვის რომ საცხოვრებელი ადგილი მიეჩინათ. უამრავი ტანსაცმელი და წამლები შეუგროვეს, რაც მას სრულიად არ ესაჭიროებოდა. საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა იკისრეს მისთვის ჭუჭყი გაეცალათ, თმები შეეჭრათ და თავით-ფეხებამდე შეემოსათ. უნდოდათ ერთ ჩვეულებრივ მოხუც ქალად ექციათ. ღარიბთა და უმწეოთა თავშესაფარში მონაზვნებმა საწოლი მიუჩინეს და თვეების მანძილზე, სანამ მზის სინათლეს შეეჩვეოდა და დათანხმდებოდა სხვა



ადამიანებთან ერთად ეცხოვრა, შეკრული ჰყავდათ, რომ ისევ სარდაფში არ გაქცეოდათ.

ამადეოს ურიცხვმა მტრებმა ისარგებლეს ატეხილი აჟიოტაჟით, ძალა მოიკრიბეს და მის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ხელისუფლება, რომელიც წლების მანძილზე მის დანაშაულს ფარავდა, ახლა კანონის ძალით დაესხა თავს. სანამ ხალხი ამ ამბით იყო დაკავებული, მოხუცი მემამულე ციხეში წაიყვანეს. თანდათან ეს ამბავი ჩაწყნარდა და ბოლოს, სულ მიივიწყეს. თავისი ოჯახისა და მეგობრებისაგან მოშორებული ყარაულებისა და სხვა პატიმრებისაგან მკაცრად უარყოფილი ამადეო პერალტა ყოველგვარი უნამუსობისა და საზიზღრობის სიმბოლოდ იქცა. ციხეში იყო, სანამ მოკვდებოდა. არასოდეს გამოდიოდა ეზოში სხვა პატიმრებთან ერთად. საცნიდან შეეძლო მოესმინა ქუჩის ხმაური. ყოველ დღით, 10 საათზე, ორტენსია გიჟისავით დამახასიათებელი გაუბედავი ნაბიჯებით მიდიოდა საპყრობილემდე და პატიმრისათვის ყარაულის ქვაბით ცხელ საჭმელს სთავაზობდა.

- იმას თითქმის არასოდეს დავუტოვებია მშვიერი, - თავის მართლების ტონით ეუბნებოდა ყარაულს ორტენსია. შემდეგ ქუჩაში ჯდებოდა ბარბითის დასაკრავად, საკრავი აგონიური კვნესის მსგავს ასატანად შეუძლებელ ხმებს გამოსცემდა. ზოგი გამვლელი მონეტს მიუგდებდა, ცდილობდა მის ყურადღებას ცოტა ხნით სხვა რამეზე გადატანას, რომ იგი გაჩუმებულიყო.

კედლის იქით, კუთხეში მიყუჟული ამადეო პერალტა ისმენდა ამ ხმას, მიწის სიღრმიდან რომ ამოდიოდა და ნერვებს უწეწავდა. ეს ყოველდღიური საყვედური რაღაცის მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ იხსენებდა. ხანდახან დანაშაულის გრძნობა ეძალებოდა, მაგრამ მაშინვე მესხიერება ღალატობდა და წარსულის სახეები სქელ ბურუსში უჩინარდებოდნენ. არ იცოდა რატომ იყო იმ სამარხში და თანდათანობით სინათლის სამყაროც მიივიწყა.

*ესპანურიდან თარგმნეს*

*თამარ ბერიაშვილმა და გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძემ.*





# ჰინ მოდის მომავლიდან

ირმა ლუბაძე



\* \* \*

თავს ვიტყუებთ თუ  
ბუნება ტირის,  
თუ მოსწყდა მაგანს  
ობოლი ცრემლი,  
დარდს ვერ იტევინ  
წვეთები ღვინის  
და წუხანდელი  
სიზმრები შენი.  
უბელო ცხენებს  
ედრება ქარი,  
ღრუბლებს უელავთ უბე და კალთა,  
დაგეჯერება ლამაზი ქორიცი,  
თუ ველარ არჩევ  
ტყუილს თუ მართალს.  
ქრიზანთემების გედება ალი  
და ცის ტატნობზე  
რალაც კიაფობს,  
ისევ მარტოა მოხუცი ქალი  
და „დიდოსტატში“ ეტრფის. ჭიაბერს,  
და ტირის ღამე,  
დამთმობი ოდენ,  
რა ვქნა, თუ წარსულს ვერ გიადვილებ,  
ხელისგულს უცხო ხაზები მოსდევს,  
ქირომანტია თუ სინამდვილე?!

\* \* \*

ელვა ბორგავდა შენს მკრთალ თითებში  
და წვიმა წვეთებს სარკმელს უშენდა,  
ქალღმერთი თრთოდა ცისფერ მღვიმეში  
და გაზაფხული ჩანდა ნუშებთან.  
აქ უთეთრესი ხელი დაეცა,  
ფურცლების გროვას, ვნებაატანილს,  
ყველა იმედი ერთად გამეჭცა,  
რომ არ ეხილათ სახე სატანის.  
და ერთადერთი ყვავილი თეთრი,  
მაგონებს ფიქრებს - გადანახულებს,  
ო, რა სასტიკი ჰქონიათ ხვედრი,  
უმანკო თვალებს - ძველ გაზაფხულებს.





\* \* \*

მართლა მეშინია -  
 ღელავ საუცხოოდ,  
 შენი თვალეები კი დარდით გადაფითრდა,  
 იქნებ კვლავ გაუძლო, როგორც მეზღვაურმა,  
 ცოტა შეისვენე  
 სულ სხვა... სხვა ნაპირთან.  
 და თუ ველარ შეძელ გულის დაჯერება,  
 აღარ შეიძლება შენთან გაჩერება.

\* \* \*

აკაშკაშდა სინარნარე ფერთა,  
 წვიმის ჟრჟოლა სხეულამდე ატანს,  
 გრძნეულობით დამძიმებულ დღეთა  
 პეიზაჟი ელოდება მხატვარს.  
 არ ენთება მზერა უცხო სხივად,  
 ხელში ცეცხლით მთებს მოადგა ზევისი,  
 შემომხვდი და ჩამიარე ცივად,  
 სულში გაწყდა ძაფი უნაზესი.  
 რა ხანია შეგეჩვიე ბოდვებს,  
 რა ხანია გულის ტკივილით აკრთობ,  
 წავიკითხავ გოეთეს და ბოდლერს  
 და წვიმას და შენს შეხვედრას ვნატრობ.

\* \* \*

მე შემრჩა შენთან საუბრის ნიჭი,  
 ცოტა მეტი და ცოტა ნაკლები,  
 ვინ იცის, ნეტა ნამდვილად გიჭირს,  
 მე კი... რატომღაც არ მებრალები.  
 ღამეებს ხედნის ღრუბელთა ჯარი,  
 მთვარე დამცხრაღა თოთო და თეთრი,  
 გარეთ გრიალებს ტერენტის ჭარი  
 და ყველგან არის, ვითარცა ღმერთი.

\* \* \*

თუ წარიხოცა ყველა ცრემლი პირველყოფილი,  
 ჩემში გიზგიზებს ლურჯ ხანძარად ცრემლთა იები,  
 ხსოვნას შემორჩა უშავესი შენი პროფილი,  
 შურისძიების უცხო ჟინით და გაკვირვებით.



აღესილა უკვე საწყაული სინატიფეთა,  
ველარ სისინებს ხვეულებში შურის ხმაური,  
შენმა თვალებმა მოთოკილი ცა დამიფეთა  
და თვალებს შერჩათ ხიბლი ნაზი და უცნაური.  
წარიხოცება ყველა ცრემლი პირველყოფილი,  
აბაობოქრებულ ყვავილების ფეთქვა მისნური,  
შენს აღსარებას მოინდომებ ძველი ლოთივით,  
უძლეველობას დაიჩემებ, როგორც მიწნური.

\* \* \*

გლარჯის სუნი ჰაერს ათბობს,  
ვთვრები, ვთვრები თეთრი წვიმით.  
სიყვარულზე მე რას ვამბობ?  
მიყვარს ანაკრეონტივით.

## ფარსი

აჰა! რაყიფი და სევდის ბოლო,  
აჰა! ღუელით  
შემკრთალი ღამე,  
შენ წაიკითხავ რომანებს მხოლოდ...  
და იცნობ სეზანს,  
მონეს და  
მანეს.  
და დიდებული  
სცენა რაინდთა,  
ფუმფუშა თმები,  
თეთრი მაქმანი,  
ო, არ გშორდება  
ერთი წამითაც  
ბასრი მახვილი,  
შავი თათმანი.  
- არა, შენ არა ხარ სამურაი,  
P.S. და ცას ჩუმად მიაქვს სამღურავი.

\* \* \*

გაბრუებული თეთრ კართან დგახარ,  
კარგად ჩაგესმის შრიალი თოვლის,  
ვერ დავრწმუნდებით ვერასდროს ალბათ.  
ყველა ტკივილი ერთად რომ მოდის,



რომ თოვლის მოსვლას თეთრ ფიფქებივით  
 თეთრი ლექსებიც ალამაზებენ,  
 მაგრამ... ჩვენ ერთად ვეღარ ვიქნებით  
 შენი თვალები მე დამეძებენ.  
 კარგად ჩაგესმის შრიალი თოვლის  
 სიტყვებს დაეძებ, იმედის სიტყვებს,  
 მაჟრუღლებს ფიქრი ჩემი არმოსვლის  
 და უჩემობას ლოდინით ითმენ.  
 დაგათოვს ზეცა ნისლიან ნათელს,  
 რომ თოვლის ფარდა მძიმედ დაეშვას.  
 თოვლი ვეღარ შლის სევდიან სახელს,  
 გაუყუჩებელ დარდს და კაეშანს.

\* \* \*

მე აღარ ძალმიძს, შევეგუო  
 დამთრგუნველ სევდას.  
 არც ამბობება! დაე, ასე ვიტანჯო ჩემთვის,  
 და თუ ტკივილის გრძნობა გაქრა ცრემლებთან ერთად,  
 ჩემს შეუმჩნევლად მე მომკვდარვარ,  
 სხვა რაღა მეთქმის?!

\* \* \*



\* \* \*

\* \* \*



## გოჩა განველიძე

### ჭიაკოკონას ღამე

ჩუმი ჩურჩულით ივსება  
უკვე დაცლილი თასი,  
ეს მერამდენედ მინდება  
ცეცხლი აიჭრას თავში.

სიცარიელით დაღლილი  
მიასკდა კედელს სული,  
კვლავ მოძრაობა გათვლილი,  
ღვინომ მოძებნა ტუჩი.

ისევ მერევა სასმელი,  
ალბათ დაგვარგე ზომა,  
გულზე მაწვება ნამჭერი,  
ძალზედ გაგრძელდა თოვა.

ოთახი ბნელი ნახევრად,  
სუფრას ეუზივართ ორნი,  
ჩემით შექმნილი ხატება  
მიყურებს ჩუმი თრთოლვით.

ვიცი, ბევრია სათქმელი,  
ვერ მოვიკრიბე აზრი,  
შენი არ ვიცი სახელი,  
ისევ შევავსე თასი.

რამდენი ხანი გეძებე,  
ლამის აფერინდი ცაში,  
ეჭვი გამიჩნდა, დაგმალეს  
ალბათ ედემის ბაღში.

რა გქვია ნეტავ სახელი?  
ვერ გავიხსენე, ვერა,  
ასმათი, მეგი, მარეხი,  
ვინ იცის, იქნებ ლელა?

უნდა ვიკმარო მცირედი,  
არ მინდა ყოფნა მარტო,  
თრობას სჭირდება მიზეზი,  
შენ გაგიმარჯოს, ხატო.

თვალები შენი, სადარი  
ციცინათელას გუნდის,  
მწველია, როგორც ღადარი,  
წარბების წვრილი მრუდი.

ჩვენს სამყაროში იჭრება  
შორით მოსული ჩქამი,  
ჩემგან გაქცევა გინდება,  
დამითმე კიდეც წამი.

ელვამ გონება ჩამიჭრო,  
დღედ გადაიქცა ღამე,  
გხედავ ჩემს თვალწინ აენთო  
მუდამ ნანატრი სახე.

უხმოდ ილიმის ნათელი,  
ფრთხილად, არ გასკდე გულო,  
სახელი მითხარ, სახელი,  
აფრინდი ცაში სულო.

მეგი, ასმათი, მარეხი...  
მე მგონი მაინც ლელა,  
მორჩა, დამთავრდა ამდენი  
ხატის და ლანდის დევნა...

წავიდა წლები ტრიალა,  
ათასი დადგა ხვალე,  
გულში ანთია ბრიალა  
ჭიაკოკონას ღამე.



## მონატრება

ცა დაბინდული. მის ცისფერ ფურცელზე ამოვიკითხე მონატრება. მის ცისფერ ფურცლებზე შემიძლია ამოვიკითხო ყველაფერი... ცა სარკვე... და იცოდე ვერსად დამალვები... მონატრების სული არ გაჰქრება... ამ სულით მუდამ გამსჭვალული ვიქნები. ცისფერ ცაზე ყოველთვის იქნება ერთ კიდეზე ამოქარგული ჩემთვის და შენთვის მონატრება. ყოველთვის იქნება და არ წაიშლება, რადგან სინამდვილე არსებობს ჩვენს შორის. არსებობაში იცოდე მონატრებაცაა. რა ბედნიერებაა, როცა ვინმე გენატრება... და შეგიძლია ამ მონატრების სურვილის ასრულება, მაგრამ გხედავ და მაინც მენატრები. მონატრებას გაუკაფავ ბილიკზე გავყავარ... ვიცი, რომ შენამდე მოვალწევ და შენ... შენაც მონატრება დაგეუფლება...

მწვანე მინდვრის სურნელიც მომნატრებია, სოფლის ცივი წყლის დინება ქვებზედ, წკრილით რომ მოედინება და მირეცხავს... მთიდან ამომავალი სუსხიც მომნატრებია... ბუნების წიაღში შესვლა მომნატრებია, მომნატრებია, მომნატრებია.

ბევრი რამე და ბევრი ვინმე მომნატრებია, მაგრამ შენ სულ სხვა ხარ... შენ ხომ მე გამოგძერწე...

...შენ ხომ ზღვის ფსკერიდან ამოსული ხარ...

...შენ ხომ ციდან კიბით ჩამოსული ანგელოზი ხარ...

...შენ ხომ ოცნების ფრთებით ხარ ციდან მოფრენილი...

...შენ უჩვეულო ღიმილი და უსაშველო იდუმალება ჩამოიტანე მთვარიდან...

...შენ ბრწყინვალეობა მოგვცა მზისა... უტყუარი ნათება...

...შენ მარავალრიცხოვან ვარსკვლავთა სინაზე და სიხალისეც შეგისისხლბორცებია...

...შენ ცის საუფლოდან მე ჩამოგიყვანე!...

...და ამ დედამიწაზე ჩემთან ერთად დააბიჯებ...

...ციდან მონატრება მომიტანე... ციდან ღმერთმა შენი თავი მისაჩუქრა!...

ცა დაბინდულა. მიწა გარინდულა. მონატრების სულით გავიმსჭვალე... ღმერთო, კიდე, კიდე უფრო მომანატრე!

\* \* \*

მზეო, მათხოვე ოქროს ქოშები,

მზეო, მათხოვე, მიმოვიარო სევდგანაყუნთ

ობოლ ქუჩებში.

მზეო, შემოსე სამოსელით

შენით ამიერ,

მზეო, აენტე და ჩამხედე

სულის სიღრმეში...

თავისუფალი და ლაღქმნილი

მყავი, მიწიერს



ცოდვა - ტვირთმძიმე შემიმსუბუქე,  
განფანტე ნისლი...  
და განმარიღე ზრამებს... უფსკრულებს...  
ო, საიდანაც მოზღავიან ბოროტულ ზრახვანს,  
დარდს რომ მირთულებს...  
მზეო, მათხოვე, ოქროს ნემსი,  
მზეო, მათხოვე,  
თორემ პირბადრა ვარდთა ჩერო  
გაითელებს.  
მზეო, მათხოვე ოქროს ნემსი  
ამოსაქემსად —  
დაჭრილი გულის,  
დაცხრილულ სულის გასამრთელებლად...  
მზეო, მათხოვე, ოქროს ქოშები,  
მზეო, მათხოვე  
და ლალაქმნილი ავციკვდები,  
ვითარცა ზოშა.

\* \* \*

ნამგალა მთვარე ამოირეკლა,  
სულის ბნელ სენაკს სხივნი აფრქვია,  
ნაზამთრ-ნათოვარ, მოყინულ სხეულს  
ლურჯი საბანი შემოახვია.

გრძნეული სხივი თვალს არ მაშორებს,  
და ამ მზეერაში ვართ ჩვენ გართული,  
ვისსენებ... მძაფრავს ჩემი ვედრება...  
ხმა შორეული... გოლიათური...

„არსაიდან ხმა“... მხოლოდ-ღა თრთიან  
მზით შერისხული ღამის ჩრდილები, —  
გადაბრუნებულ გზებს უნათებენ  
სულანთებული ციცნათელები.

„არსით ძახილი“... მხოლოდ ჩამესმის  
ფოთლის ჩურჩული - მიწად მთხვეულის,  
და ღღესაც მძაფრავს ხატება იმის,  
ხმა „ცათა შინა“... ხმა შორეული...



\*\*\*

ძლიერია ჩემი სულის გამოძახილი,  
 როგორ მომინდება ხოლმე ზღვაზე გასვლა,  
 მის ნაპირებთან ჯდომა და ცქერა,  
 ფიქრთა ნაბადით ცამდე ასვლა.

შევყურებ ზღვის ესოდენ ღიდ მშვენიერებას და  
 მის სიღრმეს ვწვდები,

მინდა ამოვკრიბო ბგერათა ხროვა,  
 ავკინძო და შევქმნა წინადადებანი,  
 გამოვთქვა ლექსი, რომელიც  
 ჩემი სულის ძახილს გამოეპასუხება.

...როგორ არ ვიფიქრო...

...რა არ უნდა ვიფიქრო...

ფიქრით ყველაფერს წავეპოტინები,

როს ზღვის დამქანცველ ტალღებს ვეთამაშები თვალთა ცქრიალით.

...როგორ არ გამოვიარო ცათა კაბადონი სიმღერით,  
 ცეკვით, სიცილით, კისკისით, გულით და ნდობით.

...როგორ არ შევეხო მზეს - საბუდარიდან რა ხანია  
 ამობრწყინებულს,

როგორ არ გავალადო გული და

როგორ არ ვაგრძნობინო, რომ

მისი ნათება ჩემს მკერდშიც ინაცვლებს.

ფიქრით მოვიარ მთელ სამყაროს,

ფიქრით ვეხები ქვის კენჭებსაც, რომელთაც

დაულაგებიათ გაწვრთნილი, მორჩილი ტანი მიწის გულზედა,

გატრუნული ისმენენ ბობოქარი ტალღების ხმაურს.

ვეჩურჩულები ზღვიდან მონაქროლ

არც თუ ისე თბილ ნიაფს,

ხანაც მთრთოლვარეს;

მეუფლება უცნაური განცდა.

ამ განცდის გამომხატველი დავეკონები

ქალაღდის ფურცელს,

ვაწვალე კალამს, ვქანცავ სულს,

გტანჯავ გულს.

ჩემი ფიქრებია ასე ამოტივტივებული უმეტყველო  
 წყლის ზედაპირზე...

პირი არა აქვს თორემ...

რა მინდა მეტი, მშვენივრად მესმის მისი

გადაუბმელი ლაპარაკი,

ხმა და გულის ფეთქვა.

გმადლობთ, შენ ღმერთო, რამეთუ მასწავლე

მთელი სამყაროს ენა!..



მესმის უტყუთა სამეტყულო ბგერანი.

...კვლავ შფოთავს ზღვა...

კვლავაც ღელავს და რა დააწყნარებს,

მანაც ხომ უნდა შემომჩივლოს საკუთარი დარდი,

სულის ღელვა,

რით დავამშვიდო, რით დავაწყნარო,

რით დავუოკო დაუოკებელი გული?..

თოლიები დაჯდებიან ხოლმე მკერდზე,

ებუბუნებიან და ელულუნებიან;

რა კარგი იყო, ორმა თოლიამ შემოჰკრა ფრთა

ჩემს თვალთა წინ,

მერე ორთავემ თავზე გადამიტრინეს, -

გულს ახლის გაგება სურდა!

ღმერთია მფარველი, ახლის მომცემი!

„რატომ მოგიწყენიაო“, - დამუუუუნეს ფრინველებმა.

...მზე ელაციცება 'თავისი გამჭვირვალე სხივებით

მეგობარ ზღვას, შუქურს ჰტენს,

მადლს სწირავს.

- „ჰეი, რომ არა შენ ზღვაო, ასე ლამაზი

როდი გამოეჩნდებოდი ცაზე?!“

- „ჰეი, რომ არა შენ მზეო, ასე ცისფერი

როდი ვიქნებოდი კაცთა თვალში?!“

ეჰეი, დედამიწავ, რა ლამაზია შენი ფუძე და ქერი!

დედამშობელო, ფუძედ მიწა გაგიხდია და ქერად

ცის კაბადონი დაგიხურავს;

მზე კი ნათურაა შენი, მანათობელი, ღამით კი -

ბინდი გამოგიყენებია ფარდებად;

დაილოცოს შემქმნელი შენი, შემოქმედი!

დაილოცოს შენი ფუძე და ქერი!





## შავი ღრუბალი

მზით გაჩახჩახებული დღე გაზაფხულისა...

აყვავებულ ბაღში ლაღი სტვენა - ჭიკჭიკი ფრთოსანი მგოსნებისა...

პირველი პაემანი და აღიარება სიყვარულისა...

პირველი კოცნა და ფიცი სამუდამო ერთგულებისა...

... უცებ შავი, მძიმე ღრუბელი აეფარა გაზაფხულის მზეს და შეკრთა თამარი, შეშინდა. აღანძულ სახეზე ზაფრანის ფერი დაედო, შეშინებული ნუკრის თვალები შეანათა სატრფოს...

ნუ გეშინია სიყვარულო, - ძლიერი მკლავი მოხვია ვაჟამ და მკერდში ჩაიკრა შეშინებული ქალი, - მართალია, ბუნებას ბევრი სიურპრიზები ახასიათებს, მაგრამ საშიში მაინც არ არის.

სატრფოს მკერდიდან წამოსულმა ძალამ გაამხნევა ქალი და ფერი დაუბრუნა. მზემაც ნელ-ნელა იძალა, შავი ღრუბლები გადაიყარა და ისევ გამოანათა.

თავის ხანმოკლე მანძილზე უნებლიე შიში ერთი წუთითაც არ ტოვებდა თამარს.

- იცი ძვირფასო, ჩვენ მალე შვილი გვეყოლება, შენ მამა იქნები! - სიხარულით საესე თვალები შეანათა თამარმა ქმარს.

- მართლა საყვარელო! - ვაჟამ მხრებზე მოხვია ხელი, ლამაზ თვალებში ჩახედა და ქალის სიტყვების დასტური თვალებშიც რომ ამოიკითხა, გახარებულმა მკერდში ჩაიკრა. ამის შემდეგ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის სალაპარაკო თემა მომავალი შვილი იყო. გახარებულები ერთად ფიქრობდნენ.

ისინი აქედანვე ხედავდნენ შვილის ბედნიერ მომავალს და ისევ ოცნებობდნენ... ვაჟს პირველი შვილი ბიჭი უნდოდა. გიორგის დავარქმევო, - ამბობდა. თამარიც იზიარებდა ქმრის სურვილს და ხარობდნენ მომავლისა და ერთმანეთის სიყვარულით.

\* \* \*

გამოხდა ხანი და უცებ... შავი, მძიმე ღრუბელი აეფარა მზეს... ომის ღრუბელმა მოიტანა უდანაშაულოთა განუკითხავი სისხლისღვრა, უსაშველო ტკივილი და ცრემლები...

ვაჟამ მრავალთა მსგავსად იარაღი აიღო ხელში სამშობლოს დასაცავად. შავმა ღრუბელმა თამარსაც აუშალა თბილი, მყუდრო საბუდარი...

საოცრად გულისამაყუჩებელი, სევდიანი იყო ვაჟს და თამარის გამოთხოვება.

- თავს გაუფრთხილდი თამარ, ძვირფასო. შენი სიცოცხლე მარტო შენ აღარ გეკუთვნის უკვე. შენ ღიდი მოვალეობა გაკისრია მომავალი შვილის წინაშე. თავსაც და შვილსაც ძალიან გაუფრთხილდი, საყვარელო!...

- შენც, გაუფრთხილდი თავს, ჩემო ძვირფასო, შვილს მამაც სჭირდება. მე კი...



მე კი შევეცდები არაფერი გავუჭირვო ჩვენს შვილს. ყელსმოჭენილ ცორემლს ძლივს გამოჰვლიჯა ორიოდ სიტყვა ქალმა. ვაჟამ მოცახცახე მხრებზე ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა.

- ომი ომია და ვინ იცის რა მოხდება, ამიტომ ერთსა გთხოვ ძალიან, თამარ, ჩვენს ბიჭს გიორგი დაარქვი და უმამობა არ აგრძნობინო, ისე გაზარდე.

- ნუ ამბობ მაგას ვაჟა, ნუ, - მღელვარებამ სასო წარკვეთა ქალს. ასე ძალაგამოცლილი მოჰვლიჯეს იგი მკერდიდან ქმარს და გაიყოლეს მძიმე, ბურუსიან გზაზე...

ახლაც, ადრეული შემოდგომის მზეს მძიმე, შავი ღრუბელი გადაეფარა.

\* \* \*

... მიდიოდა თამარი, დასუსტებული ძლივს იმაგრებდა დამძიმებულ სხეულს. უჭირდა, ძალიან უჭირდა ამ ძნელ, თოვლით ჩახერგილ, მოყინულ გზაზე სიარული, მაგრამ მაინც მიდიოდა...

- ღმერთო, შენ მოჰკითხე უდანაშაულოთა ამდენი ტანჯვა-ვაება, ამდენი უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი დამნაშავეს, - გოდებდა ძლივს მოლასლასე ქალი. მიდიოდა თამარი და თვალს არიდებდა არაქათგამოცლილ ადამიანებს, მოხუცებსა და ბავშვებს, რომელთაც ყინვისა და შიმშილისაგან დაოსებულთ, სამუდამოდ აქ, ამ ძნელ გზაზე ჩარჩენა ემუქრებოდათ. უკანასკნელ ღონეს იკრებდა თამარი და მიდიოდა...

- ნუ გეშინია ვაჟა, სულის ამოხდომამდე ვიბრძოლებ ჩვენი შვილის გადარჩენისათვის, გაგიზრდი შვილს ისეთ ადამიანად, შენისთანა ვაჟკაცს რომ შეჰფერის, - გულში მრავალგზის იმეორებდა ამ სიტყვებს თამარი და ძლივს ადგამდა მძიმე ნაბიჯს.

იმძლავრა ყინვამ, გააფრთხილდა დაჰქროლა ქარმა და ქალს ცხვირ-პირში შეაყარა წვრილი მსუსხავი ფანტელები. ის მაინც მიდიოდა... ღონემიხდილს გულთან ახლოს მოფრთხილავ შვილი უბრუნებდა ძალას.

უცებ იგრძნო ქალმა, რომ მეტი აღარ შეეძლო, სხეული უსაშველო ტკივილმა დაუსერა. იქვე თოვლში, ყინვაში ჩაიკეცა შვილის მომლოდინე დედა.

... ჩვილის გაბმულმა ტკივილმა მოაბრუნა ამ ქვეყნისაკენ, გაჭირვებით წამოსწია ტყუილად დაძვინებული თავი და ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანები დაინახა. მათ შორის ფარაჯიან - ავტომატიანი მებრძოლელებიც იყვნენ. ქალს შვების ცრემლები ჩამოუვარდა გაყინულ ლოყბებზე.

- მომილოცავს შაილო, ბიჭია, ბიჭი! - თავზე გადაუსვა ხელი სიცივისაგან აკანკალებულმა ერთ-ერთმა ქალმა. გულში ჩაღვრილმა სიხარულმა ცოტა ხნით გაუყუჩა ტკივილი, მაგრამ მალე ისევ გაუსაძლისმა ტკივილმა შესძრა... და ისევ...

- ბიჭია, შვილო, მეორე ბიჭი! ტყუბი ვაჟკაცები შეგეძინა, მომილოცავს. - თითქოს სადღაც შორიდან ჩაესმა. თვალი გაახილა, ირგვლივ გახარებული აღფრთოვანებული სახეები დალანდა.

- გიორგი და ლაშა, ლაშა და გიორგი! - ჩემს ბიჭებს ამ სახელებს დავარქმევ - გაიფიქრა ქალმა და თვალები მილულა.



\* \* \*

... სისხლისაგან დაცლილ, ღონემიხილ ქალს ძუძუში წვეთი რძე არ ჩაუდგა. ჯარისკაცის უხეშ ფარაჯებში გახვეული ტყულები საცოდავად ღნაოდნენ. ეს ტირილი გულს უკლავდათ ირგვლივ მყოფთ...

შემდეგ კი ჯიბის დანითა და ხელებით გათხრილი სამარე შეჭირბულ მიწაში... სიმწრისაგან გახელებულ დედას ძლივს მოაგლიჯეს პატარა, უმანკო არსება. არსება, რომელსაც არაფერი დაუშავებია არც ღმერთისა და არც კაცისათვის, მაგრამ მაინც გაიწირა ღმერთისაგან და საცოდავად ჩაესვენა სამარეში.

მალე მეორე სამარეც გაიჭრა და მეორე ანგელოზიც მიეზარა ცოდვილ მიწას.

ველარ წამოაყენეს ფეხზე ორი შვილის დამკარგავი, ძალაგამოლეული ქალი რომელიც თავისი შვილების პაწაწინა საფლავებს შორის ცრემლად იღვრებოდა და მწარედ მოთქვამდა.

- მაპატიე, ვაჟა, ძვირფასო, ვერ შეგისრულე პირობა, ვერ გავუფრთხილდი ჩვენს შვილებს... ეს ყოფილა ჩემი უღმრთო ბედისწერა! მე ხომ სულ, სულ მეშინოდა შავი ღრუბელის. მაპატიე, ჩემო ძვირფასო, რომ გლალატობ და გტოვებ, მივდივარ ჩვენს შვილებთან, ჩვენს უცოდველ ანგელოზებთან. მივდივარ და ასე, ცალუღელას გტოვებ ცხოვრების ეკლიან გზაზე, არა, არ შეარჩინო ჩვენი უდროო, უსამართლო დღეუბა მოძალადეებს...

...გახსოვს ძვირფასო, მაშინ იქ, იმ ჩვენს პაემანზე მზეს აფარებული შავი ღრუბელი? ყოველთვის მეშინოდა იმ ღრუბლის და აკი საბედისწერო გამოდგა ჩვენთვის...

ძალაგამოცლილმა ადამიანებმა მუხლი მოიყარეს უზომოდ გატანჯული, უბედური დედის უსულო სხეულთან, მერე ყველამ ერთდროულად მალა აღაპყრო ცრემლიანი თვალები...







ირინა კრავჩენკო

## სიკვდილის აპოლოგია ბერანტი ბრანელის პოეზიაში

წვიმს. თითქოს ცრემლებით იკაწრება ბუნდოვანი სარკმელი  
ბნელი ოთახისა. ლურჯი რკალები აზრთა ჩარჩოებს სევდით  
ქარგავენ, ავარაყბენ, ცისფერი თითებით ნატიფად თლიან  
უნაზეს ჩუქურთმებს.

წვიმს.

სივრცის უფერო წიაღიდან მოისმის მთვრალი ზაქარიას სუნთქვა. ოთახის კუთხეში  
ვიწრო საწოლში თვალგახელილს ძინავს ტერენტი გრანელს. ირგვლივ სიცივის,  
ლამის და წვიმის გულისშემადონებელი სუნი და უჩვეულო სუსხია. ელვასავით  
კრთებიან ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები დაღლილ გონებაში. შეუმჩნევლად იხლიჩება  
მეობა და ორმაგდება სული, სული, საზღვარს რომ აცდენია ფრენით.

თვლემს შემოქმედში პოეტის სული, თვალებს კი ღვიძავთ, მაგრამ... ეს რა ჩანს  
სივრცის ნაცრისფერ ფონზე, გულხელდაკრეფით ბოლთას სცემს ლანდი. ლანდი?!  
იქნებ სიკვდილი მოგეახლა ობოლო სულს, ნუთუ შეგბამაც მოიცალა შენთვის  
ნანატრმა, ნუთუ ასრულდა ცისფერ ლოცვადქცეული ნატვრა და აღსასრული მოგეახლა  
სუსტი ხელებით...

...არა, სიკვდილი ისევ აცდა გაღებულ კარებს, წავიდა სხვაგან და აღსასრულის  
ნეტარება ისე შორსაა, როგორც ბავშვობა, სოფელი და დების ალერსი.

მაშ, ვინღა დადის, ვინღა აბორგებს უიმისოდაც გადარეულ სულის დინებას, ვის  
უნდა წყველა და შეჩვენება, ვინ ებრძვის სიმშვიდეს და ვინ ერკინება მრისხანე  
სუნთქვას?! არა პოეტო, შენი ლანდი თანა გდევს თურმე და შენს ოცნებებს და  
იმედებს დასცქერის შორით, ხან ილიმება, ხან ბრაზდება, ხანაც ცრემლს იწმენდს...  
მაშ დაიძინე, ნულარ შფოთავ, იგრძენ სიმშვიდე, ძილს დაუძმონე დარდიანი, ლურჯი  
თვალეები...

გარეთ ისევ წვიმს... და დარაჯად დამდგარი ლანდი მოიბუზება, გაფითრდება  
მრუშე სარკმელთან...

სიზმრის საუფლო გამოიწვევს სამყაროს სევდას, დაიშლებიან აჩრდილებად თეთრი  
ფიქრები, გადაქანდება უფსკრულებზე თეთრი კარეტა, აახმაურებს სიმყუდროვეს  
გლოვის ზარებით.

„ზამთრის ვარდები დაიმსხვრევა ბალის კარებთან,

გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა.

უშნო წარსულის სიმახინჯე მივლის გარედან.

საშინელებას მირაჟებით მე ველოდები“.

მშფოთვარე სუნთქვას ჩამოათოვს ლოდინის ფიფქი, მდინარე სახეს დააკვდება  
ვაების ფერი, გაიწელება ტკივილამდე მისული ღამე და დასველდება სული - „სხეულის



ჩუმი ტუსადი, სული-უცნობი, სული -ანგელოზი“.

...აისი ცისფერს გამოუჩვენებს მეწამულ ზეცას. შეწყდება წვიმა, დედამიწა ახმაურდება, გადაეკრება ცისარტყლა უმანკო ლაქვარდს და... ვიწრო სარკმელშიც შეიჭრება სამყაროს ხმაური, მთვრალი მოხუცი ნაბახუსევს გაახელს თვალებს, მარტოსული კი სწორედ მაშინ შეიცვლის მზერას და ფიქრთა მდორე დინებას ზანტად გააყოლებს თვალს... კითხვის ნიშნები ფარფარებენ ქრელ მოვლენათა მსვლელობის თავზე და ბუნდოვნად დაწერილი პასუხის წაკითხვაც მხოლოდ პოეტს თუ ძალუძს: „სამარეა ჩვენი ყოფნის ბოლო...“

გათენდა დილა. ისევ დაიწყო ბედის ბორბალმა ტრიალი, მაგრამ არავინ იცის, ტრიალებდა იგი მართლაც? იქნებ პოეტის, შემოქმედის სიცოცხლის წამებს მასხრად იგდებდა და სიცილით უკუღმა თვლიდა?!

ჰოი, უფალო, გადმოხედე დაცემულ სხეულს, შეივრდომე და შეაფარე შენს წმინდა კალთას, რადგან სურვილი სიცოცხლისა ჯერ კიდევ ბეუტავს და ნუ ჩააქრობ ჩაუქრობელ იმედის ლამპარს... მარტო მიჰყვება მარტოსული ცხოვრების ბილიკს, მოგონებაში ცოცხლდებიან ძველი ჩრდილები:

„სალამოა, გვრძნობ მწუხარე იერს,  
გულს ცხოვრება სამარეში ძირავს,  
დღეს ვიგონებ და ვღონდები ძლიერ,  
მენატრები და სადა ხარ ირა?“

...ტატიტ მიუყვება სველ ქუჩებს, უღიმის თავის თავს. ფიქრობს ობლად მიტოვებული სული წუთისოფლის ამაოებაზე, ადამიანთა საოცარ გულგრილობაზე, ფიქრობს სევდაზე, დარდზე, ნაღველზე; გრძნობს, რომ სიცოცხლე მხოლოდ წამია ვარდისფერ სივრცეს წამიერად შეკედლებული, გრძნობს, რომ ადამიანი სამყაროს სტუმარია, რომელსაც მასპინძლად განგება ხვდება, გრძნობს, რომ სამყარო ადამიანშია ისევე, როგორც თვით მოკვდავია სიცოცხლისა და სიკვდილის უბეში განივთებული, გრძნობს, აღარ შეუძლია აზროვნება ისევე შეუჩერებლად, როგორც ოდესღაც, რომ სხვანაირად აღიქვამს ყოველივეს და სწორედ ეს აღქმის უნარი გააჩნევს სხვებისაგან, იგივე აიძულებს სიცოცხლის დატოვებას და იგივე იწვევს უკვდავებასთან უხმო ჭიდილში.

„გამომელია მართლა ძალ-ღონე,  
გამომელია სიცოცხლის ძალა“.

...ცხოვრება კი ისეთივე გრძელია, როგორც ადამიანის მოთმინების ძაფი, ისეთივე გაურკვეველი და გაუღწეველია მისი გაუვალი გზები, როგორც მოკვდავის აზროვნება და ფიქრი... ფეხათრეული მიუყვება დიდი შემოქმედი ქუჩას: ადამიანები... ქალები, კაცები, ბავშვები, მოხუცები, გაურკვეველი ასაკის, ამოუცნობი მისწრაფებების, გაუთვითცნობიერებელი იდეების, დაუფიქრებელი ფიქრების, უგონო გონების მფლობელები... თვალები: ცნობისმოყვარე, გაბრუებული, მწუხარე, მხიარული, დარდიანი, სევდიანი, ანთებული, გაცისკროვნებული, უღიმღამო, გაკვირვებული და... უსინათლო თვალები...

...ღმერთო!!! ადამის ძეთა ბედის მჭედელო, რად მოუვლინე სატანჯველი უბრალო მოკვდავს, რატომ მიეცი სხვათათვის არარსებული უნარი საწუთროს შეცნობისა კაცს, რომელმაც არც კი იცის როგორ გაექცეს საკუთარ თავს, არ იცის, როგორ



გაუმკლავდეს მსოფლიო სევდას, როგორ უარყოს წუთივით ვრცელი და მაინც, უსაშველოდ ხანმოკლე წუთისოფელი...

ღმერთო! უფალო! შემოქმედო! არსთა გამრიგე!... ნუ ძარცვავ ასე უმოწყალოდ ცოდვილ ადამიანს, ნუ გსურს უარყოს ამქვეყნიური ვნებები და მიწიდან დაეუფლოს ზეცას, რადგან შეუძლებელია ადამიანი იტანჯებოდეს მთელი სისრულით და სხვების დასანახად ცეკვავდეს მაინც, რადგან შეუძლებელია ადამიანს ერთდროულად უყვარდეს და სძულდეს, უხაროდეს და სწყინდეს, ნაპოვნი ჰქონდეს და ეძებდეს, გული უტიროდეს და თვალები უცინოდეს...

...ცხოვრებას სუსხი შეჰპარვია. დაზამთრებულია. გათოვებულია უთვალავი ფიქრების თოვლი, გაშიშვლებულია სიცოცხლის ხე და...

„დავალ ქვეყანაზე, როგორც გაძარცული, ღმერთო, დააჩქარე ჩემი აღსასრული“.

...უფიქროდ მავალი წუთით შედგება, თვალებს გაახელს, მოიცილებს წარმოსახვითა რძისფერ ლიბრს. დაცვარულ შუბლზე გადაისვამს მთრთოლვარე თითებს, სივრცეს გახედავს: წინ, ასე ახლო სამანებში უსაზღვროებასავით გაშლილა სასაფლაო. ფეხარეული შევა ტერენტო გრანელი არამქვეყნიურ მდუმარებაში. აქ სიწყნარეა, მკვდრული სიწყნარე... დამარხული ვნებები, ფიქრები, ოცნებები, იმედები... დამარხული და საშუადაოდ მივიწყებული ადამიანები...

„ჩემთვის სიცოცხლე ისევ ძნელია და გრძნობის ცეცხლი სხეულს ედება. სადაც მე ვდგავარ, იქ სიბნელეა, იქეთ არავინ არ იხედება“.

გრძნობდა სასაფლაოს გამყინავ სუსხს, ძვალსა და რბილში რომ ატანდა ერთიანად. გრძნობდა სიჩუმეს და მდუმარებას. გრძნობდა, როგორ იცლებოდა გონება, სხეული და გული ამქვეყნიური ხმაურისაგან, მომაბეზრებელი მრავალფეროვნებისაგან და როგორი ნეტარებით იძირებოდა ერთფეროვნების ფერნამკრთალ ტბაში, როგორც იძულებით და უხეიროდ მივიწყებული ოდესლაც ჩადენილი სიავე აწყმყოს დარღებით აგებულ გულში...

დუმდა სასაფლაო მკვდრული დუმილით. სიო არხევდა კვიპაროსის უნაზეს რტოებს. ჩურჩულებდნენ პოეტის გაიისფერებული ბაგეები წუთისოფლის უხმო სამღურავს. საწუთრო კი საოცარი გულგრილობით უვლიდა გვერდს სივრცეში დაბნეულ საყვდურს და ჩვეული სიღინჯით აგრძელებს სვლას უჩვეულო გზებზე. „მე ჩემი იმედი სადღაც შორს მგონია

და სიჩუმე ისევ სასაფლაოზეა.  
გული სამარეა, გრძნობა - კოცონია  
ტანი - სიმძიმეა, სული - ჭაოსია“.

...უაზრო სიზმარივით არეულად ენაცვლებიან ხილვები ხილვებს. გრძნობს შემოქმედი, რომ უნებურად გადასულა რეალურ სამყაროში. უკვე იცის, რომ არავინ დაიჯერებს იმ გულწრფელ აღსარებას. იცის, რომ ოცნების გამხელა აუტრიალა უსიტყვოდ ბედმა, ყველაფერში უსიტყვოდ ერევა განგება, ყველგან და ყოველთვის გრძნობს მის მსახვრალ ხელს, მუდამ იცის, რომ მარტო არაა, რომ დღენიადაგ დაჰყვება უფერული აჩრდილი, თუმცა ვეღარ გაურკვევია, აჩრდილი დასდევს უკან



თუ თავად დაჰყვება აზრმიშუცემლად ლანდს?..

რაო?! ტირი კიდევ?! იქნებ შიშის ცრემლებია, იქნებ მომავალსაც დასტირი უკვე?... ო, არა, არა... განგებამ ხომ ყველაფერი აგიკრძალა შენ - ტერენტი გრანელს! ყველაფერი, გარდა ცრემლებისა და ფიქრისა... მაშინ... მაშინ, იტირე, იტირე და იფიქრე, იფიქრე და იოცნებე რამდენიც გინდა, ოღონდ ნუ მოსთხოვ ნურასოდეს ბედს და განგებას ნატვრის ახდენას, იტირე მხოლოდ...

„უმანკო ცრემლი დამეცა გულზე,

ყველამ თქვა: ყოფნა რომ სიზმარია.

სიკვდილს ყოველთის თვალეში ვუმზერ,

ვგრძნობ ვილუპები და მიხარია“.

სიკვდილი?... იქნებ სიკვდილიც მხოლოდ ცხოვრების ცისფერი აღმშრით გათანგული ბაგეების ბოდვაა, იქნებ სიკვდილიც ჭირია, სიცრუეა, სიყალბეა... იქნებ სიკვდილიც განწირული იმედია, უიმედო ნატვრაა, აუზღუნელი სიზმარივით სანატრელია და მიუწვდომელი, როგორც ქალის გულის დაპყრობა...

„რომ მდომოდა სიცოცხლე, სიკვდილს არ ვიწამებდი“, - კენესის გული და დუმილით უმზერს დიდი პოეტი სიკვდილის ცეკვას, ასე ლამაზს და მოქნილს, დიდებულს და სულისშემძვრელს, დამღლელს და გამამხნეველს, ასე ვნებიანს და საშიშს... ღმერთო!.. რა საოცარი ყოფილა სიკვდილი, საოცარი და სანატრელი. ნუთუ გარდაცვალება გულუბრყვილო ოცნებასავით უშფოთველია, ნუთუ საკმარისია მხოლოდ თავისა და სიცოცხლის... მოზეზრება?! მაშინ გადარაზავს ადამის ძე ხსოვნის კარიბჭეს: - გაქრა წარსული. წინ უტყვი, არაფრისმთქმელი აწმყოა, ასე ჩაცვიბით რომ უმზერს პოეტს და ცდილობს ამოიცნოს სულის იდუმალი, სხვათათვის შეუძინეველი შფოთვა. მომავალი?! ჰმ! მომავალი... არ არსებობს არანაირი მომავალი, რადგან საოცრად ბერწია აწმყო, არ არსებობს მერმისი, რადგან აღარ არის წარსული, მხოლოდ დარღია და:

„ახლა სიცოცხლე არ მსურს

და ვურიგდები სიკვდილს“.

...ლანდებს შეუწყვეტიათ უმიზნო ფარფატი, დასრულებულა სიკვდილის როკვა და თმაჩამოშლილი, მტირალი ქალი დაქანცული გართხმულა საფლავის ლოდთან... მზე გადახრილა. გალურჯებულა ცისფერი ზეცა. გამუქებულა დიდი ღმერთების საბრძანებელი... დროა, კარგა ხანია დროა, ადგე და გზას გაუდგე შინისაკენ ტერენტი გრანელო. მერე რა, თუკი ისევ აწეწილი გაქვს ფიქრი და დარდი, თუკი ისევ გაურკვეველია შენთვის, რისთვისაა საჭირო სიცოცხლე-ესოდენ ტანჯვა და ამდენი არაქათგამოცლილი მოთმინება, თუკი ისევ ისე ეტრფი სიკვდილის უცნაურ სითეთრეს და ჩუმად ჩურჩულებს, როგორც მლოცველი:

„სამუდამო ძილი მინდა

და სიკვდილით დასვენება“.

...არაფერია, არაფერი... ცხოვრება ასე ვერ გაგიმეტებს, უმტკივნეულოდ, უცრემლოდ და თვით ვერ გადაგისვრის სიკვდილის საწნახელში. ჯერ კიდევ მრავალჯერ უნდა მოკვდე და ისევ აღსდგე, კიდევ მრავალჯერ უნდა აზიდო ცხოვრების აღმართზე საწუთროს მძიმე ჯვარი და შენი ნებით ჯვარს ეცვა უნდა. კიდევ მრავალი ცრემლის მძივები უნდა აასხა, რომ ეზიარო გარდასახვის ცისფერ სიწმინდეს, ჯერ კიდევ



შორსაა სიკვდილი დიდო პოეტო, შორსაა მარადისობის გაყინული სივრცეები, მაშ  
წადი, წადი, არსად არ მოიპოვება ჯერ შენი ადგილი, შენი - უდიდესი და ჭეშმარიტი  
შემოქმედის...

...სალამოს ბინდი უხილავ შარავანდედად დადგომოდა პოეტს. საოცრად  
დამოკლებულიყო სახლისაკენ მიმავალი გზა. თბილისი იძინებდა...

რალაც ამღერდა სულში, თოთქოს ერთხმად დაიწყო გალობა ათასმა იადონმა...  
არა, ეს ბებერი მნათე აგუგუნებდა ვეება ზარებს. მიმწუხრის ლოცვა, ლოცვა თუ  
სევდა?!

დაღლილი, სუსტი თითებით მოწიწებით იწერს პირჯვარს ტერენტი გრანელი,  
გაფითრებული ბაგეები კრძალებით ლოცულობენ. მხრებში მოხრილი, უსაზღვროდ  
სევდიანი, თმაწეწილი დგას დიდი პოეტი და ლოცულობს. მნათეს შეუწყვეტია  
ზარების რეკვა და სამრეკლოდან გადმოჰყურებს დაქანცულ ქალაქს.

დალამდა. უკვე სახლშია ტერენტი გრანელი. ფრთხილად ალებს მტვრიან სარკმელს,  
გასცქერის ღამეს - მწველს და დიდებულს. ღამით ივსება პოეტის თვალები. მერე  
სიბნელე ნელდება და იქცევა ცრემლად. თვალები ელიან ჭეშმარიტ ღამეს - სიკვდილს,  
რომელიც იგვიანებს. მთვარე კი ლაქასავით ჩაშრობია ზეცას და ცეცხლივით მწველი  
სევდით ავარაყებს მზერას:

„ჩემი თვალები ისევ სავსება,  
ვღებულობ სიკვდილს მალე თუ მოვა“...

და თვალუწვდენელი აღმართიდან თვალშეუსწრები სისწრაფით მოგორავს  
სიცოცხლის ლოდი, მოგორავს, რომ გასრისოს, რომ გათელოს, რომ გააცამტვეროს...  
ღმერთო, რა ბედნიერებაა სიკვდილის ხილვა. ახლა სული უფრო ისწრაფვის მისკენ,  
ვიდრე ეს მოლურჯო ლოდი. მოდი სიკვდილო, მოდი, რადგან გელის მოკვდავი,  
მოდი, გეძახდა რა ხანია პოეტის სუნთქვა, გაათბე დაწყლულბუთ სივრცეთა წყება,  
მოდი დაემხე, მიწას დაეც, გაანადგურე შენს წინ ამჟამად აღმართული პოეტის  
მრწამსი.

...დაეცა ლოდი შემოქმედის მგზნებარე მზერას. გათელა ფეხქვეშ მარტოსულის  
სასო და რწმენა. გაფითრდა სუნთქვა, შეიცვალა გრძნობამაც ფერი, მაგრამ... რა  
ხდება, ნუთუ საწუთრო კვლავ არ ანებებს სიკვდილს დაობლებული სულის უნეტარეს  
სიმზურვალეს, ნუთუ სიკვდილი კვლავ უკუიქცა?!

...განცდა მძაფრი და მტკივნეული - სიცოცხლე გრძელდება... ო, რა გაუმაძღარია  
წუთისოფელო შენი წიაღი, რა ცოტას აძლევ ადამიანს საზრდოდ და რა ბევრს  
ითხოვ მისგან... ძნელია, ძნელი სულიერი წონასწორობის აღდგენა, სველი ფიქრების  
უკუგდება და მორიგი დამარცხების დაჯერება. ჰოი, ღამეო, მხოლოდ შენა ხარ  
უტყუი მოწმე სულის დაცემის, მხოლოდ შენა ხარ უჩუმრად დარბეული ექო ნელი  
კენესისა, შენა ხარ ამღვრეული გონების იძულებითი მესაიდუმლე... მაცდურო წუთო,  
დაწყვილილო მოკვდავის ბედო, მიეც ადამიანს ძალა იმისა, რომ უარგყოს შენ, რომ  
დაგივიწყოს და წარსულის მრუმე ჩრდილში მიგჩქმლოს. ღამევ, სიკვდილის ბნელო  
საგანევ, თან წარიტაცე ობოლი სუნთქვა და შენს ყორნისფერ, ბნელ ნაბადში  
უხილავად ჩაკარგე... შთანთქე ღამევ მუდმივ სიკვდილზე მლოცველი გული:

„ღამეა, მინდა სულის დაღევა,  
ეს დუმილია და გაწვალება“.



ცრემლი ადგება დაღლილ თვალებს... ტირის ტერენტი გრანელი. ტირის გაფრენილ წლებს, ხსოვნის კიდობანში სათუთად შენახულ სიყმაწვილეს, ტირის მუხთალი წუთისოფლის ვერაგობას, წარსულს, არაფრისმთქმელ აწმყოს და გაუარკვეველ მომავალს.

...სადღაც ისევ უკრავს ძველი როიალი. ბედისწერის სალუქი თითები მიჯნურივით ეალერსება მოგონებათა შავ-თეთრ კლავიშებს...

„სხვაგვარ დუმილით ვუსმენ მუსიკას  
და ახლა სიკვდილი ასე ადვილია“.

ძილს მიეც თავი, ქვეცნობიერ სიზმარეულ აჩრდილებს დაემონე დიდო შემოქმედო. იქნებ ძილში მაინც მოგასვენონ უსიცოცხლო მოგონებებმა. ყური დაუგდე პლანეტის გუგუნს და ყრუ ხმაური იავნანად მოგეჩვენება. იქნებ სიზმარში მაინც მოგეახლოს სიკვდილის ღმერთი, თავისი სველი მარჯვენა შენს თბილ მარჯვენას გადააჭდოს, მოგიადლერსოს, იქნებ შეიცნო კიდევ მიცვალებულის სახეზე გაყინული ღიმბილის სევდა, იქნებ ჩაიძირო მარტოობის მღვრიე ტბაში და ნეტარებით სულშეძრულმა ჩაიხურჩულო.

„ასე მარტო მიხარია ყოფნა,

როცა თავს გგრძნობ მე სიკვდილთან ახლოს“.

ეხლართებიან ერთმანეთს მომქანცველი მოგონებები, როგორც მიტოვებული ქალწულის უნატიფესი და მორთოლვარე თითები. ბუნდოვანი მირაჟები ერთმანეთს ცვლიან. დარდიანად ირხევა თვალცრემლიანი მოირა. ბუნდოვანად ცოცხლდება წარსული. ფერმკრთალი სახეები ენაცვლებიან ერთმანეთს ცხოვრების გაყვითლებულ წიგნში, მკრთალი ხილვები ებრძვიან სისხლისაგან დაცლილ უბოროტო ლანდებს. ხელაპყრობილი დამხობია ნოტიო მიწას სიცოცხლისაგან თავმოებურებული საბრალო მოკვდავი, წამთა უთანაბრო სრბოლაში, უფერულ ბურუსში იკარგება და ინთქმება საწუთროს წიგნი...

თვალებს ახელს შემკრთალი პოეტი. გულისძგერით ისმენს ცხოვრების თანაზიარ მელოდიას, რომელიც არავინ იცის როდის აჟღერდა პირველად, როდის დაიწყო შემოქმედის წუთების დათვლა... ისწრაფვის სული სიკვდილის სამანებში განფენისაკენ, აზროვნება და ცნობიერება ამოდ ცდილობს დაივიწყოს ნისლიანი რეალობა, უზენაესობისაკენ-გარდაცვალებისაკენ. სწრაფვა, თანდაყოლილი ლტოლვა უფრო იზრდება და ფარავს მრუმე სამყაროს ავადმყოფ სუნთქვას...

„გუსმენ როიალს და მოდის ფიქრი

ისევ სიკვდილის და თვითმკვლელობის“.

ო, რა ცარიელია სიცოცხლის დღეები, როგორ იზიდავს პოეტს უხილავი და შეუცნობი, მისტიური გარდასახვა სხეულიდან სულად. რა საოცარი ზათქით ეხლება გრძნობის ყრუ კედლებს არამიწიერი ქარიშხლები, როგორ არღვევენ სულის ჯებირებს აქაფებული ველური ნიაღვრები...

ლამე სამარედ იქცა. ლამე გაგრძელდა თითქოს. ბორგავს დაღლილი სუნთქვა, უხმოდ ბრიალებს მოთმინება... საით აბრუნებს ქარიშხალი ბედის იალქანს?!

შიშველი სული მძიმე სხეულს უწოდებს დილეგს. ძაფი, მიწიერ ცხოვრებასთან რომ აკავშირებდა ადამის ძის დათრთვილულ გონებას, დიდი ხანია გაწყდა. საოცარია, სიცოცხლე მაინც გრძელდება, თუმცა აზროვნებას აღარ ძალუძს სხვა რამეზე ფიქრი, გარდა:



„ახლა ხომ დროა მოვიკლა თავი,

მეტის მოთმენა არ შემიძლია“...

გათენდა. თვალდახუჭული ფიქრობს ტერენტი გრანელი, ფიქრებით ებრძვის ამქვეყნიურ უიმედობას, ებრძვის სიცოცხლეს, ერკინება ყოფიერებას. მძულვარე თვალთ შესცქერის აისს-ახალ გოლგოთას და ახალ პირდაღებულ უფსკრულს, როგორ ელოდა გათენებას და როგორ ეზიზღება ახლა დღე - ცივი, უსახური და იძულებითი მოწმე ზევდრის გულქვაობისა.

ნელა დგება დაღლილი პოეტი, უხმაუროდ აღებს კარს და გადის... წინ ჩაშტერილი თვალივით უსაგნოდ მზირალი დედექალაქი გადაშლილა; შემკრთალი მიაბიჯებს უმიზნოდ, მიდის და უკვე აშკარად ჩაესმის სულის საბრალო ქვითინი, მოთქმა:

„გავალ მიწიდან,

მინდა ალერსი.

ისევ მიზიდავს

ცა უმაღლესი...“

ესმის საკუთარი ნაბიჯის ხმა, უმნიშვნელო ჩქამიც აშინებს და აფრთხობს... უნდა იჩქაროს, რომ როგორმე აერიდოს ცნობისმოყვარე თვალთა გამაღიზიანებელ მზერას, ასე რომ აძულებს სამყაროს, ასე რომ აწამებს და სულიერად ანადგურებს:

„შავი ფიქრები გროვდება ისევ,

დგება წამების თეთრი საათი.

მიწა არ მინდა და როგორც ქრისტე,

მეც ვემზადები გაფრენისათვის“.

გაფრენა. ცისფერ, უსამარო სივრცეთა დამორჩილება, უსაზღვროებაში განივთება და ჩაღევა... ნუთუ ასე ძლიერ უნდა განიცდიდე და იტანჯებოდე მხოლოდ იმიტომ, რომ პოეტი ხარ; ნუთუ მხოლოდ შენ - შემოქმედმა უნდა მოკრიფო წუთისოფლის ეკალ-ბარდებში სისხლისფერი ვარდები და შენს უკან მავალს ფეხქვეშ გულგრილად გაათელინო?! ნუთუ შენ - საწუთროსაგან განდგომილი უნდა ეწამო, უნდა ამოიწვა გული ცეცხლივით მწველი გრძნობებით, უნდა დაიშანთო გონება მხურვალე აზრებით, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვამ გაიღიმოს?! ჰო, ამაზედაც ყაბულსაა, ოღონდ დამთავრდეს ის უგულისყურო ბოდვა ფერწასული მოირებისა, ცხოვრებას რომ არქმევენ კაცნი, იქნებ ოდესმე ყოველივეს ეწოდოს თავისი სახელი, მაშინ... რას დაარქმევენ პოეტის სიცოცხლეს. - მარადიულ სევდას თუ შეშლილი სულის უაზრო ექოს?! იქნებ?! მაგრამ არა,

„არ შემიძლია, გული გათავდა,

მე ფრთას შევისხამ და გავფრინდები“.

ლურჯი ეთერების მიღმა ახალი სამყარო ელოდება პოეტს - მშვიდი და წყნარი, სანეტარო და უშფოთველი... ღია სამარეს დადარებია ტერენტი გრანელი, მოუთმენლად რომ ელის მიცვალებულს, მისით ამოვსებას და მშვიდ განსვენებას... იქნებ ოდესმე შავ სამარეზე აღმოცენებული სისხლიანი ვარდი შენიშნოს მომავლის მკვიდრთა და სინანულით აღსავსე თვალები ზეცას მიაპყრონ. ზეცას, რომელიც ისეთივე ლურჯი იქნება, როგორც პოეტის დაღლილი მზერა.

“ვფიქრობ: სიცოცხლე არ ღირს,

ცისკენ მიფრინავს თვალი...“



ისევ ხმაურობს მომქანცველი გუგუნით ქუჩა, შორეული და უახლოესი სივრცის სამანები უთანაბროდ შეერთებულან და ფერთა ქაოსი წარმოუდგენელი სიძლიერით ახელებს ფიქრებს. თვალთახედვა ებრძვის სურვილებს, უხმო ჭიდილში ორივე მარცხდება. სისხლი სდის დაჭრილ ვნებას და დასნეულებული მზერა ვერაფერს ხედავს, გარდა ცრემლისა.. ტირილი უნდა, ცრემლების ზღვაში თავის დახრჩობა, ხმამალალი ქვითინი სურს დასეტყვილ გულს...

გამოსავლიდან გამოუსვლელი გზები.

ლაბირინთებად დაქსაქსული მომავლის დღეები.

უღიმღამო და უსურველი დროის დინება.

დროებითი ხსნა, წუთიერი შეება ლოცვაშია... და მიწისფერი ბაგეებით, დაშრეტილი თვალებით, დაქანცული სხეულით ლოცულობს პოეტი:

„წამი აღმაფრენის

და ფიქრი ნაჩვევი.

ღმერთო! გამაფრინე

და ქრისტე მაჩვენე“.

ისევ ნატვრებით საზრდოობა, ისევ ოცნება - ჩუმი და მკრთალი, როგორც ლოცვა და გაოცება... ისევ ხილვებით არსებობა, ისევ ლოდინი, ისევ წამება, გაფითრება და უხილავი აჩრდილის დევნა.

კვლავ ტაატით ტრიალებს უფორმო და ჭრელი დედამიწა. ისევ ღელავენ ადამიანის ცრემლების მღვრიე ოკეანეები, ისევ სერავენ ლაევარდ ზეცას უსახური ფრინველები - ადამიანთა აუხდენელი ოცნებები... და დედამიწის შუაგულში, ზეცისა და მიწის გზასაყარზე გაურკვეველი ბურუსივით გაწოლილა მოკვდავის ლანდი...

„შენ დედამიწავ, საიდან გაჩნდი,

მოვიდა ცრემლი და სასოება.

შორიდან ვხედავ საკუთარ აჩრდილს,

შორიდან ვხედავ უსაზღვროებას“.

უსამანო სივრცეებში დაბორიალობს შემკრთალი სული, ცრემლის ყვითელი გუბე წინ მიუძღვის და ანუგეშებს. სული ერკინება სხეულს, სურს თავისუფლება, უკიდევანო თვალსაწიერში ნავარდი სურს, სხეული მიწისაკენ მიილტვის და ნესტიან სიმავეში ჩამარხავს უქადის მოქიშპეს... ტკივილით იხუთება გული, მას ზეცა უნდა, მაგრამ არ ძალუძს უღალატოს დაქანცულ სხეულს, დადლილ და დარღვეულ სხეულს... ისევ დათმენა, მორჩილება, მოჩვენებითი სიმშვიდე და ლოდინი...

„ვიცი სხეულმა რომ დამატყვევა,

ტანი - ციხეა, მე პატიმარი“.

გრძნობა მორჩილად დუმს, ფიქრებს მწუხარების ძაძა მოუსხამთ დაჩხილ მხრებზე, ქარში ტრიალებს ლექსის ცეცხლით ატკაცუნებული გონების ფერფლი... მიდის მარტოსული უკაცრიელ გზაზე, ძლივსლა მიათრევს სევდისაგან დაძლურებულ, დადლილ სხეულს მეოცნებე სული. „მგონია, ციდან მეძახის ვიღაც...“ ხმათა ქაოსებს სიბნელე მოსაგს, დადლილი სული სიბნელეს უყუფს. ცეცხლივით მწველი შეგრძნების ენები გარს ეხვევიან ავადმყოფ პოეტს და წითელი ენებით ულოკავენ წყლულს: „და როგორც ცეცხლი, გარს მეხვეოდა ფიქრი, სიკვდილზე და სიმორეზე...“



„დრო ასეთია, ვღონდები ისევ,

დაბნელდა ჩემი ოცნების მხარე.

არყოფნის ღამე! შენსკენ მოვიწევ,

არყოფნის ღამე! შენ დამიფარე“.

შენ დაიფარე ზეცის ფერთა მრუდზე მანტიავ, მოგონებებით დავრდომილი მოკვდავის სუნთქვა, შენ ჩამარხე შენს უსაზღვროებაში სიცოცხლის საწყისები და გზა მიეცი გარდაცვალებას, შენ დაამსხვრე წუთისოფლის წითელი ეტლი და თეთრ სამანებში გაუძეხი მიწიდან გამოქცეულ ადამის ძეს.

ღამე, შენ დააცხრე ბოზოქარი ვნებათაღელვა, შენ დაწყვიტე ყოფიერებასთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი, შენ დაანახე ადამიანს საბედისწერო სილუოჯეთა ნელი დინება, შენ შეიწყარე მდუმარე ვედრება, სიკვდილის სამრეკლოდან უპასუხე დამდნარ ადამიანს, ღამე, ნუ დაღამდები ისე უბრალოდ, როგორც ოდესღაც, დაღამდი ისე, რომ სიკვდილმა გაშალოს ფრთები და დამქანარი ლოცვა თოვლისფერ, თვალუწვდენელ სივრცეში გადაისროლოს...

„უკვე დაღამდა, ისევ მე ვტირი

და უხილავი სივრცე მიტაცებს.

სული გაფრინდა თეთრი მტრედით,

სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე“.

უამრავი მიცვალებულის უწონო სხეული სუდარად აეკრა ზეცას. მთვარე სამგლოვიარო ბალდახინივით ნელა მიიწევს ცაზე და მიმქრალ ვარსკვლავთა უნიათო სინათლე სევდას აფრქვევს ირგვლივ.

სადა ხარ, სადა ხარ ტერენტი გრანელო?! ნუთუ გზა აგებნა, ნუთუ ველარ იხსენებ, სად არის შენი მიწიერი სახლი?! წადი, პოეტო, წადი და იქნებ სიკვდილმა ახლა მაინც მოიცადოს შენთვის და შენი მიწის სითბოთი მხურვალე სხეული თავის ნესტიან მკვლავებით დააზროს და გათოშოს სრულად... წადი, მარტოსულო, წადი...

არაფრისმთქმელი დღე შეუმჩნევლად ქრება თვალსაწიერიდან და უფერო ლაქასავით ჩნდება ცხოვრების წიგნში; წიგნში, დარდისა და ტანჯვის ნაგსაყუდლად რომ ქცეულა მხოლოდ...

სხეულში ყმუის ათასი ლეკვი, ციებიანი ქალივით თრთის და ცახცახებს მიმკრთალი სხივით მოგარსული თეთრი ვარსკვლავი... ისევ ავეკიატება მარტოსულს სიკვდილზე ფიქრი, ქვეცნობიერად გრძნობს ტერენტი გრანელი გარდაცვალების უნაზესი ლანდის მოახლოებას... შემოილივით აწყდება შეგრძნება სხეულს. ამაზრზენად იკლავნება სულში სიცოცხლის უსახური ცხოველი და კივის... კივის, როგორც საფლავის ლოდთან ჩაქოლილი სნეული ქალი...

სიბნელე დაეუფლა სამყაროს...

ღამემ გადაფარა დედამიწა... თითქოს მთავრდება სიცოცხლე. სინანული?! არამც და არამც, მხოლოდ მოგონება და არავითარი სინანული... რა შეენანოს ფერწასულ პოეტს: ტკივილი, დარდი, ბედის ჩარხის უკუღმა სრბოლა?! იქნებ სევდიან დღეთა უმისამართო წყება?! მხოლოდ ბედის ნებიერს შეიძლება შეენანოს სიცოცხლე, მხოლოდ ცხოვრებისაგან გაღალბებულს შეუძლია გული დასწყდეს წუთისოფელზე და ნაღვლიანი ცრემლით დაენისლოს მზერა... მას კი...



„მე იმდენად შევეჩვიე სიკვდილს,

აქამდე რომ ცოცხალი ვარ, მიკვირს“.

სიკვდილის ლანდი უცნაურად შემოიძურწა მრუშე ოთახში, ირიბი მზერით გადახედა გულხელდაკრეფილ ტერენტი გრანელს...

უცნაური სუსხი, უჩვეულო სინესტე და სინოტივე იგრძნო პოეტმა. გარინდებულმა მოავლო თვალი ირგვლივ და უზენაესი ნეტარების ღმირი გაუპო ბაგე - „გადავეცემი სიკვდილის მღუშარე ხელებს...“

მზერა დაიძაბა და გახდა საოცრად შორი... ცხოვრების დასაწყისში თუ დასაღიერში ნაცნობ ლანდებს ჩაებათ ფერხული: მამაც აქ იყო, მამოც, ზოზიაც, გაფითრებულ ლაწვებზე უფერული ცრემლის მძივები ეკიდათ, ეამა ტერენტი გრანელს, რომ ვიღაცას ეწინა მისი ამ ქვეყნიდან წასვლა... ნეტარებით აღესილა ისევ მოავლო თვალი შორეულ აზრდილებს: სოფელი. სიმშვიდე. უმანკო ბავშვობა. შეურყენელი ყრმობა. მერე თბილისი, სიღარიბე, მუდმივი სევდა, ისევ ტკივილი, სიდუხჭირე, ისევ ვაება, ისევ ოცნება სიკვდილზე და...

აჰა, სიკვდილიც მოგახლა დადლილო სულო, სიკვდილი, რომელიც შენს პოეზიას უსახსოვრებს შთამომავლობას, როგორც უტკნობ ყვავილთა უმშვენიერეს გირლიანდს. შენი გენია გათელავს საუკუნეებს, დაიპყრობს მარადისობის თეთრ ეთერებს და ერთდროულად დაეუფლები მიწას და ზეცას, მოკვდავს და უკვდავს, მიწიერს და შეურყენელს...

...თითქოს მინელდა სუნთქვა. თითქოს ატრელდა მზერა. უძლური სხეული ფართოდ აღებდა გამომწყდელი სულის საპყრობილის ვიწრო სარკმელს და თვალუწვდნელ სამანებში გასაფრენად ემზადებოდა ცისფერი სული...

უკანასკნელი ამოსუნთქვა.

ღიად დარჩა თვალები, მარადისობის ლურჯი სივრცე რომ ლივლივებდა მასში, ვით მძინარე ზღვა... მიწაზე დარჩა ამოება: სხეული, სიცოცხლე, ტანჯვა. ზეცას ეზიარა სუნთქვა. სამგლოვიარო ხაზებით გადასერილი იყო სამყარო. ? - ჩურჩულებდა დედამიწა და მრუშე სარკმელთან სანთლის ალზე ვიღაც ნელი ხმით კითხულობდა „სულიდან საფლავებს“...

...ვიწრო ოთახში კი ტკივილისაგან, დარდისაგან, სევდისაგან, ოცნებისაგან დაცლილი ტერენტი გრანელი იწვა და გაყინული მზერით გასცქეროდა გათავისუფლებული სულის სამფლობელოს - შორეულ ლაქვარდს...

სიკვდილი, როგორც ერთგული ძაღლი, ყმუილით ლოკავდა გაფითრებულ სახეს... შორს მთვრალი, ბებერი მნათე უდროოდ და უთანაბროდ აგუგუნებდა ზარებს. საოცარი ხმით მღეროდა თოვლისფერი გედი და ულონოდ იქნევდა ფრთებს... თენდებოდა...



## ვედრება



მე ჯერ საგალი ბევრი მაქვს კიდევ,  
მე ასე უცებ ვერ შევჩერდები,  
მრავალი დამრჩა სათქმელი თქვენთვის,  
ნუ დამამუნჯებ, შენ გევედრები,  
შენ, ზეციური ძალის დიდებავ,  
შენ, ამ ცხოვრების ბატონ-პატრონო,  
ჯველა ჩვენგანის ხილო და კვალო,  
ჩვენი სულის და ხორცის ავტორო.  
ნუ შემაჩერებ ამ შუადღისას,  
მომეცი ძალა კიდევ ვიარო,  
არ გამიჩერდე კალამო უცებ,  
არ მილაღატო ბედო, ტიალო.  
ჩემი ცხოვრება ახლა იწყება,  
ეს ესაა, რაც ვიხილე ხილი...  
ნუ დამაბრმავებ, ნუ დამამიწებ.

## რწმენა

დახავსებული,  
დამეხილი ძველი ყვარი,  
ლამისაა რომ ჩამოიქცეს, ჩამოყირავდეს,  
სად არის ბოძი,  
ნაბოძები ძელის ძარღვიდან,  
ან სად არიან ოსტატები?  
- ჩამოიარეს?!  
- როდის ან საით?!  
- რატომ ან რისთვის?!  
ვინ მიპასუხებს ამაზე ახლა?  
ხომ არ შევჩერდით?  
წყუთილი ვიყო!  
თუ ავუარეთ ბილიკებს მართალს.  
წავიდა ძველი,  
მოველით ახალს,  
თუმცა ძველებურად ვერ ვდგავართ ფეხზე,  
მაგრამ იმედი გვაცოცხლებს მაინც,  
ძველი ყვარი გვახურავს ჭერზე.  
და... კიდევ იქნებ გაუძლოს დიდხანს,  
სანამ ოსტატი გამოთლის ძელქვას,  
არ შევშინდებით, მამულის გული  
მომავლის რწმენით ჯეროვნად ფეთქავს.




## სრული ქაოსი

სრული ქაოსია,  
 ქარი ქრის სასტიკი  
 და წვიმა აწყდება ფანჯრებს,  
 ღამეა...  
 ბნელია ხილული სამყარო,  
 მხოლოდ ცა აელვებს ხანჭლებს.  
 სრული ქაოსია,  
 დრო წყდება წამებად  
 და რაღაც იბუდებს გულში,  
 ველარ გამიგია  
 საიდან მოვდივარ  
 და რომელს მივათრევ ხურჯინს.  
 სრული ქაოსია...  
 სრული ქაოსია...  
 ნეტავ სად?  
 საიდან?  
 საით?  
 ბრძოლის ეპოქაა,  
 ხსნის და გადარჩენის,  
 რწმენის, იმედის და ძალის,  
 რათა აღიდგინოს  
 გულმა იმედები -  
 რწმენა აიმაღლოს ხვალის!

## ჩემი გზა

ვინ შემაჩერებს სიკვდილის გარდა,  
 ან ვინ წამართმევს ფურცელს და კალამს,  
 არ მჯერა ჩემი სიკვდილის ისე  
 ვერ გავუპკლავდე მიწიერ ვარამს,  
 მე არ მოგვკდები, მე ვერ მომკლავენ,  
 ამ უვარგისი ყოფის ფერები.  
 მე ვინც არ მიჯარს არ ვუძღვნი კოცნას  
 და არც უბრალოდ მოვეფერები.  
 მე უნდა ვწერო, სხვა არა ძალმიძს,  
 თუნდაც გამთელოს ეშმაკთან ბრძოლამ,  
 რადგანაც ვიცი, ვერ შემიტყუებს  
 უმისამართო ქარების სრბოლა.  
 მე ჩემი გზა მაქვს, ჩემი მიზანი  
 და ვიცი, საით მივყავარ იღბალს,  
 არ შევჩერდები, არ შევჩერდები,  
 თუნდაც ვერასდროს ველიროს ცისკარს.





## კობა ბერიძე

\*\*\*

გავფანტე დარდი, მოვიშორე ყველა ვედრება,  
არვინ აღარ მყავს მომდურავი და მოისარი,  
მეც ცხოვრებაში გამოვთალე ჩემი ისარი,  
სიცოცხლის ძარღვი სიმშვიდისა გულს მხნედ ეღება.

ვარსებობ ქვეყნად, არავისთან არ მიღავია,  
მე ჩემი საქმე მაჭილდოებს, ნაღდი მიზანი,  
დამშორდა დარდი, უიმედო, გაუხიზნავი,  
მაგრამ ცხოვრება თავისთავად მაინც ავია.

არვის მოსწრია ცუდი ზრახვა, ჩემი სიავე,  
ბევრი ეცადნენ, მაგრამ ვეღარ გამანიავეს,  
მე ბოროტების ვიყავ მტერი, თანაც საშიში,

ვერვინ გამწირავს გამორჩეულს სიკეთის თესვით,  
მუდამ იხარებს კეთილის და სინაზის ფესვი,  
მივდივარ ასე, შეგონებას არა, არ ვიშლი.

\*\*\*

თოვს და...  
ალერსით ფანტელები გაცვივა თავზე,  
ცივა...  
შენ არ გრძნობ ამ სიცივის საშინელებას.  
მოვალ...  
ნულარ გაქვს მოიშორე ცრემლები თვალზე,  
შენ ისეც  
ჩემგან შეჩვეული იყავ ფერებას...  
ვიცი...  
გახსოვარ, შეხვედრიდან და სიყვარული  
ისევ  
გულში გაქვს შენ სათუთად შემონახული.

## მარტოობა

გაიხედავ, ღამის ჩრდილი  
ხის ტოტებში აფრქვევს ლანდებს,





მარტო ვდგევარ სარკმელთან და  
ველარ ვიკლავ გულის დარდებს.

მთვარე ნათობს კაკლის ხესთან,  
კენწეროში სიოს სძინავს,  
დუმილია კიდიტ-კიდე,  
თვით ღამურაც ველარ ფრინავს.

მოგინდება ჩუმი ჩრდილი,  
გამოალებ სარკმელს ნელა,  
ვერ მოისმენ მამლის ყვირს,  
არ ფრთხილებს არსად ძერა.


ვერ მოისმენ კნუტის კნავილს,  
არსად ისმის ყუბა ძაღლის,  
თითქოს წყდება მაჯისცემა,  
აღარ ტოკავს გულის ძარღვიც.

იევ მდუმარება მოდის,  
კენტად დაიღალა სული.  
ნეტა, როდის, მოვა როდის,  
მარტოობის დასასრული.





## მთერ ჯავარიძე



\* \* \*

ვერ გაგიღებ ისევ ისე, ძველებურად კარებს  
და არც ღიმილს შევაგებებ შენს ნაღვლიან თვალებს.  
დავივიწყებ გასულ დღეებს, მთვარესა და ქარებს,  
არ გაგიღებ, არ გაგიღებ, არ გაგიღებ კარებს!  
არ მოვიწყენ უშენობით, არ ავიმღრევ თვალებს,  
დღევანდელი დღით ვიცხოვრებ, არ მოვძებნი ზვალეს,  
არ დავინდობ ცხოვრებაში სიჭვარულით მთვრალებს,  
არ გაგიღებ, არ გაგიღებ, არ გაგიღებ კარებს!  
არ ავანთებ, რომ ვანთებდი, სავდრებელ სანთელს,  
დაჩოქილი შენზედ ლოცვით არ გაგათევ ღამეს,  
არ გაგიღებ, არ გაგიღებ, არ გაგიღებ კარებს!  
ვივლი მარტოდ, დავივიწყებ შენს ვნებიან ალერსს,  
არასოდეს ვინახულებ ჩვენს საყვარელ მხარეს...  
არ გაგიღებ, არ გაგიღებ, არ გაგიღებ კარებს!...  
ვიძირები ოცნებაში, ვხედავ ობოლ მთვარეს,  
და უაზროდ ვიმეორებ: „არ გაგიღებ კარებს!“

\* \* \*

ნაჩუქარს უკან აღარ ართმევენ,  
შენ კი წამართვი ღმერთო,  
ნუ გეწყინება თუ არ ვილოცებ,  
მეც ნაწყენი ვარ, ერთობ.

\* \* \*


ცა გაიხსნა, ვარსკვლავების საუფლოში ჩანდი,  
ერთი წამით გაიელვე, მაკოცე და წადი...  
საკუთარი აჩრდილივით დამდეგს შენი ლანდი,  
უსაშველოდ გაიწელა წამი - წელიწადი.





# პრიტიკა, პუბლიცისტიკა

რამაზ სურმანიძე



## იუნუს ზეირაქს პასუხს პირველ რიგში თურქი ხალხი მოსთხოვს

(ანტიქართული გამოსვლები თურქულ პრესაში)

იუნუს ზეირაქი 55 წლის წინ გამოქვეყნებულ წერილსაც გვიხსენებს, თითქოს რაკი მის ავტორები ქართველები იყვნენ, ეს სწორედ საქართველოს, ქართველთა იდეა იყო. მაშინ, ბატონო იუნუს, საბჭოთა კავშირი არსებობდა, მას დიდი იმპერიული ძალა მოსკოვიდან მართავდა და ქართველებს არავინ ეკითხებოდა სახელმწიფოთა შორის რაიმე პრეტენზიების (მით უმეტეს ტერიტორიულის) წაყენებას. მე ძალიან კარგად მახსოვს 1944 წელი, როცა ჭოროხზე საგანგებოდ ხიდი ააგეს და მდინარის ორივე მხარეს ორი საბჭოთა დივიზია განალაგეს. ეს საბჭოთა ჯარი იყო და თურქეთში შეჭრას სწორედ ტერიტორიების გამო აპირებდა, მაგრამ ეს მაშინ აღარ განხორციელებულა.

კაცმა რომ თქვას, თქვენს მიერ დასახელებულ წერილში, რომლის ავტორები აკადემიკოსები ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი არიან, ყველაფერი მეცნიერული კეთილსინდისიერებითაა აღწერილი. ახლა ჩვენ რაზეც გვიხდება დავა, იქ ჩვენზე უფრო მაღლა მდგომი მეცნიერი ისტორიკოსები მსჯელობენ სრულიად ობიექტურად. (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“. გაზ. „კომუნისტი“ №296, 14 დეკემბერი 1945).

სხვათაშორის ამ წერილს გამოეხმაურა ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს წევრი, აჭარის ყადი, რასიყ-ეფენდი სულეიმანის ძე ბერიძე: „მუსლიმანურ სარწმუნოებას - ისლამს არ გამოუწვევია ქართული სისხლის შეცვლა და ეროვნული გადაგვარება. ქართველი მუსლიმანნი და ქართველი ქრისტიანები ძმები არიან...“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“ №252, 30 დეკემბერი 1945 წ. გვ. 2).

აი ასე ესმის ქეშმარიტ მლოცველსა და ღმერთის მსახურს. ზეირაქისათვის კი ასეთი ქეშმარიტება უცხოა. ალბათ ამიტომაც ამ წერილზე ყურს რომ იყრუებს.

ანტიკური ხანის მეცნიერების ციტატების გარდა, რომლებიც ადასტურებენ კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოების არსებობას ჩვენ წელთა აღრიცხვამდე, აგრეთვე ამ ქვეყნების საზღვრებსაც, ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის წერილში სხვათაშორის მოტანილია თურქული ენციკლოპედიის „ჰამაშუსულ-ალამის ციტატა: „ლაზები ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპეზუნტის ვილაეთში... ითვლებიან კავკასიელ ხალხად და ქართველებთან ნათესაური კავშირი აქვთ... მათი გარეგნობაც კი მოწმობს მათ კავკასიურ წარმოშობასა და რასას“ როგორ მოგწონთ, ბატონო იუნუს, ეს ციტატა? ცოტა ხომ არ შეჩოჩქოლდით? ასეა, ჩვენში იტყვიან: ქათამმა ჩხრიკა და თავისი დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო. მოგვით ძველი ამბების ქექვას, თქვენი ჭკუა საკმარისი არაა იმისათვის, რომ ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ გადააკეთოთ. ჩემი თაობა შეგნებულად იკავებს თავს ამ წერილის დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული აჭარა“ №11



გახსენებაზე. თქვენ კი ამით იწვევთ ახალი თაობის დაინტერესებას, რომელმაც შესაძლოა თავი გელარ შეიკაოს და ყველას მოსთხოვოს ძველი ვალი.

\* \* \*

ბატონ ზეირექს ძალიან მოსწონს ტერმინი აჭარისტანი. არც კითხულობს აჭარას რატომ უწოდებს ამ გამოგონილ სახელს. ამიტომ მას უნდა შევახსენოთ, რომ აჭარა (დიდ-აჭარა) მე-4-5 საუკუნეების ამბებთან დაკავშირებით პირველად იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“ და მას შემდეგ მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე, ე. ი. 15 საუკუნის განმავლობაში სულ ასე იწერებოდა ეს სახელი. აჭარისტანი საბჭოთა ტერმინია, აჭარელიც ცალკე ეროვნებად მაშინ გამოცხადდა და საქართველოს დაყოფა-დაქუცმაცების მიზნით შემოიღეს, რაც მაშინ სამწუხაროდ ზოგიერთმა თურქმა პოლიტიკოსმაც მოიწონა. კიდევ უფრო მეტად სამწუხაროა, რომ ამ გამოგონილ ტერმინს დღესაც ხმარობენ ჩვენს მეგობარ ქვეყანაში, ხოლო ბატონ იუნუს ზეირექს კი სიხარულით აუტაცია და ყველა ბრუნვაში აბრუნებს. თურმე 1995 წელს თურქეთში გამოსულა ბროშურა „აჭარისტანი“, უფრო ადრე დიდი ლაროსის ენციკლოპედია, რომლის მიხედვით აჭარაში ცხოვრობს 393-400-ათასი ადამიანი. მათ შორის 40 პროცენტი აჭარელია, 29 პროცენტი ქართველი და „მოსახლეობის უმრავლესობა თურქულად საუბრობს“ „სახელები თურქული, ხოლო გვარები ქართული აქვთ“, „აჭარლები საკუთარი თავის აღსანიშნავად სიტყვა ქართულს არ იყენებენ“, და ა. შ.

ბატონო იუნუს! როცა ვინმე სასურველ პიროვნებას ან წერილობით წყაროს დაიმოწმებს, ამაზე არის ერთი ქართული ანდაზა: „მელამ თავისი კული დაიმოწმო“. შე, ოჯახამენებულო, ქართული წყაროების გაგონება რომ არ გსურს და საექვო ბროშურას ან ტენდენციურ ენციკლოპედიას იმოწმებ, დაიმოწმე რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ, ბერძნულ, ჩინურ, ინდურ, იაპონურ, საბჭოთა კავშირის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ენაზე გამოსული ენციკლოპედიები და ისე შეძარი მთელი ქვეყნიერება, მაგრამ ეს თქვენ ხელს არ გაძლევთ, თქვენთვის მთავარია აჭარელი არაქართველად, თურქად გამოაცხადოთ და ამისათვის არ ეკითხებით არცერთ ჭკუათმყოფელ აჭარელს, აქაურ მეცნიერს, ისტორიკოსს, უბრალო მოქალაქეს. ყველა ჩამოთვლილი წყარო და ნებისმიერი აჭარელი გეტყვით, რომ ის ქართველია ისევე, როგორც გურული, იმერელი, მეგრელი, მესხი, ლაზი, ქართლელი, კახელი, ინგილო და ა. შ. მართალია ბოლო 400 წლის მანძილზე აჭარელთა მცირე ნაწილმა იცოდა თურქული ენა (სახელმწიფოებრივი წყობისა და მეზობელთან ურთიერთობისათვის სჭირდებოდა), მაგრამ მას არასოდეს დავიწყია მშობლიური ენა. ბოლო საუკუნის მანძილზე, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, თურქული ენის მცოდნეთა რიცხვი ძალზე შემცირდა და ახლა მხოლოდ ხანდაზმულთა მცირე რაოდენობა, ან სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულები თუ ლაპარაკობენ ამ ენაზე. ბოლო წლებში მეზობელ ქვეყანასთან კავშირურთიერთობების გაზრდის კვალობაზე მთელს საქართველოში შეიქმნა თურქული ენის კურსები, ფაკულტეტები, სადაც ახალგაზრდობა ეუფლება მეზობელი ქვეყნის ენას. სამწუხაროდ ასეთივე ინტერესს თურქეთში არ იჩენენ და ქართული ენის შესწავლას დიდი წინააღმდეგობები ხდებდა, რაც პირადად იუნუს ზეირექსისათვის უცხო არ უნდა იყოს: ალბათ სწორედ მისი მსგავსი „მოღვაწეები“ ელობებიან ორი ხალხისა და ქვეყნის მეგობრობისა და დაახლოებისათვის აუცილებელ საქმეს.

რაც შეეხება სახელებს, ესეც მუსლიმანური სარწმუნოების მიღების შემდეგ



შეიცვალა და არც ესაა გასაკვირი. მუჰაჯირ აჭარლებს ოსმალეთის ხელისუფლებამ არა მარტო სახელი, არამედ გვარიც და ეროვნებაც შეუცვალა. აჭარაში კი მუსლიმანმა ქართველებმა გვარები და ენა შეურყვნელად შეინარჩუნეს.

\* \* \*

კოლხები ქართველები არ არიან, ურარტუელებისაგან წარმოსდგებიანო, ეგრისიც სომხური ეპერიდან წარმოსდგებაო, აჭარაც არაქართულიაო. უცერემონიოდ აცხადებს ზეირექი: იმეორებს მესამე ქვეყნის ცრუმეცნიერთა ჰიპოთეზას, რომელიც დიდი ხანია იდეურად და მეცნიერულად განადგურდა და არავითარი საფუძველი არ გააჩნია. იქმნება შთაბეჭდილება, იუნუს ზეირექიც მესამე მხარის დაკვეთებს და სხვისი რუპორის სამარცხვინო და დამამცირებელ მოვალეობას ასრულებს. ამისათვის მას ალბათ რაღაც სხვა დაინტერესებაც აქვს.

თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ტოპონიმები რომ შეირყვნა და ადგილებს სხვა სახელები შეერქვა, რაღა გასაკვირია. სტუმრად ჩამოსულმა ზეირექმა აჭარის ვერცერთ სოფელში რომ ვერ მოიძია კომპაქტურად მცხოვრები და თურქულის მცოდნე აჭარლები, ხიხაძის ხეობის უკიდურეს სოფლებს მიაშურა, სადაც მართლაც კარგად საუბრობენ თურქულად. ამ გამოწკლის ის მთელს აჭარაზე ავრცელებს და რიხიანად აცხადებს, ზემო აჭარის სოფლები მთლიანად თურქულენოვანიაო, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ ჩვენი სტუმარი ამახინჯებს ამ სოფლების სახელებს, რათა თურქული ჟღერადობა მისცეს. მისი თქმით სკვანა-სუკანაა, წაბლანა-ზაბლანაა, მთის უბანს უძებნის ძველ სახელს და მუშსუიაო, ამბობს. მადლობა ღმერთს ბაკო და თხილვანა ვერ შეცვალა, მაგრამ არაფერს ამბობს, ამ „სრულიად თურქულ ენოვანმა“ ხალხმა რატომ დაარქვა თავის სოფლებს სუფთა ქართული სახელები. რაკი ბატონმა იუნუსმა „არა იცის რასა იქმს“, შევეცდები აუხსნა ამ სოფლის სახელთა მნიშვნელობა.

ბაკო ქართულია... „ჭურჭელთა და ფიალთა პირს“ ნიშნავს და ამ ულამაზეს სოფელს იმიტომ შეერქვა, რომ ის მდინარის, წყლის პირას მართლაც დიდ ჭურჭელს ჰგავს.

სკუა-ნა. ლაზურ-მეგრული, ე. ი. ძველქართულია და სკუა-დან უნდა მომდინარეობდეს, რაც შვილს, სკუანა-შვილისეულს, შვილის კუთვნილს უნდა ნიშნავდეს.

წაბლანა - ქართული სიტყვაა და წაბლოვანიდან, წაბლის ტყე-დან მომდინარეობს.

თხილვანა - ასევე ქართულია, ასევე ფლორონიშული სახელია და თხილის ბუჩქნარის თხილვანი-საგან მოდის.

მთისუბანი - ქართული სიტყვაა, მაგრამ არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ სოფლის უძველესი ისტორიული სახელია სანთლის წყარო, რომელიც ოსმალთა წყობილების დამყარების შემდეგ მათთვის ადვილად გამოსათქმელ სიტყვად, მუშსუი-დ ითარგმნა. საბჭოთა წყობილების დროს სოფელს კი არ დაუბრუნეს მისი უძველესი სახელი, არამედ შეარქვეს ახალი - მთის უბანი. მე მჯერა, რომ ამ სოფლის მოსახლეობა კვლავ დაიბრუნებს ძველ ისტორიულ, ქართულად მჟღერად სახელს - სანთლის წყაროს.

\* \* \*

ბატონი ზეირექი არ ყმაყოფილდება ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული



და სხვა საკითხების თავისებური განსჯა-განმარტებებით, მკითხველის გაბრიყვებით და პოლიტიკაშიც იჭრება. თურმე 1989 წლის არეულობების დროს მუსლიმანი აჭარლები (ტერმინ მუსლიმან ქართველს ის მიუთქვამდნენ შეცდომად თვლის) აცხადებდნენ: „ჩვენ არსად წასვლას არ ვაპირებთ, ისინი (ქართველები) წავიდნენო“ და ამას იმ ქაოსის დროს დიდ დაპირისპირებად აღიქვამს.

იუნჯს ზეირექი საქართველოში 1996 წელს ჩამოსულა, საკუთარი თვალთა ზოგიერთი რამ ვიხილეო და მისი „დაკვირვებიდან“ ერთ-ერთი თურმე ის გახლდათ, რომ ქართველები აჭარლებს თათრებს უწოდებენო, ე. ი. ისინი ქართველებად არ მიაჩნიათო, ასკენის პატივცემული სტუმარი. ასეთი კურიოზები ზოგჯერ მართლაც ხდება, მაგრამ ის კაზუსტიკას მიეკუთვნება და მისი განზოგადება შეუძლებელია. თუმცა ჩვენც დავაკვირდით რა ხდება. როცა მუჰაჯირმა ქალბატონმა თქვა ქართველი არა ვარ მუსლიმანი ვარო, ამას ბატონმა ზეირექმა ტაში დაუკრა და ხმა არ ამოიღო, იმ ქალბატონს ქართველი სარწმუნოების აღმნიშვნელად მიაჩნიაო. მაგრამ როცა აჭარელს თათარი უწოდეს და ამაში მისი მუსულმანური აღმსარებლობა იგულისხმება, ამაზე ჩვენი ძვირფასი სტუმარი სიხარულით ცას ეწია, აი ხომ ხედავთ საქართველოში აჭარელს ქართველად არ თვლიანო.

ზეირექს სადღაც ამოუკითხავს ცენტრალური და აჭარის ხელისუფლების დაპირისპირებაზე და არამკითხვე მოამბესავით აჭარის ხელმძღვანელობის გამოსარჩლებათვეც ღებხ თავს. ეს იგივეა, ჩვენ რომ დავიწყით გაბედული საუბარი სომხებთან, ქურთებთან, ბერძნებთან დაკავშირებულ თურქეთის პრობლემებზე. ამას ქართველი კაცი არც თავს და არც მეზობელ, მეგობარ ქვეყანას არ აკადრებს. ზეირექის გარეშეც „აჭარისტანის პრეზიდენტს“ შეუძლია თავის დაცვა და პრობლემების საკუთარ ქვეყანაში გადაწვეტა.

საქართველოსთან მიმართებაში ბატონი იუნჯს ზეირექი განსაკუთრებით სასტიკი და აგრესულია. მის საზღვრებს ის იმდენად ავიწროებს, რომ ქვეყანა ლიხთან ახლოს წელში გაწვეტილია, დასავლეთში მას ჩამოცილებული აქვს აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთში მესხეთ-ჯავახეთი, ჩრდილოეთით სამაჩაბლო. ამ აბსურდულ მსჯელობას ყველა გაიგებს, ვინც ზეირექისეულ „რუკას“ გაეცნობა, მაგრამ არ შეიძლება არ აღშფოთდე, როცა უცხო ავტორის მსჯელობა შენი ქვეყნის მიმართ ბოროტებამდე მიდის, შენ კი მოუერიდებლად სულში გაფურთხებენ.

„...ქართველ ერს არასოდეს არ შესწევდა დამოუკიდებელი ცივილიზაციის ფორმირების უნარი, ბიზანტიური, არაბული და თურქული ცივილიზაციების გავლენის ქვეშ აღმოჩნდა, ხოლო ხანგრძლივი ეროვნული თანხმობის შეუნარჩუნებლობის გამო მუდმივი დაპირისპირების ვითარებაში ქვეყანა რუხინებად იქცაო“ - ამბობს ჩვენი ქვეყნის აშკარა მტერი, რომელიც კვლავდაკვლავ იმეორებს ცრუმეცნიერების ადრინდელ ნაბოღვარს და კიდევ უფრო განამტკიცებს აზრს, რომ ის დაქირავებული მჭლახნელია.

სხვა ქვეყნების ცივილიზაციების ურთიერთგავლენა ყოველთვის იგრძნობა და ამის გარეშე ქვეყნების განვითარება წარმოუდგენელია, მაგრამ მე ეგვიტები ბატონ ზეირექს, დამისახელოს თუნდაც ერთი მნიშვნელოვანი წარმატება, რასაც „საქართველომ თურქული ცივილიზაციის გავლენით“ მიაღწია. შეუძლია შემომედაოს, თვითონ დასახელებს ოსმალთაგანდელი პერიოდის მოღვაწეებიო. რამდენიც გნებავთ, საქმარისია მე-13 საუკუნის მწერალი და მეცნიერი აბუსერისძე ტბელი, რომლის აღმოჩენებმა მსოფლიოს ასტრონომიული მეცნიერება შეაზანზარა; ამავე პერიოდის პოეტი თამარ მეფის კარზე, თულთალი მილისეველი, მე-16 საუკუნის მოღვაწე მარკოზ აჭარელი,



მწერალი და როსტომ მეფის კარის სწავლული; სოლომონ იშხნელი, მერისელი, გაბრიელ ლომსანიძე, სვიმონ ევფრატელი... რამდენი დავასახლო? ყველა მათგანი ოსმალეთის შემოსვლამდე მოღვაწეობდნენ აჭარაში, შავშეთში, ლივანსა და იმერხეში. ახლა თავად იუნუს ზეირექმა დამისახელოს თუნდაც ერთი ოდნავ მნიშვნელოვანი მოღვაწე, რომელიც „ოსმალური კულტურის გავლენით“ საქართველოში, ან სამი საკუნის მანძილზე აჭარის ფარგლებში აღიზარდა და რომელმაც რაიმე წვლილი შეიტანა საერთო საკაცობრიო საქმეში. ვერ დაასახელებს, მე კი დღეს არსებულ ჩვენი ქვეყნების მეგობრობის პერსპექტიულ ფონზე ჩემს თავს უფლებას არ მივცემ ვთქვა, თუ რა ზიანი მოუტანა ზოგიერთი ქვეყნის გავლენამ საქართველოს და კერძოდ აჭარას. ეს სხვა დროს სასაუბრო თემაა. მაშინ ისიც გაირკვევა, რა წვლილი შეიტანა საქართველომ მსოფლიოს ცივილიზაციაში, რატომ ესხმოდნენ გამუდმებით თავს და რატომ, ვისი აგრესიულობის გამო „იქცა რუინებად“ ეს უძველესი კულტურის ქვეყანა.

ძალზე ძნელია იუნუს ზეირექის 23 გვერდიან ყველა ნაბოლდვარს პასუხი გაცე. ზოგი იმდენად აბსურდულია, რომ არც ღირს მათზე ყურადღების შეჩერება. ავტორს სადღაც ამოუკითხავს, რომ სულთან აჰმედის დროს ფინანსური კრიზისი იყო, ამიტომ ტყავისაგან დაბეჭდილ ფულს არიგებდნენ, რომელსაც გონივრულად ერქვაო და ცნობილი ციხე-სიმაგრის სახელი გონიო-ც თურქულიაო. ზეირექს წარმოდგენაც არა აქვს ამ ციხის ანტიკურ ისტორიაზე, როცა არც თურქეთი არსებობდა და არც სულთანი.

\* \* \*

იუნუს ზეირექი ეხება 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის საომარ კამპანიას, მაგრამ მის აღწერას ბოლოდან იწყებს. აჭარის კაიმაკამმა (მაზრის უფროსმა) ჰამშიოლლუ მეჰმედ-ბეიმ ახალციხეს ალყა შემოარტყაო. ჯერ ერთი, ეს იყო არა მემედ-ბეი, არამედ ახმედ-ბეგი, არა ჰამში-ოლლუ, არამედ არაგვისპირელ ქართველ ფეოდალთა ნათესავი, გიორგი ხიმშიაშვილის ბადიშის შვილი. თავისი მამის სელიმ-ფაშის სიკვდილით დასჯის (რაც 1815 წ. ოსმალეთის ბაბა-ფაშამ ჩაიდინა) შემდეგ ერთხანს გურიიში, თავისი ძმის, აბდი-ბეგის ცოლისძმას, მამია გურიელს შეათარა თავი, ხოლო შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. 1828 წელს ის ახალციხის ფაშად დანიშნეს და იმავეთვე შეუდგა რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას, რათა აჭარა საქართველოს დაბრუნებოდა, სამაგიეროდ მას რუსები დიდ ჯილდოს, გენერლის წოდებას, სტანისლავის ლენტს და საჩუქრებს შეპირდნენ. ამ მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთის გენერალი ბებუთოვი, რომელიც მალე სამსახურიდან გაიწვიეს და მის ადგილას დანიშნეს შვედური წარმოშობის გენერალი ოსტენ-საკენი. ამ უკანასკნელმა ანგარიში არ გაუწია მოლაპარაკებებს, აჭარაში შემოიჭრა და ცეცხლს მისცა სოფლები, რამაც ახმედ-ფაშის საპასუხო რეაქცია გამოიწვია. მან შეკრიბა მცირე რაზმები და თავხედი გენერალი აჭარიდან გააძევა. ამის შემდეგ ის ვეღარ ენდობოდა რუსებს და კვლავ ოსმალეთის სარდლობას შეურთებდა. ახმედ-ფაშა მალე ყარს-ჩილდირის ფაშად დანიშნეს და ფერიკის წოდება მიანიჭეს, შემდეგ არზრუმის ფაშობაც მისცეს და სერასკირად დანიშნეს. 1836 წელს ეს დიდი დამსახურების კაცი საიდუმლო ვითარებაში გარდაიცვალა. იმავეთვე გავრცელდა ხმა, რომ ის მოწამლესო. ამგვარად აჭარის საქართველოსთან დაბრუნების მომხრე თვით ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი იყო, რაც მას ძვირად დაუჯდა. მამის მსგავსად, ისიც ამ მამულიშვილურ საქმეს შეეწირა.



მთელი ამ ისტორიის მსვლელობის აღწერისას იუნჯუს ზეირეჟი ხაზგასმით აღნიშნავს აქარლების „გმირულ ბრძოლას ოსმალების მხარეზე“, ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ ეს ავტორს მხოლოდ პოპულისტური მიზნით და იმისათვის სჭირდება, რათა მათი არაქართველობა „დადასტუროს“. სამაგიეროდ 1878-1918 წლებს, როცა აქარა საქართველოსთან გაერთიანდა, ამ ორმოცწლიან პერიოდს, „ბნელ დღეებად“ მოიხსენიებს. სინამდვილეში სწორედ ესაა ის პერიოდი, როცა აქარაში და შავშეთ-იმერხეში გამოჩნდა განათლების, კულტურისა და სოციალური წინსვლის ნაპერწკალი. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის და სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმის მიუხედავად მოწინავე ქართველებმა, დიდი ილიას მეთაურობით, სწორედ ამ პერიოდში შეძლეს აქარაში პირველი სკოლების, გიმნაზიების, კერძო სკოლების გახსნა, პირველი თეატრალური დასების ჩამოყვანა, საგანმეურნეოების მოწყობა; სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდნენ პირველი აქარლები, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს და თავისი ხალხის სამსახურში ჩადგნენ. ამ პერიოდში შეიქმნა ბათუმის თვითმართველობა. დაიწყო, ქალაქის, როგორც საზღვაო პორტის განვითარება, ქარხნების მშენებლობა, რკინიგზის და ნავთობსადენის გაყვანა, ქალაქის ჭაობებისაგან გათავისუფლება-გაჯანსაღება და ევროპულ ქალაქებთან გათანაბრება. სწორედ ამ 40 წლის მანძილზე მოხდა ის დიდი კულტურული სოციალური ძვრები, რაც ადრინდელი 300 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა.

\* \* \*

ბატონი ზეირეჟი 1920 წლის 28 ივნისს თურქეთის მეჯლისის სხდომაზე ხუთი ბათუმელი დელეგატის დასწრებას აღიქვამს, თითქოს ისინი არარსებული სახელმწიფოს, აქარის წარმომადგენლები იყვნენ, ჩამოთვლის მათ გვარ-სახელებს, რათქმა უნდა თურქული ტრანსკრიპციით, რათა მკითხველს დაუშალოს მათი ნამდვილი ვინაობა: მურგულულუ მეჰმედ ედიპი, მუფტუ აჰმედ ფევზი ეფენდი, ჰიჯაბიზადე აკიფ-ბეი, ჰოჰოდ-ზადე აჰმედ ნური ეფენდი და ალი რიზა-ბეი. (აჰმედ ენდერ გოკდემირი. კავკასიის მთავრობა. ანკარა. 1989. გვ. 210, 212, 259).

სინამდვილეში საქმე სულ სხვანაირადაა. მეფის რუსეთის დაშლის შემდეგ ერთგვარად დაიძაბა სიტუაცია თურქეთსა და საქართველოს შორის, მაგრამ სწორედ ამ დროს თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა შორს მჭვრეტელი პოლიტიკოსი და თურქეთის ეროვნული გმირი ქემალ ათათურქი. მისი პირადი ინიციატივით ანკარის ხელისუფლებამ, ერთ-ერთმა პირველმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ანკარაში გაიხსნა საქართველოს საელჩო. ორ ახალგაზრდა რესპუბლიკას შორის გაჩაღდა ახალი ურთიერთობები, რაზეც გაზეთი „საქართველო“ კმაყოფილებით წერდა. „ანკარის მთავრობის დაპირებისა გვგერა და მუსტაფა ქემალ ფაშის მეგობრულად გამოწვდილ ხელს ჩვენ ხელს ვაგებებთო“. სწორედ ორი ქვეყნის, თურქეთისა და საქართველოს ურთიერთშეთანხმებით მოხდა ამ დელეგატების გაგზავნა. საქართველოს მთავრობამ შეგნებულად შეარჩია მოწინავე მუსლიმანი ქართველები. ესენი იყვნენ: აკიფ ალიოსმანის ძე ყოფიანი (სუნერი), ზემო აქარის სოფელ ტაკიძეებიდან; აჰმედ ფევზი ეფენდი სულეიმანის ძე, შავშეთიდან (ქართული გვარი უცნობია); ახმედ ნური-ეფენდი მამულის ძე ხახუტაშვილი, ქაბულეთიდან; ალი რიზა-ბეი დურკუნის ძე აბაშიძე, ზემო აქარის სოფელ ნიგაზეულიდან და მეჰმედ ეიფ-ბეი მუსტაფის ძე, მურღულიდან (ქართული გვარი უცნობია).



ყველა მათგანმა მთელი სადებუტატო პერიოდი მეჯლისში გაატარა, ხოლო შემდეგ სახელმწიფო მოხელეებად დაინიშნენ და საკმაო წვლილი შეიტანეს თურქეთის რესპუბლიკური წყობილების დაფუძნებაში. აქიფ ყიფიანი, ახმედ ხახუტაიშვილი და ალი აბაშიძე სამშობლოში ვერ დაბრუნდნენ, რადგანაც საქართველოში რუსული ბოლშევიკური რეჟიმი დამყარდა და რეპრესიები არ ასცდებოდათ, თუმცა სამშობლოსთან და ცოლ-შვილთან ფარული კავშირი არ გაუწყვეტიათ.

იუნუს ზეირეჩი რა თქმა უნდა შემომდგება, არა ბატონო, ისინი თურქები იყვნენო, მაგრამ მე მას დავპატივებ აქ რაში და გავაცნობ აქიფ ყიფიანის ოჯახს, მის 87 წლის ქალიშვილს სოფიო ყიფიანი-ჯაყელსა და ვაჟს, 84 წლის ახმედ ყიფიანს, რომელიც მამის ემიგრაციაში ყოფნის გამო 13 წლის ასაკში დააპატიმრეს და 26 წელი ციმბირსა და შუა აზიაში გაატარა და ახლა თურქეთში ეძებს მამის საფლავს. სხვათაშორის აქიფ ყიფიანმა სამშობლოდან წასვლისას თან წაიყვანა ერთი შვილი მემედი, რომელსაც ასევე დიდი თანამდებობები ეკავა თურქეთში და ნაშვილები ობოლი იმერელი ბიჭი, ნური. რამდენიმეჯერ თურქეთში ჩასულმა ახმედ ყიფიანმა ვერც მათ საფლავებს მიაკვლია. საქმე იმაშია, რომ თურქეთში მყოფმა აქიფ ყიფიანმა მეორედ იქორწინა ბავშვიან ქალზე. მასთან შეეძინა შვილი. მამის სიკვდილის შემდეგ გერი და შვილი დაეფუძლნენ უზარმაზარ უძრავ-მოძრავ ქონებას. შვილების გარდაცვალების შემდეგ მესამე თაობამ გაინაწილა ეს ქონება. ახლა კი აქიფ ყიფიანის კანონიერ შთამომავალს, ახმედ ყიფიანს ეს თაობა ყოველმხრივ უზნევს გზა-კვალს, საფლავსაც მალავენ, რათა ბოლომდე შეინარჩუნონ სხვისი წილი ქონება.

მე შემიძლია იუნუს ზეირეჩს ახმედ ნური-ეფენდი ხახუტაიშვილის გვარეულობა და შთამომავლობაც გავაცნო. სამწუხაროდ მისი შვილი, ცნობილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ხახუტაიშვილი ორიოდ წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ დატოვა დიდებული ოჯახი და ცოლ-შვილი.

სამწუხაროდ არ ვიცნობ ალი-რიზა ბეი აბაშიძის ოჯახს, თორემ ნიგაზეულშიც წავიყვანდი.

აქარელთა წარმომავლობით დაინტერესებული ადამიანი, ვისაც ჭეშმარიტების დადგენა სურს, ამ ოჯახებში უნდა მივიდეს და სწორედ მათგან გაიგოს თურქეთის დიდი მეჯლისის დებუტატთა შთამომავლობა თავის თავს თურქად თვლის თუ ქართველად და არა შემთხვევით ქუჩაში შეხვედრილი პირებისა და ვიღაც მოხეტიალე, ვითომც მლოცველისაგან.

\* \* \*

ბატონი ზეირეჩი იმოწმებს თურქეთში აჰმედ აჯარის ავტორობით გამოცემულ ძალზე ტენდენციურ და შეცდომებით სავსე წიგნს, „ხიმშიაშვილების ისტორია“, რომელშიც მოტანილია „ჰუღალი თემურ ფაშა ხიმშიაშვილის მიერ დაწერილი ისტორიული ქრონიკები... ეპიკური მოთხრობების სახით“, მართალი გითხრათ გამიკვირდა, როგორ დაემართა იუნუს ზეირეჩს, თემურ ფაშის გვარი ხიმშიაშვილი სწორად, ქართული ქდერადობით რომ დაასახელა (თუმცა ეს „ჰუღალი“ რას ნიშნავს ვერ გავიგე).

თავს ნებას მივცემ მოგახსენოთ თემურ ფაშაზე და თვით იმ „ეპიკურ მოთხრობაზეც“, რადგანაც ეს პიროვნება ჩემთვის ძალიან ახლობელია (ცოლად ჰყავდა მამაჩემის მამიდა, სელიმ ბეგ სურმანიძის ქალიშვილი ყუდრეთი). თემურ-ფაშა



მთელი 40 წლის განმავლობაში რუსეთის მთავრობის სამსახურში იყო და მაღალი სამხედრო წოდება ჰქონდა, მაგრამ გულში ატარებდა ღირსეული მამის შერიფ ხიმშიაშვილის იდეებს და ქართველ საზოგადოებრიობასთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია, იყო მათი მომხრე და თანამოაზრე.

1914 წლის დამლევს ქართველმა მოღვაწეებმა (ლ. კერესელიძე, ვ. ლაბაძე, ვ. წერეთელი, მ. ქარცივაძე და სხვ.) თურქეთში შექმნეს ქართული ლეგიონი, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის გავლენის შესუსტებას კავკასიაში და ცალკე კავასიური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ამ იდეას თემურ ბეგი ფარულად თანაუგრძნობდა, მის ავტორებს კი ხელს უწყობდა ორგანიზაციულ საქმიანობაში. შორს არ წავალ, დავასახელებ რამდენიმე ქართველ მოღვაწეს, ზაქარია ჭიჭინაძეს, აპოლონ წულაძეს, კოწია ერისთავს, რომლებიც თემურ-ბეგს ახასიათებენ როგორც მოწინავე, აჭარაში განათლებისა და კულტურის შემოტანისათვის მებრძოლ ქართველ მამულიშვილს. 1916 წელს ზემო აჭარის სოფელ თხილვანაში (სადაც ზეირექის აზრით თურქულად მეტყველებენ) ქართული სკოლის გახსნისათვის ზრუნვა გამოიჩინეს თემურ-ბეგმა და მისმა დედამ, მესუდ-ხანუმა. დედა-შვილმა სკოლას საკუთარი სახლის ოთხი ოთახი უფასოდ დაუთმო. თემურ-ბეგს გლეხებისათვის ასე მიუძმარათვს: „აი იქ ქართულ სკოლაში მიიყვანეთ თქვენი შვილები, ასწავლეთ და მაშინ ისეთ საწველ ფერებად აღარ იქნებიან, როგორც თქვენ ხართ“. (შ. ბოლქვაძე, თხილვანის სკოლა 8 წლისაა, გაზ. აჭარა, №79. 1996. გვ. 3).

იმავე წლის სამ მარტს აჭარის დეპუტაციის თბილისში ყოფნისას გამართულ ბანკეტზე თემურ-ბეგ ხიმშიაშვილს ქართველი ინტელიგენციისათვის მიუძმართა: „...გახარებული ვარ, რომ ამ გაჭირვებაში ვიცანით ჩვენი ნამდვილი ძმები და დავრწმუნდით მათ ძმურ გრძნობებში... ვერ გადავიხდით იმას, რითაც თქვენ დაგვეხმარეთ. ჩვენში განწყობილება განმტკიცებულიყოს და სამუდამოდ დაგვკავშირებულიყავითო“ (გაზ. „საქართველო“, №50, 1916 წ.).

რაც შეეხება „ეპიკურ მოთხრობას“, ახმედ აჯარმა თავის წიგნში მართლაც გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი ლექსების რამდენიმე თავი, სადაც ცნობილი მოღვაწეები ისვენდნენ ცივაძე, ჰაფიზ სურმანიძე, მამუდ ხმალაძე, აბდულ დიასამიძე და ბოლქვაძე აუგად მოიხსენიებიან იმის გამო, რომ თითქოს მათ აჭარა ფულზე გაყიდეს და საქართველოს დაუთმესო. აჰმედ აჯარი თემურ ხიმშიაშვილს გვიხატავს რელიგიის ბურჟუაზიულ თავგზაბნეულ ფაშად, რომელსაც თითქოს ასე ესმოდა ორ გველეშაპს შორის მოქცეული საქართველოს ერთი განაპირა კუთხის, აჭარის ბედი, რაც პირადად ჩემთვის დაუგერებელია. აჭარა საბოლოოდ საქართველოს მიუერთდა 1921 წელს, ბუნებრივია ეს ლექსებიც ამ წელს უნდა დაწერილიყო, მაგრამ თემურ-ფაშაც 1921 წელს გარდაიცვალა. ძნელად დასაჯერებელია, რომ მოკლე დროში მას ქართული ორიენტაციის რადიკალურად შეცვლაც და ვრცელი ლექსების ციკლის დაწერაც მოეწყო. ერთერთი მიზეზი, რასაც შეეძლო თემურ-ფაშის მძაფრი რეაქცია გამოეწვია, ეს იყო რუსული ბოლშევიკური წყობილების დამყარება და ყველა ზემოთდასახელებული მოღვაწის საბჭოთა კავშირის ქვეშევრდომობაში მოქცევა, რასაც გაექცნენ თემურ-ფაშა და მისი ძმები. სხვათაშორის, ლექსების ბოლო სტროფი სამშობლოს დაკარგვის სინანულით და მონატრებითაა გამსჭვალული:

„ბედი რომ მქონებოდა,  
გადავიგლიდი ყველა მთას,  
მივალწევდი ჩემს სამშობლოს...“



ჩიტი რომ ვყოფილიყავი,

გადავფრინდებოდი სამშობლოში, შვილებს ვნახავდი“.

მართალია, ბატონი ზეირეჩი მოგვიწოდებს, რომ „ისტორიული ქრონიკის ეს სიტყვები კომენტარს არ საჭიროებსო“, მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ კომენტარები აუცილებელია, რათა კარგად გავერკვეთ ქართველი მამულიშვილის, თემურ ხიმშიაშვილის სულიერ აფორიაქებაში და მკითხველსაც ობიექტურად გავაცნოთ იგი.

თბილისს აჭარის ავტონომია არასდროს აწყობდაო, აცხადებს იუნუს ზეირეჩი. მართლაც იყვნენ ავტონომიის მოწინააღმდეგენი, რადგანაც ამაში საქართველოს დაქუცმაცების საფრთხეს ხედავდნენ, მაგრამ იმ დროს ახლადგამოღვიძებულ მოსახლეობას, რომელიც მუსულმანურ აღმსარებლობას მისდევდა, აუცილებლად სჭირდებოდა დანარჩენ ქართველთაგან ოდნავ განსხვავებული სახელმწიფოებრივი მოწყობა; ეს ჩამოყალიბებული იყო დიდი მოღვაწის, მემედ-ბეგ აბაშიძის მიერ შედგენილ პროექტში, რაც განხორციელდა კიდევ.

\* \* \*

მესხეთ-ჯავახეთში აჭარელთა გადასახლების მიზანი ბატონ ზეირეჩს ასე ესმის: „აჭარელი ხალხის“ ერთმანეთისაგან განცალკევება: ახალციხის სახლების 1944 წელს დებორტირებული ნამდვილი მფლობელებისათვის სამუდამოდ დაკეტვა და აღნიშნული რეგიონის სომხებისაგან დასაცავად აქ განთავსებული აჭარლებისათვის გადაბარება. ამ სიტყვების ავტორი ძალზე გულმოკლულია იმის გამო, რომ თურმე „თბილისის ხელმძღვანელობამ სომხებზე ანგარიშსწორების მიზნით ამ რეგიონში აჭარლები ჩაასახლა“, მათ აუშენა სახლები, გამოუყო კრედიტები, მიწის ნაკვეთები და ა. შ.

ბატონ იუნუსს, ჯერ შევეკითხები სომხებზე ასე ძალზე რატომ ეწვის გული და მოვახსენებ, რომ ჯერ ერთი, ქართველებს სომხებთან თუ რაიმე ანგარიში აქვთ გასასწორებელი, ისინი თავად მოუვლიან (ამაზე იტყვიან: „მელას რაც უნდოდა, ის ელანდებოდაო“). მეორეც, აჭარა მცირე მიწიანობით და მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვით საქართველოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა; ძმა ძმას ვერ ეყრება უმიწობის გამო, მაშინ, როცა მესხეთ-ჯავახეთში მიწის სავარგულების დიდი ნაწილი უპატრონო და დაუმუშავებელია. აჭარლების განცალკევება არავის მოსვლია აზრად, ახალ ადგილებში წასვლა თვითონ გადაწყვეტეს და არა მარტო „მკვიდრი თურქების ნამოსახლარში“, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც: გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, ქართლსა და კახეთში. აქ განსახლებულ კომლთა რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევს.

1944 წლის დებორტაცია, რომელიც საბჭოთა მთავრობამ განახორციელა, საქართველოსათვის ნამდვილი ტრაგედია იყო. მაშინ მკვიდრი ადგილებიდან აიყარნენ უძველესი ქართული ტომი, მესხები, შესაძლოა მათ შორის რამდენიმე თურქი ოჯახიც ერია. გასული 55 წლის მანძილზე ამ ხალხმა რუსეთის ოლქებსა და შუა აზიაში თითქმის მთლიანი ასიმილაცია განიცადეს, დაკარგეს ენა, გვარები, თავისი ნათესაობა და წარმომავლობა. მიუხედავად ამისა რამდენიმე ოჯახი, რომლებმაც აღიღდინეს გვარი, იციან თავიანთი ქართული წარმომავლობა და სურთ დაიბრუნონ ისტორიული ეროვნული ნიშანი, უკვე დაბრუნდნენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეუდგნენ ცხოვრებას, სწავლობენ ქართულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ე. წ. თურქ-მესხთა ორგანიზაციას „ვათან“ ხელმძღვანელობს იუსუფ სარვაროვი,



რომელიც თავს დიდებულიძედ აცხადებს, მაგრამ წარამარა გაიძახის, რომ ის თურქია და ითხოვს დეპორტირებულთა მესხეთში კომპაქტურად ჩასახლებას. მისი ასეთი პოზიცია გაუგებარია არა მარტო ჩვენთვის, არამედ თვით მესხებისათვისაც, რომლებიც თანახმა არიან ჩასახლდნენ საქართველოს ნებისმიერ მხარეში, ისწავლონ ქართული ენა, შეიფხანონ ბავშვები ქართულ სკოლაში, მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა. ასეთი ორიენტაციის მესხები უკვე ჩასახლდნენ სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში, ოზურგეთის რაიონში, ახალციხეშიც.

თურქეთის მოსაზღვრე სოფლებში დეპორტირებულთა ჩასახლების მოსურნე სარვაროვი თვით მესხთა აზრით უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ნებას უნდა ასრულებდეს. სხვათაშორის, 1987 წელს იუსუფ სარვაროვი მოსკოვში ზულიგნობისათვის დააპატიმრეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 2 წელიწადში ის გამოუშვეს. ჩვენი აზრით ეს ვადა საკმარისი იყო მისი გადაბირებისა და სპეცსამსახურების ჩვეული ზერხით, აგენტად ჩამოყალიბებისათვის. მისი სურვილი ემთხვევა ჩრდილოელი მეზობლის, მზაკვრულ გეგმას: თურქული ორიენტაციის დეპორტირებული მოსახლეობა ჩაასახლონ მესხეთ-ჯავახეთში, რათა მოითხოვონ ავტონომია და ეს მიწები წაართვან საქართველოს. ეს გახლავთ იუნუს ზეირექის მიზანიც და ვრცელი წერილების გამოქვეყნების მთავარი ამოცანა.

საქართველოზე აღმუთმებულ ზეირექს ვეკითხები, მიპასუხოს: რისთვის იბრძვის თურქეთში მცხოვრები 10 მილიონზე მეტი ქურთი? ავტონომიისათვის. მაშინ რატომ არ აკმაყოფილებენ?

საქართველოს ასეთი ადმინისტრაციული (ავტონომიური) მოწყობა არ აკლია. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს მემკვიდრეობით დაუტოვა, როგორც დაყოვნებითი მოქმედების ბომში, ამიტომ ახალი ერთეულის შექმნა მესხეთის მოსახლეობის დიდ წინააღმდეგობას აწყდებდა, რაც აფერხებს ე. წ. თურქ-მესხთა ჩამოსახლებას.

საქართველო თანახმაა ჩამოსახლდეს ყველა მესხი, ვინც თავს აღიარებს ქართველად, სურს შეისწავლოს ქართული ენა, ე. ი. დაემორჩილოს მოქმედ კონსტიტუციას.

\* \* \*

1879 წლიდან აჭარაში დაწყებულ მავნე პროცესს, მუჰაჯირობას ბატონი ზეირექი იმით ხსნის, რომ „კარგად იცოდა, თუ რა სევდიანი მომავალი ელოდა მოსახლეობას: გარუხება, გაქრისტიანება ა. შ... ქ. ბათუმში გამოცემულ ერთ წიგნში გადასახლების საკითხთან დაკავშირებით ოსმალეთის ხელისუფლებას ედება ბრალი, რაც თავისთავად წარმოუდგენელი აბსურდია“. აქ ოსმალეთის ხელისუფლება შესაძლოა მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. მთავარი იყვნენ ის ემისრები, რომლებიც ჩამოდიოდნენ აჭარაში და ზუსტად ამ საშიშროებას უქადაგებდნენ ადამიანებს, რასაც ბატონი იუნუსი ახლა, 120 წლის შემდეგ ამტკიცებს: გარუხება, გაქრისტიანება და ა. შ. გამოდის, რომ ზეირექის გონება 120 წლის განმავლობაში სულ არ განათლებულა, იმავე ფანატიკოსი ემისრების დონეზე დარჩა. აი ამიტომ „ედება ბრალი“ ოსმალეთის ხელისუფლებას, ბატონო იუნუს! ამდენი გიმოგზაურია აჭარაში, საკუთარი თვალით გინახავს აქაური მოსახლეობა, გისაუბრია კიდევ. თუ შეგხვდა ერთი აჭარელი მაინც იმ დროს გაქრისტიანებული ან გარუხებული? მუჰაჯირობას ამ შიშის გარდა სხვა მიზეზები ჰქონდა (გადასახადები, საბაჟოები, ადგილობრივი ხელმძღვანელობის სამუშაოდან დათხოვნა, რუსეთის სურვილი ხალხი აყრილიყო და მათ ადგილას თავისი მოსახლეობა ჩამოეყვანა და ა. შ.), რაც სხვა საუბრის თემაა. ერთს შევახსენებ



ბატონ ზეირექს, ისიც ამოიკითხოს ძველ წიგნებსა და დესტანებში, რა საშინელ დღეში ჩაცვივდნენ პირველ ხანებში მუჰაჯირები, რომლებსაც ახალ ადგილას არც მიწა ჰქონდათ და არც სარჩო-საბადებელი. ისიც თქვას, რამდენი მობრუნდა უკან და რამდენი გზაზე დაიღუპა. ეს ცოდვა სწორედ იმ ემისრების კისერზეა, ვინც მათ ოსმალეთისაკენ ეპატიებოდა.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ბატონ იუნუს ზეირექის ნაცოდვილარზე, მაგრამ ვფიქრობ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველმა გააკეთოს გარკვეული დასკვნები, მის მიზნებსა და ამოცანებზე:

1. როგორმე დაადასტუროს რომ აჭარლები არ არიან ქართველები, თურქები არიან;

2. აჭარა ისტორიულად თურქეთის ტერიტორიაა;

3. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებული დიდებული მატერიალური კულტურის ძეგლები არააქართულია;

4. ამ ტერიტორიაზე, ახლანდელ ართვინის ვილა იეთში, შავშეთსა და იმერხევში გავრცელებული ქართული ტოპონიმები ყალბია;

5. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებნიც თურქული წარმომავლობის არიან.

6. საქართველოს არ შეეძლო დამოუკიდებლად არსებობა და მსოფლიო ცივილიზაციაში რაიმე წვლილის შეტანა. თვით გენიალურ რუსთველსაც სხვის დაუხმარებლად არ შეეძლო „ვეფხისტყაოსანი“ დაეწერა.

როგორც მკითხველი ზემოთქმულით დარწმუნდა, არც ერთი ეს დასკვნა არ შეეფერება სინამდვილეს, ისინი მტრული მოსაზრებით და ბიოლოგიური სიძულვილით არის შეთხზული და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ვაიმეგობრები ცდილობენ თავისი ისტორიული ცოდვა სხვას აკიდონ, გაღმა შეედაონ, რომ გამოღმა შერჩეთ, ჩაერიონ მეზობელი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ხელყონ ადამიანის სინდისის თავისუფლება, შეურაცხყონ მთელი ქვეყანა და მისი მოსახლეობა, ყოველივე ეს ორი ქვეყნის კეთილმეზობლურ, მეგობრულ დამოკიდებულებას, რომელსაც ფაქტობრივად ახლა ეყრება საფუძველი, კარგს არაფერს უქადის. იუნუს ზეირექი საქართველოს თავისი „მეცნიერებით“ ვერაფერს დააკლებს, ზოლო თავის ქვეყანას და თურქ ხალხს ძალიან დიდ ზიანს მოუტანს, ამიტომ დარწმუნებული ვართ პასუხსაც ისინი მოთხოვენ.


### **მინაწერი:**

იუნუს ზეირექი და რამაზ სურმანიძე ემსგავსებიან ადამიანებს, როცა პირველს მეორის ვალი აქვს, დაბრუნება არ სურს და რაღაც ზღაპრებს იგონებს, რათა თავი დაიძვრინოს ვალის დაბრუნებისაგან; მეორემ ე. ი. მე ვიცი, რომ მას ჩემი ვალი აქვს, რაღაც მიზეზების გამო არ ვთხოვ, მაგრამ მაქვს ერთადერთი სურვილი: აღიაროს, რომ მას ჩემი ვალი აქვს, სხვა ჭერჭერობით არა მინდა რა. თუ ეს მოხდება ჩვენ შეიძლება დავმეგობრდეთ კიდევ, სხვაგვარად კი ჩვენი დაახლოება შეუძლებელია.



მეცნიერებათა აკადემია

"ქ. კეკელიძე"



„ახალგორის განძი“. საფეთქლის საკიდი.  
ოქრო, IV ს. ძვ. წ.





თამარ მეფის გულსაკიდი. ჯვარი, XII ს.





## ვაჟა პშაველიანი

### “ო, ენავ, ჩემო!”...

ქართული ენა ერთ-ერთი უნიკალურია მსოფლიოში.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, უცებ მსოფლიო რუკიდან ინგლისი რომ გაქრეს (დიდხანს ამყოფოს ღმერთმა), ინგლისური ენა მაინც იარსებებს, საფრანგეთი რომ წაიშალოს, ფრანგული დარჩება, ესპანეთი რომ გაუჩინარდეს, ამით არაფერი მოუვა ესპანურ ენას.

ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, ჩემო ხალხო და, ჩვენი პატარა... (!)

არადა, თავისი სამიათასწლიანი არსებობის მანძილზე, რამდენჯერ დამდგარა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე საქართველო.

გარწმუნებთ, ინგლისელს, ფრანგს, ესპანელს, არაბსა თუ ინდო-ჩინელს არაფერი აეწვება ჩვენი გარდასვლით.

ჩვენს დედა საქართველოსა და დედა ენას ისევ ჩვენ უნდა მივხედოთ და მოვუაროთ.

დიდმა ილიამ ყოველი ქართველის უპირველესი საფიქრალ-საზრუნავი მოკლედ, მარტივად, ამაგდროულად, გლობალურად გაგვისიგრძეგანა – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ო, თვითონაც ამ პროგრამაში გაამთლიანა საკუთარი ცხოვრება და მოღვაწეობა.

1926 წელს გამოჩენილმა მემედ აბაშიძემ გამოაქვეყნა წერილი „ქართული ენის განწმენდისათვის“.

სამოცდათხუთმეტი წელი მიილია მას შემდეგ და, დამეთანხმები, მკითხველო, ამ პუბლიკაციაში დასმული პრობლემები დღეს უფრო აქტუალურია.

„ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ერის მთლიანობის გამომხატველი ენა განიცდის სხვადასხვა უაზრო და უცხო სიტყვათა შემოსევის ზიზათს. სწორედ ამიტომ არის, რომ მეც ამ საკითხში, ჩემს თანამოდარდეებთან ერთად, ნაღვლიანად ვამბობ: თუ ამის საწინააღმდეგო რაიმე ზომა არ მივიღეთ, ჩვენი ენა თანდათანობით დაემსგავსება ალჟირელთა ენას, რომელიც ლათინურის, ფრანგულის, ესპანურისა და მათი მშობლიურის ნარევი“, – წერდა იგი.

როგორც ხედავთ, მშობლიური ენის გადარჩენა-განწმენდისათვის ბრძოლაში მისთვის მხოლოდ თანამოაზრება არ იყო საკმარისი. დედა ენის დარდი შემოსწოლოდა დიდ მწერალსა და მოღვაწეს. და აი, თითქოსდა უნებლიედ, გულისგულიდან წამოვიდა ულამაზესი სიტყვა „თანამოდარდე“.

გულით ვნატრობ, ნეტა თითოეულ ჩვენთაგანს შეგვაძლებინა, თუნდაც ერთი ასეთი სიტყვით გავამდიდროთ მშობლიური ენის საგანძური. შთამომავლობა იტყვის, რომ ამოდ არ გვიცხოვრია.

გახსოვთ, საბჭოთა სივრცეში ორი სახელმწიფო ენა გვქონდა კონსტიტუციით დაკანონებული, ცხადია. მშობლიური – ქართული და არამშობლიური – რუსული.



წარწერებიც შესაბამისად სრულდებოდა.

უპირატესობა ქართულს ეძლეოდა.

იდეალურად დაგეგმილი დამოუკიდებელი სახელმწიფო თავისი ენით, დროშით, გერბით, ჰიმნით...

კინალამ წამომცდა, სახელმწიფო საზღვრებით – მეტეჟი.

არადა, მკვეთრად გამიჩნული საზღვრები ქვეყნის დამოუკიდებლობის აუცილებელი პირობაა.

უცებ წარმოიდგინე, მკითხველო, რომ უცხოელი ბრძანდები და უნებლიედ მოხვდი ჩვენს ქალაქში.

გთხოვ, მცირე პაუზა გააკეთო აქ და გონების თვალთ მიმოივლინო ბათუმის ქუჩები.

ხომ გეგონება, რომ ინგლისის რომელიღაც კოლონიურ სახელმწიფოში ხარ?!

ჩვენი მეგობრისა და კოლეგის მუხრან კობალაძის ერთი მოთხრობა მაგონდება. დედა ეუბნება თავის პატარა ბიჭს (სახელიც რა კარგად შეურჩევია – რობინზონა), გადარბინე, დედა, „ლას-ვეგასში“ და მამაშენს უთხარი, წყლის, ელექტრონის, ბინისა და ნაგავის ფულია გადასახდელიო.

„ლას-ვეგასში“ აღარ დადისო, პასუხობს ბიჭუნა.

აბა „მონტე-კარლოში“ იქნებაო.

მაგას „მონტე-კარლოში“ ვინ შეუშვებსო, დედის გულუბრყვილობაზე იცინის რობინზონა.

მაშინ „ევრაზიაში“ ნახე ან „ლას-პალმასში“. თუ იქაც არ იქნა, „სიცილიაში“ გადადიო, – არ ცხრება დედა.

კარგი მოთხრობაა. მაგრამ იმიტომ კი არა, კარგად რომაა დაწერილი. სწორედ რომაა დანახული, იმიტომაც.

ამ ცოტა ხნის წინ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე წავიკითხე პოეტ აკაკი გეჭაძის ლექსები. ერთ სტროფს მოვიტან:

„შემოგვრჩა უამი გულდადალული,

შეგვრისხა მიწამ, შემოგვწყრა ზეცა.

საქართველოში ქართული სული,

ვაგლახ, ქართველებს საძებრად გვექცა“.

ზოგი წამხედურობით დაბრმავებული, ვერც კი ხვდება, რას აწერს თავის მაღაზიას თუ ფირმას. ეს მინიმარკეტო, სუპერმარკეტო, შოპიო...

ერთგან ასეთ სურათს წავაწყდით. მაღაზიისათვის ზევით დაუწერიათ „მინი სუპერ მარკეტი“. დაბლა, უკაცრავად მითქვამს და... „შოპი“.

გამსახურდიას პროსპექტზე მდებარე ფეხსაცმლის მაღაზიას ლათინური შრიფტით აწერია „სალამანდრა“, მეორე მხარეს ქართულით იგივე მიუწერიათ. არადა ჯერ ქართულად უნდა დაეწერათ „სალამანდრა“ და, თუ აუცილებელი იყო, ინგლისურად – „სალამანდრა“.

ერთ პარფიუმერიულ მაღაზიას „ისი პარი“ ჰქვია, რაც ქართულად ნიშნავს, ეს პარიზია. კარგია, რომ საუკეთესო ფრანგული სუნამოები იყიდება იქ, მაგრამ ცუდია, რომ ქართული სახელი ვერ გაიმეტეს მისთვის.

ერას მოედანზე აღმართულ ულამაზეს შენობას „დიდიბანკი“ აწერია ქართულ-



## ვახტანგ ახვლედიანი

რუსულ-ლათინური ასოებით. მისი მესვეურები, როგორც ჩანს, მწყალად არიან ქართულ გრამატიკასთან და არ იციან, რომ „დიდი“ ზედსართავი სახელია, „ბანკი“ კი - არსებითი და ისინი ცალკ-ცალკე იწერება.

ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს და შეჯიბრია გამართული, ვინ უფრო შეზღუდავს, დაამცირებს ან სრულიად ამოაგდებს რეკლამიდან ქართულს.

ამ საქმეში არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გამოიყურებიან უცოდველად.

საქართველოს პრეზიდენტის მითითებით დღის წესრიგში დადგა სამორინეების შემცირების საკითხი. ამ დღეებში „რუსთავი -2“-ის გადაცემა „კურიერით“, ჩვენი დამოუკიდებელი „ტელეარხი 25“-ით რომ გადის, ვისმენდით გაცხარებულ დებატებს ამ თემაზე. ეკრანზე კი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა და ლივლივებდა რეკლამა „Kazino Praga“

სახელმწიფო ტელევიზიაც ვერ გამოიყურება იდეალურად ამ მხრივ. იწყება თუ არა საინფორმაციო პროგრამა, ეკრანზე მიმორბიან ქართულ-რუსულ-ინგლისური სიტყვები. რუსულს რაღაც გამართლება აქვს - ჩვენთან ამ ენაზეც მუშაობს მაუწყებლობა. ინგლისურს?!

მერე გამოჩნდება სტუდია და დიქტორები. მაგიდას, რომელსაც ისინი უსხედან, გიგანტური ასოებით აწერია „TV“

არ ვიცი, რა მიზანი აქვს ამ წარწერას.

ალბათ, გაუთვითცნობიერებელ უცხოელს ეუბნებიან, რასაც თქვენ ახლა უყურებთ, ცივილიზებულ სამყაროში ტელევიზია ჰქვიაო.

მიმდინარე წლის ზაფხულის დამდეგს შემოიღეს გადაცემათა ციკლი სახელწოდებით „რენომე“, რაც ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ავტორიტეტს, ცნობილს, პოპულარულს. ცხადია, ახალი რუბრიკა ასეთ პიროვნებებზე გადაცემას გულისხმობს. წამყვანი - იგნატოვა-ციციშვილი ნიჭიერი ტელეჟურნალისტია და კარგადაც უძღვება თავის საქმეს.

მაგრამ... რატომ ფრანგული სახელწოდება?!

ალბათ, გამოჩენილ ფრანგ პიროვნებებს ეძღვნებაო, იფიქრებთ.

უცხო ენათა ლექსიკონში არსად წერია, რომ „რენომე“ მხოლოდ ფრანგის პოპულარობას ნიშნავს.

სხვათა შორის, არც თბილისელის...

დამოუკიდებელი გაზეთი „აჭარა P.S.“ დაარსებიდან ოთხიოდე წელს ითვლის და ახლა მოიპოვა მკითხველის სიყვარული. მახსოვს, დაფუძნების დღეებში მისი თანამშრომლები მეწვიენენ. მაშინ გაზეთ „ადჟარაში“ ვმუშაობდი. რჩევა მივეცი, სხვა სახელწოდება შეერჩიათ. „აჭარა“ უკვე არის, „ადჟარაიც“. კიდეც ერთი რაღა საჭიროა. გარდა ამისა, ეს „P.S.“ არ უხდება. თქვენ დამოუკიდებელი გაზეთის გამოშვებას აპირებთ და არა დამატების-მეთქი. („პოსტსკრიპტუმი“ ლათინურია და ნიშნავს პუბლიკაციის ბოლოში მინაწერს).

არ დამიჯერეს.

არადა, ნიჭიერი, ენერგიული, საქმეზე შეყვარებული ჟურნალისტები მუშაობენ იქ.

მერე რა, რომ შეცდომებიც ეპარებათ. ახალგაზრდები არიან და, მჯერა, თვითონვე



მოერევიან.

აი, ლათინური „პოსტსკრიპტუმი“ კი პრინციპულად არ მომწონს! თანაც გაზეთის სათაურად.

მოდით, ქართულად დაწეროთ გამოცემის სახელწოდება – სრულად.

რა გამოვა?

„აჭარა-ბოლოში მინაწერი“.(?!).

ნეტარხსენებული მამია ვარშანიძე არაერთი ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილის ავტორია. სათქმელს რომ ჩაათავებდა, გადაბეჭდავდა და რედაქციაში მიიტანდა, მერე გაახსენდებოდა, რომ რაღაც გამორჩენოდა თურმე, თითქმის ასე ემართებოდა სულ, ამიტომ „მინაწერს“ დაუერთავდა ბოლოს.

„მინაწერს“ და არა „P.S.“-ს

ქურნალ-გაზეთებში ხშირად ვხვდებით – „მომენტალურად“, „მამინალურად“. არადა, რა ლამაზი სიტყვები გვაქვს მშობლიურ ენაზე „მამინვე“, „იმავედროულად“, „მევესეულად“, „უნებლიედ“.

ხშირად ვხვდებით ასეთ ფრაზებსაც „რაც არ უნდა აკეთო“... „რამდენი არ უნდა უთხრა“... „რამდენიც არ უნდა იცოცხლო“...

ისინი რუსულიდან უხეიროდ გადმოქართულებულია.

აქ „Ha“ გაგაძლიერებით ნაწილაკს „ც“-ს აღნიშნავს, ამიტომ უნდა იწერებოდეს და ითქმებოდეს: „რაც უნდა აკეთო“... „რამდენიც უნდა უთხრა“... „რამდენიც იცოცხლო“...

ცუდი რუსულიდან პირდაპირ გადმოტანილია „შეხვედრა და მოლაპარაკება ჰქონდა“...

რა უბრალოდ და მიმზიდველად ქდერს – „შეხვდა და ესაუბრა“...

ჩვენი ტელედიქტორები და გაზეთის ქურნალისტები ხშირად ერთმანეთში ურევენ „რეგიონულს“ და „რეგიონალურს“.

რეგიონული შეიძლება იყოს პოლიტიკა, აზროვნებაც შეიძლება იყოს რეგიონული, მედიცინაში ადგილობრივ ანესთეზიას უწოდებენ რეგიონულს.

რეგიონალურია-სიმპოზიუმი, კონფერენცია, ორგანიზაცია. (მაგ. „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია“.).

როცა ენის სიწმინდეზე ვსაუბრობთ, მარტო ის არ იგულისხმება, რას ვწერთ ან გადავცემთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, არამედ ისიც, რას ვლაპარაკობთ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამ ცოტა ხნის წინ ანეგდოტი გავიგონე. ქურდი და ნარკომანი ნარდს თამაშობენ თურმე. გააგორებს კამათლებს ქურდი, არ დაუდგება კარგი ზარი – „შენი დედაო“... იტყვის, გააგორებს ნარკომანი, არ დაუდგება მასაც – „ჩემი დედაო“...

ჰოდა, იძახიან ასე „შენი დედა!“... „ჩემი დედა!“...

გაბრაზებულია ბოლოს ნარკომანი: „შენ რა, ბი-იიჯო, დედა არა გყავს?!“

ახლო წარსულში გულწრფელად ვამაყობდით, რომ მსოფლიოში ისე არსად სცემენ პატივს დედას, როგორც ჩვენთან, საქართველოში.

დღეს, ჩვენი ქვეყნის გარდა, არსად ივინებიან საკუთარ დედას.

ბოლო წლებში გამოშვებულმა ქართულმა კინოფილმებმაც აიტაცა ეს „სიახლე“. რაღაც საზიზღარი მძულვარებით ულაწუნებენ ერთმანეთს პერსონაჟები და ყველა



ბრუნვაში ატრიალებენ... დედას.

იქნებ ოდნავ გადავუხვიე ალბათ მთავარ თემას, მაგრამ... რა ვუყოთ იმ ჭეშმარიტებას, ენის სიწმინდე ერის სიწმინდეაო, რომ უთქვამს ბრძენ ხალხსა.

ერთი ჩემი ნაცნობი უდროოდ დაბრუნებულა სახლში. უდროოდ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მისი უკვე მოწიფული ვაჟი და სტუმარი თანატოლები არ ელოდნენ თურმე. სხედან, აბოლებენ და ყოველ წინადადებას „ჩემი დედათი“ იწყებენ და ამთავრებენ. გაცეცხლებულა მამა, ჩაუვლია ქეჩოში შვილისათვის, შეუყვანია მეორე ოთახში მწოლიარე ავადმყოფ დედასთან და უყვირია, მიდი, ჰე, ჰქენი ახლა, რასაც ამბობდიო.

მე ბუნებით ჰუმანური კაცი ვარ და ძალადობას ვერ ვიტან, მაგრამ...

დაილოცა იმ ჩემი ნაცნობის ჯანიანი ხელები!

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ენის სახელმწიფო პალატა ახლახან დაკომპლექტდა და იკრებს ძალას.

მოგეხსენებათ რაოდენ უჭირს ბიუჯეტს. ჯერჯერობით არაფერი გვაქვს, გარდა უკიდურესად სარემონტო ფართისა და სურვილისა, ვემსახუროთ მშობლიურ ქართულ ენას, უნიკალურს მსოფლიოში, ერმა დიდი სიყვარულით დედა რომ უწოდა.

აჭარაში, ვფიქრობთ, ეს საქმე მისაბაძი სიმბალეზე უნდა ავიდეს. მან ხომ სისხლის, ცრემლის, უთანასწორო ბრძოლის, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე არაერთხელ დგომის ფასად დაიცვა და საუკუნეებში გამოატარა ქართული ენა.






## წერილები

თეიმურაზ კომაჩია

### ქ. ბათუმის ტრანსპორტის განვითარების საკითხები



ვიდრე ბათუმი რკინიგზით დაუკავშირდებოდა გარე სამყაროს, 1878 წლის 25 აგვისტოდან, ანუ იმ დროიდან როდესაც თავისი ოლქით რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ბათუმის ნავსადგურიდან, პორტო-ფრანკოს საფუძველზე ბათუმში შემოტანილი სხვადასხვა დანიშნულების საქონელი თუ ნედლეული გემებით გაჰყონდათ რუსეთის იმპერიისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა პორტებში. იმხანად ბათუმის უბეში არ ფუნქციონირებდა არავითარი ხელოვნური ნაგებობა, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ რუსეთის სანაოსნოსა და სავაჭრო საზოგადოების ხის ნავმისადგომებს.

სამაგიეროდ ძალზე მოხერხებული გახლდათ ბათუმის ნავსადგური, ის ბუნებისაგან ბოძებული უნიკალური ყურე, რომელიც მას გააჩნდა. ბათუმის მეტად ხელსაყრელი, სტრატეგიული ადგილმდებარეობა და რუსეთის სამხრეთში ვაჭრობის შემდგომი მზარდი განვითარების ტენდენციები ძალაუვნებურად ჰქმნიდა ბათუმში საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის მშენებლობის აუცილებლობას.

1879 წელს შეიქმნა „ბათუმის ნავსადგურის ბუნებრივი პირობების გამომკვლევი და შემსწავლელი კომისია“, რომელსაც დაევალა ახალი, თანამედროვე ნავსადგურის მშენებლობის საკითხის საფუძვლიანი შესწავლა. კომისია, რომელშიაც შედიოდნენ საქმის მცოდნე, გამოცდილი და ყოველმხრივ კომპეტენტური პირები, ამ რთული და შრომატევადი სამუშაოს შესრულებას შეუდგა. კომისიას ამ პროექტის შემუშავება-შესწავლისათვის საკმაო დიდი ხანი დასჭირდა და ბოლოს და ბოლოს დიდი, ხანგრძლივი, დაძაბული მუშაობის შედეგად, 1882 წელს შეძლო განსახილველად წარედგინა მზა პროექტი.

პროექტის განხილვას, მასში არსებული რიგი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოსწორებას თვით პროექტის შედგანაზე დახარჯულ დროზე ნაკლები როდი დასჭირდა. პროექტი ბოლოს და ბოლოს მხოლოდ 1884 წლის მიწურულისათვის იყო მზად, რომლის შემდეგაც პირველ რიგში მოეწყო ნავთობის ნავსაყუდელი, რომელიც შედგებოდა მოლოსა და ქვის სანაპიროსაგან. მოლოს სიგრძე შეადგენდა 378 საყენს, სიგანე კი - 20 საყენს, ეს ნავმისადგომი გათვალისწინებული გახლდათ იმ გემებისათვის, რომლებიც დაიტვირთებოდნენ ნავთობპროდუქტებით ჩასხმის მეთოდით და ასევე ბათუმში შემოზიდული მარგანეცის ჩასატვირთავად.

მოლოს დასაწყისი მიემართებოდა ჩრდილოეთის მიმართულებით, შემდეგ კი უხვევდა დასავლეთისაკენ. მოლოს გასწორე ყურესა და ზღვის ფსკერი დააღრმავეს 26 ფუტით, მოგვიანებით, სახელდობრ კი 1897 წლისათვის 30 ფუტზე მეტად.

1886-1899 წლებში ბათუმში აშენებულ იმ ახალ ნავმისადგომთაგან ერთს გააჩნდა სპეციალური ქვის სანაპირო გემებში ტარაში მოთავსებული ნავთობის ჩასატვირთავად.



1897 წელს დაიწყო საკაპოტაჟე მოლოს მშენებლობა, რომლის სიგრძე შეადგენდა 195 საყენს.

აღნიშნული ამ ორი მოლოს გარდა, 1899 წელს ბერუნ-თაბის კონცხზე დაიწყო მცირე მოლოს მშენებლობა... რისთვის იყო საჭირო მისი მშენებლობა? საქმე მდგომარეობდა შემდეგში: მდინარე ჭოროხის ნატიანი, დინების საშუალებით თავს იყრიდა ბურუნ-თაბის ნახევარკუნძულის მიდამოებში, რაც ქმნიდა იმის საშიშროებას, რომ ეს დაგროვილი ნატიანი დროთა ვითარებაში შეაღწევდა ნავსადგურში და ხელს შეუშლიდა გემების უსაფრთხო მოძრაობას. ყოველივე ამის თავიდან აცილების მიზნით, 1899 წელს, ბეტონის ვეება მოცულობითი ბლოკების გამოყენებით ბურუნ-თაბის კონცხის დაბოლოებასთან მოეწყო 70 საყენის სიგრძის ახალი მოლო, რომელიც არსებითად განაპირობებდა ნავსაყუდელის სათანადო დაცვას ჭოროხის ნატიანისაგან.

აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შემდეგ ბათუმის ნავსაყუდელის წყლის ფართობი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მიაღწია 50 ათას კვადრატულ საყენს, ხოლო ნავსადგურის სიგანემ ნავთობის მოლოს თავიდან - 170 საყენამდე. ახლა რაც შეეხება წყლის სიღრმეს ნავსადგურის შესასვლელთან, მან შეადგინა 35 ფუტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნავსაყუდელის სხვადასხვა ადგილებში წყლის სიღრმე ერთმანეთისაგან განსხვავებული, სხვადასხვანაირი გახლდათ, სახელდობრ, ბურუნ-თაბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იგი აღწევდა 17 ფუტს, რუსეთის სანაოსნოსა და ვაჭრობის საზოგადოების ნავმისადგომთან 28 ფუტს, ნავთობის მოლოსთან და მის სანაპიროსთან 29 ფუტს, ქალაქის სანაპიროსთან 7 ფუტს, ეგრეთწოდებულ „დიდ რეიდთან“ წყლის სიღრმის მაქსიმუმი შეადგენდა 64 ფუტს, მინიმუმი კი - 11,1/2 ფუტს, ჩრდილოეთით წყლის სიღრმე საშუალოდ აღწევდა 23 ფუტს, სამხრეთით - 35-40 ფუტს, მცირე რეიდთან კი მერყობდა 21-30 ფუტს შორის.

\* \* \*

ბათუმის ნავსადგურის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა 1892 წელს. აღნიშნული დროისათვის აგებული იქნა თერთმეტი ნავმისადგომი და საკაპოტაჟო ნავსაყუდელი.

1899 წლის დეკემბერში რუსეთის საზღვაო სავაჭრო საზოგადოების ინიციატივით ბათუმის საზღვაო სანაოსნო ზოლზე, 630 კვადრატული მეტრის გაყოლებით ჩამოყალიბდა საბაჟო კონტროლის ზონა. ამ საზოგადოებამ ამასთანავე ბათუმის ნავსადგურში ააშენა საწყობები და ადმინისტრაციული შენობები.

ყურეს დასავლეთ ნაწილში აშენდა ახალი ნავმისადგომი აფრიანი ნაგებისა და მცირე წყალწვის გემებისათვის, რომლებიც ქალაქში ეზიდებოდნენ საკვებ პროდუქტებს, სამშენებლო მასალებს.

აღნიშნულ პერიოდში დასრულდა სატრანსპორტო ნავმისადგომის მშენებლობაც.

\* \* \*

გაზეთი „შავი ზღვის მოამბე“ 1895 წლის 26 ივლისს ერთ-ერთ წერილში წერდა: „ბათუმში შემომსვლელი გემების რაოდენობა დღითიდღე იზრდება, ზაფხულობით ტურისტული სეზონი განსაკუთრებით ცხოველდება, ამიერკავკასიის სარკინიგზო ხაზები გადატვირთულია უცხოელი ტურისტებით.“



80-იან წლებში ბათუმის ნავსადგურში გამოჩნდნენ სპეციალიზებული გემები ნავთობპროდუქტების გადასაზიდად. პირველი რუსული ტანკერი „სინათლე“ მწყობრში ჩადგა 1885 წელს. იგი მოძრაობდა ბათუმ-ოდესას შორის.

ნავთსაზიდი ტანკერები ბათუმიდან ოდესის მიმართულებით გადადიოდნენ ყოველ ათ დღეში.

ბათუმმა თანდათანობით დაამყარა ურთიერთობა რუსეთის ყველაზე დიდ ნავსადგურებთან. მალე იგი რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი სანავსადგურო ქალაქი გახდა ნავთობპროდუქტების რეალიზაციის განხრით.

1879 წლისათვის ნავსადგურის ტვირთბრუნვამ შეადგინა 600 ათასი ფუტი.

1880 წლისათვის 8 მილიონი ფუტი,

1895 წლისათვის 79,2 მილიონი ფუტი,

1900 წლისათვის 88,7 მილიონი ფუტი,

1904 წლისათვის კი 100 მილიონ ფუტს გადააჭარბა.

თავისთავად ცხადია, ბათუმის ნავსადგურში ყველაზე მეტი წილი ტვირთბრუნვაში მოდიოდა ნავთობპროდუქტებზე. ბათუმში შემოსული ნავთობის ორი მესამედი გადიოდა საზღვარგარეთის ქვეყნებში – ინგლისში, გერმანიაში, ბელგიაში, ეგვიპტესა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში.

\* \* \*

უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის ნავსადგურში 1907-1912 წლებში რაიმე მნიშვნელოვანი სამუშაოები არ ჩატარებულა.

მართალია, 1906 წელს დაიწვა საკითხი ბათუმის ნავსადგურის ხელახალი გაფართოება-რეკონსტრუქციის თაობაზე, რაც გათვალისწინებული გახლდათ ნავსადგურში ტვირთბრუნვის მნიშვნელოვნად გაფართოების საფუძველზე.

ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი იქნა პროექტის რეკონსტრუქციის ორი პროექტი, ნავსადგურის გაფართოება აღმოსავლეთის მიმართულებით.

პროექტის პირველი ვარიანტი შემუშავებული გახლდათ ამ საქმის ცნობილი სპეციალისტის – პროფესორ ვოზნესენსკის მიერ, ხოლო რაც შეეხება მეორე პროექტს, იგი დამუშავებული გახლდათ 1878 წელს ბათუმის საქალაქო მმართველობაში.

1911 წლის ოქტომბერში ბათუმში მოეწყო შეკრება ნავსადგურის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. შეკრებას დაესწრო რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელი ტიმოშევი.

ამ შეკრებაზე დადგინდა, რომ ბათუმის ნავსადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდეს პროფესორ ვოზნესენსკის მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით.

ნავსადგურის უკეთ მოწყობის მიზნით დადგინდა შემდეგი ღონისძიებების გატარება.

1. გაგრძელდეს სანავთობო მოლო.

2. მოეწყოს სანავთობო მოლოს შემხვედრი ფართო პირსი, ისე რომ პირსსა და სანავთობო მოლოს დაშორება უდრიდეს 40 საყენზე მეტს.

3. ბურუნ-თაბიეს კონცხზე მოეწყოს დამცველი მოლო აღმოსავლეთის მიმართულებით.

4. საკაპოტაჟე და სანავთობო მოლოებზე ტალღების დამრტყმელი ძალის შემცირების მიზნით მოლოების მთელ სიგრძეზე ჩაიყაროს მოცულობითი ბლოკები.



ამავდროულად დაისახა გეგმა, რომ გემების მისადგომი ხაზის გადიდების მიზნით მოწყობილიყო ნავმისადგომი ხიმიწებზე, რომელიც მოიცავდა მანძილს სახომალდე კანტორიდან რუსეთის საზოგადოების ნავმისადგომამდე.

ასევე გათვალისწინებული გახლდათ სანავთობო ნავსაყუდელის შემდგომი ჩაღრმავება ღრმა საძირკველის მოწყობის ხარჯზე.

ალბათ ეს ჩანაფიქრიც სათანადოდ განხორციელდებოდა, მაგრამ მის განხორციელებას ხელი შეუშალა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ, შემდეგ კი რუსეთის იმპერიის დაშლამ.

1921 წლიდან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბათუმის ნავსადგური ნავთობპროდუქტების გარდა რუსეთს ამარაგებდა მარგანეცით, ქვანახშირით, ხე-ტყით, ბრინჯაოთი და სხვა.

1923 წელს ბათუმის გადაყვანამ უმაღლესი პირველი თანრიგის ნავსადგურთა რეესტრში, კიდევ უფრო დააჩქარა მისი ზრდა-განვითარება, ბათუმი უკვე იმხანად ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ხუთი ნავსადგურის რიცხვში შედიოდა, რომელთა ტვირთბრუნვამ წელიწადში ერთ მილიონ ტონას გადააჭარბა.

1926 წელს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა 590 გემი 13 სახელმწიფოს დროშით.

კიდევ უფრო საგრძნობლად გაიზარდა ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა მომდევნო 1927-1928 წლებში.

\* \* \*

ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის შემდგომი გაფართოება-რეკონსტრუქციის საკითხი ხელმეორედ წამოიჭრა 1925 წელს, რომლის შედეგადაც დამუშავდა რამდენიმე პროექტი. ამ პროექტთა შორის მოწონება დაიმსახურა ორმა, რომელთაგან ერთი შესრულდა მოსკოვის საპროექტო ბიუროში (ტუმირში) ინჟინერ ფლორინის მიერ, ხოლო რაც შეეხება მეორე პროექტს, იგი შესრულდა ამიერკავკასიის პორტების განყოფილებაში, თბილისში.

პირველი პროექტი ითვალისწინებდა ხმელეთზე, სანაპიროს მახლობლად რამდენიმე დიდი აუზის მოწყობას, რაც გამოიწვევდა ქალაქის ტერიტორიის დაქსაქსულობას და, ამასთან, მთელ სირთულეებს, რის გამოც ეს პროექტი უარყოფილი იქნა.

ასეთივე ბედი ეწია მეორე პროექტსაც, რომლის მიხედვითაც ნავსადგურის სანავთობო უბანი უნდა გადაკეთებულიყო მშრალი ტვირთების მისაღებად, საკაპოტაჟე ნავსადგომის ადგილზე კი გათვალისწინებული გახლდათ სანავთობო ნავმისადგომების მოწყობა, რომელსაც ექნებოდა ღია ზღვაში ინდივიდუალური გასასვლელი და რომელიც დაცული იქნებოდა ტალღასაჭრელით.

ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში ტვირთბრუნვის მნიშვნელოვნად გაზრდასთან დაკავშირებით ეს პროექტი უარყოფილი იქნა.

შემდეგ ცნობილმა ინჟინერმა ვლადიკოვმა წამოაყენა ახალი წინადადება, რომლის მიხედვითაც ნავსადგურის ტერიტორია უნდა გაზრდილიყო წყლის ზედაპირის ხარჯზე, უნდა მოზვინულიყო ზღვის წყალმარჩხი ტერიტორია მდინარე კუბა-წყლიდან ნავსადგურის მიმართულებით, რომლის საფუძველზედაც ზღვის სანაპირო გაიზრდებოდა 500-600 მეტრით, რომლის შემდეგაც ნავსადგური მიიღებდა სხვა კონფიგურაციას და ფართე ტერიტორიას.

1956 წელს ქალაქ ბათუმისათვის შედგენილი გენერალური გეგმა ითვალისწინებდა



ნავსადგურის რეკონსტრუქციას ყოფილი საკაპიტალო ნავსადგურის აკვატორიის ხარჯზე. რაც შეეხება სანავთობო ნავმისადგომებს იგი რჩებოდა ადგილზევე, ოღონდ გათვალისწინებული იყო კიდევ ერთი ახალი ნავმისადგომის დამატება.

\* \* \*

ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური თავისი ფუნქციონირების მიხედვით მრავალმხრივია, იგი ძირითადად ემსახურება ექსპორტ-იმპორტის გადაზიდვებს. ნავსადგურით ძირითადად გაიზიდებოდა ნავთობპროდუქტები, ასევე ციტრუსოვანთა ნაყოფი, ბზა, ჩაი, ხილი და სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელი. ბათუმის ნავსადგურის მეშვეობით შემოაქვთ პურის მარცვალი, ფქვილი, შაქარი, სამშენებლო მასალები და სხვადასხვა დანიშნულების მანქანა-მოწყობილობანი.

\* \* \*

ტვირთვითი პარალელურად ბათუმის ნავსადგურიდან კომფორტაბელური სამგზავრო გემებით ყირიმ-კავკასიის ხაზზე გადაჰყავდათ მრავალი მგზავრი და პირიქით, ბათუმში შემოჰყავდათ მრავალი ტურისტი თუ დამსვენებელი.

საკურორტო ზონის გასწვრივ შექმნილი იყო ადგილობრივი მიმოსვლის მარშრუტები, მაგალითისათვის, 1966 წელს ყველა სახის სამგზავრო გემმა გადაიყვანა 260 ათასი კაცი.

\* \* \*

1967 წლის იანვარში ბათუმში ჩამოყალიბდა საქართველოს საზღვაო სანაოსნო, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღორძინების ღირსშესანიშნავ ისტორიაში მართლაც რომ უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შემადგენლობაში გარდა ბათუმისა, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურებისა გაერთიანდა „ინფლოტისა“ და ტრანსფლოტის“ სააგენტოები.

საქართველოს საზღვაო სანაოსნო ხელმძღვანელობდა მასზე მიწერილი ხომალდების ეკიპაჟებისა და სახმელეთო ორგანიზაციების მუშაობას.

მავანთა და მავანთა მიზეზით, რომელთა ვინაობაც დღემდე დაუდგენელია, საქართველოს საზღვაო სანაოსნომ 1999 წლისათვის ფაქტიურად ფუნქციონირება შეწყვიტა.

\* \* \*

ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურს დღეისათვის უკავია 14 ჰექტარი ფართობი, რაც, ცხადია, მომავალი პერსპექტივებიდან გამომდინარე, მართლაც რომ არასაკმარისია, ამიტომაც საჭიროა მისი ტერიტორიული გაფართოება შესაძლებლობების ფარგლებში. მიმაჩნია რომ ყველაზე უფრო მიზანშეწონილია ნავსადგურის ტერიტორია გაიზარდოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით იქ არსებული, ამჟამად გამოთავისუფლებული



ტერიტორიის ხარჯზე.

ნავსადგურის ნომერი პირველი ნავმისადგომი განლაგებულია მოლოს ბოლო ნაწილში და იგი გამოიყენება ნავთობის გადასატვირთად. ეს ნავმისადგომი, როგორც ეს უკვე მოვისხენიეთ ზემოთ, აგებულია ბეტონის ბლოკებისაგან, იგი აშენებულია 1892 წელს. 1972 წელს ამ ნავმისადგომს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, რომლის შემდეგაც ნავმისადგომზე დიდი, 25 ათას ტონიანი წყალწვის გემების მიღებისა და ჩატვირთვის შესაძლებლობა შეიქმნა. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებული ნავმისადგომის კედელთან მოეწყო შპუნტოვანი კედელი 20 მეტრის სიღრმეზე, რომლის ზემოდაც დაბეტონდა ბეტონის მონოლითური ტრავერსი.

ნავსადგურის მეორე და მესამე ნავმისადგომი აშენდა პირველ ნავმისადგომთან და მოლოსთან ერთად, ანუ 1892 წელს, 1928 წელს ორივე ნავმისადგომს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, რამაც განაპირობა დიდი წყალწვის გემების მიღება და სავაჭრო პროცესების (დატვირთვა-გადმოტვირთვითი სამუშაოების) ჩატარება. აქვე, ამ ნავმისადგომებს შორის მოეწყო 30 მეტრიანი სიღრმის მცირე მოლო. ეს ნავმისადგომები ჩვეულებრივ აგებულია ბეტონის ბლოკებისაგან. დღეისათვის ისინი საჭიროებენ რემონტსა და რეკონსტრუქციას.

მეოთხე და მესამე ნავმისადგომები აიგო ნავთობის გადასატვირთად. ისინი გამოიყენება მცირე წყალწვის გემების დასაყენებლად, რამდენადაც აქ, ამ ადგილებში წყლის სიღრმე დაბალია და ითხოვს ზღვის ფსკერის სათანადო დაღრმავებას.

მეექვსე და მეშვიდე ნავმისადგომები იყო ნავთობის გადასატვირთად. ისინი გამოიყენება მცირე წყალწვის გემების დასაყენებლად, რამდენადაც აქ, ამ ადგილებში წყლის სიღრმე დაბალია და ითხოვს ზღვის ფსკერის სათანადო დაღრმავებას.

მეექვსე და მეშვიდე ნავმისადგომები, ისევე როგორც პირველი ნავმისადგომი, ააგეს 1892 წელს. მეექვსე ნავმისადგომის კედელი 1902 წელს დაინგრა და იგი განმეორებით აღდგენილი იქნა ბეტონის ბლოკებით, 1958 წელს ორივე ნავმისადგომს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, რომლის დროსაც გამოყენებული იქნა რკინაბეტონის ხიმიჩები 450/450 მილიმეტრის განიგვეთით. აღნიშნული ნავმისადგომები გამოიყენება მარცვლოვანი და გენერალური ტვირთების დასამუშავებლად.

ამასთანავე, დღეისათვის აღნიშნული ნავმისადგომები გამოყენებულია დიდი ტვირთამწეობის ბორანის გასაჩერებლად.

მერვე და მეცხრე ნავმისადგომებს, რომლებიც 1892 წელს ააგეს ბეტონის ბლოკებისაგან, 1962 წელს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და ისინი გამოიყენებოდნენ მშრალი ტვირთების გადმოსატვირთავად.

მეათე ნავმისადგომი, რომელიც ნავსადგურის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, აიგო 1978 წელს რკინა ბეტონის ხიმიჩებზე 450/450 მილიმეტრიანი კვეთით.

აღნიშნული ნავმისადგომი გამოიყენება სამგზავრო გემების გასაჩერებლად და მცირე ტვირთამწეობის გემების დასამუშავებლად.

ნავსადგურის მეთორმეტე ნავმისადგომი აიგო ორ ბაქანზე, პირველი მონაკვეთი ამ ნავმისადგომებისა 127 მეტრის სიგრძისაა და შედგება ორი რიგი ბეტონის ხიმიჩებისაგან. ბაქნები ერთმანეთისაგან დაშორებულია რვა მეტრით.

ამ ნავმისადგომს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1967 წელს, რის შედეგადაც ნავმისადგომის სიგრძე გაიზარდა 68 მეტრით.

ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის ელექტროენერგიით მომარაგება ხდება ქალაქის ქსელიდან, ამის გარდა, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება 4 მეგავატის სიმძლავრის დიზელ-გენერატორები.



\* \* \*

90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამ დროისათვის ნავსადგურს უკვე შეეძლო ყოველწლიურად თხევადი, ნაყარი და გენერალური ტვირთების დამუშავება და დანიშნულებისამებრ დაგზავნა.

1997 წლიდან ბათუმის სავაჭრო ნავსადგური სახაზინო (მუნიციპალური) საწარმო გახდა.

ამჟამად, ბათუმის ნავსადგურის სპეციალიზაცია საშუალებას იძლევა, რათა სათანადოდ იქნას დამუშავებული თხევადი, გენერალური, ნაყარი ტვირთები და კონტეინერები.

თხევად ტვირთებს წარმოადგენს: ნავთობის ნედლეული, ყველა სახის ნავთი, მათ შორის საავიაციო ბენზინი, ყველა მარკის დიზელის საწვავი და მაზუთი, და ტექნიკური ზეთები.

გენერალურ ტვირთებს შეადგენს: სასურსათო პროდუქტები - შაქარი, ბრინჯი, ფქვილი, მარილი, ხორცი, კარაქი და ასე შემდეგ. ჩაი, ციტრუსი და სხვა ხილეული. ბოსტნეული, საშენი მასალები - ცემენტი, ლითონნაკეთობანი, ყველა სახის ხე-ტყე და სხვა. ქიმიური ტვირთები, როგორც ტომრებით, ასევე კასრებით.

ნაყარი ტვირთებია: მარცვლეული - ხორბალი, სიმინდი, პარკოსანი კულტურები და სხვა, მადნეული, ქვანახშირი, კომბინირებული საკვები, მინერალური სასუქები.

ამჟამად ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურს შეუძლია მიიღოს შეზღუდული გაბარიტების მქონე კონტეინერები, აქვე გათვალისწინებულია სპეციალური საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობა.

\* \* \*

დღეისათვის ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში მოქმედებს სამი ტერმინალი - თხევადი, მშრალი ტვირთებისა და სამგზავრო და სარკინიგზო - საბორნე გადასასვლელი.

თხევადი ტვირთის ტერმინალში შედის, როგორც ეს უკვე მოვიხსენიეთ ზემოთ, 1-3 ნავმისადგომები და ნავთობპროდუქტების მისაღები უნავმისადგომო სარეიდო მოწყობილობა დიდი, 60 ათას ტონამდე დედვეიტის ტანკერების დასამუშავებლად.

გარდა სატვირთო ოპერაციებისა, ამ ნავმისადგომებზე წარმოებს ჩამონარეცხი, დაბინძურებული ბალასტისა და ნიაღვრის წყლების მიღება გამწმენდ ნაგებობებში.

ნავსადგურის მშრალი ტვირთის ტერმინალში შედიან მეექვსე-მეცხრე ნავმისადგომები, სადაც სატვირთო ოპერაციებს ემსახურება ფირმა „ჰარტმანის“ ორი პნევმო გადამტვირთავი და ოთხი „ნიაროს“ ფირმის პნევმოგადამტვირთავი, ორი როტორულ-რევერსული ტიპის გადამტვირთავი და გრეიდერები.

ნავსადგურში სატვირთო ოპერაციებს სათანადოდ უზრუნველყოფს ორი 40 ტონიანი პორტალური ამწე, 165-10 ტონა ტვირთამწეობის ათი ავტომტვირთავის ტრიუმშიდა და ვაგონსშიდა გადამტვირთავი მექანიზმები.



\* \* \*

ვსაუბრობთ რა ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურზე, განსაკუთრებული მოხსენიებისა და აღნიშვნის ღირსია ბათუმის საბორნე-სარკინიგზო გადასასვლელი და ფოლადის ჰიდრავლიკური სარკინიგზო ხიდი...

ბათუმის ნავსადგურის სარკინიგზო-საბორნე ნავმისადგომები განლაგებულია ბათუმის ნავსადგურის მეხუთე ნავმისადგომზე. იმგვარად, რომ ბორანის კოჩოს აპარელთი მიაღდეს აღნიშნულ ნავმისადგომს, ხოლო ბორტით – მეექვსე ნავმისადგომს.

იმის გამო, რომ ნავსადგურის მეექვსე ნავმისადგომის სიგრძე 187 მეტრია, ფოლადის ჰიდრავლიკური საბორნე ხიდი აგებულია იმგვარად, რომ 184,5 მეტრი სიგრძის სარკინიგზო ბორანი თავისუფლად მიაღდეს ნავმისადგომს, ესე იგი ხიდი, რომელიც მეხუთე ნავმისადგომზეა აგებული, ძირითადად ხმელეთზეა განლაგებული.

მკითხველს ალბათ დაინტერესებს სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის ძირითადი მონაცემები.

სარკინიგზო-საბორნე ნავმისადგომი აიგო „შოპკის გმირების“ ტიპის ბორანთა თავისებურებების გათვალისწინებით. ეს ბორანები მოძრაობენ ბულგარეთის ნავსადგურ ვარნასა და უკრაინის ნავსადგურ ილიოვსკს შორის. ამიტომაც იყო რომ გემთმოსახმელები დამონტაჟდა მეექვსე ნავმისადგომზე იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტიპის ბორანთა სიგანე 26,70 მეტრია.

ბორანი ნავმისადგომს აღგება 23 გრადუსი ტენციისურის მაქსიმალური კუთხით, იმგვარად, რომ გემის კიჩო თავდაპირველად დამაგრდეს მეხუთე ნავმისადგომზე, ხოლო შემდეგ ბაგირებით დამაგრდეს მეექვსე ნავმისადგომის გემთმოსახმელ ტუმბებზე. გემის ნავმისადგომზე დამაგრების ჰიდრავლიკური სარკინიგზო ხიდი აწეულია 2,5 მეტრის სიმაღლეზე. გემის დამაგრების შემდეგ ხიდი თანდათანობით დაიწევს, გემის პირიმიდული საკეტები მოთავსდება ნავმისადგომის მიმღებ ბუდეებში, ხოლო სარკინიგზო ხიდის ჰიდრავლიკურად გართული კაუჭები, რომლებიც ნაგებობის წინა ნაწილშია მოთავსებული, ჩაიკეტება გემზე. უნდა აღინიშნოს ერთი რამ, ეს ხიდი მოძრავი რომ არ ყოფილიყო (ჰორიზონტალურ ხაზს ზემოთ იწევა 2, 5 მეტრის სიმაღლეზე და ეშვება ერთი მეტრით ქვემოთ) მაშინ ბორანს უნდა მიეღო 5 ათასი ტონა წყალი, ანუ ბალასტი, რათა გემბანს გათანაბრებოდა. ეს პროცესი კი მეტად გართულებდა და დაახანებდა საქმეს, რამდენადაც ბალასტის ჩატვირთვას 1,5-2 დღე მაინც დასჭირდებოდა. რაც ცხადია, დიდად დაახანებდა ბორანის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებს. ახლა კი, სავაგონო პარკის გამართული მუშაობის შემთხვევაში, ბორანის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებს სულ რაღაც ოთხი საათი თუ სჭირდება.

„მიჰკის გმირების“ ტიპის ბორანების სამგემბანიანია, რომელთა საერთო ტვირთამწეობა 12600 ტონაა, ხოლო ხომალდის საერთო ტონაჟი 22660 ტონას შეადგენს. ბორანის სიგრძე, როგორც ეს უკვე მოვიხსენიეთ ზემოთ, 184,5 მეტრია, სიგანე – 26,70 მეტრი. თავისი სპეციფიკურობის მიხედვით ბორანის წყალჯდომა 6,50 მეტრს შეადგენს, მაქსიმალური ჯდომა კი უდრის 7,40 მეტრს. ბორანის მაქსიმალური სიჩქარე საათში უდრის დაახლოებით 19,4 საზღვაო მილს. საექსპლოატაციო სიჩქარე კი დაახლოებით 12 საზღვაო მილს უდრის.

ასეთი სამგემბანიანი ბორანის ტევადობა 108 სარკინიგზო ოთხღერძიან სავანს უდრის.



ბორანის ზედა გემბანის ხუთი სარკინიგზო ხაზი იტევს  $2/8+9+9=49$  ოთხღერძიან ვაგონს.

შუა გემბანის ხუთი სარკინიგზო ხაზი იტევს  $2/9+2/10+11=49$  ორღერძიან ვაგონს.

ქვედა გემბანიდან სარკინიგზო ხაზი იტევს  $2/5+6=16$  ოთხღერძიან ვაგონს. ეს კი სულ 108 სარკინიგზო ორღერძიან ვაგონს.

ბორანის ზედა და ქვედა გემბანები იტვირთება ლიფტის მეშვეობით, რომელსაც ორი სატვირთო პლატფორმა გააჩნიათ. ლიფტის ტვირთამწეობა 170 ტონას შეადგენს. ლიფტის პლატფორმათა შორის მანძილი უდრის გემბანთა შორის მანძილს. ლიფტი გათვალისწინებულია ერთდროულად 2 ოთხღერძიანი, ან კიდევ ერთი მრავალღერძიანი სარკინიგზო ვაგონის მისაღებად. ბორანის სრული დატვირთვისათვის ლიფტს სვლა სჭირდება.

საბორტო დახრილობის თავიდან ასაცილებლად ბორანს გააჩნია უაღრესად მძლავრი ავტომატური სისტემა (4 ათასი ტონა). საბორტო დახრილობა მაქსიმალურად 5 გრადუსია, კიჩოს დახრილობა არ აღემატება ერთ გრადუსს. ვაგონების სარკინიგზო ხაზებზე გადაადგილება სრულდება ისრების დახმარებით, რომლებიც ზედა და ქვედა გემბანზეა და აგრეთვე ლოკომოტივის საშუალებით.

ალბათ მკითხველისათვის საინტერესო იქნება ისიც, თუ როგორი ტვირთის გადაზიდვა შეუძლია ბორანს.

სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელით ტვირთის გადატანა შეიძლება დახურული ან ნახევრად ღია ვაგონების მეშვეობით. თხევადი ტვირთის - ნავთობი, ბენზინი, მაზუთი, ღიზელის საწვავი, ტექნიკური ზეთები, ქიმიური ნივთიერებები და სხვების გადატანა ხდება ვაგონ-ცისტერნებით, ხოლო რაც შეეხება გენერალურ და ნაყარ ტვირთებს, მათი გადატანა ხდება დახურული ვაგონებით, ანდა კიდევ კოპერებით.

ბორანზე ვაგონების დატვირთვა ხდება 3 კილომეტრ-საათის სიჩქარით, ხოლო გადმოტვირთვა 4 კილომეტრ-საათის სიჩქარით.

ბორანის ჩატვირთვა-გადმოტვირთვა ხდება ორი ლოკომოტივის საშუალებით. თავდაპირველად ვაგონების დატვირთვა ხდება ზედა და ქვედა გემბანებზე ლიფტის მუშაობის შესაბამისად.

თუ ქარის სიჩქარე აკვატორიაში აღემატება 16 მეტრს წამამდე, ასეთ შემთხვევაში ბორანის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები დროებით წყდება.

ახლა გავეცნოთ, თუ როგორია თავად საბორნე, ფოლადის ხიდი, როგორია მისი კონსტრუქცია...

ხიდის სიგრძე 36,35 მეტრია. მისი წინა ნაწილის სიგანე 17,53 მეტრს უდრის, ხოლო უკანა ნაწილის სიგანე შეადგენს 9,44 მეტრს.

ხიდის წონა უდრის 400 ტონას.

ფოლადის ჰიდრაულიკური ხიდის ტექნიკური თავისებურებანი ასეთია: ხიდზე შესასვლელში 5 სარკინიგზო ხაზია, გასასვლელში კი - 3 ხაზი.

ჰიდრაულიკური ხიდის მუშაობას არეგულირებს 4 ჰიდრაულიკური ცილინდრი წინა ნაწილში და 2 ჰიდრაულიკური ცილინდრი-შუაში.

ჩატვირთვა-გადმოტვირთვითი სამუშაოების მიმდინარეობისას ხიდი მაგრდება ბორანზე, რის შემდეგად წინა ცილინდრები გამოირთვება, უკანა ცილინდრები კი ბორანის მოძრაობის სინქრონულად მოძრაობენ.

უმოქმედობის დროს ხიდი ჰორიზონტალური ხაზიდან მაქსიმალურ სიმაღლეზე, ანუ 2,5 მეტრზეა აწეული.



ხიდის მოძრაობას წარმართავს ელექტრონული სისტემა, რომელიც მაკონტროლებელ ტელეეკრანებზე ოდნავ შეფერხებასაც კი აფიქსირებს.

საბორნე გადასასვლელის ფოლადის ჰიდრავლიკური ხიდის მშენებლობისას დიდი სამუშაოები იქნა შესრულებული. ნავმისადგომზე მოიჭრა ათასობით კუბური მეტრი ნავთობითა და მაზუთით დაბინძურებული გრუნტი და იგი შეიცვალა ახალი მასალით. სათანადოდ გაიწმინდა ზღვის ფსკერი მეხუთე ნავმისადგომის ფსკერზე და სანაპირო გრუნტში, ხიდისათვის საჭიკინო საძირკველის სახით, ჩასვა 720 მილიმეტრის დიამეტრის 70-ზე მეტი 18 და 22 მეტრი სიგრძის ფოლადის მილები. ამასთან, მეხუთე და მეექვსე ნავმისადგომები მოპირკეთდა სპეციალური მასალით ბორანის ბორტებისა და კიჩოს ნავმისადგომზე ხახუნის შესამცირებლად.

სამეთვალყურეო კოშკი, რომელშიაც მოთავსებულია ელექტრონული ჰიდრავლიკური მართვის სისტემები, საიდანაც ოპერატორი მართავს ხიდს, სამსართულიანია და დგას ისეთ ადგილას, საიდანაც ხიდი, ბორანი მთლიანად მოჩანს. სამეთვალყურეო კოშკის საერთო ფართობი 87 კვადრატული მეტრია. პირველ სართულზე განლაგებულია ჰიდრავლიკური მართვის სისტემა და ელექტრონული პანო.

მეორე სართულზეა საკონტროლო კაბინეტი და ელექტრონული მართვის სისტემა. კოშკის მესამე სართულზე განლაგებულია ოფისი.

სისტემის მუშაობა მთლიანად ავტომატიზირებულია ბათუმის ნავსადგურში, ელექტროდენის მოულოდნელი გამორთვის შემთხვევაში, საბორნე ნავმისადგომს გააჩნია საუთარი ელექტროკვება, რისი წყალობითაც საბორნე სისტემა შეუფერხებლად იმუშავებს.

ბათუმის საზღვაო-სარკინიგზო საბორნე გადასასვლელის შემკვეთია ერთობლივი საწარმო „ბათუმი ენტერპრაიზ-ლიმიტედ“-ი, სამუშაოს შემსრულებლებები კი ინგლისური ფირმა „რანს-ტრენი“ და თურქული მრავალპროფილიანი ფირმა „შენერ არდა ინშთათი“.

ფოლადის ჰიდრავლიკური ხიდის ელექტრონიკა და სხვა დანადგარები დამზადებულია ინგლისური ფირმა „ავონის“ მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის საბორნე ნავმისადგომის ფოლადის ჰიდრავლიკურ ხიდს, ჰიდრავლიკური და ელექტრონული აღჭურვილობით, შავი ზღვის სხვა საბორნე გადასასვლელში ანალოგი არ გააჩნია.

ბათუმის საბორნე გადასასვლელს უდიდესი უნიკალური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსათვის, არამედ შავი ზღვის ქვეყნებისათვისაც. ეს იმდენად, რამდენადაც საქართველო ევროპა-აზიის შემაერთებული სატრანსპორტო გზის ხერხემალია.

საბორნე გადასასვლელის ნორმალური სიმძლავრე წელიწადში 4 მილიონი ტონაა და მისი სრული დატვირთვით ამუშავების შემთხვევაში მას საქართველოს ბიუჯეტისათვის საგრძნობი მოგების მოტანა შეუძლია. ანალოგიურ მიზანს ემსახურება მრავალპროფილიანი საზღვაო ტერმინალის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნიკით და იგი წელიწადში 6 მილიონ ტონა ტვირთს გადაამუშავებს.

ასევე უდიდესი მნიშვნელობა ექნება უნავმისადგომო მოსაბმელით დიდტონაჟიანი ტანკერების დატვირთვის პროექტის რეალიზაციას, რომელიც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვის შესაძლებლობას მთელი ასი პროცენტით, ანუ 7 მილიონი ტონით გაზრდის.



\* \* \*

როგორც ვიცით, დღესდღეობით საქართველოში სულ ორი სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელია, ბათუმისა და ფოთის.

ჯერ-ჯერობით ეს ორივე საბორნე გადასასვლელი მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობს - საქართველო-უკრაინა-ბულგარეთი.

სწორედ ამან განაპირობა ერთ-ერთი მათგანის რეკონსტრუქცია-გადართობის, ახალი სარკინიგზო ხაზის, ანუ ევროპული განშტოების ამოქმედების აუცილებლობა.

საქმე იმაში გახლავთ, რომ როგორც ფოთის ასევე ბათუმის ბორანი ეგრეთ წოდებული საბჭოური, რთული მოწყობისაა და ამდენად, იგი ევროპული ხაზით მიმავალ გემებს ვერ ემსახურება. რკინიგზის რელსები ეროპულ ხაზს 9 სანტიმეტრით ვიწრო აქვს. ამიტომაც რუსეთის რკინიგზაზე ევროპული ვაგონები ვერ მოძრაობენ და პირიქით.

ტასისის ექსპერტთა ჯგუფები არაერთხელ ჩამოვიდნენ საქართველოში ბათუმისა და ფოთის პორტების შესაძლებლობათა შესასწავლად. მათი გაანგარიშებით ფოთის ბორანის რეკონსტრუქციას 10 მილიონი დოლარი დასჭირდება, ბათუმისა კი გაცილებით ნაკლები - 4 მილიონი. ამიტომაც, ცხადია, არჩევანი ბათუმის საბორნე გადასასვლელზე შეჩერდა.

უკვე კარგახანია, რაც საქართველოს ხელისუფლება დაეთანხმა ტასისის გადაწყვეტილებას ბათუმის ნავსადგურის ბორანის რეკონსტრუქციის თაობაზე. ეს კი ცხადია, ბათუმის ნავსადგურს საუკეთესო პერსპექტივებს უსახავს. შეიქმნება რკინიგზის ხაზის ევროპული განშტოება, ამოქმედდა სამკუთხედი - ბათუმი-სამსუნი-კონსტანცა, რაც ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯებს 20-30 პროცენტით შემცირებს.

ბათუმში საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის სპეციალისტთა ჯგუფს ელოდებიან. მათ სარკინიგზო ხაზების საბოლოო პროექტი უნდა შეადგინონ. როგორც კი პროექტს ბრიუსელში, ტასისის სათაო ოფისში წარადგენენ, დაუყოვნებლივ გამოყოფენ 2 მილიონ დოლარ გრანტს.

სამუშაოების დაწყებიდან რამდენიმე თვეში, კომპანია „შენერ-არდას“ ჯგუფი, ბათუმის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის რეკონსტრუქციის დასრულებას გარაუდობს.

როგორც ამ ჯგუფის გენერალური დირექტორი რაუფ სუდჟადინოვი ამბობს, გადაკეთდება რკინიგზის ლიანდაგი, ჰიდრავლიკური ხიდი, აქვე, ნავსადგურის ტერიტორიაზე განთავსდება სადგური, სადაც 3-4 წუთში გადაადგილდება საბჭოური და ევროპული კონსტრუქციის სავალი ნაწილები, რის შემდეგ შესაძლებელი გახდება ტვირთების ტრანსპორტირება ბათუმიდან ამიერკავკასიაში, შუა აზიაში, ჩინეთამდე, უკან დაბრუნებისას ბათუმში ისევ მოხდება სავალი ნაწილის შეცვლა და უკან ევროპული ხაზით ტვირთი ჩავა რუმინეთის პორტამდე, იქედან - მთელ ევროპაში.

ასე და ამგვარად, ბათუმის ნავსადგურს ორმაგი შესაძლებლობა ექნება, ახალ ევროპულ ხაზთან (ბათუმი-სამსუნი-კონსტანცა) ერთად საჭიროების შემთხვევაში, ძველ სამკუთხედზეც (ბათუმი-უკრაინა-ბულგარეთი) იმუშაოს.

საჭაპანო და ავტოსატრანსპორტო

1890 წლის 19 თებერვალს ქალაქ ბათუმის სათათბირომ განიხილა ვ. დავიდოვის განცხადება.



ამ განცხადებაში ვ. დავიდოვი სთხოვდა ქალაქის ხელმძღვანელობას ნებართვა დაერთო მისთვის, რათა ქალაქის ეგრეთ წოდებული „გოროდოკის“ დასახლებიდან მდინარე ჭოროხის აუზამდე აემუშავებინა დილიქანსი, რომელიც მოემსახურებოდა მგზავრებს, – გადაიყვანდა ერთი ადგილიდან მეორეზე.

დავიდოვი ითხოვდა ნებართვასა და მიწის ნაკვეთის გამოყოფას დილიქანსის გასაჩერებლად.

სათათბირომ განიხილა განცხადება და ერთხმად მოიწონა იგი, დაამტკიცა წამოყენებული წინადადება იმ პირობით, რომ ვ. დავიდოვი მგზავრთა რაოდენობის მიუხედავად უზრუნველყოფდა დილიქანსის რეისების ჩატარებას დანიშნულ საათებში.

### *მეეტლეობის მეურნეობა*

1894 წელს ქალაქ ბათუმში მსუბუქ მეეტლეობას მისდევდა სულ 96 კაცი, საფორნე მეურნეობას კი გაცილებით მეტი – 384. მეფორნეები თავიანთი ფორნებით უმთავრესად დაკავშირებულნი იყვნენ ნავთის პროდუქტების გადატანით სანავთე ქარხნებიდან ნავსადგურში, სანავთობო გემებამდე, ასევე ისინი ნავსადგურიდან, გემებიდან ქარხნებამდე ეზიდებოდნენ სხვადასხვა მასალებს, ხრეშს, ქვიშას და სხვა სამშენებლო მასალებს.

ქალაქში მეეტლეობის მეურნეობა გაერთიანებული გახლდათ მსხვილ მეპატრონეთა მფლობელობაში.

მსუბუქი, ანუ სამგზავრო მეეტლეების დღიური საშუალო შემოსავალი შეადგენდა 4-5 მანეთს, წელიწადში საშუალოდ 900 მანეთამდე.

მსუბუქი ეტლით მომსახურებაზე არსებობდა სხვადასხვა ნიხრი, მაგალითად ლამის პირველი საათიდან დილის შვიდ საათამდე მომსახურების ნიხრი გაორმაგებული გახლდათ. აქ არსებობდა ერთგვარი წესი, თუ დაუწერელი კანონი: ახალი წლის პირველ დღეს, ასევე ქრისტეს შობისა და ნათლისღების პერიოდში ნიხრი არ ფუნქციონირებდა და მეეტლის დაქირავება ხდებოდა მოლაპარაკების საფუძველზე.

\* \* \*

ზღვაზე გადაადგილებისას მგზავრებს ემსახურებოდნენ აფრიანი და ნიჩბიანი ნავეები, ასევე მომცრო გემები, რომლებიც ნავსადგურში იდგნენ.

მგზავრობის ნიხრი განისაზღვრებოდა შემდეგი ტარიფით: გემიდან ნაპირამდე და პირიქით, ნაპირიდან გემამდე ხუთ კილომეტრამდე ბარგით – 5 კაპიკი, ერთ ფუთზე მეტის წონადობის ბარგით – 10 კაპიკი, ათ ფუთზე მეტი წონადობის ბარგით – 20 კაპიკი.

სეირნობისას, ასევე სხვადასხვა სახის ტვირთების გადატანის საფასურის გადახდა ხდებოდა მენავეებთან, მეფელუკეებთან შეთანხმებით.

(სუვოროვი, „ქ. ბათუმი“, 1893 წ. გვ. 12-13).

### *ცხენის ტრამვაი (კონკა)*

ქალაქ ბათუმში სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებისა და მგზავრთა უკეთ მომსახურების მიზნით გადაწყდა ცხენის ტრამვაის, ანუ კონკას დაფუძნება.



აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 1895 წელს ქალაქის მმართველობაში შევიდა ორი წინადადება ერთ-ერთი წინადადების ავტორი გახლდათ ფრანგი მოქალაქე ი. დიუდანომი, მეორე კი პ. შპოლიანსკი.

ფრანგი ი. დაუნანის წინადადება ითვალისწინებდა ქალაქში ელექტროტრამვაის დაარსებას, ხოლო რაც შეეხება მეორეს - შპოლიანსკის, მისი წინადადება ითვალისწინებდა კონკას, ანუ ცხენის ტრამვაის დაფუძნებას.

განიხილა რა ორივე წინადადება, 1896 წელს ქალაქის სათათბირომ უპირატესობა მიანიჭა შპოლიანსკის და ქალაქის მმართველობას დაავალა გაეფორმებინა მასთან სათანადო წინადადება.

მაგრამ, სამწუხაროდ იმ პერიოდისათვის, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ამ ჩანაფიქრს სათანადო განხორციელება არ ეწერა.

\* \* \*

1897 წელს, ბათუმელთა ერთმა ნაწილმა, 168 კაცის შემადგენლობით, გადაწყვიტა შეექმნა ამხანაგობა, რომელიც მოახერხებდა ქალაქში ტრამვაის დაფუძნებას.

1897 წლის მაისში ქალაქის სათათბირომ განიხილა საკითხი და მხარი დაუჭირა ბათუმელთა ამ წინადადებას, ეს კი მოხერხდა, მაგრამ ვერ მოხერხდა მთავარი. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ამხანაგობა მაინც ვერ ჩამოყალიბდა.

\* \* \*

1904 წლის 3 მაისს ბათუმის ქალაქისთავმა, ივანე ანდრონიკაშვილმა ქალაქის სათათბირო სხდომაზე დასვა საკითხი, რათა ქალაქში დაფუძნებულიყო ელექტროტრამვაი, რომლის დაფინანსებაც დაიფარებოდა ობლიგაციების სესხით.

ამ საკითხის საბოლოო დამუშავება დაევა ქალაქის მმართველობას, რასაც სულ მალე მოემა თავი, მაგრამ ამ კარგი ჩანაფიქრის განხორციელება ამჯერად ხელი შეუშალა 1904 წლის რუსეთ-იაპონიის ომმა.

ჩანაფიქრის თანახმად ტრამვაის ხაზს უნდა გაეგლო შემდეგ ქუჩებზე ზღვის ქუჩის დასაწყისიდან ვოზნესენსკის ქუჩით - მარინეს გამზირზე, მიხაილოვის ქუჩის გავლით - თურქულ ბაზრამდე (აჭარის ცენტ. სახ. არქ., ფონდი 6, არქ. №121-128).

### *საჭაპანო ტრანსპორტი*

ასი წლის წინათ ბათუმში შემოიღეს „საჭაპანე ტრანსპორტით ტვირთის გადატანის სარეწის წესები“. იმ დროისათვის ეტლების, ფაიტონებისა და წყალმზიდების მეპატრონეებს ბევრი რამ მოეთხოვებოდათ, წესები შეიცავდა 43 პარაგრაფს. ყველას უნდა ჰქონოდა პირადობის მოწმობა, რომელიც უნდა წარედგინათ პირველი მოთხოვნილებისთანავე. სამუშაო პროცესში ყოველთვის უნდა ყოფილიყვნენ ფხიზელ მდგომარეობაში, სუფთად ჩაცმულნი, არ უნდა მოეწიათ თამბაქო და არ უნდა გადაეყვანათ მოჩხუბარი და ხმაურიანი მგზავრები. მოძრავი შემადგენლობის მეპატრონეებს (მძღოლებს) ასევე ეკრძალებოდათ არადანიშნულებისამებრ ეყვანისა და ტანზალაკის გამოყენება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის ბათუმში გავრცელებული იყო და მუშაობდა ფაიტონი. ავტომობილი ჯერ არ იყო. ამდენად, ტვირთი ხმელეთზე საჭაპანე



ტრანსპორტით გადაჰქონდათ, ამასთან ოთხთვალას, ეტლს, ფაიტონს მგზავრთა გარდა, ავადმყოფთა გადასაყვანადაც იყენებდნენ, არ იყო აგრეთვე წყლის ქსელიც, წყალი მხოლოდ სამ ადგილას ნაწილებოდა მილსადენებიდან. ასე რომ სასმელი წყალი საჭირო რაოდენობით ძირითადად დიდი კასრებითა და ლითონის ბაკებით გადაჰქონდათ საჭაპნე ტრანსპორტით.

1883 წლის მაისში, ბათუმში შემოიყვანეს რკინიგზა, მომდევნო წლებში დასრულდა ბათუმი-ახალციხისა და ბათუმი-ართვინის გზების გაყვანა-გაფართოება. ტვირთნაკადები გაიზარდა ნავსადგურში. ბაქოს ნავთობი გემებთან ბიდონებითა და თუნუქის ჭურჭლით მიჰქონდათ, რადგან ტანკერები გვიან გამოჩნდა. ამ შრომატევად სამუშაოს სწორედ საჭაპანე საშუალებები ასრულებდნენ. საჭაპანე ტრანსპორტი იმ პერიოდში ძალზე ძვირად ღირებული და კარგად ანაზღაურებადი ტრანსპორტის სახე იყო. ვინმე ვარშანიძეს ორი ურემი ჰქონდა და იმდენ შემოსავალს ღებულობდა, რომ გამდიდრებულა. ალ. სუვოროვის წიგნის „ბათუმის აღწერის მიხედვით“ 1895 წელს ჩვენს ქალაქში 95 საჭაპანე სატრანსპორტო ერთეული ითვლებოდა, მუდმივ მოქმედ მარშრუტებს შორის გამოჰყოფდნენ „ბათუმი-სკუტუბას სასაფლაოს“, ეს იმ მდინარის სახელია ახლა ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე რომ გაედინება. გარდაცვალებულებს მაშინ ამ უბანში მარხავდნენ, ფერიისა ანუ ციფყაროს სასაფლაო, რომელიც ოსმალებმა „სოფტსუდ“ მონათლეს, მოგვიანებით გაკეთდა.

მახინჯაურ-მწვანე კონცხის მიმართულებით ქალაქიდან მოსახლეობა შაბათ-კვირას სასეირნოდ, დასასვენებლად, სათევზაოდ და საექსკურსიოდ მიემგზავრებოდნენ. მეეტლე მეფაიტონები ხშირად მიდი-მოდიოდნენ, ეგრეთწოდებულ „ნეფტიანოი გოროდოკში“ ანუ ახლანდელ მაიაკოვსკის ქუჩის მიდამოებში, სადაც სამხედრო გარნიზონიც იყო. ეტლი-ფაიტონები დადიოდნენ აგრეთვე ბათუმის ახლო სოფლებში, ჩაქვში, ქობულეთში, აჭარისწყალსა და ქედისაკენ, მოგვიანებით ეტლით მგზავრთა გადაყვანა დაიწყეს ხულომდე.

ცნობილია, რომ ბათუმში ავტომობილი 1911 წელს სტამბულის გავლით შემოიყვანა ნობელის პრემიის ლაურეატმა, მწერალმა ივანე ბუნიწმა.

აღსანიშნავია, რომ თხევად საწვავზე მომუშავე ავტომობილის ძრავი მსოფლიოში პირველმა რუსმა საზღვაო ოფიცერმა კოსტოვიჩმა გამოიგონა. რუსეთის იმპერიაში პირველი „ტაქსომოტორი“ ანუ მგზავრთა გადასაყვანი ავტოსატრანსპორტო სამსახური, პეტერბურგში დაუარსებიათ 1909 წელს. შემდეგ რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი პირველი სწორედ, ჩვენს ქალაქში 1912 წელს შექმნილა. ამან განაპირობა „ბათუმში ავტომანქანების წესების“ შემოღება. რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო არქივის გამგის ალ. თამაზაშვილის ცნობით, მოთხოვნები მაშინდელი მძღოლების მიმართ 17 პარაგრაფში იყო ჩამოყალიბებული. წესების თანახმად მძღოლებისაგან მოითხოვდნენ ჯანმრთელობის დამადასტურებელ სამედიცინო მოწმობის ცნობას, გამოცდების ჩაბარებას მოძრაობის წესებისა და ავტომანქანის მოწყობილობის ცოდნაში. მართვის უფლებას, ავტომანქანის ნომრებს, ასაკობრივ ცენზს, რომელიც 17 წელს ითვალისწინებდა. სხვა პარაგრაფებით დაწესებული ყოფილა ტექნიკური დათვალიერება, სიგნალი, შუქნიშნები, ფარანი განათებისათვის, სიჩქარე დასაშვები იყო 12 ვერსი საათში, მანქანის გაყიდვა-ყიდვა და სხვა. ხაზგასმული იყო, რომ მძღოლებს უფლება არ ჰქონდათ გაუმართავი მუხრუჭებითა და დაზიანებული სიჩქარის გადამრთველი სისტემით ემუშავათ.

იმ დროისათვის ავტომობილი ცოტა იყო, იგი მდიდარ კაპიტალისტებს, ხელისუფლების ორგანოებსა და დიდ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ჰყავდათ.



აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით 1925 წელს ქართულ-რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ წიგნში „აჭარისტანი სახკომსაბჭოს ანგარიშები“ ნათქვამია, რომ 1922 წლისათვის ბათუმში ყოფილა იტალიური ფირმა „ფიატის“ ამერიკული „ფორდისა“ და „დეოდგერის“ მსუბუქი და ასევე რამდენიმე სატვირთო ავტომობილი და რამდენიმე ავტობუსი. შემოყვანილი იყო აგრეთვე გერმანული „ბენცისა“ და ფრანგული „პერლიეს“ მარკის ავტომობილები, რომლებიც ძირითადად სახელმწიფო ტვირთების გადატანით იყვნენ დაკავებული. ავტოტრანსპორტმა ბათუმში გარკვეული როლი შეასრულა ნავთობგადამამუშავებელი და სხვათა ქარხნების მშენებლობაში.

1934 წელს ჩვენს ქალაქს ტაქსომოტორების პარკიც შეემატა. საამისოდ 6 საბჭოთა წარმოების „გაზ-ა“ ავტომობილები ანუ ე. წ. ავტობუსების საწარმოა, ახლანდელ ერას ქუჩაზე.

იმავე წლის 14 აგვისტოს თბილისის გაზეთმა „ზარია.ვოსტოკამ“ მთელი გვერდი უძღვნა ჩვენს მხარეს. იგი დამშვენებულია მხატვარ ვლ. კროტკოვის „ბათუმური ჩანახატებით“, ქვეტექსტში ნათქვამია, რომ 1933 წელს ბათუმში ითვლიდა 250 ავტოსატრანსპორტო ერთეულსა და 19 მოტოციკლს. გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ ცნობით, 1936 წლის ივნისში გაუმართავთ ავტოგადარბენა „ბათუმი-ქობულეთი“, გაიმარჯვეს მძღოლებმა: სამსონოვმა და მურადიანმა. ბათუმის ტაქსომოტორების ვეტერანებს შორის იყვნენ ზეინკალი ვიქტორ ლუქენკო, მძღოლები – უშანგი ჯატიევი, ნადიმ ჩაზმაგა. მგზავრობა ძვირი იყო, ქალაქგარეთ კი განსაკუთრებით. ტაქსებს ჰქონდათ მრიცხველები, თუ თავისუფალი იყო, ნათურა ენთო, მუშაობდნენ დილის 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე, მათ იყენებდნენ აგრეთვე ავადმყოფთა გადასაყვანად. გაჩერებები ჰქონიათ რკინიგზის ვოგზალთან, ტაქსომოტორების სადისპეჩეროსთან, ნავსადგურის სამმართველოს გვერდით და სპორტსაქონლის მაღაზიასთან, რამდენიმე წელში მიიღეს მსუბუქი ავტომობილები „მ-1“ რომლებიც მოსახლეობამ „ემადინებად“ მონათლა.

თანდათანობით ძლიერდებოდა სამგზავრო ავტომანქანების პარკი. ტაქსისტებს თავიანთი ფორმაც ჰქონდათ. მუქი-ლურჯი ფერისა და კეპიანი ქუდი, ხოლო სატვირთო ავტომანქანებისას – ტყავის ქურთუკი და კრაგერები. აჭარის პირველ მძღოლებს შორის ასახელებენ გრიგოლ გაბადაძეს, ოსმან ბაკურიძეს, გენო მალუღარიას, მემედ გაბიტაძეს, ხუსეინ ემირიძეს, ტაშტან ქონიაძეს, ბარათალი რიჟვაძეს, შორეული რეისების ამთვისებელ იაშა ლორთქიფანიძეს, ქაზიმ შავლიძეს და სხვებს.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ყველა სახეობის ავტომანქანა და მძღოლები მობილიზებული იქნა და ფრონტზე გაგზავნეს, მათ შორის ე. წ. „პალტარატონკები“ (ამო-ფ-24), უფრო მძლავრი „ზისები“ (ზის-5). 1947 წლიდან ჩვენი ქალაქის ქუჩებში გამოჩნდა საქალაქო ავტობუსები, მსუბუქი ავტომობილები „პობედა“, „მოსკვიჩი“, „ზიმი“ შემდგომში „ვოლგა“ და სხვ. 1965 წელს ავტობუსებს ავტოსაწარმოს გამოეყო ტაქსომოტორების პარკი, რომელიც მაშინ 257 ავტომობილს ითვლიდა, გაძლიერდა სამგზავრო, სატვირთო საწარმოები ავტოკოლონიები ბათუმსა და რაიონულ ცენტრებში. იმატა „ჟიგულებმა“ – რიგის, ულიანოვსკისა და ერევნის, „მიკროავტობუსებმა“, „კამაზებმა“, პავლოვსკში, მინსკში, ჩეხეთსა და სხვაგან დამზადებულმა ავტომობილებმა. გაიხსნა საქალაქთაშორისო მარშრუტები, განვითარდა ტურიზმი, რასაც ხელი შეუწყო გზების გაფართოება-კეთილმოწყობამ, ბენზინგასამართი და ტაქსომომსახურების სადგურების, ბათუმის ავტოგაგზალისა და სხვა ობიექტების აგებამ. აჭარის ავტოსაწარმოო გაერთიანება ერთ-ერთი საუკეთესო და მოწინავე იყო საქართველოში. ასეა ამჟამადაც. ავტოტრანსპორტელებმა აქტიური მონაწილეობა



მიიღეს საქართველოში უდიდესი - გონიოს ხიდის, საბაჟო კომპლექსისა და სხვა ობიექტების აგებაში, ბათუმის განაშენიანება-მოწყობაში, კავკასიაში პირველი ბათუმის საზღვაო-სარკინიგზო ბორანის უმოკლეს ვადაში ამოქმედებაში.

აბრეშუმის დიდი გზის, ანუ კავკასიური დერეფნის გახსნა დააჩქარებს გზების გაფართოების სამუშაოებს, მკვეთრად გაზრდის ტვირთბრუნვის, განსაკუთრებით საერთაშორისო გადაზიდვებს. მკვეთრად ზრდის აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ შევქმნათ ავტოსარემონტო ბაზა. აღნიშნული საფასვრით შესაძლებელია ელექტრომექანიკური ქარხნის ბაზაზე, სადაც პარალელურად მცირე გაბარიტის ელექტროსატრანსპორტო საშუალებების წარმოებაც შეიძლება.

\* \* \*

საქალაქო-საზოგადოებრივი ტრანსპორტი ქალაქ ბათუმში წარმოდგენილი გახლავთ ტროლეიბუსების, ავტობუსების, მიკრო ავტობუსებითა და მსუბუქი ტაქსებით.

ამ რამდენიმე წლის წინათ ტროლეიბუსების ხაზის სიგრძე მთლიანობაში უდრიდა 50 კილომეტრს. აქედან უშუალოდ ბათუმის ტერიტორიაზე გადიოდა 23 კილომეტრის სიგრძის ხაზი, ხოლო დანარჩენი 27 კილომეტრი ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე.

სატროლეიბუსო დეპო გათვალისწინებულია 50 ერთეულზე. განთავსებულია ხელვაჩაურის რაიონის, დაბა ხელვაჩაურის ტერიტორიაზე.

თავდაპირველად ტროლეიბუსების სამგზავრო მოძრაობა ხდებოდა სამ მარშრუტზე:

1. მახინჯაური - საკოლმეურნეო მოედანი.
2. ხელვაჩაური - საკოლმეურნეო მოედანი.
3. ლეონიდის დასახლება - საკოლმეურნეო მოედანი.

ამავდროულად განსაზღვრული იყო სატროლეიბუსო ხაზი გაყვანილიყო აეროპორტის მიმართულებით, რაც სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ იქნა განხორციელებული.

ასევე: სამწუხაროდ გაუქმებული იქნა სატროლეიბუსო მარშრუტი მახინჯაური - საკოლმეურნეო მოედანი - ბავშვთა საავადმყოფო, ცხადია, ეს მეტად ცუდი აღმოჩნდა მოსახლეობისათვის, რომელიც ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდის და ეს იაფი ტრანსპორტი მათთვის მეტად ხელსაყრელი გახლდათ.

ქალაქ ბათუმისა და მის შემოგარენში მეტად მძლავრი გახლდათ საავტობუსო პარკი, საავტობუსო მოძრაობა და მგზავრთა გადაყვანა ხორციელდებოდა ავტოსატრანსპორტო კანტორა 2669-მიერ, რომლის საავტომობილო პარკში, 1988 წლის მონაცემების მიხედვით ირიცხებოდა შემდეგი მარკისა და რაოდენობის ავტომობილი:

| მანქანების პარკი | რაოდენობა |
|------------------|-----------|
| 1. ლაზ 644       | 17        |
| 2. იკარუსი-260   | 25        |
| 3. იკარუსი-250   | 3         |
| 4. იკარუსი-255   | 22        |
| 5. ლაზ-695-6     | 42        |
| 6. ლაზ-697-6     | 19        |
| 7. ლაზ-699       | 5         |
| 8. პაზ-674       | 77        |
| 9. კავზ-3685     | 6         |
| 10. რაფი-2203    | 18        |



ამ საავტომობილო პარკში ავტომობილების მთლიანი რაოდენობა უდრიდა 234 ერთეულს.

\* \* \*

ავტოპარკში დღეისათვის ავტობუსებთან რაოდენობა საკმაოდ შემცირებულია, მაგრამ, სამაგიეროდ საგარძნობლად გაიზარდა კერძო მფლობელობაში მყოფი ავტობუსებისა და მსუბუქი მანქანების რიცხვი, რომელებიც ნორმალურად ემსახურებიან ჩვენ ქალაქსა თუ საერთოდ აჭარის მოსახლეობას.

\* \* \*

1984 წელს საზოგადოებრივი სამგზავრო ტრანსპორტით ქალაქის ფარგლებში სხვადასხვა ტრანსპორტით გადაყვანილი იქნა მგზავრთა შემდეგი რაოდენობა:

ტროლეიბუსით - 6,8 მილიონი მგზავრი.

საქალაქო ავტობუსით - 17, 2 მილიონი მგზავრი.

საგარეუბნო ავტობუსით (ქალაქის ფარგლებში) 1,5 მილიონი მგზავრი.

სულ, მთელი წლის განმავლობაში ყველა სახის ტრანსპორტით გადაყვანილი იქნა 25,5 მილიონი მგზავრი.

1985 წლისათვის სულ გადაყვანილი იქნა 21,9 მილიონი მგზავრი.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტობუსების საგარეუბნო მარშრუტები ისე გახლდათ დაგეგმილი, რომ ავტობუსები გადიოდნენ ქალაქის ტერიტორიაზე და თავისთავად ახორციელებდა როგორც მგზავრთა გადაყვანის (ქალაქის ფარგლებში) ასევე საქალაქო გადაზიდვასაც.

\* \* \*

ქალაქ ბათუმზე გადიოდა და გადის დღესაც საერთაშორისო საავტომობილო გზები: ქობულეთი-ბათუმი, ბათუმი-ახალციხე-ლენინაკანი, ბათუმი-სარფი.

საავტომობილო გზა ბათუმი-ქობულეთი ბათუმს აკავშირებს საქართველოს ცენტრალურ რაიონებთან, იქედან კი აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებთან.

ბათუმი-ახალციხე-ლენინაკანის გზა ჩვენს ქალაქს აკავშირებდა სომხეთთან და სხვა სამხრეთის ქვეყნებთან, ხოლო ბათუმი-სარფის საავტომობილო გზა ბათუმს აკავშირებს თურქეთის რესპუბლიკასთან, აქედან კი ევროპისა და სამხრეთის ქვეყნებთან.

ბათუმის ავტოსადგური განლაგებულია ქალაქის ცენტრალურ უბანში, მაიაკოვსკისა და შავშეთის ქუჩების კვეთაში და გააჩნია მეტად მოხერხებული სატრანსპორტო კავშირები ყველა მიმართულებით.

#### *საჰაერო ტრანსპორტი*

ქალაქ ბათუმის აეროპორტი განლაგებულია სელიტეზური ტერიტორიის სიახლოვეს, მისი ხმაურის ზონა მოიცავს ქალაქის დიდ ნაწილს.

ბათუმის აეროპორტი განეკუთვნება მეოთხე კლასის აეროპორტების რიცხვს. მგზავრთა წლიური ბრუნვა 80-იანი წლებისათვის შეადგენდა 200 ათას კაცს, დღეში მაქსიმუმ 1000 კაცის ოდენობით.

ცუდი ამინდების პერიოდში ბათუმის აეროპორტი არ ფუნქციონირებდა.

დღეს პერსპექტივაში გათვალისწინებულია აეროპორტის რეკონსტრუქცია.



რეკლამა ნაკაშიძე

## სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ახალი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის შესაბამისი კადრების მომზადებისათვის

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რეალიზაციის პირობებში თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგია ღრმად იჭრება წარმოებაში, დევნის პიროვნების მარტივ სამუშაო ძალა თავის შეზღუდული შესაძლებლობებით და ცვლის მას ავტომატიზებული პროცესით, რომლის მართვას ახალი ტიპის და მომზადების მუშა სჭირდება. ამ დროს გადამწყვეტი როლი ენიჭება ადამიანის „სუბიექტურ“ ფაქტორს, რომელიც წარმოებაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად თვითონაც განიცდის შესაბამის გარდაქმნებს, ზრდის სპეციალისტთა პროფესიულ და კვალიფიციურ სტრუქტურაში ინტელექტუალური სრულყოფისადმი მოთხოვნებს.

სოციოლოგების, ეკონომისტების, პედაგოგების თანამედროვე გამოკვლევები დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური ძვრები მრავალმხრივ ზეგავლენას ახდენს განათლების სფეროზე და მათ შორის პროფესიულ განათლებაზე. განუზომლად იზრდება განათლების სისტემის ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის როლი, როგორიცაა, მოზარდი თაობის პროფესიონალიზაცია, მათი მაღალკვალიფიციური ცოდნით შეიარაღება.

განათლება წარმოების პროცესში ადამიანების წარმატებით ჩართვის აუცილებელ პირობად იქცა, ხოლო ის პირები, რომლებიც შრომით საქმიანობას იწყებენ პროფესიული სასწავლო დაწესებულებების ან სპეციალური მომზადების გარეშე, თანამედროვე საწარმოო დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიღებისა და შემდგომი ოსტატობის ზრდის ნაკლები საფუძველი და შესაძლებლობები აქვთ.

საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის კვალობაზე სისტემატურად იცვლება სოციალური და ეკონომიკური წინსვლის პერსპექტივები, მიმართულებები, დარგები. რეალური გახდა ის, რომ თანამედროვე პირობებში განვითარების მთავარმა წყარომ გადაინაცვლა არამატერიალურ წარმოებაში (განათლება, კულტურა, ინფორმაციული სამსახური და ა. შ.). განვითარდა წარმოების ისეთი წამყვანი დარგები, რომლებშიც დომინირებენ მეცნიერების მწარმოებლურ ძალად გადაქცევა: ენერგეტიკა, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტრონიკა, რადიო-ტელე-ვიდეო აპარატურა, შრომატევად სამუშაოთა ავტომატიზაცია, რობოტული და გამოთვლითი ტექნიკა. ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში განათლება და მეცნიერული აზრი ტექნიკური პროგრესის ნამდვილ კატალიზატორებად და მამოძრავებელ ძალად იქცნენ.

თანამედროვე ეკონომიკის წინსვლისა და სიძლიერის მთავარი კრიტერიუმი გახდა არა მარტო ფინანსური რესურსების სიუხვე, არამედ გონებრივი განვითარების ინტელექტუალური და ინფორმაციული რესურსების სიმდიდრე და სიმრავლე, მათი დამუშავების სიზუსტე, ოპერატიულობა, მოქნილობა. გონი დღეს გეოპოლიტიკის



გარდამქმნელ ძალად გვევლინება.

ადამიანისეული კაპიტალი, მის მიერ დაგროვილი ცოდნა, კვალიფიკაცია, მეცნიერული აზრის საფუძვლიანი ათვისება იქცა ამა თუ იმ ქვეყნის სამომავლო განვითარების მთავარ სტრატეგიად. ცნობილია, რომ განვითარებული სახელმწიფოების უკლებლივ ყველა ხელმძღვანელი, ქვეყნის მომავალზე ზრუნვას განათლებაზე ზრუნვით იწყებს. აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში თავის თავს განათლების პრეზიდენტს უწოდებდა.

განვითარებული ქვეყნების მაგალითზე (აშშ, იაპონია, გერმანია) ნათლად ჩანს, რომ ინვესტიციები განათლების სფეროში უდიდეს მოგებას იძლევა. თითქმის იმდენივეს, რამდენსაც გადამამუშავებელ მრეწველობაში.

საგულისხმოა, რომ ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში, ეგრეთწოდებული არამატერიალური საქმიანობის ხვედრითი წილი, შიდა პროდუქციის წარმოებაზე 60-70 პროცენტს აღწევს. ასევე, შემოსავლების ზრდის მეოთხედს სწორი საინვესტიციო პოლიტიკით ხსნიან. დიდია ცოდნის ფასი, 33 პროცენტი სამუშაო ძალის მომზადების, მისი კვალიფიკაციის ზრდის შედეგია, ხოლო 40 პროცენტი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, ინფორმაციის მატერიალიზებაზე მოდის.

ჩვენი ქვეყნის ახალ სამეურნეო პოლიტიკაზე გადართვა, სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებები, უთუოდ უნდა იმსახურებდეს ისეთი მომსახურე პერსონალის მომზადებას, რომელსაც ღრმად ექნება შეგნებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის არსი, იქნება მისი შემოქმედი, მამოძრავებელი და სულის ჩამდგმელი. იკვეთება ის დიდი მოთხოვნილება და პასუხისმგებლობა, რათა ქვეყანას მიეცეთ ერთიანი სახელმწიფო და სამეურნეო პოლიტიკის გამტარებელი ახალი ტიპის პოფესიული კადრები, რაც პროფესიული განათლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა და მოვალეობაა. თუ მას მარტივი ფორმულირებით მივუდგებით, იგი გულისხმობს ადამიანის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას - ზოგადად და საფუძვლიან, კონკრეტულად პროფესიულ მომზადებას - კერძოდ, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების არა მარტო უმთავრესი მიზანია, არამედ უმთავრესი ფაქტორიც. რაც შეეხება სტრუქტურებს, გასაზიარებელია ის აზრი, რომ განსაზღვრულ ადგილს აქ იკავებს სოციალური განვითარების სფერო, სოციალური იმპერატივები, როგორც განვითარების ყველაზე მთავარი ტენდენციები და ფაქტორები. (იხილეთ თ. ჩიკვაძე: „სოციალური იმპერატივები და საქართველოს მომავალი სტრატეგია XXI საუკუნისათვის“. ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, 2, გვ. 66. თბილისი, 1999 წ.).

პროფესიული განათლება, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტი, ეროვნული მეურნეობისათვის კვალიფიციური სამუშაო ძალის აღზრდასა და კვალიფიკაციის ფუნქციას ასრულებს, იგი პოლიტექნიკური განათლების ერთ-ერთი არხია, რომელიც ვითარდება და სრულყოფილი ხდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კვალდაკვალ, სხვანაირად მის სიცოცხლისუნარიანობაზე ლაპარაკი ძნელი იქნება. ამიტომაც გარდაქმნისა და განვითარების პროცესებიდან გამომდინარე, ანგარიში უნდა გავუწიოთ და ვუხელმძღვანელოთ მისი ისეთი არსებითი მახასიათებლებით, როგორებიცაა:

- სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი ხასიათი, რომელმაც მოიცვა საზოგადოების საწარმოო-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფერო;

- ცვლილებები მატერიალური წარმოების განვითარებაში, რომლის შედეგად მწარმოებლური ძალა ახალ თვისებებს იძენს და უშუალო ზეგავლენას ახდენს



ეკონომიკაზე;

- ხარისხობრივი ცვლილებები წარმოების ტექნოლოგიაში, შრომის იარაღებსა და საგნებში, მართვის ორგანიზაციაში, ადამიანთა შრომით საქმიანობაში, შრომის ტექნიკური დანაწილების სიტემაში;

- ცვლილებები მართვის კომპლექსურ-მექანიზებულ და ავტომატიზებულ სისტემებში;

- წარმოების მაღალი ეფექტურობის მისაღწევად ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ხერხების გამოყენების შესაძლებლობების, წარმოების ახალი დარგების აღმოცენების, ძველ დარგებში ტექნოლოგიების გარდაქმნისა და წარმოების ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბების წინა პირობის შესაქმნელად ახალი პროგრამული მასალის შექმნის აუცილებლობა;

- მეცნიერების გადაქცევა შრომის პროფესიის შემადგენელ ნაწილად, უმნიშვნელოვანეს მწარმოებლურ ძალად. მისი როლის ზრდა წარმოების, მართვის, კულტურის სფეროებში;

- მათემატიკის, კიბერნეტიკის, გამოთვლითი ტექნიკისა და ბიოლოგიის, როგორც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მეცნიერული საფუძვლების მნიშვნელობის ამღლეა და სხვა.

ადამიანის, როგორც სოციალური ფენომენის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და წარმოებაში მისი როლის ზრდა მოითხოვს კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამღლებას, პროფესიული ოსტატობის ზრდას, კვალიფიკაციის შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვასა და გამდიდრებას, რამდენადაც თანამედროვე მშრომელი ადამიანის როლი, მისი საზოგადოებრივი აქტივობა განისაზღვრება ამ ფაქტორების საფუძველზე და სიძლიერეზე.

მოწესრიგებული სოციალური ურთიერთობა, მაღალი პროფესიონალიზმი თითოეულ ადამიანს უქმნის სამუშაოთი დაკმაყოფილების, შემოსავლების ზრდის შესაძლებლობებს. განსაზღვრავს ადამიანების, ჯგუფებისა თუ სოციალურ ფენებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას, მათ მომგებიან პოზიციას.

პროფესიული განათლების სიკეთე იმაშია, რომ იგი იცავს ახალგაზრდებს არაკვალიფიციური შრომისაგან, მნიშვნელოვნად ამცირებს უმუშევრობის საფრთხეს, მაღლა სწევს კვალიფიკაციის, თვით მისი მფლობელის ფასს.

„ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელი კაცისათვის არსებითი პურია, - გვმოდერავდა დიდი ილია, - უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლევლად“.

სიცოცხლისუნარიანია ის, ვისაც მომავლის იმედი აქვს. უზრუნველყოფილია ეკონომიკურად, სულიერად, აქვს საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებებისა და თავისუფლების რეალიზაციის საშუალება. გულახდილნი ვიყოთ და ვადიაროთ, რომ ჩვენი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა მოკლებულია ამ სიამოვნებას, ვერ დავედით სიდუხჭირე, უმუშევრობა, დანაშაულის მატება, ხშირად კიდევაც გვესირცხება ასეთი დამამცირებელი ყოფის აღიარება. ადამიანების ნაწილი მორალურად განადგურებული აღმოჩნდა, ნიჰილზმა შეიპყრო, რამდენადაც მათი სულის დამათრობელი რწმენა, რომ ბოლოს და ბოლოს ცხოვრება აეწყობა, მიუწვდომელ ოცნებას დაემსგავსა.



აქედან გამომდინარე, ადამიანები ინდიფერენტული გახდნენ სწავლის, ცოდნისა და კვალიფიკაციის დაუფლების მიმართ. იქმნება მასობრივი უცოდინარობის საშიშროება, რაც აფერხებს ადამიანის ზოგადი და პროფესიული განათლებით უზრუნველყოფის პროცესს, მათ მნიშვნელობას. არადა მოუშაადებლობის ან დაბალი მომზადების შემთხვევაში ადამიანებს ეხშობათ გზა კვალიფიციური სამუშაოსაკენ, რაც თავისთავად წარმოშობს უმუშევრობის, სიღარიბისა და სხვა არასასურველ პრობლემებს.

უმუშევართა რიცხვის ზრდა ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება ანგარიშს ვერ უწევს ადამიანის ფაქტორს, ვერ ითვალისწინებს მისი ინტელექტის, ფანტაზიისა და უნარის უსაზღვრო შესაძლებლობებს, ვეღარ ნახულობს ქვეყნის სამსახურში მისი ჩაყენების ეფექტურ გზებს.

ცხადია, საუბარი გვაქვს ძალზე მნიშვნელოვან პრობლემაზე. მისი გადაწყვეტის პასუხისმგებლობა სახელმწიფოსთან ერთად ეკისრება სხვადასხვა ეკონომიკურ სტრუქტურებს, წარმოება-დაწესებულებებს, ნებაყოფლობით არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ ასოციაციებს.

გარდაქმნისა და ახალი ეკონომიკური სტრუქტურების ფორმირების პროცესში, ხშირად ჩვენი ყურადღება მიპყრობილია საზოგადოებრივი კოლეგების მიღწევებსა და გამოცდილება, მაგალითებზე, მათ დახმარებაზე. საკუთარი წარმატების ინტერესებისათვის საქმიანი და შემოქმედებითი ურთიერთობები საჭირო და აუცილებელია, მაგრამ საკუთარის შეუფასებლობა, ტრადიციების გაუთვალისწინებლობა შორს ნამდვილად ვერ წაგიყვანს.

სანამდე შეიძლება ვიყოთ სხვათა შემყურე და მოიმედე? ამასთან დაკავშირებით კვლავ მინდა სულმნათი ილია მოვიშველიო: „სხვაზედ მინდობა, – ამბობდა იგი, – ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდევ ამ ქვეყნიერებაში. წამოუვლის ნიაღვარი „შემთხვევისა“ და იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედამიწის ზურგიდამ და იმდევნეულს, სხვაზედ დაყრდნობილს, ერთ უდაბურ ტინზედ გარიყავს, შენ თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი ისტორიული კანონია, იქნებ ზოგიერთისათვის ფრიად არ მოსაწონი, მაგრამ აუცილებელი კი. ბევრიც რომ ვიგაგლახოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში სხვაზე დამყარებული იმედი, მაინც ბოლოს „უამთა სვლა“ ამ კანონზედ დაგვიყვანს და წარსული ჩვენი სამუდამოდ დაკარგული იქნება. ჩვენ ვამბობთ, რომ ხალხი თვითმოქმედებით არის ძლიერი და ნაყოფიერი სულით, თუ ხორციით, რაც მალე დავიჭერებთ ამ ჭეშმარიტებას, რაც მალე შევითვისებთ, მით მალე გამოვიხსნით თავს ამ გაჭირვებიდან, რომელშიაც ასე სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით.

...გვეყო ბატონებო, ჩვენი აწმყოსა და მომავლის სხვაზე მიგდება, ჩვენი გაჭირვებისა, გულისტკივილისა და წადილის პატრონი ჩვენვე უნდა ვიყნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შობილა ამ ქვეყნიერებაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენი ცხოვრების შარაგზა ჩვენვე უნდა გავაკეთოთ. ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“. (ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, „საზოგადოება შეუძლებელი მოსწავლეთა შემწეობისათვის“ გვ. 320-323. 1977 წ.).

თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო და უფრო იზრდება განათლების სფეროს სოციალური და ეკონომიკური როლი. იგი საზოგადოების პროგრესის უმნიშვნელოვანესი ელემენტია და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების უმძლავრესი



სტიმულიც, ამის დასტურად დიდი პროფესიული განათლების მისიაც კვალიფიციური მუშების მომზადების, მისი ორგანიზაციის, შინაარსის, ფორმის სრულყოფისა და განვითარების ყველა ასპექტში.

კაცობრიობის შეგნებაში უდიდესი ცვლილებები ხდება. ინტეგრაციული პროცესები მსოფლიოს ხალხებს აახლოებს და აერთიანებს, სადაც წამყვან ადგილს იჭერს არა ზღვარდაუდებელი მისწრაფებები მატერიალური სიმდიდრისა და ძალაუფლებისაკენ, არამედ სოციალურად გაწონასწორებული ინტერადამიანი, რომელიც მიიღწევის ინტელექტუალური სიმდიდრისაკენ, მნიშვნელოვანი და სასიკეთო საქმეების კეთებისაკენ.

დამოუკიდებელი საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის ახლა მნიშვნელოვანია, თუ როგორ აპირებს ქვეყანა მსოფლიოს ინტეგრაციის პროცესებში ჩართვას, როგორ ართმევს თავს გარდამავალი პერიოდის სიძნელეებს. ჩვენი სახელმწიფო ასე თუ ისე დაადგა საბაზრო ურთიერთობის კურსს, მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების კვალობაზე ძნელად, მაგრამ თანდათანობით მკვიდრდება ადამიანთა თავისუფლებისათვის აუცილებელი პირობები, იკვეთება ახალი კონტურები. მაგრამ ფაქტია, რომ ეს გარდაქმნები ხდება მწვავე სოციალურ და ეკონომიკურ ფონზე. მოიშალა სამრეწველო წარმოება, გაიძარცვა ფაბრიკა-ქარხნები, უმუშევრობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მოსახლეობის 53 პროცენტზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა. მკვეთრად გაძლიერდა ადამიანთა სოციალური დიფერენციაცია, ათიათასობით სასკოლო ასაკის ბავშვი და სკოლადამთავრებული ქუჩაში აღმოჩნდა ყოველგვარი კვალიფიკაციის გარეშე. ქვეყანაში ყველაზე დაბალია ახალგაზრდობის დასაქმების მაჩვენებელი. იგი სამჭერ აღემატება საერთო დასაქმების მაჩვენებელს, რაც საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის მომავლისათვის.

იქმნება საშიშროება ქვეყანა საკუთარი პროფესიული კადრების გარეშე დაგვრჩეს. მათი დეფიციტი ბევრ სპეციალობაში დღესაც მწვავედ იგრძნობა. დიდი ფაბრიკა-ქარხნების გაჩერებამ პროფესიული სასწავლებლების უმეტესობა უსარგებლო გახადა. თითქმის ნახევარმა მათგანმა შეწყვიტა ფუნქციონირება. ორი მესამედით შემცირდა მოსწავლეთა რიცხვი, ხოლო სახელმწიფო დაკვეთით შესწავლილი პროფესიების ნუსხა დღეისათვის სამ ათეულსაც კი არ აღწევს. როგორც იტყვიან – კომენტარები აქ ზედმეტია. სწავლა-განათლებით ცნობილი ქვეყანა, რითაც ასე მოგვქონდა თავი, მსოფლიოს ჩამორჩენილ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არასტაბილურობამ განაპირობა ის, რომ საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების ვერც ერთ სფეროში ჯერჯერობით სასურველ შედეგებს ვერ მივაღწიეთ. ვერ ვიყენებთ ქვეყნის მდიდარ საწარმოო პოტენციალს, ვერც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაპოვარს. ვერ ვიშვით ჯერ კიდევ განხორციელების სტადიაში მყოფი სულიერი და საგანმანათლებლო გარდაქმნების სასურველ შედეგს.

ამის გამომწვევ მიზეზთაგან უმთავრესი ის არის, რომ გარდაქმნის პროცესი უმართავი აღმოჩნდა. ქვეყანაში იმძლავრა კორუპცია.

სოციალური უთანასწორობისა და სიღარიბის პრბლემებმა განაპირობეს სოციალური დიფერენციაცია. უჩვეულოა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის მდიდარი ფენის 20 პროცენტი ამჟამად ფლობს მთელი შემოსავლის 97 პროცენტს. (იხ. გობრონ ჯახია, „გარდამავალ პერიოდში სოციალური დიფერენციაციის პროცესის რეგულირების საკითხისათვის“. ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, 1999 წ. 2, გვ.41).



თანამედროვე პერიოდში სოციალური ღიფერენცაციის რეგულირება ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა, რომლის წარმატებით განხორციელების საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური, სოციალური სტაბილურობა (ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირება), ადამიანის პოტენციალის შენარჩუნება, განვითარება და სრულყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ შრომისადმი დადებითი დამოკიდებულება, ძალისხმევა, და შესაფერისი კვალიფიკაცია ააქტიურებს ისეთ ადამიანურ თვისებებს, როგორიცაა: ინიციატივა, მოხერხებულობა, შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება, რისკი და სხვა.

ეკონომიკური რეფორმები თავისი არსით მიზნად ისახავს მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, სოციალური ღიფერენცაციის შემცირებას. სხვა საკითხია, როგორ ხორციელდება ეს რეალურად.

ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნების პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა ეკონომიკური ხასიათის პრობლემებზე მსჯელობას, კამათს. ეს ბუნებრივია, რადგან ეკონომიკური აღორძინება ცხოვრების დონის ამაღლებისა და განვითარების ძირითადი საკითხია.

ეროვნული მეურნეობის გაჯანსაღებისათვის ქვეყნის მასშტაბით დაიგეგმა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების განხორციელება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ნაკლები ყურადღება ეთმობა მის უშუალო შემოქმედს-ადამიანს, თავისი ამოუწურავი შესაძლებლობებით და მისწრაფებით, იცხოვროს და იშრომოს ახლებურად.

არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა პირდაპირ გავლენას ახდენს ეროვნული განათლების განვითარებაზეც, რისი დასტურია ის, რომ სასკოლო და პროფესიული განათლების რეფორმები სრული ძალით ვერ ავამოქმედო.

პროფესიული კადრების მომზადებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე ახალგაზრდა კვალიფიციური მუშების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მომზადების საკითხი ქვეყნის პერსპექტიული გეგმის სათავეში უნდა მოექცეს.

ახლა ცხადი ხდება, რომ ეკონომიკური გარდაქმნების პარალელურად უნდა ავამოქმედოთ განათლების ახალი სტრუქტურებიც. შევექმნათ პროფესიული მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მძლავრი ცენტრები. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მათი განვითარებისა და პრაქტიკაში დანერგვის გარეშე წინ ვერ წავალთ. ბევრი რამ განვითარებული ქვეყნების მაგალითზეც უნდა ვისწავლოთ. შესაშურია მათ მიერ დანერგილი ინვესტიციების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას.

სამწუხაროდ, არგუმენტი განათლების ინვესტიციის სასარგებლოდ, ბევრ ჩვენს მეწარმეს ყოველთვის როდი ეჩვენება დამარწმუნებლად და ხელსაყრელად, რამდენადაც მისი ნაყოფი გარკვეული დროის შემდეგ იჩენს თავს. ამასთან ერთად საგულისხმოა, რომ კადრების მომზადების დაფინანსებაზე დიდად არც კომპეტენტური ორგანოები და სპეციალისტები იწუხებენ თავს. ასევე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენში ახლა თითქმის არავინ ახდენს განათლების დარგობრივ კვლევას. ძალზე სწორი ცნობები გაგვაჩნია ქვეყნის საგანმანათლებლო განვითარების ასიგნირებაში.

ვერ გავითვითცნობიერეთ, რომ განათლების სფეროს ასიგნირებას განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს. პროფესიული კადრების არასაკმარისი მომზადება საზოგადოების ეკონომიკური წინსვლისა და განვითარების დამამუხრუჭებელი გახდა.



უხარისხო პროდუქცია, მისი თვითღირებულების ზრდა, კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე გახლავთ ის ფაქტორები, რომლებიც დაბლა სწევენ ქვეყნის პრესტიჟს, პოტენციალს, მის ავტორიტეტს.

90-იან წლებში აშშ-ში გაკეთებული სტატისტიკის საფუძველზე ირკვევა, რომ ქვეყნად უმუშევართა ზრდის 60 პროცენტი მოდიოდა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებზე, მაშინ, როცა პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების ეს რაოდენობა 10 პროცენტს არ აღემატებოდა. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, ცალკეულ შტატებში დიდი მოთხოვნილება იყო შემდუღებულებზე, მშენებლებზე, კომპიუტერული ტექნიკის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და რიგ სხვა სპეციალობებზე.

განვითარებულ ქვეყნებში მუშახელის დეფიციტის პირობებში უმაღლესად მატერიალური დაინტერესების პრინციპი, გაზრდილი სტიპენდიებით, ხელფასებით, პრემიალური ჯილდოებით. სკოლისა და სასწავლებლის მოსწავლეები წარმოება-დაწესებულებებისაგან ღებულობენ სტიპენდიებს, სპეციალურ დახმარებებს და ყურადღებით არიან მოცულნი.

საგულისხმოა, რომ სოციალური, ეკონომიკური პირობებისა და ეროვნული თავისებურებებისაგან გამომდინარე, სრულყოფილი პიროვნებები ჩვენში უფრო გვიან ყალიბდებიან, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

სწავლა, ცოდნის დაუფლება, კვალიფიკაციის მიღება პიროვნების სოციალური დაცვის ერთგვარი გარანტიაცაა, რისი მეშვეობითაც შეიძლება ეძიოს სამუშაო, წამოიწყოს საქმე. ეცადოს მოახდინოს საკუთარი ცოდნის რეალიზაცია, დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი ცხოვრებაში.

1990 წელს, ჩვენს მიერ შედგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულთა სამუშაოზე დამაგრების ანგარიში (მაშინ ეს მოდაში იყო) გვიჩვენებს, რომ სამი წლის მონაცემებით ვაჟების სამუშაოდან დენადობის მაჩვენებელი 65-70 პროცენტს აღწევდა. აქედან ნახევარი, ორი ვის განმავლობაში თავს ანებებდა, ხოლო 16 პროცენტი იცვლიდა სამუშაოს. სამი წლის შემდეგ კი სურათი სხვა სახეს ღებულობდა. კურსდამთავრებულთა 80 პროცენტი საკუთარ პროფილს უზრუნველყოფდა. მშენებლობის განხრით ამ მაჩვენებელმა 65 პროცენტი შეადგინა. ბევრი მათგანი აღიარებდა, რომ გარკვეულ პერიოდში ინარჩუნებენ საკუთარი პროფესიის პრიორიტეტს, კარგ ანაზღაურებას ღებულობენ, არმიაში სამსახურის დრო გამოადგათ და ა. შ. ამასთან ისინი აცხადებენ, რომ ერთხელ მიღებული საფუძვლიანი კვალიფიციური ცოდნით პიროვნება შეიძლება უკეთ გამოადგეს საკუთარ თავსაც და საზოგადოებასაც.

პროფესიისადმი დადებითი სოციალური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულების შემთხვევაში იზრდება დამაგრების მაჩვენებელი, შრომის ნაყოფიერება და ეფექტიურობა, რაც იწვევს მატერიალურ და სულიერ კმაყოფილებასაც.

როგორც ცნობილია, ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური სიძნელეების გამო შრომის ბაზარზე უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალიც კი ვერ პოულობს შრომის ბაზარზე შესაბამის საქმიანობას, იძულებული არის საარსებო წყაროს მოსაპოვებლად ნაკლებკვალიფიციური სამუშაოთი დაკმაყოფილდეს, ან საზღვარგარეთს მიაშუროს, როგორც იაფმა მუშახელმა.

მსჯელობა პროფესიული განათლების გარდაქმნაზე არ იქნება სრულყოფილი თუ მნიშვნელოვან საკითხად არ მივიჩნევთ აღმზრდელ-მასწავლებლებისა და ოსტატთა



მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მათ პროფესიონალიზმს, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მომზადების დონეს, მატერიალურ და სულიერ უზრუნველყოფას. სამწუხაროდ ამ უკანასკნელის დეფიციტის გამო ძალზე ცოტა შემოგვრჩა მაღალი ცოდნის, კულტურის და გამოცდილების მუშაკები.

სასწავლო პროცესზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ, რომ უამრავი შესაძლებლობა გაგვაჩნია მისი ეფექტური განხორციელებისათვის. ხოლო ჰუმანიზაციას, პედაგოგიური საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს, უდავოდ ბევრი რამის გაცემა შეუძლია. იგი უაღრესად საყურადღებო და ფაქიზი საქმეა. სამწუხაროდ, ჩვენში მან ჭერჭერობით სასურველი მიმართულება ვერ მიიღო, მასზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესები, გარდაქმნის სიძნელები, რომლებსაც ჭეროვან მნიშვნელობასა და შეფასებას ვერ ვაძლევთ, სათანადო ანგარიშს ვერ ვუწევთ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღეისათვის უაღრესად აქტუალური საკითხია, თუ როგორ ვაზიაროთ მომავალი მუშა-სპეციალისტი სამამულო და მსოფლიო კულტურას, რაც იმას ნიშნავს, რომ კულტურული ფასეულობანი მაქსიმალურად უნდა დავუახლოვოთ ადამიანთა ცხოვრებისეულ ინტერესებს. აქედან გამომდინარე სასწავლო პროცესი უნდა გავამდიდროთ საინტერესო ექსკურსიებით, დათვალიერებებით, საზღვარგარეთის ქვეყნებში გამგზავრებით, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან კონტაქტებით და სხვ.

სკოლა, სასწავლებელი ქვეყნის სარკეა. პირველ რიგში უნდა დავაფასოთ ის, ვინც სწავლობს, შრომობს, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებს.





## ნარბოზ ავლედიანი

### პირთი ტოპონიმის ატიმოლოგიისათვის

აჭარულ დიალექტს თვალსაჩინო შეხვედრები აქვს მეზობელ კილოებთან. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ აჭარულში შეიმჩნევა ზანურის სუბსტრატის კვალი (ფ. გიგინეიშვილი, კ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტიკა, თბ., 1961, გვ. 392).

როგორც ცნობილია, ტოპონიმთა ძირითადი ნაწილი უძველესი წარმომავლობისაა და მას არსებობის გრძელ მანძილზე იმდენი ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სემასიოლოგიური ცვლილებები განუცდია, რომ მრავალი მათგანი დღეს საიდუმლოების ბურუსითაა მოცული.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს წარმოადგენს აჭარის ტოპონიმიაში მეგრულ-ლაზური სახელების გავრცელება. ამ გარემოებამ ჯერ კიდევ 1904 წელს ნ. მარს გამოათქმევინა შემდეგი მოსაზრება: „ლაზიკას ერთ დროს ეჭირა არა მხოლოდ ახლანდელი ლაზისტანი, არამედ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროც, ეხლანდელი გურიით, სამეგრელოთი და იმერეთით“ (ნ. მარი, "Из поездки Турецкой Лазистан" с, II. 1904; ст. 160).

ქვემოთ ჩვენ შეგვხვებით აჭარულში დადასტურებულ კიდევ ერთი ზანური ტოპონიმის ეტიმოლოგიას (ამ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ ჩვენი სტატიები, "რამდენიმე ზანური სუბსტრატული ტოპონიმისათვის აჭარულში", ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1998; №7); „ო-პრეფიქსიანი სახელები აჭარულში“, ქართველური ონომატიკა, თსუ, 1998; „რამდენიმე ზანური ანთროპონიმული გეოგრაფიული სახელისათვის აჭარულში“, მესხეთი, ახალციხე, 2000).

კორეტი II კოროჭი - საძოვარი (ს. პაპოშვილები, შუახევის რ-ნი). ადგილობრივი მოსახლეობა ამჟამად მას „გორა“-ს უწოდებს. თავდაპირველი სახელწოდება თითქმის დავიწყებას ეძლევა. ამ ტოპონიმს თუ კომპოზიტად მივიჩნევთ, მაშინ იგი შეიძლება ასე დაიშალოს: კო-რეტი . „რეტი“ - პ. ჭარაიას ასე აქვს განმარტებული: რეტი-რიყ, ქუალონი ადგილი (პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997; გვ. 116.) შდრ.: „რეტიში გვალა“ - მთაა სამურზაყანოში, რომელიც ქვითაა მოფენილი. ცხენის საბალახო თითქმის სულ არ არის მთაზე, მხოლოდ თხა-ცხვარი შეიძლება მოაძოვონ. როჭი - ქვა ხვინჭა (ქართველურ ენათა ლექსიკა, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ., 1938; გვ. 119). ამავე რაიონში ხშირია ქვასთან დაკავშირებული ტოპონიმები. ასე მაგალითად: „კენჭნარა“ - უბანი (მაწყვალთა), „კენჭიანი“ - მთაა ჩირუხში, „კენჭნარი“ - ფერდობი (რაქვთა), „კენჭიანი სერი“ - ტყე (საცხურში), „კენჭნარი“ - ფერდობი (ტუნაძეები), „კენჭიანი სერი“ - საძოვარი (ს. ხიხაძირში, ხულოს რაიონი).

ჩვენი ვარაუდით შესაძლოა თავდაპირველად გვქონოდა „გორა რეტი“, სადაც მოხდა ჰაბლოლოგია, დაიკარგა ბგერები: გორა რეტი - გორეტი. ჰაბლოლოგიის



კვალი შესამჩნევია, როგორც ქართულში, ასევე მეგრულში. მაგალითად: მთავარანგელოზი - თარანგელოზი - თარანგული, სუროვანდი - სურანდი, ხელეჩო - ხეჩო, პიჯიშ ოქოსალი - პიშქოსალი (პირსახოცი), ჯინჯი რჩე - ჯირჩე (უცუნა, იხ. ცხადაია პ. ჰაპლოლოგიისათვის მეგრულში, 1998: 105). შემდეგ ეტაპზე კი მკვეთრმა ჭ-მ გააყრუა მქდერი „გ“ (გ-კ ასიმილაცია), რის შედეგადაც მივიღეთ გორეჭი - კორეჭი, რაც შეეხება ტიპონიმ „კორეჭი“-ს ეტიმოლოგიას, საფიქრებელია, რომ აქ ყოფილა გორა ქვებით მოფენილი, ქვიანი მთა (გორი).



იხსენებოდა იორე გუფიკ ულტინოტტსეთე ინჷლტაჲ თინტეცენ მჭჳ სონცენ  
 .იბეიტეტჳ იმეჳი იფუიბი იბეიტინჯსეთ მთინტთიჲს ნჳ მთეოჲრნიტჳ მინიშნოტ  
 ტლუფიარსჳ „ინჷლტაჲ მთეოპინიშნოტჳ იუტტაბოტმტჳ იხსენჳ ნინიშენი“  
 „ინჷლტაჲ იბეიტჳს იმეჳი იბეიტინჳს მთტტტტტჳს ათჳ  
 იუტტინიშნოტთჳ იხსენჳ იმეჳი იბეიტინჳს მთტტტტტჳს ათჳ  
 (1900) ტბიკლჳს იმეჳი იბეიტინჳს მთტტტტტჳს ათჳ  
 იბეიტინჳს (იბ-რ მთეიტჳს „იბეიტინჳს მ) იბეიტინჳს - იბეიტინჳს II იბეიტინჳს  
 მინიშნოტ აბეიტინჳს იუტტინიშნოტჳს მინიშნოტჳს მ-რთჳ, მჳ თინტინჳს აბეიტინჳს  
 აბეიტინჳს იბე მინჳს იბეიტინჳს აბეიტინჳს მინიშნოტჳს აბეიტინჳს  
 ტბიკლჳს იუტტინიშნოტჳს მინიშნოტჳს მინიშნოტჳს მინიშნოტჳს  
 (ბი ჯგ 1991 „ბი იბეიტინჳს იუტტინიშნოტჳს მინიშნოტჳს  
 მინიშნოტჳს აბეიტინჳს ტბიკლჳს მინიშნოტჳს მინიშნოტჳს  
 .მთეიტინჳს აბეიტინჳს იბეიტინჳს მთეიტინჳს მთეიტინჳს  
 ათ იუტტინიშნოტჳს იუტტინიშნოტჳს აბეიტინჳს ტბიკლჳს  
 მთეიტინჳს აბეიტინჳს იბეიტინჳს (ბი ჯგ 1991 „ბი იბეიტინჳს  
 (აბეიტინჳს) იბეიტინჳს - „აბეიტინჳს აბეიტინჳს მინიშნოტჳს  
 ტბიკლჳს - „იბეიტინჳს (აბეიტინჳს) იბეიტინჳს - „იბეიტინჳს  
 მ) იბეიტინჳს - „იბეიტინჳს (იბეიტინჳს) იბეიტინჳს - „იბეიტინჳს  
 . (იბეიტინჳს მთეიტინჳს იბეიტინჳს  
 ეთჳს „იბეიტინჳს აბეიტინჳს აბეიტინჳს აბეიტინჳს  
 მთეიტინჳს იბეიტინჳს - იბეიტინჳს აბეიტინჳს აბეიტინჳს



## შინაარსი

„ლიტერატურული აჭარა“, №12  
2000 წელი

### პროზა. პოეზია

1. ჯემალ ჯაყელი – კაეშნის ღამის სანთელი  
(რომანი, დასასრული)..... 3
2. გენრიეტა ქუთათელაძე – ლექსები ..... 32
3. ზურაბ ფირცხალაიშვილი – ლექსები ..... 35
4. ანა ღუნდუა – მწუსრის ნათელი ..... 38
5. ბორის მეტრეველი – ლექსები ..... 43
6. ჟუჟუნა შაინიძე – ლექსები ..... 47

### თარგმანი

7. ისაბელ ალიენდე – გულს ნუ შეეხები (მოთხრობა) ესპანურიდან  
თარგმნეს თამარ ბერიძეშვილმა და გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძემ .... 52

### ზინ მოდის მოგაველიდან

8. ირმა ღუმბაძე – ლექსები ..... 59
9. გოჩა მანველიძე – ლექსი ..... 63
10. მარინე ჩხაიძე – ლექსები ..... 64
11. ხათუნა გობაძე – შავი ღრუბელი (მოთხრობა) ..... 68
12. ირინა კრავჩენკო – საკვდილის აპოლოგია  
ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ..... 71
13. შზია სალვარიძე – ლექსები ..... 81
14. კობა ბერიძე – ლექსები ..... 83
15. ეთერ ჯაფარიძე – ლექსები ..... 85

### პრიტიკა. აუბლისისტიკა

16. რამაზ სურმანიძე – იუნუს ზეირეეს ჰასუნს ჰირველ რიგში  
თურქი ხალხი მოსთხოვს..... 86
17. ვახტანგ ახვლედიანი – „ო, ენავ, ჩემო!“..... 97

### წერილები

18. თეიმურაზ კომახიძე – ქ. ბათუმის ტრანსპორტის  
განვითარების საკითხები..... 102
19. რევაზ ნაკაშიძე – სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და  
ასალი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის  
შესაბამისი კადრების მომზადებისათვის ..... 119
20. ნარგიზ ახვლედიანი – ერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის... 127



კომპიუტერული უზრუნველყოფა – გენადი კომხიძე

ოპერატორი – ლიანა გოგაძე

კორექტორები – მარინე ბერიძე, ირმა ბერიძე

გადაეცა წარმოებას 25. 11. 2000.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27, 12. 2000.

ქაღალდის ზომა 60X90 1/8.

ბირობითი ნაბეჭდი თაბასი 17,5.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბასი 17.25.

ბირობითი საღებავგატარება 17,5.

შეკვეთის № 191.

ტირაჟი 300.

ჟურნალი აიწყო, დაკაბდონდა და დაიბეჭდა სააქციო საზოგადოება "სტამბა-შე  
დ. თავდადებულის ქ. №16

გარეკანის პირველ გვერდზე: მწერალთა სასახლე



## შინაარსი

„ლიტერატურული აჭარა“, №12  
2000 წელი

### პროზა. პოეზია

|                                                                     |    |
|---------------------------------------------------------------------|----|
| 1. ჯემალ ჯაყელი – კაეშნის დამის სანთელი<br>(რომანი, დასასრული)..... | 3  |
| 2. გენრიეტა ქუთათელაძე – ლექსები .....                              | 32 |
| 3. ზურაბ ფირცხალაიშვილი – ლექსები .....                             | 35 |
| 4. ანა ღუნდუა – მწუხრის ნათელი .....                                | 38 |
| 5. ბორის მეტრეველი – ლექსები .....                                  | 43 |
| 6. ჟუჟუნა შაინიძე – ლექსები .....                                   | 47 |

### თარგმანი

|                                                                                                                           |    |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 7. ისაბელ ალიენდე – გულს ნუ შეეხები (მოთხრობა) ესპანურიდან<br>თარგმნეს თამარ ბერიძეშვილმა და გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძემ .... | 52 |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|

### ზინ მოდის მომავლიდან

|                                                                                  |    |
|----------------------------------------------------------------------------------|----|
| 8. ირმა ღუმბაძე – ლექსები .....                                                  | 59 |
| 9. გოჩა მანველიძე – ლექსი .....                                                  | 63 |
| 10. მარინე ჩხაიძე – ლექსები .....                                                | 64 |
| 11. ხათუნა გობაძე – შავი ღრუბელი (მოთხრობა) .....                                | 68 |
| 12. ირინა კრავჩენკო – საკვდილის აპოლოგია<br>ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ..... | 71 |
| 13. შხია სალვარიძე – ლექსები .....                                               | 81 |
| 14. კობა ბერიძე – ლექსები .....                                                  | 83 |
| 15. ეთერ ჯაფარიძე – ლექსები .....                                                | 85 |

### პრიზიკა. პუბლიცისტიკა

|                                                                                      |    |
|--------------------------------------------------------------------------------------|----|
| 16. რამაზ სურმანიძე – იუნუს ზეირექს ჰასუნს პირველ რიგში<br>თურქი ხალხი მოსთხოვს..... | 86 |
| 17. ვახტანგ ახვლედიანი – „ო, ენავ, ჩემო!“.....                                       | 97 |

### ნარილავი

|                                                                                                                                               |     |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| 18. თეიმურაზ კომახიძე – ქ. ბათუმის ტრანსპორტის<br>განვითარების საკითხები.....                                                                 | 102 |
| 19. რევაზ ნაკაშიძე – სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და<br>ახალი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის<br>შესაბამისი კადრების მომზადებისათვის ..... | 119 |
| 20. ნარგიზ ახვლედიანი – ერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის...                                                                                    | 127 |



კომპიუტერული უზრუნველყოფა – გენადი კომახიძე

ოპერატორი – ლიანა გოგაძე

კორექტორები – მარინე ბერიძე, ირმა ბერიძე

გადაეცა წარმოებას 25. 11. 2000.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27, 12. 2000.

ქაღალდის ზომა 60X90 1/8.

ზირობითი ნაბეჭდი თაბასი 17,5.

საადრიცხო-საგამომცემლო თაბასი 17.25.

ზირობითი სადებავგატარება 17,5.

შეკვეთის № 191.

ტირაჟი 300.

ჟურნალი აიწყო, დაკაბდონდა და დაიბეჭდა სააქციო საზოგადოება "სტამბა"-მ.  
დ. თავდადებულის ქ. №16

გარეკანის პირველ გვერდზე: მწერალთა სასახლე



170 15/3

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ინდექსი 78118

